


349 6(075 8)
ყ.62

თენგიზ შრუშაძე, პალერი ლიტონ

მომავალი სემბრთბლი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მე-4
ს. 62

თენგიზ ურუშაძე
ვალერი ლორია

ეკოლოგიური სამართალი

(მე-4 გამოცემა)



თბილისის
უნივერსიტეტის
ბაგოშვილის ფაკულტეტი

ეკოლოგიური სამართალი

ეკოლოგიური სამართალი (მე-4 გამოცემა) წარმოადგენს სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. წიგნში განხილულია ეკოლოგიური სამართლის ძირითადი საკითხები. ზოგად ნაწილში მოტანილია საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების საგანი და სისტემა; ეკოლოგიური სამართლის ცნება, ობიექტები, საგანი და მეთოდი; ბუნებათსარგებლობის სამართალი; ეკოლოგიური სამართალ-ურთიერთობანი და სამართალდარღვევები; ეკოლოგიური კონტროლი. კერძო ნაწილი მოიცავს ბუნების ცალკეული კომპონენტების სამართლებრივი დაცვის საკითხებს, მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის, წყლების, მიწების, წიაღის და წიაღისეულის, ტყის და მცენარეულობის, ცხოველთა სამყაროს, დაცული ტერიტორიების და ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას.

რედაქტორები: სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი
პ ა ა ტ ა ტ უ რ ა ვ ა

გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, ასოც. პროფესორი
ლ ი ა მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი

რეცენზენტები: საქ. მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი ლ ე ვ ა ნ ა ლ ე ქ ს ი ძ ე
სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი
მ ა ი ა ბ ი თ ა ძ ე

ფოტო გარეკანზე ი ზ ო ლ და მ ა ქ უ ტ ა ძ ი ს

შინაარსი

ზოგადი ნაწილი

თავი I

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების საგანი და სისტემა..... 11

- § 1. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ცნება და არსი 11
- § 2. სამართლის ეკოლოგიური ფუნქცია საზოგადოებაში..... 14
- § 3. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების სისტემა..... 16
- § 4. ეკოლოგიურ-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოში 18

თავი II

ეკოლოგიური სამართლის ცნება, ობიექტები, საგანი და მეთოდი.... 29

- § 1. ეკოლოგიური სამართლის ცნება..... 29
- § 2. ეკოლოგიური სამართლის ობიექტები..... 35
- § 3. ეკოლოგიური სამართლის საგანი და მეთოდები..... 57

თავი III

ბუნებათსარგებლობის სამართალი 65

- § 1. ბუნებათსარგებლობის სამართლის ცნება და სახეები..... 65
- § 2. განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი..... 66
- § 3. ვარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმი 71

თავი IV

ეკოლოგიური სამართალურთიერთობანი და სამართალდარღვევები..... 75

- § 1. ეკოლოგიური სამართალურთიერთობანი..... 75
- § 2. ბუნებათსარგებლობის უფლება..... 77
- § 3. ეკოლოგიური სამართალდარღვევები 82
- § 4. ეკოლოგიური ზარალის ანაზღაურების სამართლებრივი ფორმები..... 88
- § 5. ეკოლოგიური სამართალდარღვევების თავიდან აცილება 93

თავი V

ეკოლოგიური კონტროლი..... 95

- § 1. ეკოლოგიური კონტროლის ცნება 95

| | |
|--|-----|
| § 2. გარემოს მონიტორინგი..... | 98 |
| § 3. ეკოლოგიური ექსპერტიზა | 103 |
| § 4. გარემოზე მინიმალური საფრთხის შემცველი ზემოქმედების ნებართვები..... | 114 |

კერძო ნაწილი

თავი VI

| | |
|--|------------|
| ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივი დაცვა | 128 |
| § 1. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ცნება..... | 128 |
| § 2. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო მართვა | 134 |
| § 3. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დარღვევისათვის | 145 |

თავი VII

| | |
|---|------------|
| წყლების სამართლებრივი დაცვა..... | 149 |
| § 1. წყლები, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი | 149 |
| § 2. წყლის რესურსების სახეები და მათი გამოყენების ნესი და პირობები | 152 |
| § 3. წყლის გამოყენების კონტროლი და პასუხისმგებლობა..... | 167 |

თავი VIII

| | |
|---|------------|
| მინების სამართლებრივი დაცვა..... | 176 |
| § 1. მინების სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი..... | 176 |
| § 2. მინების გამოყენებაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი | 183 |
| § 3. პასუხისმგებლობა მინების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის..... | 184 |

თავი IX

| | |
|--|------------|
| წიალის და წიალისეულის სამართლებრივი დაცვა | 190 |
| § 1. წიალის და წიალისეულის სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი..... | 190 |
| § 2. კონტროლი და ზედამხედველობა წიალისეულის დაცვაზე..... | 196 |
| § 3. პასუხისმგებლობა წიალისა და წიალისეულის დაცვის წესების დარღვევისათვის | 203 |

თავი X

| | |
|--|------------|
| ტყის და მცენარეულობის სამართლებრივი დაცვა..... | 212 |
| § 1. ტყე, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი..... | 212 |
| § 2 ტყის სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი..... | 219 |
| § 3. პასუხისმგებლობა ტყის წესების დარღვევისათვის | 227 |

თავი XI

| | |
|---|------------|
| ცხოველთა სამყაროს სამართლებრივი დაცვა | 236 |
| § 1. ცხოველთა სამყარო, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი | 236 |
| § 2. ცხოველთა სამყაროს სამართლებრივი დაცვის შინაარსი | 242 |
| § 3. ცხოველთა სამყაროს გამოყენების კონტროლი და პასუხისმგებლობა | 247 |

თავი XII

| | |
|---|------------|
| დაცული ტერიტორიების სამართლებრივი დაცვა | 251 |
| § 1. დაცული ტერიტორიები – სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვ- ნული პარკები, ბუნების ძეგლები და დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიები, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტები | 251 |
| § 2. დაცული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმი | 255 |
| § 3. დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა, დაცვისა და გამოყენების რეჟიმი, კონტროლი და პასუხისმგებლობა | 266 |

თავი XIII

| | |
|--|------------|
| ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა | 273 |
| § 1. ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ცნება და მნიშვნელობა | 273 |
| § 2. ბუნების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი ობიექტები | 281 |
| § 3. საერთაშორისო ორგანიზაციები ბუნების დაცვაში | 293 |
| § 4. საერთაშორისო თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში | 303 |

შესავალი

სახელმძღვანელოს „ეკოლოგიური სამართალის“ ეს გამოცემა რიგით მეოთხეა. პირველი გამოცემიდან თითქმის 15 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში მრავალი ახალი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული გამოყენებითი ეკოლოგიის დარგში. ავტორები ყოველთვის ცდილებდნენ, რომ ქვეყნის ეკოლოგიურ სამართალში ყველა გადაგმული ნაბიჯი სათანადოდ ასახულიყო სახელმძღვანელოში.

ამ სახელმძღვანელოშიც ეს პრინციპია დაცულია. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს დარგის სპეციალისტებმა თავისი რჩევებით და შენიშვნებით.

გვინდა მადლიერების სიტყვებით მივმართოთ სამართლის დოქტორებს მაია ბითაძესა და პაატა ტურავას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ანზორ მესხიშვილს, გრიგოლ ლაზრიევს, მარიამ მრეველიშვილს, ნიკოლოზ ბურდულს, მალხაზ ძნელაძეს, მარინა მაკაროვას, ნათია ურუშაძეს განეული შრომისათვის.

ავტორებს კარგად ახსოვთ თავის დროზე ამ სახელმძღვანელოს შექმნის ინიციატორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ან განსვენებული პროფესორ სერგო ჯორბენაძის შეფასება სახელმძღვანელოს

პირველ გამოცემაზე. მას მიჩნდა, რომ სახელმძღვანელოს ყველაზე დიდი ღირსება ისაა, რომ ის წარმოადგენს მეცნიერების ორი განსხვავებული დარგის – ეკოლოგიის და იურისპრუდენციის – შეხამების წარმატებულ ცდას და ის, რომ პირველად ამ ნაშრომშია მოცემული ბუნებრივი ობიექტების სამართლებრივი დაცვის ფონზე მათი შედარებით სრული ეკოლოგიური დახასიათება.

თენგიზ (გიზო) ურუშაძე
ვალერი ლორია

თ ა ვ ი |

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების საგანი და სისტემა

§ 1. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ცნება და არსი

ბუნების დაცვა არის გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების და აღწარმოების ღონისძიებების დამუშავება და განხორციელება. ეს ღონისძიებები უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული და ხორციელდებოდეს სხვადასხვა დონეზე: საერთაშორისო, სახელმწიფოებრივ, უწყებრივ, სანარმოო, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურზე.

სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასა და პლანეტის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად საზოგადოების მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე სწრაფად გაიზარდა. სამეურნეო საქმიანობაში ერთვება სულ ახალი ბუნებრივი რესურსები; სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ინვესტს გარემოს ღრმა ცვლილებებს. ბიოსფეროში ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირები გამუდმებით ირღვევა. ეს არის იმის შედეგი, რომ ხმელეთის 10 %-ზე მეტი გადახნულია, მიწების 17 % გამოიყენება საძოვრებისთვის, იჩეხება ტყე, შენდება კაშხალები და არხები, ინტენსიურად გამოიყენება სასუქები და შხამქიმიკატები,

ფართო მასშტაბით წარმოებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება და ხორცს ისხამს ადამიანის საქმიანობის მრავალი სხვა ფორმა. ბუნებაში ამ ცვლილებებს მოაქვს მეტად საზიანო და ხშირად შეუქცევადი შედეგები.

ამჟამად, წარმოების გამონაყოფი მყარი, თხევადი და გაზისებრი ნარჩენების მოსპობა ისეთივე რთული საქმე გახდა, როგორც თვით წარმოების განვითარება. ნარჩენების რაოდენობა იზრდება გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად და ის ნარჩენები, რომლებსაც ბუნება ვერ ამუშავებს გროვდება და აბინძურებს გარემოს.

ბუნებაში არსებობს ევოლუციის სამი ფორმა: არაორგანული, ბიოლოგიური და სოციალური. არაორგანული ევოლუცია მიმდინარეობს ძალიან ნელა. ბიოლოგიური ევოლუცია წარმოებს უფრო ჩქარა და მისი განვითარების ტემპები თანდათან იზრდება. ყველაზე პრიმიტიული არსებები გაჩნდა დედამიწაზე დაახლოებით 2 მლრდ წლის წინ. 1 მლრდ წლის წინათ გაჩნდა პირველი მრავალუჯრედიანი ორგანიზმები. 600 მლნ წლის წინ უკვე იყო ნაირგვარი ზღვის ფლორა და ფაუნა; 400 მლნ წლის წინათ ვითარდება ხმელეთის ცხოველები; პირველი ფრინველები გაჩნდა 70 მლნ წლის წინათ; დედამიწაზე ადამიანის არსებობა კი მხოლოდ 3,5 – 4 მლნ წელს ითვლის.

უფრო სწრაფად მიმდინარეობს სოციალური ევოლუცია. საზოგადოების განვითარების სისწრაფე იმდენად დიდია, რომ ორგანული და არაორგანული სამყარო თითქმის ადგილზეა გაჩერებული. ბუნება ვერ ეგუება მასზე მოქმედების დაჩქარებულ ტემპებს.

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების დიალექტიკა მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა არის ბუნების შემადგენელი ნაწილი და ამასთან ის უპირისპირდება მას, როგორც გარდამქმნელი ძალა. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედებაში წამყვან ძალად გამოდის საზოგადოება.

საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე ადამიანის გავლენა გარემოზე უმნიშვნელო იყო, მაგრამ მოსახლეობის ზრდასა და ტექნიკურ პროგრესთან ერთად ეს გავლენა თანდა-

თანობით გაძლიერდა. საზოგადოება სულ უფრო მეტს იღებს მისგან და ამით ზრდის დამოკიდებულებას ბუნებასთან. გარემოზე საზოგადოების ზემოქმედების სიძლიერის, სიღრმის და მრავალფეროვნების მუდმივი ზრდა წარმოადგენს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთქმედების უმნიშვნელოვანეს ობიექტურ კანონს.

ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების ხასიათი განისაზღვრება აგრეთვე შეგნების განვითარების დონით და სოციალური წყობის თავისებურებებით.

ბუნების მნიშვნელობა ადამიანისთვის დიდი და მრავალფეროვანია. ის შეიძლება იყოს ეკონომიკური (ადამიანის მიერ გამოყენებული ყველა პროდუქტი იქმნება ბუნებრივი რესურსების გამოყენებით), სამეცნიერო (ბუნება არის ყველა ცოდნის წყარო), გამაჯანსაღებელი (ბუნება არის ჯანმრთელობის და სულიერი სიმდიდრის წყარო), აღმზრდელობითი (ბუნებასთან ურთიერთობა სასიკეთო გავლენას ახდენს ნებისმიერი ასაკის ადამიანზე) და ესთეტიკური.

გარემოს დანგრევის საშიშროებამ განაპირობა საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ახალი ფორმის – გარემოს დაცვის ჩამოყალიბება. თავდაპირველად ეს ფორმა ეხებოდა ბუნების ძეგლების, იშვიათი მცენარეების და ცხოველების დაცვას. ბუნებაზე სამეურნეო ზემოქმედების გაძლიერებასთან ერთად ხდებოდა ამ ფორმის თანდათანობით სრულყოფა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ბუნებათდაცვითი საქმიანობის ძირითად მიმართულებად ითვლებოდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ბუნებაზე ზემოქმედების გაფართოებამ გამოიწვია ადამიანის მიერ შექმნილი გარემოცვის მავნე ზემოქმედებისგან დაცვის აუცილებლობა. ასე გაჩნდა ბუნებათდაცვითი საქმის ახალი ფორმა – ადამიანის გარემოს დაცვა, რომელიც ხასიათდება ბუნების დაცვის ჰუმანიზაციით, გარემოს ხარისხის უზრუნველყოფით, სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიზაციით, ინტერნაციონალურობით და მზარდი ანტიმილიტარისტული ხასიათით.

§ 2. სამართლის ეკოლოგიური ფუნქცია საზოგადოებაში

გარემოს დაცვის და ბუნებათდაცვითი პრონციპების რეალიზაცია ხდება სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოქალაქეების ბუნებათდაცვით საქმიანობაში. ესაა მათი ეკოლოგიური ფუნქცია და მიმართულია გარემოს დაცვის სფეროში ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაზე. მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და კვლავნარმოებაზე, ადამიანის გარემოს დაცვაზე.

სახელმწიფოს ეკოლოგიური ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს ბუნებათდაცვითი ღონისძიებების სისტემას, რომელთა შორის ფუნქციონირებს მნიშვნელოვანი აქვთ: ბუნებრივი რესურსების აღრიცხვას და შეფასებას; ეკოლოგიური საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების გამოცემას და გამოყენებას; გარემოს დაცვის სფეროში მართვის და კონტროლის ორგანიზაციას; ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას; გარემოს ხარისხის სტანდარტიზაციას; სამეცნიერო კვლევების ორგანიზაციას; ეკოლოგიურ განათლებას, აღზრდას და ამ დარგში კადრების მომზადებას; საერთაშორისო თანამშრომლობას.

სახელმწიფოს ბუნებათდაცვითი საქმიანობის გაძლიერებამ გამოიწვია პრობლემების გადაწყვეტაში სამართლის გარდაიღი მნიშვნელოვანი როლი, განსაზღვრა მისი ახალი – ეკოლოგიური დაცვის ფუნქციის ჩამოყალიბება. სამართლის ეკოლოგიური დაცვის ფუნქცია მდგომარეობს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებაში, ადამიანისთვის ოპტიმალური გარემოს უზრუნველყოფაში.

ეკოლოგიური ურთიერთობა იყოფა ორ სახედ: ბუნებათრესურსული და ბუნებათდაცვითი. ეს სახეები გამოხატავენ საზოგადოების და ბუნების ურთიერთკავშირის სხვადასხვა მხარეს.

ბუნებათრესურსული ურთიერთობები იქმნება ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში საზოგადოების მატერი-

ალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბუნებათდაცვითი ურთიერთობები გამოხატავენ გარემოს დაცვის მოთხოვნებს. ურთიერთობების ამ ორ სახეს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. გარემოს გამოყენება განსაზღვრავს მისი დაცვის აუცილებლობას. ამასთან ერთად, გარემოს დაცვა ხორციელდება ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში ბუნებათდაცვითი წესების დანერგვის გზით, ე.ი. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, მათი კვლავწარმოების ორგანიზაციით.

ბუნებათრესურსული ურთიერთობები მოიცავს მიწის, სამთო, წყლის, ტყის და სხვა სფეროების ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. ეს ურთიერთობები თავისი არსით საორგანიზაციო-მმართველობითია. მათ აქვთ მოქმედების ტალღური მექანიზმი. ამ ურთიერთობების მონესრიგება ხდება ბუნებრივი ობიექტების დაცვით ადმინისტრაციული და სხვა ურთიერთობების სახით.

ეკოლოგიური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამართლის ნორმებში სავალდებულო წესით დგინდება: 1) ბუნების დასაცავი ობიექტების ნუსხა; 2) ბუნებით მოსარგებლების უფლებები და მოვალეობები, ბუნების გამოყენების აკრძალვის და შეზღუდული წესები; 3) ეკოლოგიის კონტროლის სისტემა, მისი განხორციელების პირობები და წესი; 4) ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა.

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების მიხედვით სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ბუნების დაცვას და მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეებად: ნორმები – პრინციპები, აყალიბებენ ბუნებათსარგებლობის და გარემოს დაცვის პრინციპებს; ნორმები – წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნებრივი გარემოს გამოყენების და დაცვის პირობებს და წესს; ნორმები –

პრიორიტეტები, რომლებიც ადგენენ ბუნების ამა თუ იმ ობიექტის დაცვის უპირატესობას სხვა ობიექტებთან შედარებით.

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დარგობრივ და დარგთაშორის პრიორიტეტებს. საყოველთაო ბუნებათდაცვითი პრიორიტეტია ადამიანის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილება, მოსახლეობისათვის ცხოვრების ელემენტარული ხელსაყრელი პირობების შექმნა. ბუნებათსარგებლობის და ბუნების დაცვის ხელყოფა უნდა იკრძალებოდეს და დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, თუ ეს ავნებს ადამიანის ჯანმრთელობას, აუარესებს მისი ცხოვრების პირობებს სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ეს ბუნებათსარგებლობის ნორმები, როგორც წესი, იქმნება კანონმდებლობის შესაბამისი დარგების „ეკოლოგიზაციის“ გზით, ე.ი. ბუნებათდაცვითი წესების გათვალისწინებით იმ ნორმატიულ აქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ გარემოზე მოქმედ სამეურნეო პროცესებს.

§ 3. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების სისტემა

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სამართლებრივი რეგულირების სისტემა მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ მიწის, სამთო, წყლის და სხვ. მათი ფორმირების და განვითარების საფუძველია ორი ფაქტორი: 1) საწარმოო ძალების ზრდა, საწარმოო ურთიერთობების სრულყოფა და გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საზოგადოებრივი მოთხოვნილების გაჩენა და 2) ისეთი ნორმატიული აქტების შექმნა, რომელიც არეგულირებს ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ურთიერთობებს.

მიწის სამართალი ითვალისწინებს ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს მიწის დაცვის და რაციონალურად გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებულ ურთიერთობებს; საწარმოების, ორგანიზაციების, ფორმების, მოქალაქე-

ების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

სამთო კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმების ერთობლიობას, რომელიც წიაღისეულზე საკუთრების უფლების გათვალისწინებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს წიაღისეულის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური, კომპლექსური გამოყენების სფეროში მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მისი დანიშნულება უნდა იყოს წიაღისეულის დაცვა; საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოქალაქეების უფლებების დაცვა წიაღისეულის გამოყენებისას; გარემოს დაცვა სამუშაოების მავნე ზემოქმედებისაგან წიაღისეულის გამოყენების დროს.

სატყეო კანონმდებლობა წარმოადგენს ნორმების ერთობლიობას, რომელიც ტყეზე საკუთრების უფლების გათვალისწინებით აწესრიგებს ტყის მეცნიერულად დასაბუთებულ რაციონალურ გამოყენებას, დაცვას, აღწარმოების და პროდუქტიულობის ამაღლებას ქვეყნის და მოქალაქეების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ტყის ბუნებათდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და გამაჯანსაღებელი თვისებების გაძლიერებას, საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმების და მოქალაქეების ურთიერთობებს ამ სფეროში.

წყლის კანონმდებლობა შეიცავს ნორმების ერთობლიობას, რომელიც წყალზე საკუთრების უფლების გათვალისწინებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს წყლების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალურად გამოყენების სფეროში მოსახლეობის და ქვეყნის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაჭუჭყიანებისგან წყლების დაცვას, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან ლიკვიდაციას; საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმების, მოქალაქეების – წყალმომხმარებლების უფლებების დაცვას და სხვ.

ამჟამად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ბუნებათრე-
სურსული და ბუნებათდაცვითი დარგები წარმოადგენენ სა-
ზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების პროცესის ორ

მხარეს: ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ბუნების დაცვას. ისინი ავსებენ და არ გამორიცხავენ ერთმანეთს. მათი შეხების წერტილია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრინციპი, რომელიც ავალდებულებს ბუნებათმოსარგებლებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში უზრუნველყონ გარემოს დაცვა.

ამასთან, ისინი წყვეტენ თავის საკუთარ ამოცანებს. ბუნებათრესურსული სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას, ხოლო ბუნებათდაცვითი სამართლებრივი ნორმები აწესრიგებენ გარემოს დაცვას მისი სამეურნეო ათვისების შედეგად წარმოქმნილი მავნე შედეგებისაგან.

ბუნებათრესურსული და ბუნებათდაცვითი ნორმების ერთობლიობა წარმოადგენს ეკოლოგიურ სამართალს.

§ 4. ეკოლოგიურ-სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოში

საქართველოს ბუნება ძველთაგან იპყრობდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ქვეყნის საინტერესო აღწერა მოგვცა ბერძენმა მეცნიერმა სტრაბონმა. მისი ცნობით, საქართველო საკმაოდ განვითარებული მხარე იყო, მჭიდროდ დასახლებული სოფლებითა და ქალაქებით. ბარში მიწათმოქმედნი ცხოვრობდნენ. ხე-ტყე, ცვილი, ხორბალი სავაჭროდ გაჰქონდათ საზღვარგარეთ. XIII საუკუნეში ბუნებრივ სიმდიდრეზე მეტად საინტერესო ცნობები მოყავს ცნობილ მოგზაურს, ვენეციელ ვაჭარს მარკო პოლოს. მისი სიტყვით საქართველოში ყველაზე ლამაზი, აბრეშუმის და ოქროს ქსოვილები მზადდებოდა.

„ვეფხისტყაოსანში“ მრავლადაა ბუნების სიმდიდრეთა მხატვრული აღწერა:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწვდომელი;
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალლად მხტომელი.
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ქვრეტადმცა სჯობდა რომელი!
და აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!“

„ბაღჩა ვნახე უტურფესი ყოვლისავე სალხინოსა;
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.
და კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა“.

სამართლებრივი იდეა ბუნების დაცვის აუცილებლობის შესახებ უძველეს ხანაში, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა (ნადარეიშვილი, 1986).

საქართველოში ბუნების სამართლებრივი დაცვა ანუ კანონმდებლობა ბუნების დაცვის შესახებ ოდითგანვე იყო ცნობილი (ლომსაძე, 1964). სხვადასხვა წყაროებში გვხვდება „მონადირენი“, „მონადირეთუხუცესი“, „ტყისმცველნი“, „ტყისმცველთა უხუცესი“. ცნობილია, რომ XII საუკუნეში თამარ მეფის სამეფო კარზე იყო „ტყეთუხუცესი“, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული და სამონადირეო ტყის დაცვას. უკვე 1705 წელს მეფე ვახტანგ VI „დასტურ-ლამალში“ მოტანილია ტყით, წყლით და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესები. ამ კანონთა წიგნში ჩანს „ქართველი ხალხის დიდი საკანონმდებლო გამოცდილება, იურიდიული ენის სიზუსტე, ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ხასიათი, ქვეყნის გარკვეული პროგრესი“ (საქართველოს ისტორია, 1958).

ამ კანონთა კრებულში პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით შეტანილი იყო რამდენიმე მუხლი წყლის შესახებ. ზოგი მათგანი იცავდა წყალს, როგორც კერძო საკუთრების ობიექტს. „თუ ვინ იცის წყალნაკლებობა იყოს, – ვკითხულობთ „დასტურ-ლამალში“, – ბატონის ბაღს წყალი არ დააკლდესო“. კანონმდებლობით იკრძალებოდა სარწყავი არხების გაყვანა, სასმელი წყლის გამოყვანა, ვენახის ან შენობის შემოკავება, თუ ეს მიაყენებდა რაიმე ზიანს მემამულეს. „დასტურ-

ლამალის“ 224-ე მუხლი უფლებას აძლევდა მემამულეს რუს გაყვანისათვის სასყიდელი აეღო.

„დასტურ-ლამალის“ მიხედვით დაცული იყო ზოგიერთი სახის ფრინველთა ბუდე. კერძოდ, მასში ნათქვამი იყო, რომ სადაც შევარდენი ბუდობს, ის „ალაგ ყორულად შეინახეთ, იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოჭრის“.

ვახტანგ VI-ის კანონი დიდი დროის მანძილზე ითვლებოდა მოქმედ კანონად. ქართველ მეფეთა დროს შემოღებული „ჰსჯულთა კრებული“ (მცირე სჯულის კანონი), რომელიც ადგილობრივ ადათ-ჩვეულებებს ითვალისწინებდა, ნებას აძლევდა გლეხებს გამოეყენებინათ თავიანთი მეზატონის საძოვრები, სათიბები და ტყე უსასყიდლო პირადი სარგებლობისათვის. ვახტანგ VI-ის „დასტურ-ლამალში“ აღნიშნული იყო, რომ წყლით, ტყით და ბალახით სარგებლობა არავის ეკრძალება, რადგან ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები, უამისოდ მოსახლეობა ვერ იარსებებს და ვერ გამრავლდებაო.

საქართველოს მდიდარი წიაღისეული ასევე უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ასე, მაგალითად, თავის დროზე კახეთში, სიღნაღის მაზრაში მოენყო პრიმიტიული ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, ხოლო 1864 წელს ძმები სიმენსების მიერ დედოფლისწყაროში აგებულ იქნა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 14 წლის შემდეგ ეს ქარხანა გადაეცა სამხედრო ინჟინერს ფ. მინკევიჩს, ხოლო ამ უკანასკნელისგან ქარხანა შეისყიდა სიღნაღელმა ვაჭარმა ოთაროვმა (ლომსაძე, 1964).

1880-90 წლებში გამოიცა წყალთა და წიაღისეულ სიმდიდრეთა რეგულირების დებულებანი, რომელთა უმეტესობა ადგილობრივ მაცხოვრებელთა მიხედვით იყო შედგენილი. მეფის რუსეთის დროს ბუნების დაცვის ერთიანი კანონმდებლობა არ ყოფილა, გამოდიოდა ცალ-ცალკე კანონები კერძო საკუთრებაში არსებული ტყის, წყლის, ნაკრძალების და მონადირეობის შესახებ. 1848 წლის 16 თებერვლიდან კავკასიის კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოში ძალაში შევიდა კანონი, რომლის ძალითაც ყმების ყიდვა-გაყიდვა შეიძლე-

ბოდა მხოლოდ მამულითურთ (მინისა და ნიაღისეულის სიმდიდრითურთ).

დემოკრატიულ საქართველოში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტი. ასე, მაგალითად, 1928 წელს 26 დეკემბერს გამოიცა პირველი დეკრეტი მინის, ტყის და წყლის შესახებ, ხოლო 1919 წლის 28 მარტს კანონი მინის კერძო საკუთრების შესახებ.¹

მომდევნო წლებში მიღებულ იქნა რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, მათ შორის, დეკრეტი „საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალოს (კურორტების) შესახებ“ (1923 წ.), „მინის კოდექსი და ტყის კოდექსი“ (1924 წ.), „სამთო კოდექსი“ (1929 წ.), მთავრობის დადგენილებები „ქალაქებში მწვანე ნარგავთა დაცვის შესახებ“ (1993 წ.), „ძვირფასი ჯიშის მერქნის რესურსთა შენარჩუნებისა და რაციონალურად ექსპლოატაციის უზრუნველყოფის შესახებ“ (1938 წ.), „ღირებულება სახელმწიფო ტყეების დაცვის შესახებ“ (1950 წ.), „ღებულება წყალთა სარგებლობის შესახებ“ (1958) და მრავალი სხვა.

1958 წლის 28 ნოემბერს მიღებული იყო ერთიანი კანონი რესპუბლიკაში ბუნების დაცვის შესახებ, ამ კანონის მეორე მუხლით საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალებოდა ყოველგვარი სამეურნეო ან სხვა მოქმედება, რომელიც გამანადგურებელ გავლენას ახდენდა ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სავარგულების მდგომარეობაზე. სახელდობრ, წყლის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურება, ჰაერის გაუარესება, თევზის მასობრივი მოსპობა, ნიადაგის ეროზია, მდინარეებისა და ტბების დაშრობა, მენყერების წარმოქმნა, წყლის დატბორვა, ტყის ფართობების გადაქცევა სხვა სავარგულებად, ძვირფასი და იშვიათი მცენარეების, ძვირფასი გარეული ცხოველებისა და ფრინველების მოსპობა, აგრეთვე, მშრომელთა დასვენების ადგილების დაბინძურება.

¹ იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921 წ.წ.), თბილისი 1990, გვ. 222.

70-იან წლებში მიღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტები ბუნების დაცვის სფეროში. კერძოდ, მიწის კოდექსი (1971 წ. 1 ნომბერი), წყლის კოდექსი (1977 წ. 1 ოქტომბერი), ტყის კოდექსი (1979 წ. 1 მაისი), კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1981 წ. 1 ოქტომბერი), კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვასა და გამოყენების შესახებ“ (1981 წ. 10 ოქტომბერი) და სხვ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მიღებული 1999 წელს) ბუნებას, მისი რესურსების სამართლებრივი დაცვის საკითხებს სპეციალური მეთავე კარი და შესაბამისი მუხლები აქვთ დათმობილი. კერძოდ: 192 (უკანონო სამწარმეო საქმიანობა), 300 (თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების უკანონო მოპოვება), 292 (წყლის დაბინძურება), 193 (ზღვის დაბინძურება), 294 (ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ან სხვა ნარჩენებისა და მასალების ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა ან თანამდებობების პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება), 301 (უკანონო ნადირობა), 303 (ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა), 304 (ტყის ან ნარგავების დაზიანება), 291 (წყლით სარგებლობის წესების დარღვევა), 290 (ვეტერინარიის სფეროში კანონმდებლობის დარღვევა), 295 (ჰაერის გაბინძურება), 245 (საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნივთიერებებისადმი ან სხვა მსგავსი წყაროებისადმი მოპყრობის წესების დარღვევა), 257 (ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლების განადგურება ან დაზიანება).

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (1984) ბუნების დაცვას ეთმობა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი. კერძოდ, მე-7 თავში „ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სფეროში“ მოტანილია შემდეგი მუხლები: მიწების უარყოფითი გამოყენება (მუხლი 51), მიწების დაბინძურება (52), მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე

ობიექტების მშენებლობა (55¹), სახელმწიფო მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება (55²), წიაღის დაცვის მოთხოვნათა დარღვევა (56), წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა (58), ხე-ტყის დამზადებისას ტყეთსარგებლობის წესების დარღვევა (63), სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება (64), ტყეთსარგებლობის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა (65), უკანონო ტყეთსარგებლობა (66), ტყის დაცვის, აღდგენის და გაშენების წესების და მოთხოვნების დარღვევა (67), სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება (68), სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დანაგვიანება და დაზიანება (71), სახელმწიფო ტყისა და ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენისა და შეცვლის წესებისა და მოთხოვნების დარღვევა (72), სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება (73), სახელმწიფო სამეურნეო ტყის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის დარღვევა (75), ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა (76), ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გაფრქვევა ნორმატივების გადამეტებით ან უნებართვოდ და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება (77), ატმოსფეროში განაფრქვევის სანმენდი მონყობილობის ექსპლოატაციის წესების დარღვევა, აგრეთვე ამ მონყობილობათა გამოუყენებლობა (78), ისეთი სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევაში გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება (80), ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნათა დაუცველობა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დანყოფისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება (83), ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი კონტროლის განმახორციელებელი ორგანო-

ების მითითებათა შეუსრულებლობა (84), გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთა მოსასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია და ჰიბრიდიზაცია (85), ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმების და მათი ტრანსპორტირების, შენახვის და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზარალი მიაყენა ცხოველთა სამყაროს (85'), „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხეში მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან სხვა ისეთი მოქმედებები, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რიცხვის შემცირება ან ბინადრობის გარემოს დარღვევა (83³), ნადირობისა და თევზჭერის წესების, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა (86), დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციური ზონების წესებისა და რეჟიმის დარღვევა (89) და სხვ.

ზემოთ აღნიშნული მუხლების დარღვევა ძირითადად იწვევს მოქალაქეთა ან თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის მინიმალური ანაზღაურების სხვადასხვა სიდიდის ოდენობამდე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყნის პარლამენტმა მიიღო რამდენიმე საგულისხმო დოკუმენტი, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის კანონი „წიადაგის დაცვის შესახებ“ (1994 წლის 12 მაისი), საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს სსრ ტყის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ (1995 წლის 7 მარტი), საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1966 წლის 7 მარტი), საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ (1996 წლის 15 მაისი), საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1996 წლის 16 ოქტომბერი), საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996 წლის 26 დეკემბერი). 1996 წლის მაისში პარლამენ-

ტმა მიიღო დადგენილება, რომ საქართველო შეუერთდეს კონვენციას „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“. 1996 წლის 20 მარტს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია საქონლის ნაკლოვანებებთან დაკავშირებული გარემოსადმი შესაძლებელი საფრთხის საშიშროება და მისი თავიდან აცილება.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ეკოლოგიური მიდგომების ასახვა ახალ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს. II თავში „საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ „ეკოლოგიურია“ 37-ე მუხლის §3 – „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. იმავე მუხლის §4 – „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას; §5 – „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“. კონსტიტუციის პირველი თავის („ზოგადი დებულებები“) მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება . . . ბ. სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა; . . . ი. . . მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; . . . ს. . . მიწის, წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა; . . .“.

ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციამ დააფიქსირა ეკოლოგიური პრიორიტეტები სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაში ასეთი პროგრესული მუხლები არაა შეტანილი, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური განვითარების ტენდენციები მიუთითებენ ასეთი მუხლების აუცილებლობაზე. ეს მუხლები დამუშავებული იყო საქართველოს „მწვანეების“ მიერ და საბოლოოდ უცვლელად აისახა კონსტიტუციაში.

ეკოლოგიური სიმართლის წყაროებს შორის აღსანიშნავია 1996 წლის 17 მაისის საქართველოს კანონი „წიალის შესახებ“ („პარლამენტის უწყებანი“ 1996 წ. 16), რომელიც შედგება 7 თავისა და 50-ზე მეტი მუხლისაგან. მასში განმარტებულია წიალი, რომელიც დედამიწის ზედაპირის, წიადაგისა და წყალსატევების ფსკერის ქვეშ ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილია, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად; ხოლო წიალისეული არის წიაღში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნი. კანონში მოცემულია წიალით სარგებლობის წესები (თავი II), წიალის სახელმწიფო მართვა (თავი III), წიალით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნილება (თავი VI), პასუხისმგებლობა წიალით სარგებლობის წესების დარღვევისათვის (თავი VI) დაბოლოს, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები წიალით სარგებლობის სფეროში (თავი VII).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი ეკოლოგიურ სამართალში არის 1996 წლის 10 დეკემბრის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ („პარლამენტის უწყებანი“, 1997 წ. 1-2), რომელიც შედგება 3 კარის, 17 თავისა და 60 მუხლისგან.

კანონში განმარტებულია შემდეგი ცნებები: „გარემო“, „ბუნებრივი გარემო“, „ბუნებრივი რესურსები“, „გარემოს დაცვა“, „დაცული ტერიტორია“ და სხვ. კანონში მოცემულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები გარემოს

დაცვის სფეროში (თავი II), ლიცენზირება და ინფორმაციული უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში (თავი VI და VII), გარემოს დაცვის წესები და ნორმები (თავი VII), გარემოს დაცვითი მოთხოვნები (თავი X), საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობა (XI), ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა (თავი XII), დაცული ტერიტორიები (თავი XIII), გარემოს გლობალური და რეგიონალური დაცვა (თავი XV), საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში (თავი XVI). ამ კანონის მიღებით გარემოს დაცვითი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო ამაღლდა, განმტკიცდა ორგანიზაციათა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის საქმეში.

გარდა ამისა, საქართველოში მიღებულია კანონები ცალკეულ საკითხებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „წყლის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს წლით სარგებლობის წესებს და წყალზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებს. იგი შედგება 3 კარის, 13 თავისა და 96 მუხლისაგან. მასში თავმოყრილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: წყალთსარგებლობის სფეროში კომპეტენციის გამიჯვნა (თავი II), წყლის დაცვა (თავი III), წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ლიკვიდაცია (თავი IV), წყალსარგებლობა (თავი V), წყლის სასაქონლო პროდუქციების წარმოება და ვაჭრობა (თავი VI), წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება და სახელმწიფო მართვა (თავი VII და VIII), პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის (თავი IX) და სხვ.

ცხოველთა დაცვის საკითხებს ეხება საქართველოს 1996 წლის 26 დეკემბრის კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 17 იანვარი). კანონი შედგება 4 კარის, 11 თავისა და 69 მუხლისგან. ზოგადი დებულებების განხილვის შემდეგ, კანონში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კომპეტენციათა გამიჯვნა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და სარგებლობის სფეროში (თავი II), ცხოველთა სამყაროს დაცვის წესები (თავი III), ცხოველთა

სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის ეკონომიკური რეგულირება (თავი V), მისი სახელმწიფო მართვა (თავი VI), პასუხისმგებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონის დარღვევისთვის (თავი VII) და სხვ.

შედარებით მრავალრიცხოვანია კანონმდებლობა საქართველოში მინათმფლობელობის, მიწების გამოყენებისა და დაცვის სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1996 წლის 27 მარტის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 14 ნოემბრის კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“, 1997 წლის 2 ოქტომბრის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“, კანონი მიწის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ. ამ კანონმდებლობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზუსტად განისაზღვროს და ერის ინტერესების შესაბამისად წარიმართოს საქართველოში მიწების პრივატიზაცია, მათი ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი მექანიზმი, რაც, ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, არაა სრულყოფილი.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოში მოქმედებს სხვა ახალი საკანონმდებლო აქტები ეკოლოგიური სამართლის სფეროებში, კერძოდ ისეთი, როგორცაა: 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“, 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „ტყის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2007 წლის 14 დეკემბრის კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, 2007 წლის 14 დეკემბრის კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ და სხვ.

ეკოლოგიური სამართლის ცნება, ობიექტები, საგანი და მეთოდი

§ 1. ეკოლოგიური სამართლის ცნება

ბუნების დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედება მიმდინარეობს ისეთი დიდი მასშტაბით, რომ ეკოლოგიური პრობლემა სამართლიანად გახდა ერთ-ერთი გლობალური ზოგადსაკაცობრიო სატკივარი. ის დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების პირობების გაუარესებასთან ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის შედეგად, ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან, ბუნებაზე დემოგრაფიულ „დატვირთვასთან“, მცენარეების და ცხოველების ცალკეული სახეობების მოსპობასთან, დაბინძურებით გამოწვეულ უარყოფით გენეტიკურ შედეგებთან და სხვ. ადამიანის საწარმო-ეკონომიკურმა და სამეცნიერო-ტექნიკურმა მოღვაწეობამ კოსმოსურ მასშტაბებს მიაღწია.

ბუნების დაცვის პრობლემა ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. ის მიზნად ისახავს გამოასწოროს ან თავიდან აიცილოს ადამიანის მიერ ბუნებასთან ურთიერთობაში დაშვებული ან შესაძლებელი შეცდომები. ყველა ის ნეგატიური მოვლენა, რომელიც ბუნებაში ადამიანის ჩაურევლად ხდება (ბუნებრივი კატასტროფები – წყალდიდობები, მიწისძვრები და სხვ.) არ მიეკუთვნება ბუნების დაცვის პრობლემებს.

ბუნების დაცვის არსის გაგებაში ხანმოკლე ისტორიულ ვადაში მოხდა შესამჩნევი ცვლილებები. ბუნების დაცვის ცნე-

ბა წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ეს ესმოდათ როგორც ცხოველების, მცენარეების ზოგიერთი სახეობების და ბუნებრივი ობიექტების, სხვა უნიკალური ან ველური ბუნების ცალკეული უბნების დაცვა. ბუნების დაცვა უპირატესად იხილებოდა როგორც ბიოლოგიური პრობლემა. XX საუკუნის 30-იან წლებში ნათელი გახდა საწარმოო მოქმედებისათვის უმრავლესი ბუნებრივი რესურსების გამოლევის საშიშროება, გაჩნდა ბუნებრივი რესურსების დაცვის ცნება. 50-60 წლებში, როდესაც ტექნიკის სწრაფი განვითარების შედეგად აღმოჩნდა, რომ დედამიწის მთელი ბიოსფერო იმყოფება რადიოაქტიური ნალექების, პესტიციდების და სხვა მავნე ნარჩენების გავლენის ქვეშ (რომლებიც ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას, ეკონომიკას და ბიოსფეროს ნორმალურ ფუნქციონირებას) – წარმოიშვა ცნება გარემოს დაცვა.

გარემოსთან ორგანიზმები ინარჩუნებენ გარკვეულ დინამიკურ წონასწორობას ანუ ჰომეოსტაზს. რადგანაც ეკოლოგია,¹ როგორც მეცნიერება სწავლობს ამ წონასწორობის პირობებს, ხოლო ბუნების დაცვა გულისხმობს დარღვეული წონასწორობის აღდგენას ან თავიდან აცილებას, ამიტომ ის წარმოადგენს ბუნების დაცვის თეორიულ საფუძველს. ბუნებაში არსებული წონასწორობა შეიძლება იყოს შენარჩუნებული ან მისი საშიშროება თავიდან აცილებული იმ შემთხვევაში, როდესაც იქნება შესწავლილი წონასწორობის პირობები. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობას განსაზღვრავს აგრეთვე ბიოსფეროში არსებული ურთიერთკავშირები და ურთიერთდამოკიდებულებები.

ტერმინი „ეკოლოგია“ გამოდგა უფრო მიმზიდველი და თანამედროვე, ვიდრე „ბუნების დაცვა“ და ამიტომ მას პირვე-

¹ ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც იწივადებს, პოპულაციების და თანასაზოგადოების დონეზე შეისწავლის ორგანიზმების ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან ურთიერთობას, ორგანიზმების ბუნებრივ დაჯგუფებათა სტრუქტურასა და ფუნქციონირებას ენერჯის ნაკადის გამოყენებას ცოცხალ ბუნებაში, ელემენტების ან ნივთიერებათა წრებრუნვას.

ლადი, წმინდა მეცნიერული მნიშვნელობის გარდა მიეცა მეორადი, გამოყენებითი ბუნებათდაცვითი გაგება. სწორედ ამიტომ, ამ ბოლო პერიოდში ეკოლოგიური პრობლემები გაიგივებულ იქნა ბუნებათდაცვით პრობლემებთან, ხოლო ტერმინს „ეკოლოგია“ მიეცა ფართო გამოყენებითი დატვირთვა.

ბუნებათდაცვითი ღონისძიებები ხორციელდება ბუნების დაცვის სხვადასხვა ხერხების გამოყენებით. სახელდობრ, საბუნებისმეტყველო (ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური, გეოლოგიური და ა.შ.), ტექნიკური (სამეცნიერო-ტექნიკური აზრის მიღწევების გამოყენება ადამიანის საქმიანობის მავნე შედეგების ნეიტრალიზაციისთვის), ეკონომიკური (ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მათი დაცვის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების და გრძელვადიანი პროგნოზების დამუშავება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და გარემოს დაცვის სწორი შეხამება, წარმოების ეფექტური განვითარება და დანახარჯები ბუნებათდაცვით ღონისძიებებზე), ორგანიზაციული (დაგეგმვა, მართვა და კონტროლი ბუნებათსარგებლობის და ბუნების დაცვის სფეროში, ბუნებათდაცვითი ღონისძიებების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის უზრუნველყოფა, ბუნებრივი ობიექტების დაცვის სამსახური), სანიტარულ-ჰიგიენური (გარემოს გაჯანსაღების მოთხოვნილებების შემუშავება, ადამიანის სიცოცხლის და მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გარემოს მდგომარეობაზე სანიტარული მეთვალყურეობის განხორციელება), იდეოლოგიური (ეკოლოგიური მსოფლმხედველობის ფორმირება, ბუნების და მისი რესურსებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების აღზრდა) დაბოლოს, სამართლებრივი.

ეკოლოგიური ანუ ბუნებათდაცვითი სამართალი არის ნორმების ერთობლიობა იმ ღონისძიებების სისტემის მოსაწესრიგებლად, რომელიც ასახულია სამართალში და მიმართულია ადამიანის სიცოცხლის და მატერიალური წარმოებისათვის აუცილებელი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შენარჩუნების, აღდგენისა და გაუმჯობესებისაკენ.

ეკოლოგიური სამართალი აწესრიგებს ადამიანის და ბუნების ურთიერთობას ანუ ახორციელებს ბუნებათდაცვით ღონისძიებებს სამართლებრივ საფუძველზე.

სამართალი, როგორც ადამიანების ქცევის ეფექტური რეგულატორი, ფართოდ გამოიყენება ბუნების დაცვის მიზნებისათვის. გარემო ფორმირდება და არსებობს ობიექტური კანონების შესაბამისად. ამ კანონების გაუქმება ან შეცვლა ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ ადამიანს შეუძლია და ვალდებულია შეიცნოს ეს კანონები და სწორად გამოიყენოს საზოგადოების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ეფექტური რეგულატორი, უშუალო ზეგავლენას ახდენს საზოგადოების წევრთა ქცევაზე. მისი მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების მართვის სხვა საშუალებებთან ერთად უზრუნველყოფილ იქნეს ბუნების სათანადო დაცვა აუცილებელი იურიდიული მოთხოვნების, კერძოდ, საერთო პრინციპების საკანონმდებლო ნორმების, დებულებებისა და ინსტრუქციების მიწერილობების დადგენის, კონკრეტული მოქმედების შესრულების აუცილებლობის დაკისრების ან გარკვეულ პირობებში მათგან თავშეკავების გზით. სუბიექტისადმი გარკვეული უფლებების და მოვალეობის დაშვებით, აგრეთვე აკრძალვებით და პასუხისმგებლობის დაკისრებით, სამართალს შეუძლია შექმნას საზოგადოების ცხოვრების ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება ეკოლოგიური კეთილდღეობა. მაგრამ იმისათვის, რომ შეასრულოს ასეთი სოციალური ფუნქცია, სამართალი თავისი შინაარსით, მისთვის მიღებული სპეციალური ფორმებით უნდა გამოხატავდეს მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ ბუნების ობიექტური კანონებიდან. ასეთი მოთხოვნების ერთობლიობა შეადგენს ეკოლოგიური სამართლის არსს.

ბუნებათდაცვითი ღონისძიებების სხვა ხერხებისაგან განსხვავებით სამართლებრივი ხერხი განსაზღვრავს ბუნების მიმართ ადამიანის ქცევის საჭირო და შესაძლებელ საზომს და

იმ შედეგებს, რომლებიც დგება დადგენილი წესების გადახრისას. სახელმწიფოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში აისახება მისი უმნიშვნელოვანესი ბუნებათდაცვითი ღონისძიებები. მათში დგინდება ბუნების შენარჩუნების, რაციონალურად გამოყენების, გაუმჯობესების და მისი რესურსების კვლავწარმოების სფეროში სხვადასხვა ორგანიზაციების და პირების უფლებები და ვალდებულებები. ისინი განსაზღვრავენ ბუნების დაცვის წესების დაღრვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის სახეებს.

ბუნებათდაცვითი ნორმების ეფექტურობა განისაზღვრება როგორც ყველა ორგანიზაციის და ცალკეულ პირთა მიერ აუცილებელი მოთხოვნების შესრულებით, ისე ბუნებათდაცვითი სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში სავალდებულო გატარების ორგანული კავშირით სახელმწიფო ბუნებათდაცვითი ღონისძიებების მთელ სისტემასთან. ასეთი კავშირი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ორი ფორმით. ერთი მხრივ, სამართალი განამტკიცებს რა თავის ნორმებში საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების მიღწევებს, ბუნების დაცვის სფეროში სახელმწიფოს მატერიალურ, ფინანსურ, ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ძალას და უზრუნველყოფს ცხოვრებაში მათ წარმატებით განხორციელებას. მეორე მხრივ, ბუნებათდაცვითი წესები მხოლოდ მაშინ აღწევენ მიზანს, როდესაც მათ აქვთ სათანადო მეცნიერული დასაბუთება, როდესაც მათი შესრულება უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ხერხებით, გამაგრებულია საორგანიზაციო მუშაობით, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტროლით, როდესაც თვით შემსრულებელს გააჩნია ეკოლოგიური მსოფლმხედველობის საჭირო დონე, სახელმწიფოს კი შესწევს უნარი უზრუნველყოს მათი შესრულება. ეკოლოგიური სამართალი მოიცავს როგორც ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ღონისძიებებს, რაც ქვეყნის შინაურ საქმეს წარმოადგენს, ისე საერთაშორისო ღონისძიებებს, რადგანაც ბუნების დაცვის პრობლემას აქვს გლობალური მნიშვნელობა.

ეროვნული ეკოლოგიური სამართალი მოიცავს იურიდიული ღონისძიებების ოთხ ჯგუფს: 1) ბუნებრივი რესურსების გამოყენების, შენარჩუნების და წარმოების სამართლებრივი რეგულირება; 2) კადრების აღზრდა და სწავლება; ბუნებათდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა; დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; 3) ბუნების დაცვის მოთხოვნილების შესრულებაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი; 4) სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა.

ღონისძიებების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება იმ კანონების და კანონქვემდებარე აქტების გამოცემა, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნებათდაცვითი სამართალურთიერთობების მონაწილეთა უფლებებს და ვალდებულებებს და აგრეთვე ამ სამართალურთიერთობების სუბიექტების პრაქტიკულ საქმიანობას თავისი უფლებების რეალიზაციისა და მოვალეობის შესრულებისათვის.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ არ არის მიმართული ბუნებრივი ობიექტების გამოყენების, შენარჩუნებისა და განახლებისაკენ, მაგრამ ქმნიან ბუნების დაცვის მოთხოვნილებების შესრულების მატერიალურ გარანტიებს და უზრუნველყოფენ ჰარმონიის მიღწევას საზოგადოებასა და გარემოს შორის. ამ ჯგუფს მიეკუთვნება კადრების აღზრდა და სწავლება, ბუნების დაცვასა და მის რესურსებზე ზრუნვის მორალური და მატერიალური ნახალისების ზომები, შრომითი ურთიერთობების შესაბამისი რეგულირება, მეურნეობის ცალკეული დარგების, სამინისტროების და უწყებების ჩარჩოებში ბუნების დაცვის სპეციალური პროგრამების დამუშავება და განხორციელება.

მესამე ჯგუფს შეადგენს ბუნების დაცვის დარგში სახელმწიფო საკონტროლო-ზედამხედველობითი ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სხვადასხვა სახეები: საქმის მდგომარეობის განხილვა და ანალიზი, შემოწმებები, ინსპექტირება, პატრულირება და აგრეთვე სამარ-

თალღარღვევების გამოვლენის და მათთან ბრძოლის საქმიანობის სხვა სახეები.

ღონისძიებების მეოთხე ჯგუფი მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენებასთან იმ პირების და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს კანონმდებლობა ბუნებათღაცვის სფეროში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოლოგიური სამსახურების, სასამართლოს, სპეციალიზებული ინსპექციების, პოლიციის როლი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნების დაცვის დარგში სამართლებრივი პასუხისმგებლობის მთელი მექანიზმებისა და პროცედურის თავისებურებებს.

§ 2. ეკოლოგიური სამართლის ობიექტები

ეკოლოგიური სამართლის ობიექტს წარმოადგენს ბუნება, როგორც ობიექტური, ადამიანის გარეშე და მისი შეგნებისაგან დამოუკიდებელი რეალობა, რომელიც არის მისი ბინადრობის ადგილი, ცხოვრების პირობა და საშუალება.

ადამიანის მიმართ ბუნება ასრულებს სამ მნიშვნელოვან ფუნქციას: 1) ეკოლოგიურს, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლისათვის საჭირო ბიოლოგიურ რეჟიმს, 2) ეკონომიკურს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებების წყაროს; 3) ზნეობრივს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ევოლუციური განვითარების შედეგი. ადამიანი ბუნების ობიექტია, რომელიც განიცდის მის ზეგავლენას და ამავე დროს სუბიექტია, რომელიც იყენებს ბუნებრივ რესურსებს.

საზოგადოების და ბუნების ურთიერთობა მუღავნდება საზოგადოებრივი ურთიერთობის ორ ძირითად ფორმაში – ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და ბუნების დაცვაში.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება გამოხატავს საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს, მიმართულს მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ბუნების დაცვა – საზოგადოებრივი განვითარების ეკოლოგიურ ინტერესებს. ეს ინტერესები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხდება საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების საფუძველზე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქამ გამოიწვია ამ წინააღმდეგობის გამწვავება.

ეკოლოგიური სამართლის ობიექტად ითვლება ადამიანის ბინადრობის ბუნებრივი გარემო და მისი ცალკეული ელემენტები, რომლებიც ეკოლოგიურ ურთიერთკავშირშია გარემოსთან და წარმოადგენენ ადამიანისა და საზოგადოებისათვის სოციალურ-ეკოლოგიურ ღირებულებას. ბუნების დაცვის ობიექტები ხასიათდება: 1) წარმოშობის ბუნებრივი ხასიათით; 2) მდგომარეობით, რომელიც ჩამოყალიბდება ბუნების ეკოლოგიური სისტემის ჯაჭვში; 3) სასიცოცხლო ფუნქციების შესრულებით, რაც განსაზღვრავს ამ ობიექტის სოციალურ-ეკოლოგიურ ღირებულებას საზოგადოებისათვის. ეკოლოგიური სამართლის ობიექტს უნდა ახასიათებდეს ყველა ეს ნიშანი.

ბუნების დაცვის ობიექტების წარმოშობის ბუნებრივი ხასიათი გამომდინარეობს სამყაროს განვითარების კანონებიდან. მათი მოქმედების შედეგად წარმოიქმნა დედამიწა, შეიქმნა ბიოსფერო და მისი შემადგენელი ნაწილები. ბუნების ობიექტებს ეს მნიშვნელოვანი თავისებურება განასხვავებს სოციალური ღირებულებისაგან. მათ არ გააჩნიათ ღირებულება საზოგადოებრივად აუცილებელი ადამიანის შრომის დანახარჯების მნიშვნელობით. ეს არ გამორიცხავს შრომის გამოყენების შესაძლებლობას გარემოს ზოგიერთი ელემენტების აღდგენის და კვლავწარმოების (მცენარეული და ცხოველთა სამყარო), ბუნებრივი თვისებების გაუმჯობესების (ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, ტყის ჯიშობრივი შემადგენლობის მონესრიგება და ა.შ.) მიზნით. ამასთან ობიექტის წარმოშობა

ბუნებრივ ხასიათს გულისხმობს, მაგრამ არ განსაზღვრავს მატერიალური სამყაროს ელემენტების მიკუთვნებას ბუნების დაცვის ობიექტებისათვის. ასე, მაგალითად, წყალი, რომელიც ონკანიდან მოედინება, მინა, რომლითაც ავსებულია საყვავილეთი ქოთანები, ნავთობი ან გაზი, რომელიც ნავთობსადენით მოედინება და სხვ. წარმოიშვენ ბუნებრივი გზით, მაგრამ ისინი არ მიეკუთვნებიან ეკოლოგიური სამართლის ობიექტებს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების დასაცავი ობიექტების მეორე ნიშანს – ეკოლოგიურ ურთიერთკავშირს გარემოსთან, რაც მათ ბუნებრივ ეკოსისტემაში ფუნქციონირების საშუალებას აძლევს. ეკოლოგიური კავშირი საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ ბუნების დაცვის ობიექტები გარემოს იმ კომპონენტებისაგან, რომლებიც ადამიანის მეშვეობით გამოვიდნენ ბუნების მექანიზმებიდან და გადავიდნენ ბუნებრივი სამყაროს სოციალურ სამყაროში. ასე, მაგალითად, წყალი, რომელიც მოთავსებულია რეზერვუარში, ტყეში მოჭრილი ხე, ნიადაგიდან აღებული ნიმუში, ამოღებული წიაღისეული, წყალსატევების თევზი მოთავსებული აკვარიუმში, დახურულ შენობაში არსებული ჰაერი და სხვ. თუმცა ბუნებრივი წარმოშობისაა, მაგრამ რადგანაც ადამიანის მიერ ამოღებული არიან ბუნების ეკოლოგიური სისტემიდან, აღარ არიან ეკოლოგიური სამართლის ობიექტები. ისინი გადაიქცნენ სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებად, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოქალაქეების საკუთრების ობიექტებად ანუ უბრალოდ ადამიანის გარემოს ელემენტები (სასურველი ან არასასურველი, სასარგებლო ან მავნე) გახდნენ.

ობიექტს სოციალურ-ეკოლოგიური ღირებულება ბუნების დაცვის აუცილებელ ნიშანს მიეკუთვნება. ბუნების დაცვის ობიექტს, ეკოლოგიურ ფუნქციებთან ერთად, უნდა გააჩნდეს ეკონომიკური და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციები. ამ უკანასკნელ ფუნქციებს, ეკოლოგიურთან შედარებით, აქვთ მეორადი მნიშვნელობა. ბუნების დაცვის ეკონომიკური ფუნქცია მიუთითებს მის რესურსულ შინაარსზე და იმა-

ზე, რომ ის შეიძლება იყოს მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების წყარო. ბუნების ობიექტის კულტურულ-გამაჯანსაღებელი ფუნქცია მიმართულია საზოგადოების ნევრების ეკოლოგიური მსოფლმხედველობის აღზრდისკენ, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების, მისი შრომისუნარიანობის ამაღლებისაკენ.

ადამიანის ბუნებრივი გარემოს რთული და მრავალფეროვანი სტრუქტურული და ფუნქციონალური კავშირების გათვალისწინებით ბუნება უნდა იხილებოდეს, როგორც სამართლებრივი დაცვის კომპლექსური ობიექტი. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბუნების სამი ასპექტის ერთიანობას: ერთიანი (ინტეგრირებული), ცალკეულ ობიექტებზე დანაწევრებული; ბუნებრივი; ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები (დიფერენცირებული), როგორც საერთო-სახალხო კუთვნილება, სახელმწიფო იურისდიქციის სფერო (ეროვნული და საერთაშორისო).

ბუნებრივი გარემოს შეფასება, როგორც სამართლებრივი დაცვის ინტეგრირებული ობიექტისა, გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი როგორც ერთიანი ეკოლოგიური სისტემა ორგანულად აერთიანებს ბუნების ყველა ელემენტს, კომპლექსს და მოვლენას მთლიან მექანიზმში. ასეთი შეფასება საშუალებას იძლევა სამართლით უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნება.

ბუნებრივი გარემოს ოპტიმალური მდგომარეობის დაცვა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ბუნებათდაცვითი რეგულირების საზღვრები. როგორც უკვე აღინიშნა, ბუნების ცალკეული ელემენტები და მისი ნაწილები იმყოფებიან სამართლებრივი დაცვის სფეროში მანამ, სანამ ისინი ფუნქციონირებენ როგორც ერთიანი ბუნებრივი მექანიზმის ნაწილები და იმყოფებიან ეკოლოგიური კავშირების სისტემაში. თუ ბუნებრივი ობიექტი გამოვიდა ბუნებასთან ურთიერთკავშირიდან, მაშინ ის გამოირიცხება ეკოლოგიური სამართლის ობიექტების რიცხვიდან. თუ ბუნების ცალკეული ელემენტები ჩაერთო

მისი კავშირების სისტემაში, როგორც ეს ხდება ადამიანის მიერ ბუნების რესურსების კვლავნარმოებისას, მაშინ ისინი ხდებიან ეკოლოგიური სამართლის ობიექტად და მათზე ვრცელდება ბუნებათდაცვითი ღონისძიებები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სამართალი უზრუნველყოფს ბუნებრივი გარემოს იმ კომპონენტების დაცვას, რომელთა ფუნქციონირება არ ეწინააღმდეგება ბუნების ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნების მოთხოვნებს. ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ან აღდგენის აუცილებლობიდან გამომდინარე ადამიანი შეიძლება აქტიურად ჩაერთოს სახეობების რეგულირების საქმეში. ასე, მაგალითად, მტაცებელი ცხოველები შეიძლება გამოცხადდნენ კანონით დაცულ ობიექტად, თუ მათი რაოდენობა ეკოლოგიური წონასწორობისათვის საჭირო დონეზე უფრო ქვემოთ დაეცა და, პირიქით, მცენარეული საფარის შენარჩუნების მიზნით შეიძლება ხელოვნურად შემცირდეს ზოგიერთი ძუძუმწოვრის რიცხვი.

ამგვარად, სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება ყველა ის ბუნებრივი ობიექტი, რომლებთანაც ურთიერთობს საზოგადოება და რომლებიც უზრუნველყოფენ მის არსებობას და კეთილდღეობას. ის ბუნებრივი ობიექტები, რომლებიც არ განიცდიან ადამიანის ზეგავლენას, არ მიეკუთვნება ბუნების დაცვის ობიექტებს. თუმცა მთვარე, მზე, მზის სისტემის პლანეტები, ვარსკვლავები და ა. შ. მიეკუთვნებიან ბუნების ობიექტებს, მაგრამ მათზე ეკოლოგიური სამართალი არ ვრცელდება. ეს მიდგომა არ ეხება კოსმოსის იმ ნაწილს, სადაც ადამიანმა უკვე შეაღწია და თავიდან უნდა იქნეს აცილებული მთვარის და მზის სისტემის პლანეტების დაბინძურების საშიშროება. კოსმოსურ სივრცეს ემუქრება ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური გაჭუჭყიანება და ამ გვარად კოსმოსის დაცვის ნაწილიც დღეს ეკოლოგიური სამართლის ობიექტების ნუსხაშია შეტანილი.

საერთოდ კი ეკოლოგიური სამართლის ობიექტები, პირველ რიგში, დედამიწის ბუნებრივი კომპლექსის ელემენტებია.

ისინი გაერთიანებულია საერთო სახელწოდებით „ბიოსფერო“. ეს ტერმინი ორი ბერძნული სიტყვის ძირიდან (სიცოცხლე და სფერო) წარმოიშვა. ბიოსფერო, როგორც დედამიწის გარსი, მოიცავს ცოცხალი ორგანიზმებით დასახლებულ ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს ნაწილებს. პირველად ეს ტერმინი შემოიღო ავსტრალიელმა მეცნიერმა ე. ზიუსმა. მანამდე მსგავს იდეებს ვხვდებით ჟ. ლამარკის შრომებში. ბიოსფეროზე თანამედროვე სწავლება ეკუთვნის რუს მეცნიერს ვ. ვერნადსკის. მან დაამტკიცა, რომ დედამიწის სამი გარსი ერთმანეთთან დაკავშირებულია ცოცხალი ნივთიერებებით; ეს ახდენს განუწყვეტლივ ზეგავლენას არაცოცხალ ბუნებაზე და ამასთან აყალიბებს და გარდაქმნის პლანეტის იერს. ბიოსფეროს სისქე შეადგენს 40-50 კმ. ის მოიცავს ატმოსფეროს ქვედა ნაწილს 25-30 კმ-მდე (ოზონის შრემდე), პრაქტიკულად მთელ ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს 3 კმ-მდე.

ცოცხალი ორგანიზმები, იღებენ რა მზის გამოსხივების ენერჯის ნაკადს, გარდაქმნიან მას, რთავენ ქიმიურ რეაქციაში არაორგანულ მატერიას და ქმნიან ნივთიერებების და ენერჯის უწყვეტ წრებრუნვას. ატმოსფეროს აიროვანი შემადგენლობა, ნიადაგური საფარი, სასარგებლო წიაღისეული (ქვანახშირი, ნავთობი, კირქვები, სანვაკი, ფილები, ცარცი, ტბური ლექი, საპროპელი) ყველაფერი ეს წარსული ეპოქების ცოცხალი ნივთიერების მოქმედების შედეგია.

ბიოსფეროს შემადგენლობაში, ცოცხალი ორგანიზმების გარდა (მცენარეული და ცხოველური სამყარო და მიკროორგანიზმები) შედის ბიოგენური ნივთიერება, ცოცხალი ორგანიზმებით ცხოველმოქმედების პროდუქტები (ორგანული წარმოშობის დანალექი ქანები), ბიოკოსმური ნივთიერება – დანალექი ქანების ცოცხალი ორგანიზმების დაშლის და გადამუშავების პროდუქტები და კოსმური ნივთიერება – მაგმური, არაორგანული წარმოშობის მთის ქანები, წყალი, და აგრეთვე ცოცხალი ორგანიზმების მიერ მნიშვნელოვნად გადამუშავებული და სახეშეცვლილი კოსმოსური წარმოშობის ნივთიერებები (კოს-

მოსური მტვერი, მეტეოროიტები და ა.შ.). ამის გარდა, ბიოსფეროს შემადგენლობაში შედის რადიოაქტიური ნივთიერებები და ქიმიური რეაქციებით დაუკავშირებელი გაბნეული ატომები.

როგორც ცნობილია, სოცოცხლე დედამიწაზე გაჩნდა წყალში 2,5 – 3 მლრდ წლის წინ. 0,5 მლრდ წლის წინ კი ცოცხალი ორგანიზმები გავრცელდნენ ხმელეთზე. ბიოსფეროს ფორმირება აქტიურად დაიწყო პლანეტაზე სიცოცხლის ჩასახვით. ბიოსფეროს წარმოქმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დედამიწაზე ქლოროფილის შემცველი მცენარეების გაჩენას. მხოლოდ ქლოროფილის მეშვეობით გაუჩნდათ მცენარეებს უნარი დაიჭირონ სინათლის სხივის ენერგია, გამოიყენონ ის ფოტოსინთეზისათვის, რომლის შედეგად წყლისა და ნახშირორჟანგიდან იქმნება ორგანული ნივთიერება – მცენარეული და ცხოველთა სამყაროს და მიკროორგანიზმების მთელი მრავალფეროვნების არსებობის და განვითარების დასაბამი. მწვანე მცენარეების მიერ დაგროვილი ენერგია გამოიყენება სხვა ორგანიზმებით როგორც მცენარეების სიცოცხლის დროს, ისე მათი სიკვდილის შემდეგაც, ხოლო ქსოვილების სრული ან ნაწილობრივი დაშლის ამ ნარჩენებს ითვისებენ მცენარეული სამყაროს ახალი თაობები. ასეთი გზით ხდება მთელი ბიოსფეროს უწყვეტი ფუნქციონირება, სრულდება ბიოლოგიური წრებრუნვა. ცოცხალი ნივთიერების მეშვეობით ხდება ბიოსფეროს ყველა კომპონენტის ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება. ეს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კავშირი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ბიოსფერო, როგორც გიგანტური ეკოლოგიური სისტემა, რომელშიც ადამიანი, ერთი მხრივ, არის მთელი სისტემის ბიოლოგიური ნაწილაკი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი აქტიური გარდამქმნელი. იმის გამო, რომ ადამიანის ზეგავლენა ბიოსფეროს მიმართ უნდა იყოს მიმართული მასში დამყარებული კანონზომიერებისა და კავშირების შენარჩუნებისაკენ ან ისეთი კავშირებით შეცვლისაკენ, რომლებიც აუმჯობესებენ ბიოფიზიკურ გარემოს.

ბუნებასთან ურთიერთობისას ადამიანი ახდენს გავლენას ბუნებრივი ნივთიერების, საერთოდ გარემოს და მისი ცალკეული ელემენტების მოხმარებით, გარდაქმნით, კვლავნარმოებით. ასეთი ურთიერთქმედების შედეგია ადამიანის შრომის პროდუქტები. აქ გამოყოფილია მატერიალური სამყაროს ობიექტები. მათი ნაწილი იქმნება ბუნების რესურსების გაუმჯობესების, აღდგენის და კვლავნარმოების მიზნით (მწვანე ნარგავები, ხელოვნური წყალსატევები, ხელოვნური გზით გამოყვანილი ცხოველები, ფრინველები, თევზები და სხვ.). ესენი ერთვებიან ბუნების ნივთიერებათა ცვლაში და ფუნქციონირებენ, როგორც ბუნებრივი ობიექტები და ექვემდებარებიან ბუნებათდაცვით კანონმდებლობას. პროდუქტების სხვა ნაწილი, რომელიც იქმნება მოხმარების მიზნით, შემდეგი გამოყენებისათვის ერთვება ეკონომიკური ბრუნვის სისტემაში, იღებს სასაქონლო-მატერიალური ღირებულების ფორმას და ხდება სახელმწიფო ან კერძო საკუთრების სამართლის ობიექტი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფო ან კერძო ქონებასთან, რომლის წარმოებას, გამოყენებას, დაცვას განსაზღვრავს არა ეკოლოგიური სამართალი, არამედ ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების სისტემა. ეს პროდუქტებია ნათესები, საბალე და საბოსტნე კულტურები, ხელოვნურ პირობებში გაზრდილი ცხოველები და ფრინველები (ზოოპარკში) და სხვ. გარე სამყაროს კიდევ ერთი კატეგორია არ მიეკუთვნება ბუნებრივ ობიექტებს. ესაა მოქმედების თანამდევი პროდუქტი (მანანნალა ძაღლები და კატები).

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ობიექტურ შედეგებს წარმოადგენენ სოციალური საგნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ბუნების ცნებას და წარმოადგენენ საზოგადოების ატრიბუტებს. ეს ის საგნებია, რომლებიც წარმოიქმნენ შრომის შედეგად, მატერიის ბუნებრივ გარემოსთან მოწყვეტის და სანყისი ფორმის შეცვლით. ისინი არსებობენ ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და საბოლოო ჯამში იღებენ ქონების სახეს (შენობა-ნაგებობები, ტრანსპორტის სა-

შუალეები, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საგნები, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.).

ბუნების დაცვა და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური სამართალი მოითხოვს ბუნების კონკრეტული ობიექტების გამოიჯვანას ანუ მათდამი დიფერენცირებულ მიდგომას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანის და საზოგადოების ზემოქმედება ბუნებაზე გულისხმობს მის კონკრეტულ ელემენტებზე გავლენას. ამიტომ ბუნების დაცვის კომპლექსურობა გულისხმობს მისი შემადგენელი ნაწილების დიფერენციაციას. ეს უკანასკნელი მოიცავს ბუნების მხოლოდ იმ ობიექტებს, რომლებიც ადამიანის ცხოველმოქმედების სფეროში ხვდება და არ ეხება ბუნების მოვლენებს. მაშასადამე, ბუნების მოვლენები სამართლებრივი ზემოქმედების გარეშე რჩება.

კანონი იცავს საერთოდ ბუნებას და ასე თუ ისე მის ცალკეულ ელემენტებსაც. და პირიქით, როდესაც კანონი იცავს გარემოს ცალკეულ ელემენტებს, ის იცავს მთლიანად ბუნებას.

საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სფეროში გამოიყოფა შემდეგი დასაცავი ნაწილები: ბუნებრივი ობიექტები, ბუნებრივი რესურსები და ბუნებრივი კომპლექსები.

ბუნებრივი ობიექტებია დასრულებული ეკოლოგიური კომპლექსები, რომელიც ურთიერთქმედებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან მისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციების საფუძველზე. ბუნებრივ ობიექტებს მიეკუთვნება მინა, წიაღისეული, წყალი, ტყე და სხვა მცენარეები, ცხოველთა სამყარო, ატმოსფერული ჰაერი. ბუნებრივ ობიექტებს ბუნებათდაცვითი კანონმდებლობა ანიჭებს დამატებით ნიშნებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. ბუნებრივი ობიექტი შეიძლება იყოს ბუნებრივ-სამეურნეო, რომელიც სამეურნეო გამოყენების სფეროშია და განსაკუთრებით დაცულია, ე.ი. ობიექტი, რომელიც პრაქტიკულად დახურულია ექსპლუატაციისათვის.

ბუნებრივი რესურსები საარსებო რესურსების ერთობლიობას წარმოადგენენ. მაშასადამე, ბუნებრივი ობიექტები შე-

იძლება განვიხილოთ როგორც ადამიანის სამომხმარებლო საქმიანობის წყარო.

ბუნების ნებისმიერი ობიექტი (მინა, წიაღისეული, წყალი, მცენარეული და ა.შ.) შეიძლება დახასიათდეს ორი მნიშვნელობით – ბუნების რესურსი და ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ნაწილი.

ბუნებრივი რესურსების ქვეშ იგულისხმება მისი ის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანისათვის მოხმარების და გამოყენების წყაროს. საზოგადოების ცხოვრებაში ბუნების რესურსები შეიძლება ასრულებდეს სხვადასხვა ფუნქციებს: ეკოლოგიურს, ეკონომიკურს, გამაჯანსაღებელს, კულტურულს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებოს. ბუნების ცალკეული ელემენტები შეიძლება ასრულებდეს რამდენიმე რესურსის როლს. ასე, მაგალითად, ტყე მიეკუთვნება როგორც ეკონომიკურ (სამშენებლო მასალები, სათბობი, შეშა), ისე გამაჯანსაღებელ რესურსებს. მინა წარმოადგენს ნიადაგურ და სასურსათო რესურსს. ის შეიძლება იყოს წარმოების საშუალება ან შენობა-ნაგებობების განთავსების სივრცობრივი ბაზისი.

ბუნებრივი რესურსი შედის ბუნებრივ-სამეურნეო ობიექტის შემადგენლობაში და განსაკუთრებულია მოსახლეობის ეკონომიკური და კულტურულ-გამაჯანსაღებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა კი წარმოადგენს ბუნებრივ სიმდიდრეს.

ამგვარად, ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრე – ესაა პირველ რიგში ეკონომიკური და არა ეკოლოგიური ცნება. იგი გამოხატავს საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის მოთხოვნილებას. ბუნების ესა თუ ის ნივთიერება ხდება რესურსი და ამოიღება ადამიანის მიერ იმ ბუნებრივი ობიექტებიდან, რომელშიც ის არსებობს, მატერიალური კეთილდღეობის წარმოების განვითარების, ადამიანის ეკონომიკური ინტერესების გაფართოების და სრულყოფის მიზნით. ბუნებრივი ნივთიერება კარგავს რესურსების მნიშვნელობას

მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს მისდამი, როგორც მოთხოვნილების წყაროსადმი ინტერესს. ბუნებრივი რესურსების მართვა ეკოლოგიური სამართლის სისტემაში აიხსნება იმით, რომ თუმცა ბუნებრივი ნივთიერება იძენს ეკონომიკურ მნიშვნელობას, ის აგრძელებს არსებობას ბუნებრივ ობიექტებთან ერთად. მისი გარემოდან ყოველგვარი ამოღება ან განცალკევება იწვევს ბუნების ეკოლოგიურ პროცესში შესაბამის ცვლილებებს. ბუნებრივი სიმდიდრეების მოხმარებისას ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გადახლართვა აისახება ბუნებათდაცვითი მოქმედების ხასიათში ბუნებრივ სამეურნეო ობიექტების მიმართ. ბუნებრივი რესურსების მართებაში კანონმდებლობა იყენებს ცნებას „რაციონალური გამოყენება“ და არა დაცვა, რაც სწორად და ზუსტად ასახავს მის სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებას.

კანონმდებლობისათვის, რომელიც არეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, მნიშვნელოვანია მათი დაყოფა სხვადასხვა სახეობად: რეალური (აღმოჩენილი) და პოტენციური (ჯერ კიდევ აღმოუჩენელი), ალუდგენელი (მინერალური რესურსები), შედარებით აღდგენადი (მინის რესურსები) და აღდგენადი (ტყის რესურსები, ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი სახეობა), ამოუწურვადი (ენერგეტიკული რესურსები).

ბუნებრივი კომპლექსები არის ბუნებრივი გარემოს (მინის, წყლის, ტყის და ა.შ.) ნაკვეთები, რომლებიც წარმოადგენენ ბუნებრივი ობიექტების ან ბუნებრივი სისტემების ერთობლიობას და გამოყოფილია სახელმწიფოს მიერ მათ დასაცავად. დაცვის და გამოყენების რეჟიმის მიხედვით ასეთი კომპლექსები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: სრულიად გამორიცხული სამეურნეო ან რეკრეაციული გამოყენებისათვის; გამორიცხული სამეურნეო გამოყენებისათვის და სამეურნეო მიზნებისათვის რესურსების შეზღუდული გამოყენების რეჟიმით.

კანონმდებლობით ბუნების ობიექტების დაცვა უნდა ითვალისწინებდეს ბუნებაში არსებულ ურთიერთკავშირებს.

ბუნების ობიექტების დაცვა შეიძლება ხდებოდეს სამი საშუალებით: 1) უშუალო დაცვით მავნე ზემოქმედებისაგან; 2) ერთი ობიექტის დაცვით ბუნების სხვა ობიექტის დაცვის მეშვეობით (ფერდობებზე ნიადაგური საფარის დაცვა ტყის დაცვით); 3) ბუნების ობიექტების დაცვით სხვა ობიექტების მავნე ზემოქმედებისაგან (ნიადაგის დაცვით წყლების მავნე ზემოქმედებისაგან) და ა.შ.

ბუნებათდაცვითი ობიექტები იყოფა ეროვნულ და საერთაშორისო დაცვის ობიექტებად.

ეკოლოგიური სამართლის ობიექტებს წარმოადგენენ ბუნებრივი სიმდიდრეები. ისინი შეიძლება ჩართული იყვნენ სამეურნეო ბრუნვაში ან ჯერ კიდევ განიცდიდნენ ექსპლუატაციას. მათ რიცხვს მიეკუთვნება:

- მიწა;
- წიაღისეული;
- წყლები (ზედაპირული და მიწისქვეშა);
- მცენარეულობა;
- ცხოველთა სამყარო;
- დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები და სხვ.);
- ატმოსფერული ჰაერი.

მიწა, როგორც ეკოლოგიური სამართლის ობიექტი, არის დედამიწის ზედაპირი, რომელიც იმყოფება საქართველოს ფარგლებში. საერთოდ „მიწას“ აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. მიწა – ჩვენი პლანეტაა. მიწა – ესაა მატერიკი, კუნძული და ხმელეთის სხვა ნაწილი, რომელიც ამოწეულია მსოფლიო ოკეანის ზედაპირიდან. სულხან-საბა „მიწას“ ქვეყნის ნაწილს უწოდებს. ზოგჯერ „მიწა“ გაიგივებულია „ტერიტორიის“ ცნებასთან, ან პირიქით მას უთანაბრებენ „ნიადაგს“. ტერიტორიისაგან განსხვავებით, რომელსაც აქვს მოცულობითი ცნება (ტერიტორია მოიცავს არა მარტო დედამიწის ზედაპირს, არამედ ყველაფერს, რაც არის ზედაპირზე, მის ზემოთ და ქვე-

მით). მინა არის პირობითი კატეგორია, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი განზომილება – ფართობი და იზომება კვადრატული მეტრებით, კილომეტრებით, ჰექტრობით. ნიადაგი მინისგან განსხვავებით წარმოადგენს მხოლოდ დედამიწის ზედაპირის ნაყოფიერ ფენას, რომელიც წარმოიქმნა ნიადაგწარმოქმნელი ფაქტორების ხანგრძლივი ურთიერთქმედების შედეგად. ნიადაგის ეკოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეშვეობით ხორციელდება კავშირი ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, ატმოსფერულ ჰაერს, წყლებს და ნიაღისეულს შორის. მინას, ნიადაგისგან განსხვავებით, არა აქვს სისქე და არ შეიძლება გაზომილ იქნას მოცულობის და წონის ერთეულებით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მინის გამიჯვნა დედამიწის ზედაპირიდან დაუშვებელია. ამიტომ ყვავილების ქოთანში მოთავსებული მინა-ნიადაგი არ შეესაბამება მინის ცნებას და არ წარმოადგენს ეკოლოგიური სამართლის ობიექტს.

„მინას“ აქვს იურიდიული ცნების პირობითი ხასიათი, რაც იმით გამოიხატება, რომ ამ ტერმინში აღინიშნება დედამიწის მთელი ზედაპირი იმისდა მიუხედავად დაფარულია თუ არა ის ნიადაგური საფარით, გვაქვს თუ არა მცენარეულობა, გვხვდება თუ არა უდაბნოები, მთები, მყინვარები, მოთავსებულია ის წყლის ქვეშ თუ წარმოადგენს ხმელეთს, რომელიც განაშენიანებულია შენობებით ან ნაგებობებით. ეს სრულეობით არ ნიშნავს, რომ „მინას“ აქვს ამორფული აბსტრაქტული იურიდიული მნიშვნელობა. მინას, როგორც კატეგორიას აქვს რთული შინაგანი სტრუქტურა, რომელიც ასახავს დედამიწის ზედაპირის ნაკვეთებს შორის მნიშვნელოვან ფიზიკურ-გეოგრაფიულ, სამეურნეო-ეკონომიკურ, ისტორიულ, ესთეტიკურ განსხვავებებს. მინის სამართლებრივი დაცვის მიზანია დედამიწის ზედაპირის ხელსაყრელი ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება, აღდგენა და გაუმჯობესება. მეტად მნიშვნელოვანია მინის გაჭუჭყიანების თავიდან აცილება. მინის დაცვის ორგანიზაცია გავლენას ახდენს ბუნების ისეთი ობიექტების

დაცვაზე, როგორცაა ტყე, წყალი, მცენარეული და ცხოველ-
თა სამყარო, წიაღისეული.

წიაღისეული არის ბუნებრივი გარემოს ნაწილი, რომელიც
წარმოადგენს გეომეტრიულ სივრცეს დედამიწის ზედაპირის
ქვეშ შევსებულს მყარ, თხიერ და გაზისებრ მდგომარეობაში
მარტივ სტრუქტურებში, ან რთულ ნაერთებში ორგანული და
არაორგანული ნივთიერებებით. წიაღისეულს არ გააჩნია
მკვეთრად გამოსახული ქვედა საზღვარი. იურიდიული თვალ-
საზრისით წიაღისეული ვრცელდება სიღრმეში დედამიწის
ბირთვამდე და ამგვარად წარმოადგენს არასწორი ფორმის
კონუსს, რომლის ფუძე დედამიწის ზედაპირია საქართველოს
სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. აქ წიაღისეული გაიგი-
ვებულია მიწასთან. ამიტომაც არის, რომ სასარგებლო წიაღი-
სეულის საბადოები, რომლებიც გამოდიან ზედაპირზე, მიე-
კუთვნება მიწის კატეგორიას. პრაქტიკულად კი წიაღისეულის
ქვედა საზღვარი გადის იქ, სადაც ადამიანმა შეიძლება მიაღ-
წიოს მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე დონის გათვა-
ლისწინებით.

წიაღისეულის ეკოლოგიური ფუნქცია მდგომარეობს იმა-
ში, რომ ის ქმნის დედამიწის ფუნდამენტს, გარკვეული გეოგ-
რაფიული ლანდშაფტის საფუძველს. ეკონომიკური ფუნქცია
კი გამოიხატება იმით, რომ იგი არის მინერალური ნედლეუ-
ლის, ნამარხი სათბობის და სხვა მასალების წყარო. წიაღისეუ-
ლი გამოიყენება აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების და კომუ-
ნიკაციების (საცავები, სანყობები, მეტროს ხაზები, მილსადე-
ნები და ა.შ.) მოსაწყობად. წიაღისეულის ცალკეული ნაკვეთე-
ბი წარმოადგენენ განსაკუთრებულ სამეცნიერო, კულტურ-
ულ და ისტორიულ ღირებულებას.

წიაღისეულის სამართლებრივი დაცვის მიზანია – მათი
გამოფიტვის და გაჭუჭყიანების თავიდან აცილება. ასეთი
დაცვა ხორციელდება ორი გზით: ბუნებრივი გარემოს დაცვა
დაბინძურებისგან, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცი-
ლოთ მიწისქვეშა წყლების, სასარგებლო წიაღისეულის გაუა-

რესება და მთამადნეულის რაციონალური გამოყენების ორგანიზაცია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიაღისეულის მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებას ბუნებრივი ნედლეულის მსხვილმასშტაბიანი ამოღებისას მათი სტრუქტურის შენარჩუნების ან რაციონალურად გამოყენების პირობით. წიაღისეულის დაცვის ორგანიზაციაზე პირველ რიგში დამოკიდებულია ისეთი ბუნებრივი ობიექტების ხარისხობრივი მდგომარეობა, როგორცაა წყლის წყაროები და მიწის ზედაპირი, ხოლო წიაღისეულის, როგორც მიწის ფუნდამენტის მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებაზე დამოკიდებულია მთელი გარემოს მდგომარეობა.

„წყლების“ იურიდიული ცნება აგრეთვე განსხვავდება წყალზე საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ცხოვრებისეული წარმოდგენებისაგან.

წყლები არის წყლების ბუნებრივი მარაგები, რომლებიც არსებობს ზღვებში, ტბებში, მდინარეებში, წყალსატევებში, არხებში, მყინვარებში, მიწისქვეშა საბადოებში და სხვა წყლის ობიექტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში. წყლებს არ მიეკუთვნება ის წყალი, რომელიც ფიზიკურად იმყოფება ბუნებრივ გარემოში, მაგრამ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მატერიალურ ერთეულს და არის მხოლოდ რომელიმე ბუნებრივი ობიექტის სტრუქტურული კომპონენტი. ასე, მაგალითად, ნიადაგური ტენი (ნიადაგის განუყოფელი კომპონენტი), ატმოსფერული ტენი (ატმოსფეროს განუყოფელი კომპონენტი), წყალი, რომელიც იმყოფება ცხოველების და მცენარეების ორგანიზმებში. მართალია, წყლების ეს ნაწილი მიეკუთვნება წყლების ბუნებრივ მარაგს, მაგრამ არ ექვემდებარება მიზანდასახულ კონტროლს და რეგულირებას, და ამიტომ არ შეიძლება იყოს გამოყენების და დაცვის დამოუკიდებელი ობიექტი. მასასადამე, ის ეკოლოგიური სამართლის ობიექტსაც არ წარმოადგენს.

მცენარეულობა ასრულებს ეკოლოგიურ ფუნქციას და უზრუნველყოფს სიცოცხლისათვის ოპტიმალურ გაზურ რე-

ჟიმს (ჟანგბადის და ნახშირორჟანგის გამოყოფა და შთან-
თქმა). დედამიწის მცენარეული საფარის ყველა ტიპიდან და
ჩვენი პლანეტის ბუნებრივი რესურსების კატეგორიიდან ყვე-
ლაზე გავრცელებული და ძვირფასია ტყე. ის სხვა მრავალი
ორგანული (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი) და არაორგანული
(ლითონური მადნები, ქვიშა, ხრეში და სხვა) რესურსებისგან
განსხვავებით აღდგენადი ბუნებრივი რესურსია. ბუნებათ-
დაცვით კანონმდებლობაში ის წარმოგვიდგება, როგორც
მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, მიწის, წყლის რესურ-
სების და წიაღისეულის ეკოლოგიური კომპლექსი. ამით განი-
საზღვრება ტყის საკმაოდ მაღალი სოციალურ-ეკოლოგიური
ღირებულება. ტყის კომპლექსი წარმოადგენს ცხოველების და
ფრინველების საცხოვრებელ გარემოს, ასრულებს წია-
დაგდაცვით, წყალშენახვით, სანიტარულ-გამაჯანსაღებელ
ფუნქციებს. ტყე წარმოადგენს მერქნის და სხვა პროდუქციის
წყაროს, რაც აუცილებელია მეურნეობის ეკონომიკური
მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ეკოლოგიუ-
რი, ეკონომიკური, გამაჯანსაღებელი როლისა, ტყეს აქვს დი-
დი კულტურულ-ესთეტიკური და სამეცნიერო-შემეცნებითი
მნიშვნელობა.

ტყე, იურიდიული ცნებით, არის საქართველოს ტერიტო-
რიის ფარგლებში ბუნებრივი გარემოს ნაწილი, რომელიც
წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულად განვითარებული
ხეების და სხვა მცენარეული ორგანიზმების ერთობას, რაც
ქმნის გარკვეულ ბიოლოგიურ ერთობლიობას და დიდ ფარ-
თობებზე გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემოს სხვა ელემენ-
ტების მდგომარეობაზე.

ტყის სამართლებრივი დაცვის მიზანია ტყის კომპლექსის
გამოვლენის, დანერგვის, გაჭუჭყიანების თავიდან აცილება. ეს
ხორციელდება განადგურებისაგან ტყის დაცვის უზრუნველ-
ყოფით, ტყის კულტურების მოვლით და აგრეთვე და-
ბინძურებისგან ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწების, წია-
ღისეულის დაცვით, ცხოველთა სამყაროს რიცხოვნობის

დაცვით და რეგულირებით, მიწების, ტყის რაციონალური გამოყენების და მათი კვლავნარმოების ღონისძიებების ორგანიზაციით.

ტყის აღდგენითი ღონისძიებები დადებით ზემოქმედებას ახდენენ ბუნებრივი გარემოს ხარისხზე, მისი ჰაერისა და წყლის სივრცეზე, ნიადაგურ საფარზე, კლიმატზე, სიცოცხლის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე.

ცხოველთა სამყარო თავისი სტრუქტურით და დაცვის ხერხებით რთულ ბუნებრივ კომპლექსს წარმოადგენს. სხვა ბუნებრივი კომპლექსებისაგან განსხვავებით ის არ არის ერთიანი ეკოლოგიური კომპლექსი.

საქართველოს ცხოველთა სამყარო ესაა ქვეყნის ტერიტორიაზე ხმელეთზე, წყალში, ატმოსფეროში, ნიადაგში და ა.შ. ბუნებრივ გარემოში თავისუფლად არსებული გარეული ცხოველების, ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა. ცხოველთა სამყაროს არ მიეკუთვნება ბუნებრივი გარემოდან მოპოვებული გარეული ცხოველები და გადაქცეული რომელიმე რენვის პროდუქტად ან ტყვეობაში მყოფი ცხოველები (ზოოპარკში, საშენში)

ჩვენ პლანეტაზე არსებული ცოცხალი ორგანიზმების ნაირფეროვნება დანყებული უმარტივესი მიკროორგანიზმებიდან დამთავრებული ძუძუმწოვრებით, შეადგენენ ეკოლოგიური დამოკიდებულებების (კვებითი ჯაჭვებით) მთელ სისტემას, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული სასიცოცხლო ან ბინადრობის გარემოსთან. ამიტომ ცხოველთა სამყაროს უშუალო დაცვის გარდა, გენეტიკური ფონდის შენარჩუნების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცხოველების გარემოსთან ბუნებრივ ურთიერთქმედებას. ამის შედეგად ცხოველების ერთი სახეობის რიცხოვრიობა მცირდება, ხოლო მეორესი – იზრდება. ცხოველების გადიდებული რიცხოვრიობის ბუნებაზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ხდება ცხოველების გამოყენების რეგულირება. ამ გზით ადგენენ ცხოველების გარემოსთან ურთიერთქმედების ოპტიმა-

ლურ პარამეტრებს. ცხოველების სამართლებრივი დაცვა და გამოყენება დიფერენცირდება იმ გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით, სადაც ისინი ბინადრობენ. არჩევენ ცხოველების, თევზების, მწერების, იშვიათი ცხოველების და ცხოველთა სამყაროს სამონადირეო ფონდის დაცვას.

ატმოსფერო ან ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს ბუნებრივად წარმოქმნილ დედამიწის გაზისებრ გარსს. ატმოსფერო არის ბუნებრივი გარემოს ნაწილი, ამიტომ მას (სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით) არ მიეკუთვნება შენობებში, რეზერვუარებში, ბალონებში არსებული ჰაერი. ატმოსფერული ჰაერი, როგორც ბუნებათდაცვითი ობიექტი, მოიცავს პლანეტის მთელ საჰაერო აუზს, რომელიც ურთიერთქმედებს კოსმოსთან და დედამიწის ბუნებასთან. ატმოსფეროს ისტორიულად ჩამოუყალიბდა თავისი ხარისხობრივი მდგომარეობის (გაზური შემადგენლობა, ტემპერატურა, მინარევების არსებობა, ჰაერის მასების გადაადგილება და სხვ.) მყარი თვითრეგულაციის უნარი, რაც დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმების არსებობის პირობაა.

გარდა იმისა, რომ დედამიწის ატმოსფერო სიცოცხლისათვის აუცილებელია ჟანგბადის წყაროს წარმოადგენს, ადამიანისათვის დიდად მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც, ატმოსფერო არეგულირებს დედამიწის კლიმატს. მის გარეშე დღისით ტემპერატურა 100 გრადუსს მიაღწევდა, ხოლო ღამით – 100 გრადუსს, ე.ი. ტემპერატურის დღე-ღამური ამპლიტუდა 200 გრადუსი იქნებოდა. ტემპერატურის ასეთ მერყეობას ვერ გაუძლებდა დედამიწაზე ამჟამად ცნობილი ვერც ერთი არსება. ამჟამად დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა 14 გრადუსს უდრის. დიდია ატმოსფეროს დაცვითი ფუნქციები. იგი იცავს დედამიწას კოსმოსის სხვადასხვა გამოსხივებისაგან – რენტგენის, ულტრაიისფერი სხივებისაგან და მეტეორიტებისაგან. ატმოსფერო სინათლის და ბგერის გავრცელების არეა. ჰაერის გარეშე დედამიწაზე სამარადისო სიჩუმე იქნებოდა. ტემპერატურის რეგულაციის გარდა, ატმოსფერო განსაზღ-

ვრავს ჰაერის ტენიანობას. იგი გამოიყენება, როგორც ადამიანების და სხვა ცოცხალი არსებების ცხოველმოქმედების ნარჩენი პროდუქტების მოცილების გარემო, წარმოადგენს სატრანსპორტო კომუნიკაციების საშუალებას (ავიაცია-ჰაერნაოსნობა) და ა.შ. ამგვარად, ატმოსფეროს ეკოლოგიურ ფუნქციას დედამიწაზე სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ეკონომიკური როლი განისაზღვრება იმით, რომ ისაა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების აუცილებელი კომპონენტი.

ატმოსფერო უფრო მეტად, ვიდრე სხვა ბუნებრივი ობიექტი, წარმოქმნის განუყოფელ ერთიანობას გლობალური მასშტაბით. მისი გაყოფა სახელმწიფო საზღვრებით შეუძლებელია. დღემდე არაა ზუსტად დადგენილი ატმოსფეროს ზედა საზღვარი, რომლითაც ის ემიჯნება კოსმოსს. ამჟამად მიაჩნიათ, რომ ატმოსფეროს ზედა საზღვარი და, მაშასადამე, ქვეყნის ტერიტორია ვრცელდება იმ სიმაღლით, სადაც დაფრინავენ თვითმფრინავები და სხვა საფრენი აპარატები, რომლებიც იყენებენ აეროდინამიკურ თვისებებს. მის ფარგლებს გარეთ მფრინავი აპარატები (რაკეტები, თანამგზავრები) ითვლებიან კოსმოსში და არა ატმოსფეროში.

ატმოსფერული ჰაერი – დაცვის საყოველთაო და მრავალსპექტრიანი ობიექტია. მუდმივი ცირკულაციის გამო ის გლობალურ გავლენას ახდენს პლანეტარულ გარემოზე. ატმოსფერული ჰაერის დაცვა ხდება რამდენიმე მიმართულებით. მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანებისაგან; საჰაერო აუზის ჟანგბადის მარაგების გამოლევისაგან; ხმაურისა და ვიბრაციისაგან და აგრეთვე სხვა საშუალებებისაგან, რომელიც არღვევს მის ნორმალურ ბუნებრივ მდგომარეობას; ოზონის შრის (რომელიც ფილტრავს ულტრაიისფერ გამოსხივებას) დაშლისაგან. ბოლო დროს თავი იჩინა ახალმა პრობლემამ: საჰაერო აუზის სისუფთავის დაცვა რადიო დაბრკოლებისაგან, რაც არაორგანიზებული რადიომოყვარულობის შედეგია.

ყველა ეს სპეციფიკური პირობა გასათვალისწინებელია ატმოსფეროს – ატმოსფერული ჰაერის გამოყენების და დაცვის სამართლებრივი მონესრიგების პროცესში. ატმოსფეროს დაცვა გაჭუჭყიანებისაგან უზრუნველყოფს მთელი გარემოს სისუფთავის დაცვას. ამასთან ერთად საჰაერო აუზის ხარისხზე უშუალო გავლენას ახდენს დედამიწის ობიექტების, მათ შორის, მცენარეულობის და განსაკუთრებით ტყის, მსოფლიო ოკეანის კვლავწარმოების და დაცვის მდგომარეობა.

ზოგჯერ ეკოლოგიურ სამართალს საქმე აქვს ისეთ ცნებებთან, როგორიცაა „ხმაური“, „ვიბრაცია“, „რადიაცია“, „მაგნიტური ველი“, „ულტრაბგერა“ და სხვ. ესენი ახასიათებენ გარემოს ხარისხობრივ მდგომარეობას, მათზე სხვადასხვა ფაქტორების უარყოფით მოქმედებას და არ მიეკუთვნებიან ბუნების დაცვას და, მაშასადამე, ეკოლოგიური სამართლის ობიექტს.

ბუნების, და შესაბამისად, ეკოლოგიური სამართლის ობიექტებს მიეკუთვნება სხვადასხვა ბუნებრივ ან ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ ფორმას, რომლითაც ხდება ბუნებრივი გარემოს ნაწილის დაცვა – ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები. ამ ობიექტების დაცვა ეფუძნება ადამიანის ჩარევის აკრძალვას ან შეზღუდვას.

ბუნების კომპლექსური დაცვის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ადამიანის გარემომცველ ბუნებრივ გარემოს ან უბრალოდ გარემოს. ბუნებრივი და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებიდან განსხვავებით, რომლებიც ბუნების პროდუქტებს წარმოადგენენ, ადამიანის გარემო იქმნება როგორც საზოგადოების და ბუნების აქტიური ურთიერთობის შედეგი. ფაქტიურად ესაა ახალი გარემო („გაადაამიანურებული ბუნება“), სადაც ბუნებრივი გარემოს ელემენტები ორგანულადაა დაკავშირებული ადამიანის მოღვაწეობასთან. ამის შედეგად ხშირია ბიოლოგიური და ფიზიკური ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუნებაში და ბუნებასა და ადამიანს შორის ნივთიერებათა ცვლაზე.

იურიდიული მიდგომით გარემოს ქვეშ იგულისხმება ადამიანის ცხოვრების და მოღვაწეობის ადგილი.

ბუნებისგან განსხვავებით, გარემოს დაცვას ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. გარემოს დაცვა, პირველ რიგში, მიმართულია ადამიანსა და ბუნების სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტებს (ჰაერი, წყალი, მიწა) შორის ნივთიერებათა ნორმალური ცვლის უზრუნველსაყოფად. ამის გარდა, გარემოს დაცვა მიზნად ისახავს თვით ადამიანის დაცვას მის მიერ შექმნილ გარემოცვის მავნე ზემოქმედებისაგან. ამის მიღწევა შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლის და მოღვაწეობის ადგილის გაჯანსაღებით: ბუნებრივი გარემოს გამჭუჭყიანებლების (სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის მავნე გამონატყორცნი) და საერთოდ გარემოცვის (ხმაური, ვიბრაცია, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენები) ნეიტრალიზაციით და იმ ტერიტორიული სფეროს გაუმჯობესებით, რომლებშიც მიმდინარეობს ადამიანის სიცოცხლე და შრომა (დასახლებული პუნქტების დაგეგმვა და განაშენიანება, საწარმოების, დასვენების ადგილების რაციონალური განთავსება, მწვანე ზონების ორგანიზაცია და ა.შ.).

გარემოს სამართლებრივი დაცვის მიზანია დაიცვას ადამიანი და გარემო მისი მოღვაწეობის შედეგების მავნე ზემოქმედებისაგან. ამგვარად, თუ ბუნების დაცვისას ადამიანების ეკოლოგიური ინტერესების დაცვა ხდება ბუნებრივ გარემოზე ბუნებათდაცვითი ღონისძიებების სისტემით, გარემოს დაცვისას ადამიანი, მისი ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა არის სამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტი.

ბუნებრივ გარემოში სასიცოცხლო პირობებს ქმნის თვით ბუნება. სამართლის ნორმის მიზანია, რომ უზრუნველყოს მისი შენარჩუნება და დარღვევისას – აღდგენა. ადამიანები ამას აღწევენ მისი გაჯანსაღების გზით. საჭიროა გვახსოვდეს, რომ გარემო, როგორც არ უნდა შეიცვალოს ადამიანის მიერ, მაინც რჩება ბუნებრივ გარემოდ, რომელიც ექვემდებარება განვითარების ბიოლოგიურ კანონებს. ამ კანონების მიხედვით,

ადამიანის არსებობა დაკავშირებულია ბუნების მდგომარეობის ეკოლოგიური დამოკიდებულების ხასიათზე.

გარემოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია ქალაქები, სხვადასხვა დასახლებული პუნქტები, აგრარულ-სამრეწველო, ინდუსტრიული ზონები. მათთან დაკავშირებულია მწვანე, საკურორტო, რეკრეაციული, სატყე-პარკო ზონები, რომლებიც ადამიანის გარემოს გაჯანსაღების რესურსებს წარმოადგენენ.

ამასთან ერთად საჭიროა გარემოსგან განვასხვავოთ ადამიანის საწარმოო პირობები (ქარხანა, ფერმა, დაწესებულება), სადაც მას უხდება მუშაობა და აგრეთვე საყოფაცხოვრებო ობიექტები (სახლი, ბინა, ოთახი). ადამიანის საწარმოო და საყოფაცხოვრებო გარემოცვა მთლიანად შექმნილია ხელოვნურად, ბუნების გარდაუქმნელად. ამიტომ მისი დაცვის პრინციპები და მეთოდები დგება და რეგულირდება კანონმდებლობის სხვა დარგების ნორმებით. ადამიანის საწარმოო პირობების გაჯანსაღება ხდება შრომის დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის წესების შესაბამისად. ურთიერთობები ყოფის სფეროში რეგულირდება სამოქალაქო, საოჯახო და სხვა სამართლის ნორმებით.

გარემოს დაცვა უნდა იხილებოდეს, როგორც ბუნების დაცვის შემადგენელი ნაწილი. ადამიანის გარემო არის ის ნეგატიური წყარო, რომელიც ზეგავლენას ახდენს მთელი ბუნების მდგომარეობაზე. ამიტომ ადამიანის სიცოცხლის დაცვა და სამოღვაწეო გარემოს გაჯანსაღება მთლიანად ბუნების დაცვის არსებითი რგოლია.

ეკოლოგიური სამართალი იცავს ბუნებრივ ობიექტებს ადამიანის მოღვაწეობის ნეგატიური შედეგებისაგან და არა ბუნების ობიექტების მავნე ზემოქმედებისაგან, ე.ი. ბუნების სტიქიური ძალების ზემოქმედება არ მიეკუთვნება ეკოლოგიური სამართლის ობიექტებს.

ბუნების დაცვის და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების რაციონალური შეთანაწყობის აუცილებლობა გან-

საზღვრავს ყველა ბუნებრივი ობიექტის ორ კატეგორიად და-ყოფის აუცილებლობას: ბუნებრივ-სანაკრძალო ობიექტები, რომლებიც ან დახურულია ექსპლუატაციისათვის ან ხასიათდება გამოყენების შეზღუდული რეჟიმით და ბუნებრივ-სამეურნეო ობიექტები, რომლებიც იმყოფებიან ეკონომიკური ან კულტურული გამოყენების სფეროში.

§ 3. ეკოლოგიური სამართლის საგანი და მეთოდები

სამართალი, როგორც სოციალური კატეგორია, გავლენას ახდენს ბუნების მდგომარეობაზე საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების მეშვეობით. ამიტომ ბუნების დაცვის საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ხერხებიდან განსხვავებით, სადაც ობიექტი და საგანი ემთხვევა ერთმანეთს, ეკოლოგიური სამართლის რეგულირების საგანია ბუნების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობები, ე.ი. ბუნებათდაცვითი ურთიერთობები. მათი სპეციფიკა განისაზღვრება ეკოლოგიური სამართლის ხასიათით და არსით, ბუნებათდაცვითი საქმიანობის მიზნებით და ამოცანებით. ბუნებათდაცვითი ურთიერთობების შინაარსი მოიცავს გარემოს დაცვის სამივე ცნობილ ფორმას: კონსერვატიულ დაცვას, რომელიც სრულდება ბუნებრივ პროცესში ადამიანის ჩარევის გამორიცხვით ან არსებითი შეზღუდვით; ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღებას და გაუმჯობესებას და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება არაა თანაბარმნიშვნელოვანი კატეგორიები, თუმცა ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან. ისინი ასახავენ ადამიანის და ბუნების ურთიერთქმედების ორ ფორმას: ბუნებათსარგებლობას და ბუნების დაცვას. ბუნებათრესურსული ურთიერთობები იქმნება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას, რათა დაკმაყოფილე-

ბული იყოს მეურნეობის და მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებები. ბუნებათდაცვითი ურთიერთობები გამოხატავენ მავნე ზეგავლენისაგან ბუნების დაცვის მოთხოვნებს. ამ ორი სახის ურთიერთობას შორის არსებობს გარკვეული კავშირი. ბუნებრივი გარემოს გამოყენება განაპირობებს მისი დაცვის მოთხოვნილებას. ამავე დროს გარემოს დაცვა ხდება მისი რაციონალური გამოყენებით. ბუნების დაცვა განისაზღვრება ბუნების მოხმარების საშუალებების სრულყოფით და მასშტაბების გაფართოებით. თავის მხრივ, ბუნების დაცვა მის მოხმარებას რაციონალურ მიმართულებას ანიჭებს, რადგანაც რაციონალური გამოყენება დაკავშირებულია ბუნების ობიექტების ექსპლუატაციასთან, მათ გარდაქმნასთან ადამიანის შრომის პროდუქტებში. ამიტომ ის საკანონმდებლო წესებით უნდა იყოს გამიჯნული ბუნების დაცვისაგან. მაშასადამე, ბუნების ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს განვითარებულ რესურსს და რომლის მითვისება ხდება ადამიანის მიერ, განსხვავებული კანონმდებლობის ობიექტია. საზოგადოებრივი კავშირები ბუნების ობიექტების რაციონალური მოხმარების ორგანიზაციის სფეროში მოიცავენ რესურსულ ურთიერთობებს. ბუნების რესურსების მოხმარებას აქვს ინდივიდუალიზებული ხასიათი. ამიტომ რესურსული ურთიერთობები იყოფა მათი სახეების მიხედვით მინის, წყლის, ტყის და სხვა ურთიერთობებად. ბუნებათსარგებლობის ურთიერთობებს აქვთ კომპლექსური ხასიათი. ბუნებრივი რესურსების მოხმარების პროცესში ბუნებრივი ობიექტების დაცვა ხორციელდება ბუნებათდაცვითი ნორმებით და ამავე დროს აქ საქმე გვაქვს რესურსულ ურთიერთობებთან. ბუნებათდაცვითი და რესურსული ურთიერთობები არ უნდა იმეორებდნენ ერთმანეთს, არამედ ასახავდნენ ცალკეული რესურსების შეფასებას ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთკავშირში.

ბუნებათრესურსული და ბუნებათდაცვითი ურთიერთობების გამიჯვნის მაგალითებს იძლევა საკანონმდებლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, წიაღისეულის კანონმდებლობაში სამ-

თო ურთიერთობები განიხილება როგორც წიაღისეულის გამოყენებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ისინი უნდა მოიცავდნენ წიაღისეულის გამოყენების სხვადასხვა სახეებს, მათ შორის გეოლოგიურ შესწავლას, მთა-მადნეულის საბადოების დამუშავებას, მავნე ნივთიერებების და წარმოების ნარჩენების ჩამარხვას, ბუნების და მატერიალური კულტურის ძეგლების შენარჩუნებას. საჭიროა დადგინდეს წიაღისეულის რაციონალური და კომპლექსური გამოყენების ვალდებულებები. მათ შორის, მთა-მადნეულის მოპოვების ყველაზე რაციონალური და ეფექტური მეთოდები, ზენორმატიული დანაკარგების დაუშვებლობა, საბადოების მდიდარი ნაკვეთების დაუსაბუთებელი ამორჩევითი დამუშავება, მასში არსებული მინერალური ნედლეულის ყველა სახის ამოღება და ა.შ.

მაშასადამე, წიაღისეულის რესურსების დაცვა განიხილება როგორც სამთო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი. ამავდროს კანონი უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებებს, რომლებიც თავიდან ააცილებენ წიაღისეულის რესურსებზე ბუნებრივი გარემოს მავნე გავლენას და დაიცავენ გარემოს წიაღისეულის გამოყენების ნეგატიური შედეგებისაგან. ეს ღონისძიებები ბუნების სხვა ობიექტებს (მინა, წყალი, ჰაერი, მცენარეულობა) მიეკუთვნება და, მაშასადამე, არ შედიან სამთო ურთიერთობებში. ამგვარად, ბუნებრივი გარემოს და მისი შემადგენელი ელემენტების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა ასახავს საზოგადოებრივ ბუნებრივ-დაცვით ურთიერთობებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუნების რესურსებზე საკუთრების უფლებას, მისი სარგებლობის უფლებასა და ბუნების დაცვას შორის არსებობს განსხვავება. ისინი თავისი შინაარსით არ ემთხვევიან ერთმანეთს, ის, რაც მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების დასაცავად, შეიძლება მოხდეს ბუნების დაცვის მოთხოვნილებების ფარგლებს გარეთ. ასე, მაგალითად, მინის თვითნებური დატაცება, მასზე თვითნებური მშენებლობა არღვევს მინაზე საკუთრების უფლებას, მაგრამ ხში-

რად არ წარმოადგენს ბუნებათდაცვით სამართალდარღვევას. სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების გამოყენება, ერთი მხრივ, განიხილება როგორც მიწის რაციონალურად გამოყენების ღონისძიება, ხოლო მეორე მხრივ, ეს მოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც გარემოს (მიწის, წიაღისეულის, წყლის, ტყის) გამაჭუჭყიანებელი ქმედება და საფრთხე შეუქმნას ცოცხალ ორგანიზმებს და ადამიანს.

ბუნებათდაცვითი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს მისი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი.

ეკოლოგიური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამართლის ნორმებში სახელმწიფო აუცილებელი წესით: ა) ადგენს ბუნების დასაცავი ობიექტების ნუსხას; ბ) განსაზღვრავს ბუნებათსარგებლობის უფლებებს და მოვალეობებს, გამოყენების, აკრძალვის წესებს; გ) ითვალისწინებს ეკოლოგიური კონტროლის ორგანოების სისტემას, მათი კონტროლის განვეის პირობებს და წესს; დ) ამუშავებს ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

ეკოლოგიური სამართლის მეთოდის რეალიზაცია ხდება ბუნებათდაცვითი ნორმების და სამართალურთიერთობების სისტემის მეშვეობით.

ბუნებათდაცვითი ნორმები დისპოზიციის გამოხატვის ხერხებით ხასიათდება მბრძანებლური, კატეგორიული მიმართვით, რომელიც გამორიცხავს რეგულირების სარეკომენდაციო, დისპოზიციურ საშუალებებს. დისპოზიციის მიხედვით არის სავალდებულო, აღმჭურველი, ამკრძალავი და გამაფართხილებელი ნორმები. სანქციების სახეების მოხედვით იმ ნორმებთან ერთად, რომლებიც ადგენენ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ პასუხისმგებლობას, არსებობს ე.წ. საკომპენსაციო სამოქალაქო ნორმები. ესენი განსაზღვრავენ სპეციალური ნიხრებით განსაკუთრებულ მატერიალურ პასუხისმგებლობას ბუნებისათვის მიყენებული ზარალისათვის, ეკოლოგიურ სამართალში გამოიყოფა

ბუნებათდაცვითი ნორმები, რომლებიც მიმართულია: მთლიანად ბუნების, მისი ცალკეული ელემენტების (მინა, წიაღისეული, წყალი, ტყე და ა.შ.), ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსების და ადამიანის გარემოს დასაცავად.

ბუნებრივი გარემოს დაცვაში, მატერიალური სამართლის ნორმებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ პროცესუალური ბუნებათდაცვითი ნორმები, რომლებითაც რეგულირდება ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამოყენების თავისებურებანი.

ბუნებათდაცვითი სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ეკოლოგიური სამართლის ობიექტით, საგნით, პრინციპებით და მიზნებით წარმოქმნის ბუნებათსარგებლობის კანონმდებლობას.

მეტად საინტერესოა საკითხი თუ რა ადგილი უკავია სამართლის სისტემაში ეკოლოგიური სამართლის ნორმებს. დღემდე არსებობს რამდენიმე კონცეფცია. ერთ-ერთს მიაჩნია, რომ სამართლის სისტემაში არსებობს ბუნებათდაცვითი სამართლის დამოუკიდებელი დარგი. ამ კონცეფციის მიხედვით დასაშვებია ბუნებათდაცვითი ნორმების გამიჯვნა იმ ნორმებიდან, რომლებიც არეგულირებენ ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. მეორე კონცეფციის მიხედვით ბუნებათდაცვითი ნორმები განიხილება სამართლის შესაბამისი დარგების (მინის, წყლის და ა.შ.) შემადგენლობაში. ამ დროს არაა გათვალისწინებული ეკოლოგიური სამართლის ობიექტის და საგნის კომპლექსურობა. მესამე კონცეფცია იხილავს ეკოლოგიურ სამართალს, როგორც ფართო კომპლექსურ პრობლემას, რომელიც არ წარმოქმნის სამართლის ცალკე დარგს, მაგრამ მოიცავს მთელ რიგ ინსტიტუტებს სამართლის დარგში: მინის, წყლის, სამთო, ტყის, სისხლის, სამოქალაქო, სამეურნეო, ადმინისტრაციულ, საფინანსო, შრომით სამართალს და აგრეთვე კანონმდებლობას ჯანდაცვის სფეროში. ამავდროულად აღინიშნება ამ კონცეფციების დაახლოება და პერქსპექტივაში შესაძლებელია სამართლის სისტემაში ისეთი

დარგის წარმოქმნა, რომელიც გააერთიანებს ბუნების და საზოგადოების ურთიერთქმედების სფეროში ყველა ნორმას. ამ უკანასკნელის დროს არაა საკმარისად შეფასებული ის გარემოება, რომ ბუნების დაცვა და ბუნებათსარგებლობა მიუხედავად მათი ურთიერთკავშირისა, თავისი მიზნებით და ამოცანებით წარმოადგენენ ბუნების და საზოგადოების ურთიერთქმედების განსხვავებულ ფორმებს.

თანამედროვე პირობებში ბუნებათდაცვითი სამართალი ფორმირდება როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.

სახელმწიფოს ბუნებათდაცვითი საქმიანობის გაძლიერებამ გამოიწვია სამართლის მნიშვნელობის ამაღლება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში, განაპირობა მისი ახალი ეკოლოგიური ფუნქციის გაჩენა. სამართლის ეკოლოგიური ფუნქცია მდგომარეობს საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში ადამიანის მაღალი ხარისხის გარემოს შექმნის მიზნით.

იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით ბუნებათდაცვითი ნორმები შეიძლება იყოს: ა) ბუნების დაცვის პრინციპების დამდგენელი; ბ) ბუნებათდაცვითი პრიორიტეტების გამომხატველი; გ) ბუნებრივი გარემოს გამოყენების და დაცვის წესების განმამტკიცებელი.

ნორმები-პრინციპები ასახავენ ბუნებრივი გარემოს დაცვის ფუძემდებლურ საწყისებს. ისინი მოცემულია ქვეყნის კონსტიტუციაში და დაკონკრეტებულია ბუნების ცალკეული კომპონენტების (მინა, წიაღისეული, წყალი, ტყე და სხვ.) კანონმდებლობაში. ასეთი ნორმების ნაირსახეობას წარმოადგენენ ნორმები-დეკლარაციები, რომლებიც გამოხატავენ სახელმწიფოს პრინციპულ შეხედულებებს ბუნების გამოყენების და დაცვის საქმეში. ჩვეულებრივ, ისინი მოცემულია ბუნებრივი გარემოს გამოყენების და დაცვის ძირითად საკანონმდებლო აქტების პრეამბულაში.

ნორმებს-პრიორიტეტებს ადგენენ ბუნებრივი გარემოს ხარისხის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე. არჩევენ დარგობრივ, დარგთაშორის და ზოგად ბუნებათდაცვით პრიორიტეტებს. დარგობრივი პრიორიტეტები მოქმედებენ ბუნების ცალკეული ობიექტების დაცვის და გამოყენების ფარგლებში. ასე, მაგალითად, მიწის კანონმდებლობა უპირატესობას უნდა ანიჭებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაცვასა და რაციონალურად გამოყენებას მიწათსარგებლობის სხვა სახეებთან შედარებით. სატყეო კანონმდებლობა უპირატესობას უნდა აძლევდეს მთის ტყეების დაცვას, რადგანაც მათ აქვთ განსაკუთრებული გარემოდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა. დარგთაშორისი პრიორიტეტები ასახავენ ბუნების ცალკეული ობიექტების უპირატესობას დაცვაში, როდესაც მოქმედებს ორი ან რამდენიმე დარგობრივი პრიორიტეტი. ზოგადი ბუნებათდაცვითი პრიორიტეტი ასახავს ბუნების დაცვის უზენაესი მიზნის – გარემოს ხარისხის, ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის ოპტიმალურ პირობებს, მოსახლეობის შრომისა და დასვენების უზრუნველყოფას.

ნორმები, რომლებიც მოიცავენ ბუნების დაცვის წესებს, შეიძლება ითვალისწინებდნენ ეკოლოგიური ღონისძიების მთელ კომპლექსს ან ცალკეულ, ზოგად აუცილებელ წესებს. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება ბუნების ობიექტის გამოყენებას და დაცვას, ბუნებათმოსარგებლის მოქმედებას.

ბუნების ობიექტური კანონების მოქმედების და ადამიანების მოღვაწეობის მასშტაბების შედეგად ბუნებრივი გარემო და მისი ცალკეული ელემენტები სცილდება სახელმწიფო საზღვრებს და წარმოადგენს ერთიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, კულტურულ, ბიოლოგიურ ობიექტებს, რომელთა შენახვასა და რაციონალურ გამოყენებაში დაინტერესებულია მთლიანად მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობა. ამის გამო, საჭირო ხდება საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს საერთაშორისო ეკოლოგიური

სამართლის განვითარების აუცილებლობას. სახელმწიფომ, რომელმაც იკისრა განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულებები, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ თავისი ქვეყნის სამართალი მოიყვანოს საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში. ამის შედეგად ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი ხდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განხორციელების საშუალება და გარანტი.

ქვეყნის სამართლის ნორმებში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს ეკოლოგიური ინტერესები. ცალკეულ სახელმწიფოს, საკუთარი სუვერენიტეტიდან გამომდინარე, არ შეუძლია განსაზღვროს საერთაშორისო სამართლის მოქმედების საზღვრები და შეუთანხმოს ისინი ქვეყნის პირობებს, მათ შორის ეროვნული სამართლის პირობებს. სახელმწიფო თვითონ, საკუთარი ხალხის ინტერესების, მისი ცხოვრების რეალური პირობების და აგრეთვე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა საზღვრავდეს როგორც საერთაშორისო ვალდებულებების სფეროს, ისე, თავისი ქვეყნის სამართლის შინაარსს. ამავე დროს, ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ შეიძლება გადაიზარდოს თვითნებობაში სხვა სახელმწიფოებისა და მსოფლიო ხალხების მიმართ. საერთოდ, საერთაშორისო და სახელმწიფოს შიგნით არსებული ურთიერთკავშირი საკმაოდ რთულია. საერთაშორისო და ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლის ნორმები უნდა იყოს დინამიკურ ჰარმონიაში, რაც უზრუნველყოფს კაცობრიობის წინაშე მდგარ სასიცოცხლო პრობლემების ეფექტურ გადაწყვეტას.

ბუნებათსაგებლობის სამართალი

§ 1. ბუნებათსარგებლობის სამართლის ცნება და სახეები

საზოგადოების და ბუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ბუნებათსარგებლობა. ის გამოიხატება ბუნებრივი გარემოდან ეკოლოგიური, ეკონომიური, კულტურულ-გამაჯანსაღებელი, ზნეობრივ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანის და საზოგადოებისათვის ზოგიერთი სასარგებლო თვისებების ამოღებაში.

ბუნებათსარგებლობის სამართალი წარმოადგენს ქვეყნის და მოქალაქის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კანონმდებლობით დადგენილი ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესს. ბუნებათსარგებლობის სამართალი არის ეკონომიკური მოთხოვნილებების, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი, კულტურული და ესთეტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად ბუნების ობიექტების და ბუნებრივი გარემოს, საერთოდ გარემოს კანონმდებლობით დადგენილი გამოყენების უფლება-მოვალეობანი. ბუნებრივ რესურსებს საზოგადოება იყენებს ორი მნიშვნელობით, როგორც სიცოცხლის და საქმიანობის ბუნებრივ პირობას და როგორც სამეურნეო და კულტურული მუშაობის ობიექტს. ამის შესაბამისად ბუნებათსარგებლობის სამართალი იყოფა: ზოგადი ბუნებათსარგებლობის და განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის ნაწილებად.

ზოგადი ბუნებათსარგებლობის სამართალი არის ყველა მოქალაქისათვის სუფთა, ჯანსაღი გარემოს და ბუნების ყველა სიკეთით კანონით დადგენილი და გარანტირებული სარ-

გებლობის უფლება და ერთობლიობა. ეს უკანასკნელი განპირობებულია საზოგადოებას და ადამიანს შორის არსებული ურთიერთობების კანონზომიერებით, ნივთიერების და ენერჯის ცვლის ბუნებრივი პროცესებით. მის წარმოქმნას რაიმე ნორმატიული მიწერილობა არ სჭირდება და ხორციელდება ადამიანის ყოფის ძალით.

განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი განპირობებულია გარემოს და ბუნებრივი რესურსების, როგორც მატერიალური სიკეთეების წარმოების საშუალების, ეკონომიკური და კულტურულ-გამაჯანსაღებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს გამოყენებით. მას ადგენს და არეგულირებს სახელმწიფო, ბუნებრივი რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული, კომპლექსურად და რაციონალურად გამოყენების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებათსარგებლობის სამართლის ეს ორი სახე განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ საერთო ნიშნებიც აქვთ და ამგვარად, სამართლის ერთიან დარგს წარმოადგენენ. ბუნებათსარგებლობის სამართალი უნდა განსაზღვრავდეს მოქალაქეთა მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენების თანაბარ უფლებებს, მათი გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებულ, რაციონალურ-მიზნობრივ შინაარსს, გარემოს ეფექტურ დაცვას.

§ 2. განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი

ბუნებათსარგებლობის ორ ძირითად სახეს შორის, მართლწესრიგისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის დარგს, რადგანაც ის არეგულირებს ცალკეული ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესს.

განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი არის სახელმწიფოს მიერ ქვეყნის და მოქალაქეების ეკონომიკური, კულტურულ-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის განსაკუთრებულ და მიზნობრივ გამო-

ყენებაში გადაცემული ბუნებრივი რესურსების დადგენილი და რეგულირებადი გამოყენების წესების ერთობლიობა.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების გათვალისწინებით განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი იყოფა, თავის მხრივ, ცალკეულ ინსტიტუტებად: მიწის, წყალგამოყენების, ტყეთსარგებლობის, წიაღისეულის, ცხოველთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის გამოყენების სამართალი. ინსტიტუტები, თავის მხრივ, როგორც ბუნებათსარგებლობის კატეგორიები და მათთან დაკავშირებული სარგებლობის უფლებამოსილებანი რესურსების მიზნობრივი დანიშნულების გათვალისწინებით იყოფა უფრო წვრილ ერთეულებად.

ასე, მაგალითად, მიწის კატეგორია იყოფა სასოფლო-სამეურნეო, დასახლებული პუნქტების მიწები, წყლით, ტყით, სამრეწველო სანარმოებით დაკავებული მიწების გამოყენების უფლებებად. წიაღისეულის სარგებლობის კატეგორია მოიცავს მთამადნეულის დაზვერვის და დამუშავებისათვის, მიწისქვეშა ნაგებობების და საცავების მოწყობისათვის და ა.შ. წიაღისეულით გამოყენების უფლებებს. ტყეთსარგებლობის კატეგორია გულისხმობს მერქნის დამზადებას, არაპირდაპირ გამოყენებას (სოკოების, კენკრის შეგროვება, თიბვა და ა.შ.), სატყეო მეურნეობის მოთხოვნილებებისათვის და კვლევითი სამუშაოებისათვის ტყით სარგებლობის უფლებებს. ცხოველთა სამყაროს გამოყენების უფლებები ესაა ნადირობის, თევზჭერის, ცხოველების ცხოველმოქმედების პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა და ა.შ. ატმოსფერული ჰაერის განსაკუთრებული გამოყენების ინსტიტუტი იქმნება მისი სანარმოო საჭიროების, ნარმოების ნარჩენების გამოტყორცნისათვის გამოყენების უფლებებით.

ბუნებათსარგებლობის სამართლის სუბიექტებია იურიდიული და ფიზიკური პირები: სანარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს ორგანიზაციები და პირები.

ბუნებათსარგებლობის სამართლის სუბიექტს (სანარმოს, ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სპეციალური უფლებაუნარია-

ნობა, ამა თუ იმ რესურსების გამოყენების უფლებამოსილებით. ამ უფლებათუნარიანობას განსაზღვრავს საწარმოს, ორგანიზაციის წესდება, რომელშიც უნდა იყოს ასახული მიზანი, ამოცანა, უფლება და მოვალეობა. ეს უფლებათუნარიანობა შეიძლება იყოს გათვალისწინებული ცალკე დადგენილებით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან რეორგანიზაციის აქტით.

ბუნებათსარგებლობა შეიძლება იყოს კომპლექსური. შესაბამისი ნებართვის საფუძველზე საწარმოს, ორგანიზაციას უფლება აქვს ძირითადი რესურსების გარდა გამოიყენოს ბუნების სხვა რესურსებიც. სასოფლო-სამეურნეო საწარმო, როგორც ადგილ-მამულის მფლობელი შეიძლება აგრეთვე იყოს წყალმომხმარებელი (წყლის აღება საწარმოო საჭიროებისათვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვება), ტყემომხმარებელი (მერქნის დამზადება საწარმოს საჭიროებისათვის), წიაღისეულის მომხმარებელი (მინისქვეშა საცავის აგება, მთამადნეულის მოპოვება) და ა.შ.

საწარმოების და ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რომელთა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება განისაზღვრება წესდებით და განსაზღვრავს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას, ბუნებათსარგებლობის დარგში მოქალაქეების სამართალსუბიექტურობა უნდა განისაზღვრებოდეს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეხამებით.

მოქალაქეების განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართალი არსებობს როგორც შრომითი, მოხმარებითი, დამხმარე და ნორმირებული.

მოქალაქეების ბუნებათსარგებლობის სამართლის შრომითი ხასიათი გულისხმობს, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხდება მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრების პირადი შრომით. მოქალაქე შეიძლება იყოს ტყეთსარგებლობის, საქონლის ძოვების, ტყეში თიბვის, წიაღისეულის მოხმარების, წყალსარგებლობის და ა.შ. უფლების სუბიექტი.

ბუნებათსარგებლობის მომხმარებლური ხასიათი ნიშნავს, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხდება პირადი

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება გაყიდონ ჭარბად წარმოებული ან შეგროვილი პროდუქტები.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება ძირითადად უნდა ატარებდეს დამხმარე ხასიათს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მიწის ნაკვეთი ან სხვა ბუნებრივი რესურსი შეიძლება იყოს მოქალაქის და მისი ოჯახის წევრების შემოსავლის ძირითადი წყარო.

მოქალაქეების სარგებლობისათვის გადაცემული ბუნებრივი რესურსები უნდა იყოს ნორმირებული. ასე, მაგალითად, ნორმირებული უნდა იყოს მიწის ნაკვეთების ფართობი, მერქნის დამზადების მოცულობა და ა.შ.

განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის უფლების წარმოქმნა და შეწყვეტა ხდება დადგენილი წესით. მისი წარმოქმნა ხდება ბუნებრივი რესურსების გადაცემის მიზნობრივი დანიშნულებით სანარმოს, ორგანიზაციის ან მოქალაქისათვის განსაკუთრებული აქტით. საკმაოდ ხშირად სარგებლობაში ბუნებრივი რესურსების გადაცემას აქვს რთული იურიდიული ხასიათი. ასე, მაგალითად, ინდივიდუალური მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გადასაცემად საჭიროა მშენებლობაზე არქიტექტორის ნებართვა, მიწის ნაკვეთის გეგმა, საცხოვრებელი სახლის პროექტი, გამგეობის ნებართვა და ა.შ. ნადირობაზე უფლების წარმოქმნისათვის საჭიროა მონადირეთა კავშირის წევრობა, ცხოველებზე ნადირობის ლიცენზია.

სარგებლობაში ბუნებრივი რესურსების გადაცემა ხდება უვადოდ ან გარკვეული ვადით. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ხდება უფასოდ ან შესაბამის ფასად, რომელსაც ადგენს სახელმწიფო. გადასახადები ძირითადად მიმართულია იმ ხარჯების საკომპენსაციოდ, რომელიც გაღებული აქვს სახელმწიფოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და მათი კვლავწარმოების ორგანიზაციისათვის.

ბუნებათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველია: 1) სანარმოს, ორგანიზაციის რესურსმფლობელის ლიკვიდაცია, მოქალაქის – მესაკუთრის სიკვდილი (თუ არ არის ოჯახის სხვა წევრი); 2) ბუნებრივი რესურსების გამოყენების აუცილებლობის ამონურვა; 3) სარგებლობაში ბუნებრივი რე-

სურსის გადაცემის ვადის გასვლა; 4) ბუნებრივი რესურსის გადაცემა სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში; 5) დადგენილ ვადაში სარგებლობაში გადაცემული ბუნებრივი რესურსის აუთვისებლობა; 6) ბუნებრივი რესურსის არამიზნობრივი გამოყენება.

მოქალაქისათვის რესურსმფლობელისათვის ბუნებათსარგებლობის უფლების შეწყვეტის დამატებითი საფუძველია: რესურსების გამოყენებაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა; რესურსმფლობელის ოჯახის გადასვლა მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილას; იმ შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა, რომლის საფუძველზე წარმოიქმნება რესურსებით სარგებლობის უფლება; ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესების დარღვევა.

მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების დაცვა თვითნებური დაკავებისა და გამოყენებისაგან. ბუნებრივი რესურსების (მინა, წიაღისეული, წყალი, ტყე და ა.შ.) თვითნებური დაკავება და გამოყენება ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების ან მოქალაქეების მხრიდან არ წარმოქმნის ამ რესურსებით სარგებლობის რაიმე უფლებებს. ის მხოლოდ წარმოქმნის საწარმოების, ორგანიზაციების, მოქალაქეთა ვალდებულებას შეწყვიტოს უკანონო სარგებლობა, დაუბრუნონ რესურსი კანონიერ მომხმარებელს ან აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.

განსაკუთრებული ბუნებათსარგებლობის სამართლის მნიშვნელოვანი მხარეა მისი შინაარსი, ე.ი. რესურსმომხმარებლის უფლება და მოვალეობა. ისინი უნდა განსხვავდებოდნენ რესურსის სახისა და მისი მიზნობრივი გამოყენების მიხედვით. ამავე დროს ბუნებათმოსარგებლებს აქვთ საერთო მოვალეობები: რესურსების გამოყენება იმ მიზნით, რომლისთვისაც იყო გამოყოფილი; ბუნებრივი რესურსის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალურად გამოყენების კანონმდებლობის დაცვა; გარემოს დაცვის და დარღვეული ბუნების მდგომარეობის აღდგენის ღონისძიებების განხორციელება.

ამ ზოგადი მოთხოვნილებების დაზუსტება და გაღრმავება ხდება ცალკეული ბუნებათსარგებლობის სახის გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, ტყეთსარგებლობისას მნიშვნელო-

ვანია ტყის რესურსების კომპლექსური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელება; მინათსარგებლობისას – ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება და ამაღლება; წყლის სარგებლობისას – წყლების დაბინძურების თავიდან აცილება, მტკნარი წყლის მარაგების რაციონალური გამოყენება; წიაღისეულის გამოყენებისას – მთამადნეულის კომპლექსური ამოღება და გამოყენება; ცხოველთა სამყაროს მომხმარებლებისათვის – ცხოველების გენეტიკური ფონდის შენარჩუნება, მათი რიცხოვნობის რეგულირების და აღწარმოების ღონისძიებათა შესრულება და ა.შ.

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბუნებათმოსარგებლებების მორალური და მატერიალური ნახალისების, ბუნებრივი რესურსების დაცვის, რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებას.

§ 3. გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმი

სამართლის სხვა ნორმების მსგავსად ბუნებათდაცვითი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საჭიროებენ ეფექტური რეალიზაციის უზრუნველყოფას. მათი ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ნორმების მიხედვით. ბუნებრივი ობიექტების დაცვის და მათი რაციონალურად გამოყენების წესების დადგენილი საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნება პირველ რიგში ახდენს რესურს-მომხმარებლებზე გამაფრთხილებელ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას. საწარმოების, დაწესებულებების, გაერთიანებების ხელმძღვანელების და მოქალაქეების უმრავლესობისათვის ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები წარმოადგენენ მათი ქცევის აუცილებელ ნორმას. ამავე დროს, სამართლის ცალკეული ნორმა ცხოვრებაში განხორციელებისას ხშირად უპირისპირდება სამართლის სხვა ნორმებს, რომლებსაც ზოგჯერ აქვთ ბუნების დაცვის საწინააღმდეგო მიზნები. ამიტომ, ბუნებათსარგებლობის ნორმების სრული განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო ორგანოების საორგანიზა-

ციო სამუშაოსთან ერთად მისი რეალიზაციის მექანიზმის თავისებურებათა ცოდნა.

გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმი წარმოადგენს ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების სისტემას მიმართულს გარემოს ხარისხის გამაჯანსაღებელი, ბუნებათდაცვითი, სამართლებრივი და განკარგულებათა ნორმების რეალიზაციისაკენ. ეს მექანიზმი შედგება ოთხი რგოლისაგან, რაც სავალდებულოა ეკოლოგიურ-სამართლებრივი ნორმების რეალიზაციისათვის: სამართალ-ბუნებათდაცვითი ნორმები; საწარმო-სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი ეკოლოგიური ნორმები; სამართლებრივი ნორმა – გარანტიები; ეკოლოგიურ-სამართლებრივი ურთიერთობანი.

ბუნებათდაცვითი ნორმების მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ძირითადი ეკოლოგიური ნორმატიული აქტების, იმპერატივების რეალიზაცია. ისინი თანაბრად აუცილებელია ყველა ბუნებათმოსარგებლისათვის (საწარმო, ორგანიზაცია, დანესებულება, მოქალაქე). ასეთი იმპერატივები გამოიხატება გარემოს დაცვის პრინციპებით, ეკოლოგიური პრიორიტეტით, ბუნებათსარგებლობის და ბუნების დაცვის ერთიანი წესით, საჭირო სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის ერთიანი წესებით.

ეკოლოგიური ნორმები აწესრიგებენ გარემოზე მოქმედ საწარმო-სამეურნეო, რეკრეაციულ და სხვა საქმიანობას. ისინი აზუსტებენ სამეურნეო-რეკრეაციული საქმიანობის პირობებისადმი მისადაგებული ბუნებათდაცვითი ნორმების ეკოლოგიურ იმპერატივებს.

ცნობილია, რომ გარემოს ძირითადად ვნებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. ამავე დროს საწარმოები და ორგანიზაციები თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად ხელმძღვანელობენ სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომითი კანონმდებლობით. ამ ვითარებაში საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში გარემოს დაცვის მოთხოვნილებების დანერგვა გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული და მხოლოდ ბუნებათდაცვითი აქტის მიღება საკმა-

რისი არაა. საჭიროა ბუნებათდაცვითი აქტით მოთხოვნილებები აისახოს იმ ნორმატიულ აქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ სამეურნეო განვითარების მთელ პროცესს, სანარმოების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა და თანამშრომლების უფლებებს და მოვალეობებს. ეკოლოგიური მოთხოვნილებების დანერგვის ასეთ წესს ეწოდება ეკოლოგიზაცია.

მთავარი ფუნქცია იმ სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც ადგენენ ბუნებათდაცვითი მინერილობების შესრულების გარანტიებს, მდგომარეობს სამეურნეო საქმიანობის პროცესში ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა დანერგვის უზრუნველყოფაში. გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმის ყველა რგოლის ურთიერთქმედების შედეგია ეკოლოგიური სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნა, ე.ი. ისეთი სამეურნეო, ადმინისტრაციული, შრომითი ურთიერთობის, რომელიც უზრუნველყოფილია გარემოს დაცვის მოთხოვნილებათა რეალიზაციით.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმის ეფექტურობა, სამართლის ბუნებათდაცვითი ნორმები და მათი გამოყენების წესი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს:

1. ბუნებათდაცვით ნორმებს უნდა ჰქონდეთ ეკოლოგიური დასაბუთება, ანუ ისინი უნდა ითვალისწინებდნენ საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ობიექტურ კანონზომიერებას;

2. ბუნებათდაცვითი ნორმები უნდა იყოს დაკონკრეტებული იმ საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც აწესრიგებენ გარემოზე სამართლის სუბიექტების სამეურნეო საქმიანობას. თავის დროზე მიღებული კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების შესახებ“ (1981 წ. 10 ოქტომბერი) ნაკლებად ეფექტური გამოდგა, მას არ მოჰყვა შესაბამისი კონკრეტული ნორმატიული აქტები, კერძოდ თუ როგორ უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სატყეო მეურნეობის გაძღოლა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ცხოველთა სამყაროს ეფექტური დაცვა.

3. გარემოზე მოქმედი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ეკოლოგიზირებული ნორმები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი შესრულების ეკონომიკური, ორგანიზაციული, იურიდიული გარანტიებით. ეკონომიკური გარანტია გულისხმობს ბუნებათდაცვითი საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ე.ი. საწარმოს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი თანხები გამწმენდი ნაგებობების ასაშენებლად, მათ რემონტსა და რეკონსტრუქციაზე და ა.შ. ორგანიზაციული გარანტია მოიცავს მმართველობით საქმიანობას და ეკოლოგიური მოთხოვნილებების შესრულებისათვის კონტროლის განხორციელებას. იურიდიული გარანტია გამოიხატება ბუნებათმოსარგებლებების უფლებების და მოვალეობების განსაზღვრით ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას, მათი პასუხისმგებლობით და მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა გამოყენებით. დაბოლოს, იდეოლოგიური გარანტია ითვალისწინებს ეკოლოგიურ-სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

4. გარემოს დაცვაში სასურველი შედეგის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობაში ბუნებათდაცვითი მოთხოვნილებების რეალიზაციაზე მოქმედ ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი, იდეოლოგიური ფაქტორების მთელ ერთობლიობას. ეკონომიკის განვითარება ხშირად ეწინააღმდეგება ეკოლოგიურ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში საჭიროა ეკოლოგიური დანაკარგების შეჯერება ეკონომიკურ ეფექტთან. ამ დროს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვას და აგრეთვე ბუნებრივ გარემოში დანაკარგების აღდგენას.

თავი IV

ეკოლოგიური სამართალურთიერთობანი და სამართალდარღვევები

§ 1. ეკოლოგიური სამართალურთიერთობანი

ბუნებათდაცვითი ნორმების შესრულებით ან დარღვევით წარმოიშობა შესაბამისი ბუნებათდაცვითი სამართალურთიერთობები. ასეთი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს იურიდიული ფაქტი, რომელიც შეიძლება იყოს ხდომილების ან მოქმედებების სახით.

ბუნებათდაცვით სამართალურთიერთობებს აქვთ კომპლექსური ხასიათი, რომელიც აისახება სამ ძირითად ფორმაში: ა) ბუნების, როგორც ეკოლოგიური სისტემების ერთობლიობის დაცვა; ბ) ბუნების ცალკეული ობიექტების დაცვა სხვა ბუნებრივ ობიექტებთან ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; გ) ბუნების ობიექტების დაცვა სხვა ბუნებრივი ობიექტების და კომპლექსების დაცვით. მაგალითად, ტყის დაცვა ხორციელდება არა ტყეთსარგებლობაში დარღვევის აღკვეთის და სატყეო ურთიერთობათა მონესრიგების გზით, არამედ ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, წყლის და სხვ. დაცვით. ამასთან, ტყის დაცვა უზრუნველყოფს წყლის, ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის და სხვ. დაცვას.

ბუნებათდაცვითი ურთიერთობის სუბიექტებია საწარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები, ცალკეული მოქალაქეები. ამ ურთიერთობის აუცილებელი მონაწილეა სახელმწი-

ფოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო სპეციალურად შექმნილი ბუნებათდაცვითი ორგანოების სახით. ბუნებათდაცვით სამართალურთიერთობებში სახელმწიფოს აქვს უფლება მოითხოვოს ეკოლოგიური მიწერილობის შესრულება, ხოლო სანარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, როგორც ბუნებათმოსარგებლები, ვალდებულნი არიან შეასრულონ ბუნების დაცვის და მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების წესები. მათ უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები ბუნებრივი სიმდიდრეების კლავნარმოებისათვის და იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რომელიც იქმნება ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის პროცესში. ბუნებათდაცვითი სამართალურთიერთობები ხორციელდება როგორც უშუალოდ, ისე გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმებში მოქმედ სხვა სამართალურთიერთობებთან ერთიანობაში. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში ის ხორციელდება ბუნებათრესურსულ (მიწის, სამთო, წყლის, ტყის) სამართალურთიერთობებთან კომპლექსში. სანარმოო ობიექტების დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობის ექსპლუატაციის სფეროში ეს სამართალურთიერთობები უკავშირდება სამეურნეო ურთიერთობებს. მისი ბუნებათრესურსულ და სამეურნეო ურთიერთობებთან კავშირი გამოიხატება იმით, რომ ის ასრულებს სამსახურებრივ ფუნქციას და უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და სანარმო-სამეურნეო საქმიანობის პროცესს სათანადო ეკოლოგიური მოთხოვნილებებით.

ბუნებათდაცვითი ნორმების შესრულების მატერიალური, ორგანიზაციული, სამართლებრივი გარანტიების განხორციელება არის იურიდიული კომპლექსის საფუძველი, რომელიც აქცევს ბუნებათდაცვით სამართალურთიერთობებს სახელმწიფო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, შრომითი და ა.შ. ურთიერთობებად. ამ ბუნებათდაცვითი სამართალურთიერთობის თავისებურება განისაზღვრება იმით, რომ ბუნებათდაცვითი ფუნქციები სრულდება ისეთი ურ-

თიერთობების მეშვეობით, რომლებიც რეგულირდება სამართლის სხვადასხვა დარგებით.

§ 2. ბუნებათსარგებლობის უფლება

ბუნებათსარგებლობა – საზოგადოების და ბუნების ურთიერთქმედების ერთ-ერთი მხარეა. ბუნების გამოყენება შეიძლება როგორც: ა) სიცოცხლის და საქმიანობის ბუნებრივი პირობა; ბ) მატერიალური წარმოების საშუალება; გ) სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ობიექტი; დ) ზნეობრივი და ესთეტიკური დაკმაყოფილების საშუალება და სხვ. ბუნებათსარგებლობის არსია ბუნებრივი გარემოდან ადამიანისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო თვისებების ამოღება ეკოლოგიური, ეკონომიკური, კულტურულ-გამაჯანსაღებელი, ზნეობრივ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბუნებათსარგებლობის უფლება წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლებას მეურნეობის და მოქალაქეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რადგანაც ბუნებრივი რესურსების მონმარებისას ბუნება გამოიყენება ორნაირად, როგორც სიცოცხლის და მოქმედების ბუნებრივი პირობა და როგორც სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ობიექტი, ამიტომ ბუნებათსარგებლობის უფლება იყოფა ზოგად და სპეციალურ ბუნებათსარგებლობად.

ბუნებათსარგებლობა უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, ე.ი. ბუნების რესურსების გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს ბუნების განვითარების კანონების და საზოგადოების, მისი ურთიერთქმედების კანონიერების საფუძველზე, გარემოს რესურსული პოტენციალის კვლავწარმოების გათვალისწინებით.

ზოგადი ბუნებათსარგებლობის უფლება იძლევა ყველასათვის კანონით გარანტირებულ შესაძლებლობას გამოიყენოს სუფთა, ჯანსაღი გარემო.

სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლება განპირობებულია გარემოს და მისი რესურსების გამოყენებით. ეს უკა-

ნასკნელი წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის, წარმოების საშუალების და ეკონომიკური და კულტურული გამაჯანსაღებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროს. სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლება არის სახელმწიფოს მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სპეციალურად დადგენილი უფლების მიცემა. ამ უფლებით შეიძლება ისარგებლონ საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა მათი ეკონომიკური, კულტურულ-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და სხვა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

თავის მხრივ, სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლება შეიძლება დაიყოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახეების მიხედვით. ასე, მაგალითად, მიწისსარგებლობის, წყალსარგებლობის, ტყეთსარგებლობის უფლებები. ამის გარდა, შეიძლება იყოს ატმოსფერული ჰაერით, ცხოველთა სამყაროთი, წიაღისეულით და ა.შ. სარგებლობის უფლება.

ბუნებათსარგებლობის ეს სახეები და მათთან დაკავშირებული მოსარგებლეთა უფლებამოსილება შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს. ასე, მაგალითად, მინათსარგებლობის უფლება შეიძლება მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო მინათსარგებლობის უფლებას, დასახლებული მიწების ან წყლით, ტყით, სამრეწველო საწარმოებით დაკავებული მიწების სარგებლობის უფლებას; წყალსარგებლობის უფლება სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო წყალსარგებლობის უფლებას, წყლის გამოყენებას სასმელი, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის; ტყეთსარგებლობის უფლება ითვალისწინებს ტყით სარგებლობის უფლებას მერქნის დასამზადებლად, სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის, სამეცნიერო კვლევებისათვის და სხვ.

სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლების წარმოშობის საფუძველია კომპეტენტური ორგანოს აქტი მიზნობრივი დანიშნულებით შესაბამისი ბუნებრივი რესურსების გადაცემის შესახებ. ტყეთსარგებლობის უფლება მერქნის დამზადე-

ბის მიზნით ხორციელდება ტყეთსაჭრელი ბილეთით. სპეციალურ ნებართვას მოითხოვს ტყეში თიბვა, საქონლის ძოვება, ნაყოფის შეგროვება იმ ადგილებში, სადაც ასეთ სარგებლობას აკონტროლებენ სატყეო მეურნეობის ორგანოები. ცხოველთა სარგებლობის უფლება ხორციელდება სპეციალური ნებართვა-ლიცენზიებით და ა.შ.

სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლების სუბიექტებია საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები.

სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლება არსებობს შრომითი, მოხმარებითი, დამხმარე და ნორმირებული ხასიათის. ბუნებათსარგებლობის უფლების შრომითი ხასიათი ნიშნავს, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება ხორციელდება მოქალაქეების პირადი შრომის საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივი რესურსების გამოყენება ძირითადად უნდა იყოს დამხმარე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლების სამომხმარებლო და დამხმარე ხასიათი შეიძლება არსებითად შეიცვალოს. სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლების შრომითი და სამომხმარებლო დანიშნულება განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების ნორმირებას.

ბუნებათსარგებლობის უფლების შეწყვეტა ხდება რამდენიმე საფუძველზე, მათ შორის: 1) რესურსმფლობელი ორგანიზაციის ლიკვიდაციის, ან მოქალაქის (მომხმარებლის) სიკვდილის შემთხვევაში; 2) ბუნებრივი რესურსების გამოყენების საჭიროების გავლენისას; 3) იმ ვადის გასვლის შემთხვევაში, რომელზეც ბუნებრივი რესურსი გამოყოფილი იყო სარგებლობისათვის; 4) ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ამოღების შემთხვევაში; 5) დადგენილ ვადაში ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობის შემთხვევაში; 6) ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში.

სპეციალური ბუნებათსარგებლობის უფლების არსებით მხარეს წარმოადგენს მისი შინაარსი, ე.ი. რესურსმოსარგებ-

ლევების უფლებები და ვალდებულებები. ისინი მრავალმხრივია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავდება ერთიმეორისაგან და დამოკიდებულია რესურსის სახეობაზე და მის მიზნობრივ გამოყენებაზე.

ყველა ბუნებათმოსარგებლისათვის სავალდებულოა: 1) ბუნებრივი რესურსების გამოყენება იმ მიზნისათვის, რისთვისაც ისინი არიან განკუთვნილი; 2) მათი მეცნიერულად დასაბუთებული, კომპლექსური და რაციონალური გამოყენება; 3) სათანადო კანონმდებლობის დაცვა; 4) დარღვეული ბუნების აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.

ბუნებრივი რესურსის თვითნებური დაუფლება და გამოყენება არ წარმოშობს მათი სარგებლობის და გამოყენების რაიმე უფლებებს. მოქმედი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს თვითნებურად დაკავებული ობიექტის იძულებით ამოღებას დამრღვევისაგან სათანადო მატერიალური კომპენსაციით, რაც კანონით არაა გათვალისწინებული (იხ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხ. 53, 55, 62).

ბუნებათსარგებლობის უფლების განხორციელებაში დიდი ადგილი ეთმობა სტანდარტიზაციას. თავისი ხასიათით და მნიშვნელობით სტანდარტები წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმატიულ მაჩვენებლებს. სტანდარტების იურიდიული ძალა იმაშია, რომ ისინი დაფუძნებულია კანონმდებლობაზე. სტანდარტები აკონკრეტებენ სამართლებრივი ნორმების შინაარსს, შეიცავენ ტექნიკურ წესებს და ნორმებს და დადგენილი წესით დამტკიცების შემთხვევაში იძენენ სამართლებრივ ფორმას. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტების, როგორც სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში დადგენილია შესაბამისი იურიდიული პასუხისმგებლობა.

სტანდარტები შეიძლება იყოს სახელმწიფო და დარგობრივი. ასევე არსებობს ტექნიკური პირობები.

სტანდარტების სისტემას ემიჯნება ნორმატივები. ისინი მართალია სტანდარტები არ არიან, მაგრამ როგორც დადგენილი ნორმატივები დადებით როლს ასრულებენ ბუნებათსარ-

გებლობის და ბუნების დაცვის სრულყოფაში და რაც მთავარია, ამ სფეროს მართვასა და დაგეგმვაში. ნორმატივებს მიეკუთვნება ატმოსფეროში, წყალში და სხვა ბუნებრივ ობიექტებში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამონატყორცნები (ზდგ), ბუნების და რეგიონების სხვადასხვა უბანზე ზღვრული დასაშვები დონეები (ზდდ).

ბუნებათსარგებლობის უფლების რეალიზაციის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე, მათ მდგომარეობასა და მდებარეობაზე. ასეთი მონაცემების მიღება ხდება მიმდინარე აღრიცხვით და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრის წარმოებით.

კადასტრები წარმოადგენენ მონაცემთა სრულ, სისტემატიზებულ ნუსხას. ობიექტების მიხედვით კადასტრები შეიძლება იყოს: წყალსამეურნეო, მელიორაციული, სამშენებლო და ა.შ. განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს ბუნებათრესურსული კადასტრები: მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეულის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს და ა.შ.

ბუნებრივი რესურსების კადასტრების გაძღოლა ხდება ერთიანი პრინციპების დაცვის საფუძველზე, მათ შორის, კანონმდებლობის დაცვით, ე.ი. ისეთი ნორმატიული მოთხოვნილებების დაცვით, რომლებიც დადგენილია კანონში; კადასტრების გაძღოლის ღონისძიებების უწყვეტი გატარებით; კადასტრის გაძღოლის წესის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებით; ცნობების სისწორეში პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობით.

ყველა კადასტრისათვის აუცილებელია ორი ძირითადი მოთხოვნილების – სისრულის და უტყუარობის დაცვა.

§ 3. ეკოლოგიური სამართალდარღვევები

ეკოლოგიური სამართალდარღვევა – მართლსაწინააღმდეგო ქცევაა, რომელიც არღვევს ეკოლოგიურ მართლწესრიგს და ზიანს აყენებს გარემოს.

ეკოლოგიური სამართალი არის პრინციპების და წესების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების და ბუნებრივი გარემოს მეცნიერულად დასაბუთებულ ურთიერთქმედებას ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ სფეროთი განისაზღვრება ეკოლოგიურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, ეკოლოგიური სამართალდარღვევა მოიცავს მინის, წიაღისეულის, წყლის, ტყის და სხვა ბუნებათდაცვითი წესების დარღვევებს.

დარღვევის სიმძიმის მიხედვით ეკოლოგიური სამართალდარღვევა შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი (ეკოლოგიური დანაშაული), ადმინისტრაციული, სამოქალაქო, დისციპლინური.

ეკოლოგიური სამართალდარღვევა გარკვეულ წილად წააგავს სამართალდარღვევებს, მაგრამ ამავე დროს მას თავისებურებებიც გააჩნია. ეს ნათლად ჩანს ეკოლოგიური სამართლის ძირითადი ნიშნების მიხედვით – დამნაშავეს ბრალით, მართლსაწინააღმდეგო ქცევით, კანონის დარღვევასა და შედეგის მიზეზობრივი კავშირით და ადამიანის ჯანმრთელობისათვის გარემოს ზიანით ან მისი რეალური საშიშროებით.

კანონმდებლობა ითვალისწინებს გარემოსადმი ზიანის მიყენებისას ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. განზრახ სამართალდარღვევისას ძირითადი მოტივებია ანგარება, დაინტერესება ბუნების ხარჯზე პირადი გამდიდრებისა და აგრეთვე ხულიგნური საქციელი. სამეურნეო საქმიანობაში სამართალდარღვევის ამ ფორმის მაგალითია წარმოების მოცულობის ზრდის მიზნით მავნე ნივთიერებების დასაშვები ზღვრული გამონატყორცნების გადაჭარბე-

ბა. სამართალდარღვევის გამაფრთხილებელი ფორმა ჩვეულებრივ მჟღავნდება ბუნებათსარგებლობის დაუდევარ, გულგრილ, თავდაჯერებულ ქცევაში. მაგალითად, გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის აუცილებელი წესების დაუცველობა, ნიადაგის ეროზიისგან დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, ტყეში ხანძარსაწინააღმდეგო წესების უგულებელყოფა და ა.შ.

კანონსაწინააღმდეგო ქცევა არის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა. ასეთი დარღვევა შეიძლება იყოს სამგვარი: 1) სამართალდარღვევის შემთხვევაში ილახება სახელმწიფოს, როგორც ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული მესაკუთრის, ინტერესები (ყიდვა-გაყიდვა, იჯარა, ჩუქება, გირაოდ მიცემა და ა.შ. მიწის, წიაღისეულის, წყლის, ტყის და ბუნების სხვა რესურსის სარგებლობასთან დაკავშირებით მსგავსი კანონსაწინააღმდეგო გარიგება); 2) სამართალდარღვევისას ილახება საზოგადოების ეკოლოგიური ინტერესები სუფთა, ჯანმრთელი, პროდუქციული გარემოს არსებობისათვის და ირღვევა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების წესები; 3) სამართალდარღვევა ეხება ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ, ქონებრივ ინტერესებს – სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაგეგმილი მოსავლის მიუღებლობა, შინაური ცხოველების დაღუპვა და სხვ.

სამართალდარღვევის ეს ჯგუფები საკმაოდ მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი. ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა (მიწის თვითნებური დატაცება) საფრთხეს უქმნის ბუნების შესაბამის ობიექტებს (მიწების გაჭუჭყიანება) და ზიანს აყენებს ქვეყანას. მაგალითად, ქარსაფარების გაუფრთხილებლად დაზიანებას შეიძლება მოყვეს ნიადაგის ეროზია, მოსავლის დაღუპვა.

ეკოლოგიური სამართალდარღვევა განსხვავდება სხვა დარღვევებისაგან იმით, რომ ის აყენებს ზიანს გარემოს ან წარმოქმნის მის რეალურ საშიშროებას. სამართალდარღვე-

ვის კონკრეტული სახე შედეგის მიხედვით შეიძლება იყოს ეკოლოგიური ან სამეურნეო ხასიათის. მიწის ნაკვეთების უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან მიწის თვითნებურად დატაცება, რომელიც არღვევს მიწაზე საკუთრების უფლებას, არ აყენებს ზიანს გარემოს, არ მიეკუთვნება ეკოლოგიურ სამართალდარღვევას. თუკი ქმედება ზიანს აყენებს გარემოს (მიწის გაჭუჭყიანება, ეროზიის გაძლიერება, დამლაშების, დაჭაობების გაძლიერება და სხვ.), მაშინ ის მიეკუთვნება ეკოლოგიურ სამართალდარღვევას.

ეკოლოგიური სამართალდარღვევის შემადგენლობის წარმოქმნისათვის საჭიროა მიზეზობრივი კავშირი სამართალდამრღვევი პირის ან ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგო ქცევასა და გარემოსადმი მიყენებულ ზიანს შორის. ასეთი კავშირი უნდა იყოს ეკოლოგიურად დასაბუთებული. ასე, მაგალითად, ტყის ჭრა, რომელიც ავნებს ბუნებას და მხოლოდ სამეურნეო მიზნების განხორციელებას ემსახურება, წარმოადგენს ეკოლოგიურ სამართალდარღვევას.

თავისი შედეგებით ეკოლოგიურმა სამართალდარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს გარემოს გაჭუჭყიანება, ბუნებრივი რესურსების გამოლევა, ბუნებაში ეკოლოგიური სისტემების დანგრევა და დაზიანება, ცალკეული ბუნებრივი ობიექტების დაზიანება ან მოსპობა.

საზოგადოებრივი მავნე შედეგების მიხედვით არსებობს სამართალდარღვევათა შემდეგი სახეები: სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ქონებრივი ან დისციპლინური გადაცდომა.

ეკოლოგიურ სამართალდარღვევათა შორის განსაკუთრებით მალალი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია ეკოლოგიური დანაშაული ანუ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით და ხელყოფს ეკოლოგიურ მართლწესრიგს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციი-

თა და ბუნებათდაცვითი კანონმდებლობით მოწესრიგებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და გარემოს დაცვას.

ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები განისაზღვრება დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტებით, დანაშაულის ობიექტური მხარით, სუბიექტითა და სუბიექტური მხარით.

დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობაში არის ბუნება ან გარემო. სისხლის სამართლის კოდექსში ასახულია დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, როგორცაა: სამუშაოების წარმოების დროს ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების დარღვევა, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერებების და ნარჩენების შენახვა, ატმოსფეროს, ნიადაგის და წყლების გაჭუჭყიანება, თევზის მარაგის მოსპობა ან დაზიანება და სხვ.

ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობას არ მიეკუთვნება სისხლის სამართლის კანონის ისეთი ნორმებით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებიც ინვევენ პასუხისმგებლობას გარემოდან გამოსული ობიექტების დაზიანებისა და მოსპობისათვის. მათ აქვთ სხვა მატერიალური ღირებულება. შინაური სასოფლო-სამეურნეო ცხოველები არ მიეკუთვნებიან ბუნების ობიექტებს, რადგანაც მათ არ გააჩნიათ ეკოლოგიური კავშირი გარემოსთან. ამ ცხოველების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება – წვალება, განადგურება, დატაცება და ა.შ. არ მიეკუთვნება ეკოლოგიურ დანაშაულს. იგივე ითქმის ტყვეობაში მყოფი ცხოველების მიმართ (ზოოპარკებში, ვოლიერებში).

შემადგენლობის ობიექტური მხარის მიხედვით ეკოლოგიური სამართალდარღვევა გამოიხატება ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის ნორმების დარღვევაში. ამ ნიშნით ხდება ეკოლოგიური დანაშაულის გამიჯვნა სხვა სამართალდარღვევისაგან, რომელიც თუმცა დაკავშირებულია ბუნებათსარგებლობასთან, მაგრამ მიმართულია სახელმწიფოს სხვა ინტერესების წინააღმდეგ.

ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია გარემოსადმი ზიანის მიყენება ან მისი მიყენების რეალური საშიშროება. გარემოსადმი ზიანის მიყენება გულისხმობს ბუნებრივი ობიექტების მოსპობას, გაჭუჭყიანებას და ამის შედეგად დაზიანებას ისეთი არარაციონალური ხერხების გამოყენებით, რომელიც აუარესებს ბუნების მდგომარეობას, არღვევს მის ეკოლოგიურ ნონასწორობას. ამ ზიანს აქვს არახელსაყრელი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ამცირებს მის შრომისუნარიანობას, ხდება დაავადების, დროებითი ან მუდმივი შრომისუნარიანობის დაკარგვის ან სიკვდილის მიზეზი.

ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობას, ამ ბოლო დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მრავალ ქვეყანაში. საგულისხმოა, რომ საკმაოდ ხშირად სისხლის სამართლის კოდექსში ეკოლოგიური დანაშაული გამოყოფილია ცალკე თავად. ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე გამოყოფილია ეკოლოგიური დანაშაულის თავი (27-ე) და ის მოიცავს 12 მუხლს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის 36-ე თავი – „დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ“, რომელიც შეიცავს 20 მუხლს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და გარემოს დაცვის გაძლიერების მოთხოვნების შესაბამისად არასათანადო ცვლილებებს განიცდის ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობის დისპოზიცია და სანქციები.

სუბიექტურად, ეკოლოგიური დანაშაულის შემადგენლობა ითვალისწინებს ბრალის ორ ფორმას – ტყის თვითნებური გაჩეხვა, უკანონო ნადირობა, თევზის უკანონო რენვა და ა.შ. ზოგიერთი დანაშაული ბუნების წინააღმდეგ ხდება თანამდებობის პირების მიერ ან სხვა მუშაკების დაუდევრობით. მაგალითად, ტყის განზრახ დაზიანება, მოსპობა, წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება შეიძლება ხდებოდეს განზრახ გარკვეული მატერიალური გამორჩენის მიღების

მიზნით, ან თანამდებობის პირების ან სხვა მუშაკების დაუ-
დევრობის შედეგად.

მეტად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური დანაშაულის შე-
მადგენლობის გამიჯვნა ადმინისტრაციული გადაცდომისა-
გან. ეს გამიჯვნა ხდება რამდენიმე ნიშნით. პირველ რიგში ეს
არის საზოგადოებრივი ზიანის ნიშანი, რომ დანაშაული ყო-
ველთვის საზოგადოებრივად მეტად საზიანოა, ადმინისტრა-
ციული გადაცდომა კი არა. სამართალდამრღვევის ქცევაში
განზრახვის არსებობა (მწვანე ნარგავების განზრახ მოსპობა),
სამართალდარღვევის მავნე შედეგების მეტ-ნაკლებობა და
სხვა. მაგალითად, ნადირობის წესების სისტემატური დარ-
ღვევა, გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის არ-
სებითი ზიანის, ხოლო ქვეყნისათვის დიდი ზარალის მიყენება
დანაშაულია, ხოლო თუ შესაბამისი სამართალდარღვევის შე-
მადგენლობის აღნიშნული ნიშნები არაა, დამრღვევის მიმართ
გამოიყენება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები.

ეკოლოგიის სფეროში ადმინისტრაციული პასუხისმგებ-
ლობის საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვე-
ვაა. იგი გულისხმობს მრავალ ქმედებას (მოქმედებას ან
უმოქმედობას), რომელიც არღვევს ეკოლოგიის სფეროში
დადგენილ წესს, რისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწი-
ნებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასა-
ხულია მიწის, წიაღისეულის, წყლის, ტყის, ბუნების ცალკეუ-
ლი ობიექტების დაცვის წესების დარღვევის შემადგენლობა.

სამართალდარღვევის სუბიექტია მოქალაქე ან თანამდე-
ბობის პირი. ადმინისტრაციული სახდელის ზომებია: გაფ-
რთხილება, ჯარიმა, ადმინისტრაციული პატიმრობა, უცხოე-
ლის გაძევება საქართველოდან.

სამართალდარღვევის უკანონო იარაღის ან უკანონოდ
მოპოვებული პროდუქციის ჩამორთმევა წარმოადგენს სის-
ხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის

ზომას ისეთი სამართალდარღვევისას, როგორცაა უკანონო ნადირობა და თევზჭერა, ტყის თვითნებური მოჭრა და ა.შ.

ადმინისტრაციული აღკვეთის ღონისძიებას წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იმ საწარმოს, საამქროს ან სხვა ობიექტის საქმიანობის შეჩერების შესახებ, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობას, აღნიშნული ხარვეზის მოცილებამდე. ამ გზით აღიკვეთება გარემოზე მავნე ზემოქმედება და ამავე დროს დამრღვევს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც.

დასჯისა და აღზრდის მიზნებს ემსახურება აგრეთვე ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დაღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობა. მისი გამოყენების საფუძველია დისციპლინური გადაცდომა, რომელიც დაკავშირებულია ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობასთან.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სუბიექტებია საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირები, ვისი სამსახურეობრივი მოვალეობები დაკავშირებულია ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებების განხორციელებასთან.

§ 4. ეკოლოგიური ზარალის ანაზღაურების სამართლებრივი ფორმები

ზიანი, რომელსაც გარემოს აყენებენ მისი დაბინძურების და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების შედეგად, შეიძლება იყოს ეკონომიკური და ეკოლოგიური სახის. ეკონომიკური ზიანი ხელყოფს ბუნებათმოსარგებლის სამეურნეო ინტერესებს. ის მყლავნდება მატერიალური რესურსების დანაკარგებით (ქონების დაზიანება, გაფუჭება, მოსპო-

ბა, მატერიალური ფასეულობის აღდგენაზე იძულებითი დანახარჯები, დაგეგმილი შემოსავლის მიუღებლობა და ა.შ.). ეკოლოგიური ზიანი ხელყოფს საზოგადოების ინტერესებს სუფთა, ჯანსაღ გარემოში. ამის შედეგად იკარგება სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოლოგიური რესურსები.

ზიანის ეს სახეები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. მათ გააჩნიათ გამომწვევის ერთიანი წყარო – ადამიანის ისეთი საქმიანობა, რომელიც აზიანებს გარემოს და იწვევს ბუნებრივი რესურსები გამოლევას. ეკონომიკური ზიანი იწვევს გარემოში ნეგატიურ ცვლილებებს, ხოლო ეკოლოგიური ზიანი კი – ეკონომიკურ დანაკარგებს.

ეკონომიკური ზიანისაგან განსხვავებით ეკოლოგიურ ზიანს გააჩნია სამი განმასხვავებელი ნიშანი:

1) ცალკეული დანაკარგები გარემოში და ზოგიერთი ბუნებრივი რესურსი აღუდგენელია, ხოლო ნეგატიური ცვლილებები შეუქცევადი;

2) ზიანის მიყენების მომენტი სხვადასხვა მაჩვენებლით (დრო, მანძილი) დაშორებულია მისი შედეგისაგან (ატმოსფერული გაჭუჭყიანების მავნე ზემოქმედება შეიძლება აღინიშნოს გამჭუჭყიანებლის წყაროდან მნიშვნელოვან მანძილზე);

3) საბოლოო ჯამში ის ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას და მისი შთამომავლების სრულფასოვან განვითარებას. მაშასადამე, ის აყენებს ადამიანს ფიზიოლოგიურ და გენეტიკურ ზიანს.

ამის შესაბამისად ეკონომიკური და ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს განსხვავებულად. ეკონომიკური ზიანის ანაზღაურება შედარებით მარტივია, როდესაც შესაძლებელია მისი ფულადი გამოსახულება. უფრო რთულია ეკოლოგიური ზიანის შეფასება. ბუნების აღდგენადი რესურსების (ტყე, ცხოველები) ანაზღაურება შეიძლება ნატურალური ფორმით, თუმცა მათი კვლავნარმოება ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ფულადი კომპენსაცია ვერ ახდენს გარემოში ყველა დანაკარგის და განსაკუთრებით ადამიანის ჯანმრთელო-

ბის სრულ ანაზღაურებას. ასევე შეუძლებელია გენეტიკური მავნე შედეგების აღრიცხვა და აღდგენა. შესაძლებელია მხოლოდ მისი თავიდან აცილება და მოცილება.

ზიანის ანაზღაურებისას ძირითადი მოთხოვნაა: ზიანის მიმყენებელმა აანაზღაუროს ის სრული მოცულობით.

არჩევნ ზიანის ანაზღაურების სამ ფორმას: იურიდიულს, ეკონომიკურს, სოციალურ ალიმენტირებას.

იურიდიული პასუხისმგებლობა დგება ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე, რომლის შედეგად ზიანდება გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა. კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებია: დადგენილი ნორმატივების ზევით მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობების დაზიანება ან მოსპობა და ა.შ.

პასუხისმგებლობის სუბიექტებად გამოდიან საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები. ისინი ვალდებული არიან აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მიაყენეს ბუნებას მათმა თანამშრომლებმა თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. დაზარალებული ბუნებათმოსარგებლეს საწარმოები, გაერთიანებები, ორგანიზაციები, ფირმები და აგრეთვე მოქალაქეები. ცალკეულ შემთხვევაში დაზარალებული შეიძლება იყოს სახელმწიფო, როგორც ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული მესაკუთრე.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება იცავს სახელმწიფოს, როგორც ბუნებრივი რესურსების მესაკუთრის უფლებებს და ინტერესებს. გარემოს დაცვაში იურიდიული პასუხისმგებლობა მუდგანდება სამი ფორმით:

1) მიწაზე, წიაღისეულზე, წყალზე და ა.შ. როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების ობიექტებზე გარეგების ბათილად გამოცხადება;

2) იმ დარღვევისათვის პასუხისმგებლობა (სისხლის და ადმინისტრაციული), რომლებიც ხელს უშლიან ბუნებათმოსარგებლეს განახორციელოს თავისი კანონიერი უფლებები ბუნების რესურსების სარგებლობაზე;

3) ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

ზიანის მიყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ხდება ნატურით ან მიყენებული ზარალის გადახდით. ნატურით ანაზღაურება ნიშნავს დარღვეული ბუნებრივი გარემოს აღდგენას. მიყენებული ზარალის ღირებულება გამოითვლება შემდეგი შემადგენელი ნაწილებით: ბუნებრივი ობიექტების აღდგენის და მათი გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანის ხარჯები და აგრეთვე დანახარჯები მატერიალური დანაკარგების და ამოუღებელი შემოსავლების კომპენსაციაზე. ზარალის ანაზღაურება ხდება სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე სარჩელის წარდგენით.

ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახესხვაობას. ამ პასუხისმგებლობას გააჩნია სამი თავისებურება: 1) ის რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით; 2) მისი ობიექტებია მხოლოდ ბუნებრივი გარემოს ელემენტები; 3) მისი რეალიზაცია ხდება ზარალის ანაზღაურებით სპეციალური ნიხრებით. ნიხრი წარმოადგენს ბუნებრივი ობიექტებიდან მიყენებული ზარალის პირობით ერთეულს. ის შეიცავს სახელმწიფოს მიერ უკვე განეული ხარჯების შესაბამის ნილს ბუნების დაცვაზე და, ამის გარდა, თანხას მიყენებული ზიანის აღსადგენად. ამიტომ ნიხრს აქვს კომპენსაციურ-ჯარიმული ხასიათი. ზარალის ათვის ნიხრის პრინციპი წარმოადგენს გარემოს დაცვის სფეროში მატერიალური პასუხისმგებლობის დამახასიათებელ ნიშანს. მისი გამოყენების აუცილებლობა გამომდინარეობს ბუნების ობიექტების სპეციფიკიდან, რომლებსაც ქონებისაგან განსხვავებით არა აქვთ ღირებულება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად საქმე გვაქვს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზიანთან, გამოიყენება ზარალის აღრიცხვის კომპლექსური ხერხი – მატერიალური, ბუნებრივი დანაკარ-

გების აღდგენაზე ფაქტობრივი დანახარჯებით და დანგრეული ბუნებრივი ობიექტების ნიხრული შეფასებით.

ადამიანის უკანონო ჩარევა ბუნებაში იწვევს მის დარღვევას და ამა თუ იმ სახით აყენებს მას ზიანს. გარემოსადმი მიყენებული ზიანის მართლზომიერების საზღვრები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგება ნორმალური ეკოლოგიური რისკის მოთხოვნილებების საფუძველზე. ის განსაზღვრავს ზიანის ისეთ დონეს, რომელიც გამორიცხავს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას და ბუნებრივი რესურსების აღუდგენელი დანაკარგების საშიშროებას. ბუნების კანონების განზრახ დარღვევასთან ან მუშაობაში დაუდევრობასთან დაკავშირებული ნორმალური ეკოლოგიური რისკის საზღვრების გადამეტება საფუძველს იძლევა იურიდიულ პასუხისმგებლობაში მისაცემად და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. კანონმდებლობა არ ირღვევა და არ იწვევს პასუხისმგებლობას, თუ საქმე გვაქვს მართლზომიერ მოქმედებასთან. გარემოში ნეგატიური ცვლილება ზარალს აყენებს ეკონომიკას, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობა განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების მართლზომიერი გამოყენებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსაციის აუცილებლობას. ასეთი კომპენსაცია ხდება რესურს-მფლობელის (სანარმო, ორგანიზაცია, ფირმა) ეკონომიკური დანახარჯების გზით. იურიდიული პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, რომელიც დგება სამართლის ნორმის დარღვევის ფაქტზე, ეკონომიკური „ანაზღაურება“ გამომდინარეობს მატერიალური დანახარჯის ფაქტიდან, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მართებული გამოყენებით. ეკონომიკური „ანაზღაურების“ საფუძველს წარმოადგენს ფასიანი ბუნებათსარგებლობა, მათ შორის ბუნების კომპონენტების გამოყენების ან წარმოების მავნე ნარჩენების განთავსებისათვის. ეკონომიკური რეაგირება ასრულებს ორმაგ ფუნქციას: აღდგენითს (გარემოს გაჯანსაღებაზე სახელმწიფოს დანა-

ხარჯების კომპენსაცია) და მასტიმულირებელს (საწარმოების მატერიალური დაინტერესება ბუნებათდაცვითი ღონისძიებების ჩატარებაში).

ადამიანის ჯანმრთელობისათვის გაჭუჭყიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ხდება სოციალური ალიმენტირების გზით. სოციალური უზურუნველყოფის კანონმდებლობა ითვალისწინებს პენსიების დანიშვნას შრომისუნარიანობის დროებით ან მუდმივად დაკარგვისას საერთო ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში.

§ 5. ეკოლოგიური სამართალდარღვევების თავიდან აცილება

გარემოს დაცვის ეფექტურობა განისაზღვრება არა მარტო ჩადენილი სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებების გამოყენებით, არამედ ბუნებათდაცვით სფეროში სამართალდარღვევების თავიდან დროული აცილებით.

გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილება ხდება პოლიტიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური და იდეოლოგიური ღონისძიებებით.

პოლიტიკური ღონისძიებები გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო განსაზღვრავს ბუნების სიმდიდრეების შენარჩუნების და მათი სოციალურად გამოყენების მნიშვნელობას, მიზნებსა და ამოცანებს; ბუნებათდაცვით ღონისძიებებს ორგანიზაციის და ბუნებათდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებებს, ადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებს და სხვ.

ეკონომიკური ღონისძიებების თანახმად ყველა საწარმოს, ობიექტის, ფირმის და ა.შ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის პროფილაქტიკის ხარჯები.

მატერიალურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისას ყოველწლიურად ხდება სხვადასხვა ბუნებათდაცვითი ნაგებობების, მათი დაცვის, ბუნებრივი ობიექტების გაუმჯობესების, აღდგენის, სამეცნიერო კვლევების განვითარების და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის დაფინანსება.

სამართლებრივი გამაფრთხილებელი ღონისძიებები ითვალისწინებენ ბუნების დაცვის დარგში მეცნიერულად დასაბუთებული სამართლებრივი ნორმების შემუშავების, ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფის და აგრეთვე ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობაში დროულ მოცემას და სხვ.

ბუნებათდაცვით სფეროში სამართალდარღვევების თავიდან აცილებაში მეთად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების ორგანიზაციული საქმიანობა.

თუმცა, ეკოლოგიური სამართალდარღვევების სუბიექტებია სანარმოები, ორგანიზაციები, ფირმები, მოქალაქეები, მაგრამ ყველა სამართალდარღვევა ამის მიუხედავად ყოველთვის ხორციელდება ადამიანის მიერ. მაშასადამე, ადამიანის მყარი ეკოლოგიურ-სამართლებრივი შეგნების ფორმირება, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა, წარმოადგენს სამართალდარღვევის თავიდან აცილების აუცილებელ პირობას.

ეკოლოგიურ-სამართლებრივი შეგნება მოიცავს ორ აუცილებელ ელემენტს: ეკოლოგიურ მსოფლმხედველობას და სამართლებრივ კულტურას. მათი უზრუნველყოფა ხდება ეკოლოგიური და სამართლებრივი განათლებით და აღზრდით.

თ ა ვ

ეკოლოგიური კონტროლი

§ 1. ეკოლოგიური კონტროლის ცნება

გარემოს დაცვის ეფექტურობა ბევრად განისაზღვრება ეკოლოგიური კონტროლით. ეკოლოგიური კონტროლი ნიშნავს საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთობის კონტროლს.

ეკოლოგიური კონტროლი არის ეკოლოგიური სამართლის შემადგენელი ნაწილი, სახელმწიფოს ეკოლოგიური ფუნქციის გამომჟღავნება და გარემოს ხარისხის მართვის ელემენტი. ეკოლოგიური კონტროლი, როგორც ეკოლოგიური სამართლის ნაწილი, საშუალებას იძლევა განხორციელდეს გარემოს და მისი ცალკეული ობიექტის მდგომარეობისა და ცვლილების, ბუნების დაცვის დარგში გეგმებისა და ღონისძიებათა შესრულების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, გარემოს გაჯანსაღების და ბუნებათდაცვითი კანონმდებლობის დაცვის კონტროლი. ეკოლოგიური კონტროლი, როგორც სახელმწიფოს ეკოლოგიური ფუნქციის გამომჟღავნება, წარმოადგენს ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვის ფუნქციას. ამ მხრივ ის უკავშირდება ინფორმაციის შეგროვებას, მის დამუშავებას და შეფასებას, და, საბოლოო ჯამში, მმართველობით გადანყვეტილებათა მიღებას. ეკოლოგიური კონტროლი როგორც გარემოს ხარისხის მართვის ელემენტი გულისხმობს, რომ ის უზრუნველყოფს ბუნებათდაცვითი ღონისძიებების და მათ შორის სამართლებრივი ნორმების შესრულებას.

ეკოლოგიური კონტროლი იყოფა ოთხ ჯგუფად: 1) მთლიანად გარემოს და მისი ცალკეული კომპონენტების ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის, წიაღისეულის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვაზე ზედამხედველობა; 2) გეგმების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციის დამუშავებისას, სამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანისას ეკოლოგიური დაცვის გათვალისწინება; 3) ბუნების დაცვის და ბუნებათსარგებლობის დარგში გეგმების და ღონისძიებების შესრულების შემოწმება; 4) ეკოლოგიურ კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლი.

ეკოლოგიური კონტროლის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ცხოველმოქმედების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა.

ეკოლოგიური კონტროლის ამოცანაა – ყველა სამინისტროს, უწყების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციის და კერძო პირების მიერ გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის დარგში ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა და ეკოლოგიური კანონმდებლობით დადგენილი წესების და ნორმების დაცვა.

ეკოლოგიური კონტროლის მეთოდებს მიეკუთვნება: საპროექტო, ნორმატიულ-ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის აუცილებელი მითითებების მიცემა; სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის და სამშენებლო სამუშაოების აკრძალვა (შეჩერება, შეზღუდვა); ეკოლოგიურ სამართალდამრღვევი პირების პასუხისმგებლობაში მიცემა. ამის გარდა, დიდ მნიშვნელობას იძენს კონტროლის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული, სტატისტიკური მეთოდები.

არჩევნ ეკოლოგიური კონტროლის განხორციელების სხვადასხვა ფორმებს (გამაფრთხილებელს, მიმდინარეს, ინფორმაციულს, დამსჯელს).

გამაფრთხილებელი კონტროლი ხორციელდება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ღონისძიებების დაგეგმვის სტადიაზე. ამ დროს ხდება მინების, წიაღისეუ-

ლის, ტყეების, წყლის ობიექტების სარგებლობაში გამოყოფის დოკუმენტაციის შემოწმება, მშენებარე და დამთავრებული ობიექტების ანალიზი, მათი კანონმდებლობაში ასახული ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების წესების შესაბამისობაზე. ასეთი შეთანხმების სამართლებრივი ფორმები სხვადასხვაა: პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზა, სახელმწიფო მიმღებ კომისიებში მონაწილეობა და ა.შ. გამაფრთხილებელი კონტროლის მიზანია არ დაუშვას ისეთი სამეურნეო ობიექტების დაგეგმვა, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა, რომლებიც არ უპასუხებენ ეკოლოგიური წესების და ნორმების მოთხოვნებს და, მაშასადამე, გარემოზე მავნე ზემოქმედების აცილებას.

მიმდინარე ეკოლოგიური კონტროლი ხორციელდება სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციის სტადიაზე, ბუნებრივი რესურსების ამოღების და გამოყენების პროცესში. ამ კონტროლის მიზანია სანარმოების, ტრანსპორტის და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის დროს ეკოლოგიური წესების დარღვევის გამოვლენა, გარემოზე მავნე ზემოქმედების წყაროების განსაზღვრა და ეკოლოგიური ზარალის დადგენა.

ინფორმაციული კონტროლის დროს ხდება ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება შემდგომში დაინტერესებული ორგანიზაციების და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის მათი გადაცემით, რათა მიღებულ იქნეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ან დამსჯელი ზომები.

დამსჯელი კონტროლი ითვალისწინებს იძულების ღონისძიებებს იმ სანარმოების, ორგანიზაციების, ცალკეული პირობის მიმართ, რომლებიც ზარალს აყენებენ გარემოს, არღვევენ ბუნებათდაცვით კანონმდებლობას.

ეკოლოგიური კონტროლი შეიძლება იყოს ინტეგრირებული (მოიცავს მთელ გარემოს); კომპლექსური (დაკავშირებული ობიექტების და კომპლექსების ჯგუფის დაცვასთან) და დიფერენცირებული (მიმართული ცალკეული ობიექტების დაცვაზე); ამის გარდა კონტროლი შეიძლება იყოს გეგმიური, მოულოდნელი, განმეორებითი და ა.შ.

გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია (გდი).

გარემოს დაცვის ინსპექციის ძირითადი ამოცანებია: გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების სტიმულირების მექანიზმები (მათ შორის, სპეციალური პროგრამების და სხვა ღონისძიებების) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებულ უფლებამოსილებათა საფუძველზე; კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი სამენარმეო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის პირობების შესრულების ანგარიშის ანალიზი; გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა.

§ 2. გარემოს მონიტორინგი

ეკოლოგიური მონიტორინგი (სიტყვა „მონიტორინგი“ ნიშნავს თვალყურს) არის გარემოს მდგომარეობის მეთვალყურეობის, კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა და, მათ შორის, გლობალურ მასშტაბში.

გარემოს გლობალური საერთაშორისო მონიტორინგის სისტემის შექმნის იდეა პირველად იყო დასაბუთებული 1971 წელს გარემოს პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო კომიტეტის („სკოპე“) სპეციალური კომისიის მიერ.

მონიტორინგმა რომ შეასრულოს საკონტროლო ფუნქცია, ის უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმა-

ტივების სისტემას. ამ ნორმატივებს უნდა ჰქონდეს გარკვეული ეკოლოგიური მნიშვნელობა.

ამჟამად არჩევენ მონიტორინგის სამ საფეხურს – ბიოეკოლოგიურს ან სანიტარულ-ჰიგიენურს, გეოეკოლოგიურს და ბიოსფერულს.

ბიოეკოლოგიური ანუ სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი – ეს არის დაკვირვება გარემოს მდგომარეობაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის თვალსაზრისით. გარემოში ამ მოვლენებს და პროცესებს აქვთ საკმაოდ ნაირგვარი ხასიათი. მათი უკიდურესი გამოხატულება შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, კატასტროფული ხასიათის მოვლენები და პროცესები, ხოლო მეორე მხრივ, ნაკლებად შესამჩნევი, რომლებიც ვითარდება ხანგრძლივი დროის მანძილზე. შესაბამისად, პირველმა შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გადახრა და ამიტომ განსაზღვროს საგანგებო ღონისძიებების შესრულება მათ ასაცილებლად პროფილაქტიკისა და მძიმე შედეგების სალიკვიდაციოდ (მაგალითად, ეპიდემიები ან მოსახლეობის მასობრივი მონამვლა). მეორე სახის მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ნაკლებშესამჩნევი ცვლილებების გავრცელება, მაგრამ ამ ცვლილებებმა შეიძლება მიიღონ ქრონიკულად გამონვეული არახელსაყრელი ტენდენციების ფორმა ადამიანების ჯანმრთელობისათვის შორეული შედეგებით (მაგალითად, რადიაციული გამოსხივება ან კვების პროდუქტების გაჭუჭყიანება და ამით გამონვეული გენეტიკური გადახრები). აქ, ჩვეულებრივ, გამოიყენება დაავადებათა მაჩვენებლები (დაავადებათა შემთხვევების რიცხვი) და ადამიანთა სიკვდილიანობა.

მონიტორინგის მეორე საფეხური – გეოეკოლოგიური, გეოსისტემური ან ბუნებრივ-სამეურნეო მონიტორინგია. ამ დროს ხდება მეთვალყურეობა გარემოს უმთავრეს გეოსისტემებზე, მათ შორის ხელოვნურად შექმნილ სისტემებზე (აგროეკოსისტემები, ქალაქის გარემო, ინდუსტრიული რაიონების გარემო).

მონიტორინგის მესამე საფეხურია ბიოსფერული მონიტორინგი. ის უზრუნველყოფს მეთვალყურეობას, კონტროლს და შესაძლებელი ცვლილებების, პროგნოზს გლობალური და რეგიონალური მასშტაბით. ბიოსფერულ მონიტორინგს მიეკუთვნება მსოფლიოს წყლის ბალანსის, ბიოსფეროში რადიაციული დონის ცვალებადობის ატმოსფეროს ძირითადი გამაბინძურებლების ტრანსკონტინენტური განაწილების მეთვალყურეობა.

სახელმწიფო მონიტორინგის ამოცანები და ძირითადი მიმართულებებია გარემოს მდგომარეობის მეთვალყურეობა, მისი ძირითადი მდგომარეობის შეფასება და პროგნოზი. მეთვალყურეობა ითვალისწინებს გარემოს ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. მისი ობიექტებია: 1) ანთროპოგენური ზემოქმედების წყაროები (სანარმოები, ტრანსპორტი და ა.შ.) და ფაქტობრივი დამაბინძურებელი ნივთიერებები, ხმაური, გამოსხივება და ა.შ.; 2) ბუნებრივი გარემოს, მისი ცალკეული კომპონენტების მდგომარეობა და მათი რეაქცია აღნიშნულ ზემოქმედებაზე; 3) ჯანმრთელობის და მოსახლეობის ცხოველმოქმედების პირობები. შეფასება, ერთი მხრივ, გულისხმობს ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედებისაგან მიყენებული ზარალის განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ბუნებრივი რეზერვების განსაზღვრას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ადამიანის საკეთილდღეოდ. პროგნოზი ემყარება იმ მონაცემებს, რომელსაც იყენებენ მეთვალყურეობის და მათი შედეგების ანალიზისას.

ამჟამად მიღებულია მონიტორინგის სისტემის სამი სახე: სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური და კლიმატური.

სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი წარმოადგენს ანთროპოგენური ფაქტორების ბიოსფეროს შეცვლაზე ზეგავლენას მეთვალყურეობის, რეგისტრაციის შეფასების და პროგნოზის სისტემას. მიაჩნიათ, რომ ბიოსფეროს შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს არახელსაყრელი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და მის სასიცოცხლო პირობებზე. ჩვენში ამ

მონიტორინგს ასრულებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური.

ეკოლოგიური მონიტორინგი მოიცავს მეთვალყურეობას, შეფასებას და პროგნოზს არა მარტო ბუნებრივი ეკოსისტემების, არამედ ხელოვნური ეკოსისტემებისაც (მათ შორის აგროეკოსისტემების) მათ გაჭუჭყიანებაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.

კლიმატური მონიტორინგი მოიცავს კლიმატურ სისტემას (ატმოსფერო-ოკეანე-ხმელეთის ზედაპირი და ა.შ.).

არჩევნ გარემოს ნაციონალურ და საერთაშორისო (გლობალურ) მონიტორინგს.

ნაციონალური მონიტორინგი განსხვავდება საერთაშორისოსგან იმით, რომ მისი ამოცანები განისაზღვრება კონკრეტული სახელმწიფოს ეკოლოგიური და სოციალური თავისებურებებით.

საერთაშორისო მონიტორინგი მოიცავს მონიტორინგის ეროვნულ სისტემას. პირველად ასეთი მონიტორინგის შექმნის წინადადებები მიღებულ იყო გაეროს სტოკჰოლმის კონფერენციაზე (1973 წ.), ხოლო მისი ძირითადი მიზნები და პროგრამა ჩამოყალიბდა მონიტორინგის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე (კენია, ნაირობი, 1974).

საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებაში დიდი ადგილი ეკუთვნის სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებს, მათ შორის იუნესკოს პროგრამას „ადამიანი და ბიოსფერო“ (მაბ). ეს პროგრამა სწავლობს ადამიანის ზემოქმედებას ტყის, ტბის, მდინარის, დელტის, ესტუარიის, საძოვრისა და სხვ. რესურსებზე. აღსანიშნავია, რომ „მაბ“-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი დაარსდა ჯერ კიდევ 1978 წელს და აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო „მაბ“-ს საქმიანობაში.

საერთაშორისო მონიტორინგის პროგრამის ზოგადი ნაწილი სრულდება საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ფარგლებში. მეთვალყურეობის ეს სისტემა მოიცავს ხმელეთის კონტროლის 2600-ზე მეტ მეტეოროლოგიურ

სადგურს, 700 აეროლოგიურ სადგურს; მეთვალყურეობაში მონაწილეობს 500-მდე გემი, თანამგზავრები.

საერთაშორისო მონიტორინგის პროგრამის დარგობრივი ნაწილები სრულდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ხორციელდება მეთვალყურეობა გარემოს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე და მუშავდება მისი კონტროლის მეთოდები. სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია („ფაო“) აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მინების დაცვის შესახებ. სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის მიერ სრულდება საერთაშორისო მეთვალყურეობა მსოფლიო ოკეანის მდგომარეობაზე. ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო მონაწილეობს რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ბუნებრივ გარემოზე ინფორმაციულ მეთვალყურეობაზე, კონტროლზე, შეგროვებასა და განზოგადებაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს კოორდინაციას უწევს გარემოზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა (იუნეპი).

ეკოლოგიურ მონიტორინგთან უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფო ეკოლოგიური კონტროლი. ის წარმოადგენს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების ორგანიზაციულ-მმართველობითი, ადმინისტრაციული საქმიანობის ერთ-ერთ სახეს. სახელმწიფო ეკოლოგიური კონტროლის მიზანია ყველა ორგანიზაციის მიერ ბუნებათდაცვითი ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ეკოლოგიური კონტროლის სისტემა მოიცავს ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების და მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების მიერ კონტროლის განხორციელებას.

§ 3. ეკოლოგიური ექსპერტიზა

თანამედროვე ეტაპზე ახალი ობიექტების დაგეგმვა და გაშენება გარემოს დაცვის მოთხოვნილებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია და ამიტომ ეკოლოგიური ექსპერტიზის აუცილებლობა ეჭვს აღარ იწვევს.

ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს პროცესს, რომლის მიზანია დაგეგმილი სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ საქმიანობის (ექსპერტიზის ობიექტი) გარემოს დაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მისი რეალიზაციის მიზანშეწონილობის დადგენა, მისი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და ამასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის უარყოფითი შედეგების (ეფექტურობის) თავიდან აცილება.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე (მოიცავს სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვა სახის საქმიანობას, განსახლების და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელებას, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანების და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტების და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას) გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგენს შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი:

- საქართველოს კანონმდებლობას;
- საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს;
- ადგენს პროექტით განსაზღვრულ იმ ღონისძიებათა ადეკვატურობას, რომელთა შემუშავება საქმიანობის გან-

ხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საზოგადოების აზრის გათვალისწინებით მიიღება გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

ორივე შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის ამოცანაა კონკრეტულ გარემოში მოიძებნოს საქმიანობის განხორციელების ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც არ გამოიწვევს გარემოზე უარყოფით, შეუქცევად ზემოქმედებას, ან ექნება უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური (ან კულტურული ხასიათის) ეფექტები (როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში), შესაძლებლობას იძლევა, რომ შერბილებულ იქნას უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედება დროსა და სივრცეში და ამავე დროს მისაღები იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით საქმიანობის სუბიექტისათვის, თუმცა მისი, როგორც გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის, გამოყენება სხვადასხვა სტატუსითა და მიმართულებითაა შესაძლებელი, ამიტომ სასურველია ერთმანეთისგან გავარჩიოთ ექსპერტიზის ორი მიმართულება, კერძოდ, საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა.

საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზა არაა ლიმიტირებული ჩატარების პროცედურაში ან მეთოდოლოგიის მხრივ და წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთ მექანიზმს (ინსტრუმენტს), რომელიც გამოყენებულია:

- საზოგადოების მიერ – თავისი გარემოსდაცვითი ინტერესების დასაცავად;
- საქმიანობის სუბიექტის მიერ დაგეგმილი საქმიანობის ოპტიმალური საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების, საზოგადოების ეკოლოგიურ ინტერესებთან კონფლიქტის თავიდან აცილებისა და აქედან გამომდინარე, საქმიანობის საკმარისი ხანგრძლივობით და ეფექტურად წარმოების და ბუნიებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით.

საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ან ბიზნეს სექტორების (საქმიანობის სუბიექტის), აგრეთვე სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების მიერ, მაგრამ იმავე დროს ექსპერტიზის შედეგების ინტერპრეტირება შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებული იყოს და ასახავდეს ამ განსხვავებული სექტორების ინტერესებსა და თვალთახედვას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ (ან არ გაითვალისწინონ) საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგი გადანყვეტილების მიღებისას.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა განეკუთვნება სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციის სფეროს, წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას; აქედან გამომდინარე დეტალურად რეგულირდება კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით და ემსახურება გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფას, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების არარაციონალური და არამდგრადი გამოყენების პრევენციას. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად მიიღება გადანყვეტილება (დადებითი ან უარყოფითი) საქმიანობის სუბიექტისათვის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე სახელმწიფო ორგანოების მიერ ნებართვის გაცემის თაობაზე.

მიუხედავად ზემოხსენებული განსხვავებებისა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა შეიძლება განვიხილოთ როგორც დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე გადანყვეტილების მიღების ყველა დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო, ბიზნეს სექტორი, საზოგადოება) ურთიერთთანამშრომლობის პროცესი. პროცედურის ფორმალობა მხოლოდ ზოგად ჩარჩოებში აქცევს ამ პროცესს, რითაც ადგენს „თამაშის წესებს“ და მოწესრიგებულს ხდის მხარეებს შორის ურთიერთობებს.

2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ცალკეულ საკითხებს.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე, გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში. იმ საქმიანობათა სრულ ნუსხას, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას, განსაზღვრავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გარემოს ეკოლოგიური ნონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა არის აუცილებელი საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპებია:

ა) საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;

ბ) საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;

გ) გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;

დ) ექსპერტთა უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;

ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;

ვ) საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში სამინისტროს უფლებებია:

ა) საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესის შესაბამისად, საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა;

ბ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურისათვის აუცილებელი ინფორმაციის (მათ შორის, საცნობარო, სტატისტიკური და სამსახურებრივი სარგებლობის ინფორმაციის) მიღება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში სამინისტროს მოვალეობებია:

ა) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიების შექმნა;

ბ) ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა;

გ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

დ) დამოუკიდებელი ექსპერტების რეგისტრაციაში გატარება და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა;

ე) საქმიანობის განმახორციელებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზებისა და ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გასაცნობად წარდგენა;

ვ) საზოგადოების წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საქართველოს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით იქმნება შესაბამისი საექსპერტო კომისია. საჭიროების შემთხვევაში, საექსპერტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის, დადგენილი წესის შესაბამისად, სამინისტრომ შეიძლება მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება საქმიანობაზე გაცხადების „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარდგენის შემდეგ. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას და საექსპერტო კომისიის ფორმირების წესს განსაზღვრავს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“.

დამოუკიდებელი ექსპერტი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საჯარო მოსამსახურე. დამოუკიდებელი ექსპერტი ექვემდებარება სამინისტროს მიერ წარმოებულ ექსპერტთა რეესტრში რეგისტრაციას. დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრში შეყვანა და რეესტრიდან გამოყვანა ხდება მინისტრის ბრძანებით. საექსპერტო კომისიაში შეყვანილ უნდა იქნეს მხოლოდ ის დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სამინისტროს ექსპერტთა რეესტრში. ექსპერტთა რეესტრიდან დამოუკიდებელი ექსპერტის საექსპერტო კომისიაში შეყვანა ხდება მინისტრის ბრძანებით.

დამოუკიდებელი ექსპერტი პასუხისმგებელია მის მიერ მომზადებული დასკვნის ობიექტურობასა და სისრულეზე. დამოუკიდებელი ექსპერტი ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობს სამინისტროს მიერ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებას სამინისტრო ახორციელებს მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. დამოუკიდებელ ექსპერტთა

შერჩევის, მათი ექსპერტთა რეესტრში რეგისტრაციის წესს და მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს „დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ“ დებულება, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება საექსპერტო კომისიის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს საექსპერტო კომისია და ხელს აწერს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო ამზადებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია:

ა) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;

ბ) ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;

გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს).

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) რა სახის ნაკლოვანებებს შეიცავს ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია;

გ) რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებები გადამწყვეტილების მიღების პროცესისთვის;

დ) შესაძლებელია თუ არა ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებების გამოსწორება და თუ შესაძლებელია, რა გზით;

ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებს (საჭიროების შემთხვევაში).

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა – სანებართვო პირობა, რომლის შესრულება სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის მფლობელისათვის.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად;

ბ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებლის მოვალეობებია:

ა) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად წარდგენა;

ბ) გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის პირობების შესაბამისად საქმიანობის განხორციელება.

ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით, სისხლის სამართლის კოდექსით, სამოქალაქო კოდექსით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ამოცანაა მოძებნოს ყველაზე ოპტიმალური და ეკოლოგიურად მყარი გადაწყვეტილება, ე.ი.

მინიმალური დანახარჯებით დადგენილი ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნეს საჭირო სამეურნეო და სოციალური ეფექტი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზა სავალდებულოა ყველა იმ ობიექტისათვის, რომლის განხორციელება საფრთხეს უქმნის გარემოს მდგომარეობას და მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ეკოლოგიური ექსპერტიზა ყოველთვის დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ჩვეულებრივ, ფორმალური ხასიათის. ეს იყო გამოწვეული ორი ძირითადი მიზეზით: 1) სამეურნეო პროდუქტების კომპლექსური ექსპერტიზის აპრობირებული მეთოდოლოგიის უქონლობით; 2) უმრავლეს ეკოლოგიურ „სიუჟეტებში“ საკმაოდ რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობით, რაც გამოწვეული იყო დასაპროექტებელ ობიექტთა გარემოზე ზემოქმედების შენიღბული ხასიათით, სანყისი მონაცემების ძირითადი ალბათური ბუნებით.

საკმაოდ ხშირად სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებული პრობლემის ექსპერტიზაში გათვალისწინებულია და დაცულია იმ დარგების ინტერესები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთმანეთს უპირისპირდება (მაგალითად, ობიექტისა და ბუნებათდაცვითი ღონისძიებები).

ასეთ ვითარებაში ხდება აღნიშნული დასკვნების ხელოვნური შერწყმა, ნაცვლად საკითხის მეცნიერულად დასაბუთებული კომპრომისული შეჯერება-გადანყვეტისა.

ამჟამად არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრინციპის გამოყენება და მათი სინთეზი ოპერაციების მრავალმხრივი ოპტიმიზაციისა და ექსპერტულ შეფასებათა თეორიის ძირითად დებულებებთან.

ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის აუცილებელია სრულფასოვანი „სცენარების“ ნინასნარი შედგენა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. ამჟამად გამოყოფენ ხუთ პირობით „სცენარს“: 1) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება – ითვალისწინებს დაავადებების, უბედური შემთხვევების და

§ 4. გარემოზე მინიმალური საფრთხის შემცველი ზემოქმედების ნებართვები

საზოგადოებრივ ცხოვრებაში აუცილებელი ხდება გარემოზე გარკვეული დოზით მავნე ზემოქმედების გატარება, რათა გადაწყვეტილ იქნეს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მასშტაბის ამოცანები. ამისათვის აუცილებელია საწარმოთა სისტემის შექმნა, რათა თავიდან ავიცილოთ მძიმე ეკოლოგიური შედეგები. ეს საკითხი მონესრიგებულია საქართველოს 2007 წლის 14 დეკემბრის კანონით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს ასეთი ნებართვის გაცემის წესს და ფარგლებს.

კანონის რეგულირების სფერო არის ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით. ის განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს.

აღნიშნული საქმიანობის მიზნებია:

ა) საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა;

ბ) საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლებების – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე, აგრეთვე გარემოსდაცვით სფეროში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების

ბების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

გ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.

ამ საქმიანობის ამოცანას შეადგენს: საქმიანობაზე ნებაართვის გაცემის სფეროში საქმიანობის განმახორციელების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება და დაცვა, აგრეთვე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან დაცვის, ასევე მათი რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა.

გარემოზე ზემოქმედების ნებაართვა გულისხმობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით, განუსაზღვრელი ვადით მინიჭებულ უფლებას, რომელიც გაცივმა საქმიანობის განმახორციელებელზე, რაც საქმიანობის დაწყების სამართლებრივი საფუძველია;

საქმიანობის განმახორციელებელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც არ არის იურიდიული პირი), რომელიც არის ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების ინიციატორი და მიმართავს შესაბამის ორგანოს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად;

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის

ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებსა (კულტურულ მემკვიდრეობასა) და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; გარემოზე გარკვეული მავნე ზემოქმედებითი საქმიანობის განსახორციელებლად ნებართვის მისაღებად აუცილებელია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და ამ მხრივ უფლებამოსილი ორგანოებიდან უფლების მინიჭების ნებართვის გაცემა.

ზემოთ დასახელებული კანონის თანახმად ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებია:

ა) სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება (ეკოლოგიურ ექსპერტიზას არ ექვემდებარება სამშენებლო (მათ შორის, ინერტული) მასალების გადამუშავება, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა);

ბ) ნებისმიერი საწარმოო ტექნოლოგია, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;

გ) ცემენტის, ასფალტის, კირის, გაჯის, თაბაშირისა და აგურის წარმოება;

დ) მინისა და მინის პროდუქციის წარმოება;

ე) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება (მათ შორის, ნარჩენების დანვის ქარხნების მოწყობა) ან/და ნაგავსაყრელების მოწყობა;

ვ) ტოქსიკური და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების მოწყობა ან/და ამ ნარჩენების გადამუშავება, გაუვნებლება;

ზ) ქვანახშირის გაზიფიცირებასთან, გათხევადებასთან, ბრიკეტირებასა და დაკოქსვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიმძლავრის წარმოება;

თ) მაგისტრალური ნავთობსადენისა და გაზსადენის გაყვანა;

ი) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევად-

დი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება;

კ) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზის და მათზე განთავსებული ხიდების, გზაგამტარი გვირაბის, აგრეთვე საავტომობილო გზის, რკინიგზის და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება;

ლ) მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა და ქვესადგურის (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) განთავსება;

მ) ჰიდროელექტროსადგურის (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) და თბოელექტროსადგურის (10 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება;

ნ) მეტროპოლიტენის მშენებლობა;

ო) წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა;

პ) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (დღე-ღამეში 1000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის), აგრეთვე მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსება;

ჟ) აეროდრომის, აეროპორტის, რკინიგზის სადგურისა და საზღვაო ნავსადგურის მოწყობა;

რ) კაშხლის, ნავსადგურის, ნავმისადგომის და მოლის განთავსება;

ს) ქიმიური მრეწველობა, კერძოდ: ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, მინერალური სასუქების, ქიმიური საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიკური ნივთიერებების (რეზინის ან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება;

ტ) ნავთობგადამამუშავებელი და გაზგადამამუშავებელი წარმოებები (დღე-ღამეში 500 ტ-ზე მეტის);

უ) ნებისმიერი მეტალურგიული წარმოება (საათში ტონაზე მეტი პროდუქციის წარმადობით), გარდა ლითონთა ცივად დამუშავებისა და საიუველირო წარმოებებისა;

ფ) ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერების საცავების მოწყობა.

ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა.

თუ აღნიშნული საქმიანობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს ჩართვას სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტაციაზე სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც მტკიცდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ამ შემთხვევაში, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის მშენებლობის ნებართვის ნაწილი და მშენებლობის ნებართვის მაძიებლისათვის (ან მფლობელისათვის) მისი (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) პირობების შესრულება სავალდებულოა. ასეთ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა არის მშენებლობის ნებართვის პირობა.

თუ აღნიშნული საქმიანობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მასზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სა-

ფუძველზე გაიცემა ნებართვა, რომლის თაობაზედაც მინისტრი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ეკოლოგიურ ექსპერტიზის სამინისტრო ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნულ ჩამონათვალში სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა, როცა საკითხი ეხება ბუნებაზე ზემოქმედებას. ამ შემთხვევაში გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები მტკიცდება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა (ხოლო მშენებლობაზე ნებართვის მიღების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყოს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე). გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას;

ბ) მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლება დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის) გაცნობა;

გ) საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას;

დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) ბეჭდვით ორგანოში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოშიც) წარადგინოს გზშ-ის ანგარიშის როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული ვერსიები;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები;

გ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების წერილობითი მინვევა.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. გზშ-

ის ანგარიშის საჯარო განხილვა ეწყობა იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ოქმს ხელს აწერენ საქმიანობის განმახორციელებელი (ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები (გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მათი დასწრების შემთხვევაში).

საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს გზშ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზშ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში). აღნიშნული დოკუმენტები გზშ-ის ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის, მისი შედეგების გაფორმებისა და გზშ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (ხოლო მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) ერთი წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარუდგინოს განცხადება ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღებასთან დაკავშირებით.

საქმიანობის განმახორციელებელი ნებართვის მისაღებად სამინისტროს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადება წარედგინება, განიხილება და წარმოებაში მიიღება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ინფორმაციის გარდა, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადებასთან ერთად წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით);

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);

გ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ/ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად);

დ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (არატექნიკური რეზიუმეს სახით);

ე) განცხადება, წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მთანოდოს ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმიანობა შეიცავს კომერციულ ან/და სახელმწიფო საიდუმლოებას. განცხადების ეს ნაწილი საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარადგინოს ცალკე. მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:

ა) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;

ბ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (არატექნიკური რეზიუმეს სახით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიში (5 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით) – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;

დ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმების პროექტი (4 ეგზემპლარად) – აღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე;

ე) განცხადება, წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ – აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე.

სამინისტრო ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში.

სამინისტრო, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ შესაბამის დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, რის საფუძველზედაც დგება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ), როგორც აღვნიშნეთ არის დაგეგმილ საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრა, აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება.

გზშ-ის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი. გზშ-ის შედეგად დგება გზშ-ის ანგარიში. გზშ-ის პროცედურას და გზშ-ის ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულება, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი. გზშ-ის პროცედურის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს საქმიანობის განმახორციელებელი.

საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-ისგან, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიან-

ნობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას. გზშ-ისგან გათავისუფლების თაობაზე საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებას განიხილავს და შესაბამის წინადადებებს შეიმუშავებს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მინისტრი. ამ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიაწოდოს ობიექტური მონაცემები ნებართვის გამცემ ორგანოს (ხოლო მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს).

ნებართვის (ან მშენებლობის ნებართვის) მიღების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საქმიანობა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად;

ბ) საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ შეასრულოს გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელი ის ღონისძიებები, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევს ნებართვის გამცემი ორგანო;

გ) მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში, როგორც მშენებლობის პროცესში, ისე საწარმოს (ობიექტის) ექსპლუატაციისას, დაიცვას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით მისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობები.

ნებართვა არ გაიცემა, თუ:

ა) დარღვეულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარემოსდაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

ბ) განსახორციელებელ საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა არსებობს.

ნებართვის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს

ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ხოლო ამის შემდეგ სასამართლოში.

ნებართვის გამცემი ორგანოს უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება „ლიცენზიისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად.

სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი სამინისტროს მიმართავს წერილობითი განცხადებით სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე. განცხადების მიღებიდან ორი დღის ვადაში სამინისტრო გასცემს სანებართვო მოწმობის დუბლიკატს, შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს უწყებრივ სანებართვო რეესტრში და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამის თაობაზე აცნობებს სახელმწიფო სანებართვო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს სახელმწიფო სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შესატანად.

სანებართვო მოწმობის დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს. სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია, ნებართვა სხვა პირს გადასცეს. ნებართვის გადაცემის შემთხვევაში ნებართვის მფლობელი და ნებართვის მიმღები სამინისტროს მიმართავენ ერთობლივი განცხადებით, რომელშიც აღინიშნება გადასაცემი ნებართვის სახე და რეგისტრაციის ნომერი. განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს:

ა) ნებართვის მფლობელისა და ნებართვის მიმღების სამწარმოო რეესტრიდან ამონაწერები – კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მწარმისათვის, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები – ფიზიკური პირისათვის. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

ბ) ნებართვის მფლობელისა და ნებართვის მიმღების მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერები – კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მენარმისათვის, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები – ფიზიკური პირისათვის. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამონებული ასლები;

გ) ნებართვის გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სამინისტრო განცხადებას ნებართვის გადაცემის თაობაზე იხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე შეაქვს ცვლილებები სანებართვო რეესტრში და გასცემს სათანადო სანებართვო მონმობას.

კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე ახორციელებს სამინისტრო „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმების წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი VI

ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივი დაცვა

§ 1. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ცნება

ატმოსფერული ჰაერის დაცვა ყველა ქვეყნის ინტერესებს შეეხება, რადგანაც იგი რომელიმე ქვეყნის ტერიტორიით არ შემოიფარგლება. ატმოსფერული ჰაერი ძირითადად შედგება აზოტისაგან (78,09 %), ჟანგბადისაგან (20,95 %), ნახშირორჟანგისაგან (0,03 %), ნეონის, ჰელიუმის, მეთანის, კრიპტონის, წყალბადის და ზოგიერთი სხვა აირისაგან. დედამიწის ზედაპირის შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში ყოველთვის არის ამა თუ იმ კონცენტრაციის აეროზოლი, რომელიც შედგება მტვრისაგან, კონდენსირებული წყლის ორთქლისაგან და სხვ. იგი გავლენას ახდენს ჰაერის გამჭვირვალობაზე, რადიაციასა და ტემპერატურის ბალანსზე.

ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. იგი ადამიანის, ცხოველთა სამყაროს, მცენარეთა და საერთოდ, სიცოცხლის წყაროა. ადამიანი ყოველდღე იღებს დაახლოებით ერთ კილოგრამ საკვებს, ერთნახევარ კილოგრამ წყალს, ხოლო ჰაერს მოსვენებულ მდგომარეობაში – 12 კილოგრამს; ფიზიკური დატვირთვისას ათჯერ უფრო მეტს. ამასთან, საკვების ვარგისიანობა შეიძლება შევამოწმოთ, და-

ბინძურებული წყალი გავნმინდოთ, მაგრამ ჰაერს ჩვენ ვიღებთ ისეთ მდგომარეობაში, როგორიც იგი გარემოშია.

ატმოსფერო ჟანგბადის წყაროა, ხოლო ქიმიური მრეწველობისთვის ქმნის ნედლეულს (აზოტი, არგონი, ნახშირორჟანგი, ჟანგბადი და სხვ.).

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო დედამიწაზე მომხდარი ბუნებრივი პროცესებია, კერძოდ, ვულკანების ამოფრქვევა, მტვრიანი ქარიშხლები, ტყის ხანძრები და სხვ. ამერიკელი გეოლოგის ჰეკორას თქმით, იავაზე, ალიასკასა და ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანებისაგან ჰაერი გაცილებით უფრო მეტად დაბინძურებულია, ვიდრე ადამიანების მიერ მთელი მათი არსებობის მანძილზე. დადგენილია, რომ ჰაერი ბინძურდება რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ატმოსფერულ ჰაერში გარეშე შენარევეები ოცჯერ გაიზარდა. აზონის ფენა, რომელიც დედამიწას გარს აკრავს 20-30 კილომეტრის სიმაღლეზე, აკავებს მზის ულტრაიისფერ გამოსხივებას, რის შედეგადაც სტრატოსფერო ხურდება და ხელს უწყობს ჰაერის ცირკულაციას, მის განმენდას დაბინძურებული ელემენტებისაგან. ოზონზე მავნე ზეგავლენას ახდენს აზოტი, რომლის მჟავებიც ერევა ატმოსფეროს ატომური იარაღის აფეთქებისა და კოსმოსური ხომალდების გაშვების დროს, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში აზოტიანი სასუქების გამოყენებისას, ავტომანქანების და თვითმფრინავების მიერ აირების გამოფრქვევისას. ოზონის ფენის დარღვევა კი დედამიწაზე მძიმე შედეგებს იწვევს, კერძოდ სხეულის, კანის გადაგვარებას ინტენსიური ულტრაიისფერი რადიაციის გამო, თრგუნავს მცენარეთა ფოტოსინთეზს, ამცირებს მათ ზრდას და ზოგიერთებს ანადგურებს კიდეც. ყველაზე საშიში ისაა, რომ ოზონის დამცავი ფენის დარღვევა და ნახშირორჟანგ გაზის მომატება იწვევს დედამიწაზე ტემპერატურის ზრდას, რაც დაკავშირებულია მუდმივი მყინვარების გადნობასთან და დედამიწაზე წყლის დონის ამაღლებასთან.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით ადამიანის ჯანმრთელობას ყველაზე დიდი ზიანი ადგება, ამასთან ზიანდება ბუნების სხვა სიმდიდრეც, მატერიალური ძეგლები და სხვ. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს გოგირდისა და აზოტის ჟანგბადის ატმოსფეროში გაფრქვევა, რომელიც ჰაერის წყლის წვეთებთან შედის რეაქციაში და ჩამოდის დედამიწაზე მჟავე წვიმის სახით, რაც ზიანს აყენებს ნიადაგს, წყლებს, ტყეს, სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს, ცხოველთა სამყაროს, ნაგებობებს, შენობებს და ა.შ.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა მოითხოვს პრობლემების კომპლექსურ გადანყვეტას, პირველ რიგში მეურნეობის იმ დარგებში, რომელიც იწვევს გარემოს დაბინძურებას. ტექნიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებისაკენ, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. სიცოცხლის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად და ცივილიზაციის დასაცავად დედამიწაზე საჭირო ხდება ყველა ღონისძიებებისა და საშუალებების მობილიზაცია არა მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამართლებრივ რეგულირებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ატმოსფერული ჰაერის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნება შესაძლებელია პრობლემის კომპლექსური გადანყვეტის შედეგად ეკონომიკის, მედიცინის, ბიოლოგიის, ტექნოლოგიის, მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, ფიზიკური გეოგრაფიის, აგრეთვე სამართლის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის მიჯნაზე. მეცნიერების ყველა დასახელებული დარგი მონაწილეობს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ამოცანების გადანყვეტაში, მათ შორის უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ტექნიკურ ნორმებთან. მატერიალური წარმოების საფუძველზე ყალიბდება ადამიანთა დამოკიდებულების წესი გარე სამყაროსთან და, კერძოდ, ატმოსფერულ ჰაერთან. ტექნიკური ნორმების

სამსახურებრივი როლი ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივ დაცვაში განუზომლად დიდია, ვინაიდან იგი ემყარება სხვადასხვა ტექნოლოგიების, მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლუატაციის გამართლებულ ნორმებს. ამიტომ მრავალი ტექნიკური ნორმა, რომლებიც სამართლებრივ აქტებშია გადმოცემული, სავალდებულო ხასიათს იძენს და იქცევა ტექნიკურ სამართლებრივ ნორმებად. ეს პირველ რიგში ეხება იმ ნორმატივებს, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულ ფარგლებს და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დონეს. ნორმატივები განსაზღვრავენ გამონაფრქვევებს, სანიტარულ-დამცავი ზონების ფარგლებს, სხვადასხვა მშენებლობის ნორმებსა და წესებს, გამწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესებსა და სხვ. ამდენად სამართლის როლი ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში მეცნიერებისა და პრაქტიკის სისტემაში განისაზღვრება ორი გარემოებით. ერთი მხრივ, სამართლებრივი ნორმების რეალობა ეყრდნობა საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივი მეცნიერების მიღწევებს, ხოლო მეორე მხრივ, სამართალი განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგების მიმართულებებს კონკრეტულ მომენტში და პერსპექტივაშიც.

როდესაც ლაპარაკია ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივი რეგულირების ობიექტზე, საჭიროა მხედველობაში გვექონდეს ატმოსფერული ჰაერი და არა საერთოდ ჰაერი. კანონმდებლობა ატმოსფერულ ჰაერის შესახებ არ არეგულირებს საცხოვრებელ ბინებში, სანარმოო შენობაში ჰაერის მონესრიგებას. ატმოსფერულ ჰაერს არ განეკუთვნება აგრეთვე ჰაერი კომპრესორებში, ბალონებში, სავენტილაციო მილებში და სხვ. ასეთი ჰაერის გამოყენების სამართლებრივი მდგომარეობა მონესრიგებულია ჯანმრთელობის დაცვის, შრომის ან საბინაო კანონმდებლობით. ეს გამოწვეულია იმით, რომ შენობის ჰაერი არ წარმოადგენს ბუნების ნაწილს, ვინაიდან იგი

მონყვეტილია ბუნების სამყაროს. საბჭოთა პერიოდის იური-
დიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება ატმოს-
ფერულ ჰაერზე ან ატმოსფეროზე საერთოდ სახელმწიფო სა-
კუთრების შესახებ. მაგრამ ასეთი შეხედულება არ იყო სწორი,
ვინაიდან ატმოსფერული ჰაერი არ შეიძლება იყოს საკუთრე-
ბის ობიექტი. ატმოსფერული ჰაერი ყველა ქვეყნის საერთო
სარგებლობის საგანია და არ შეიძლება იგი რომელიმე სახელ-
მწიფოს საკუთრებაში იყოს. რაც შეეხება გამოყენებასა და
სარგებლობას, ეს მომენტი სამართლებრივად მონესრიგებუ-
ლია მრენველობისათვის ატმოსფერული ჰაერის გამოყენე-
ბის, აგრეთვე მასში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფ-
რქვევის შეზღუდვების სახით.

იმის გამო, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების
მავნე შედეგები შეიძლება გამოვლინდეს იმ სახელმწიფოს
ფარგლებს გარეთ, სადაც დაბინძურების წყარო იმყოფება,
თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ
ყურადღებას აქცევს ატმოსფერული ჰაერის საერთაშორისო
დაცვას. ეს კი განაპირობებს სახელმწიფოთა რეგიონალურ
თანამშრომლობას ატმოსფერული ჰაერის დაცვაში ორმხრივი
და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ მხრივ
აღსანიშნავია ჟენევის კონვენცია (1979 წ.) დიდ მანძილზე ჰაე-
რის ტრანსსაზღვრისეული დაბინძურების შესახებ.

კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ
მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დაცვას,
მის გაუმჯობესებას, მასზე მავნე ქიმიური, ფიზიკური, ბიო-
ლოგიური და სხვ. ზემოქმედების შემცირებას ან აღკვეთას და
ამავე დროს ატმოსფერული ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქ-
მედების თავიდან აცილებას (ხმაურის, გამოსხივების, ვიბრა-
ციის და ა.შ.), ბიოლოგიური ზემოქმედების, ამინდისა და კლი-
მატის მოსაწესრიგებლად ზემოქმედების ზომების გამოყენე-
ბის ფარგლების დადგენას და სხვ. ამრიგად, ატმოსფერული
ჰაერის სამართლებრივი დაცვის მიმართულებაა მისი ქიმიუ-
რი შემადგენლობის შეცვლის თავიდან აცილება და მყარი

სხეულებით (მტვერი, ჭვარტლი და ა.შ.) დაბინძურების აღკვეთა. დღევანდელ პირობებში ჰაერის დაცვის სწორედ ეს მომენტები დომინირებს. სხვა მხრივ, მაგალითად, ხმაურის ზემოქმედების საკითხები მონესრიგებულია დამოუკიდებელი კანონქვემდებარე აქტებით და ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივ დაცვაში არ იგულისხმება. ატმოსფერული ჰაერის ქიმიური ნივთიერებებით ან მძიმე ნაწილაკებით დაბინძურება შესაძლებელია როგორც უშუალოდ (ჰაერის უშუალო დაბინძურება), ისე არაპირდაპირი გზითაც, კერძოდ, ოზონის ფენაზე ზემოქმედება და ადამიანის და კლიმატის შესაძლებელი შეცვლა დედამიწაზე. ატმოსფერული ჰაერის სინმინდის დამრღვევ სუბიექტებად გვევლინებიან მოქალაქეები, საწარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ ზემოქმედებასთან, აგრეთვე რომლებიც ახორციელებენ ავტომანქანების, თვითმფრინავების და სხვა მონყობილობათა პროექტირებას, წარმოებასა და ექსპლუატაციას. ატმოსფერული ჰაერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იმყოფება ხმელეთის, მდინარეების, ტბებისა და ტერიტორიული წყლების ზემოთ. ატმოსფერული ჰაერი უნდა იყოს დაცული მისი პრაქტიკულად გამოყენების ფარგლებში. საფრენი აპარატებისათვის (რაკეტების გარდა) საჰაერო სივრცე განისაზღვრება 30 კილომეტრის სიმაღლით, მაგრამ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ფარგლები ამით არ შეიძლება განისაზღვროს. ამასთან დაცული უნდა იქნეს საერთაშორისო საჰაერო და კოსმოსური კანონმდებლობის მოთხოვნები. ყველა შემთხვევაში მთავარია განისაზღვროს ატმოსფეროზე მავნე ზემოქმედების ფარგლები, რომლებიც იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველსაც წარმოადგენს. ამ მიზნით, კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მოთხოვნათა ფართო კომპლექსი ატმოსფერული ჰაერის დასაცავად ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და განლაგე-

ბის დროს, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მქონე სა-
წარმოთა, მონყობილობათა და სხვა ობიექტების პროექტირე-
ბის, მშენებლობის დროს. თვითმფრინავების, გემების და გა-
დაადგილების სხვა საშუალებათა პროექტირების, წარმოები-
სა და ექსპლუატაციის დროს, გამოგონებათა, ახალი ტექნი-
კური სისტემების დანერგვისა და იმპორტული მონყობილო-
ბების შექმნისას, მცენარეთა დაცვის, მათი ზრდის სტიმული-
რების საშუალებათა, მინერალური სასუქების და სხვა პრეპა-
რატების გამოყენებისას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვე-
ბის, ფეთქებადი სამუშაოების განხორციელების, ნაგავსაყ-
რელთა და სხვათა განლაგებისა და ექსპლუატაციის გან-
საზღვრისას, ამინდსა და კლიმატზე ზემოქმედებისას და სხვ.

§ 2. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო მართვა

ატმოსფერული ჰაერის დაცვა მოიცავს სხვადასხვა მხა-
რეს, რის გამოც მისი დაცვის მოვალეობა დაკისრებული აქვს
მრავალ ორგანოს და ორგანიზაციას.

ატმოსფერული ჰაერის სამართლებრივი დაცვა გულის-
ხმობს არა მხოლოდ სავალდებულო ნორმატივების შემუშავე-
ბას, არამედ იმ ამკრძალავი ღონისძიებების გატარებას, რომ-
ლებიც მიზნად ისახავენ ატმოსფერული ჰაერის დაცვას და-
ბინძურებისა და მონამვლისაგან, აგრეთვე სამინისტროებისა
და უწყებებისათვის ვალდებულებების განსაზღვრას ატმოს-
ფერული ჰაერის სისუფთავის უზრუნველსაყოფად, სახელ-
მწიფო კონტროლის ორგანიზაციას და პასუხისმგებლობის
გამოყენებას ატმოსფეროს დაცვის კანონმდებლობის დარ-
ღვევისათვის.

აბსოლუტურად სუფთა ჰაერი ბუნებაში არ არსებობს. მი-
სი სისუფთავის კრიტერიუმია ჰაერში იმ ოდენობით მავნე
ნივთიერებების არსებობა, რაც არავითარ ცუდ ან საშიშ გავ-
ლენას არ მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. დღეს მოქ-

მედებს ნორმატივები, რომლებიც განსაზღვრავენ მავნე ნივთიერებათა ერთჯერადი და დღე-ღამური დაფრქვევის ზღვრულ ოდენობას, როგორცაა: ქლორი, გოგირდის ანჰიდრიდი, გოგირდწყალბადი, გოგირდნახშირბადი, გოგირდის ზეჟანგი, დარიშხანი, ტყვია და სხვ. ასევე დადგენილია რადიოაქტიული ნივთიერებების ატმოსფეროში გაშვებისა და წყალში მისი დოზის ზღვრული ოდენობა, ადამიანის გარე და შინაგანი დასახივების დოზები (0,017 რენტგენი დღეში).

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობასა და განაშენიანების ნორმატივების დადგენას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დასახლებულ პუნქტებში მტვრისა და გაზების საშიში კონცენტრაციის წარმოშობა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე კონტროლს აწარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანობი. ასევე მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლის სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის სამსახურიც ასევე მეტად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში.

გარემოს დაბინძურების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო სახელმწიფოებრივ სამსახურს ეკისრება მოვალეობა უზრუნველყოს დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, ორგანიზაციები, სანარმოები, დაწესებულებები და მოქალაქენი სისტემატური ინფორმაციით და პროგნოზებით სამეურნეო საქმიანობისა და მეტეოროლოგიური პირობების გავლენით ატმოსფეროს დაბინძურების დონის შესახებ. თუ მეტეოროლოგიური ფაქტორების, ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევისა და ატმოსფერულ ჰაერზე სხვა მავნე ზემოქმედების არახელსაყრელი შეხამების შედეგად ცალკეულ რაიონებში საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას, გარემოს დაბინძურების დონეზე დაკვირვებისა და კონტროლის საერთო-სა-

ხელმწიფოებრივი სამსახურის ორგანოები ვალდებულნი არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ ზემდგომ ორგანოებს, დაინტერესებულ სანარმოებს, დანესებულებებსა და ორგანიზაციებს. ასეთი ცნობების მიღებისას, დადგენილი წესით გადაჰყავთ მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე ან დროებით აჩერებენ სანარმოთა, დანესებულებათა, ორგანიზაციათა და სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობას იმ მიზნით, რათა შეამცირონ განაფრქვევის ინტენსიურობა, აღმოფხვრან ატმოსფეროზე სხვა მავნე ზემოქმედება; საჭირო შემთხვევაში ახორციელებენ მოსახლეობის დროებით ევაკუაციას და ატარებენ სხვა გადაუდებელ ღონისძიებებს.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა ყველა სამინისტროს, დეპარტამენტის და სხვა უწყების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სანარმოთა, დანესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფის მიღწევა, ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევისა და მასზე მავნე ზემოქმედების პირობების დაცვა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვაზე ზედამხედველი სპეციალური ორგანოები (ინსპექცია, პოლიცია) თვალყურს ადევნებენ, რათა ორგანიზაციებმა, სანარმოებმა, დანესებულებებმა და მოქალაქეებმა განუხრელად დაიცვან კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, აგრეთვე გარემოს დაცვის ზედამხედველ ორგანოთა სავალდებულო მითითებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, დებულებები, შეასრულონ ატმოსფერული ჰაერის დაცვის გეგმები და დავალებები; აღნიშნული ორგანოები აკონტროლებენ ატმოსფეროში დაბინძურებათა დასაშვებ ნორმატივებს, აგრეთვე დაბინძურების წყაროს შემცველ ორგანიზაციათა (როგორც სანიტარულ, ისე გადაადგილებად) მიერ ჰაერში დაბინძურების ზღვრულ დასაშვებ ნორმატივებს, ასევე ამ დაბინძურებათა შემცირების შესაძლებლობებს. ამავე დროს, ეს ორგანოები ამოწმებენ ახალ

და რეკონსტრუირებულ სანარმოთა, მონყობილობათა და სხვა დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მოთხოვნათა შესრულებას. ისინი ატარებენ კონტროლს იმ ღონისძიებებზე, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტისა და გადაადგილების სხვა საშუალებათა მიერ დაბინძურების შემცირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ორგანოები თვალყურს ადევნებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვას მცენარეთა დაცვის საშუალებათა, სტიმულატორების, მინერალური სასუქების და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების დროს.

ატმოსფერულ ჰაერზე სანიტარული ზედამხედველობა ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მიერ, კერძოდ, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მთავარი სამმართველოს, რაიონისა და ქალაქების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მიერ. სახელმწიფოს სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი ამოცანაა კონტროლი გაუნიოს იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მიზანია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ლიკვიდაცია და თავიდან აცილება როგორც სამრეწველო-სატრანსპორტო, ისე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმიანობის შედეგად. სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ: ნებისმიერ დროს შეამოწმონ საზედამხედველო ობიექტები; მოითხოვონ ცნობები და დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია მოცემული ობიექტის სანიტარული და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გასარკვევად; მისცენ სავალდებულო წინადადებები და განკარგულებები აუცილებელი სანიტარული ღონისძიებების შესასრულებლად; მისცენ სავალდებულო დასკვნები სანიტარული რეჟიმის დაცვის შესახებ დასახელებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმონყობის დროს, კომუნალური, სამრეწველო, სატრანსპორტო ობიექტების განლაგების გეგმის შედგენისას, წარმოების პროფილისა და ტექნოლოგიის რეკონსტრუქციის, გაფართოების, შეცვლის დროს,

იმ დროს, რაც შეეხება ნედლეულის სახეების, სამრეწველო პროდუქციის წარმოქმნას, რომლებმაც შეიძლება მავნე ზემოქმედება მოახდინონ გარემოზე, კერძოდ, ატმოსფერულ ჰაერზე.

სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების დასკვნის საფუძველზე წარმოებს სამრეწველო, სამოქალაქო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება. ამ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ან აკრძალონ ობიექტების ექსპლუატაცია აუცილებელი სანიტარულ-ეპიდემიური ღონისძიებების ჩატარებამდე. სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეატყობინონ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მათი ხელქვეითი მუშაკების მიერ სანიტარული უსაფრთხოების წესების შეუსრულებლობის შესახებ და მოითხოვენ მათი დისციპლინური დასჯა. თუ ეს ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა, სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ გამოიყენონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აღნიშნული პირების მიმართ.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამაბინძურებელ ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევის მონესრიგების წესებს. კერძოდ, დამაბინძურებლის სტაციონალური წყაროს მიერ ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევა დაიშვება იმ ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. ნებართვაში ითვალისწინებენ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევების ნირმატივებს, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველსაყოფ სხვა პირობებსა და მოთხოვნებს. აღნიშნული ორგანიზაციები ვალდებული არიან განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებები გაფრქვევის ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მიიღონ ზომები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვე-

ვების შესამცირებლად, უზრუნველყონ განაფრქვევის სანმენ-
დი და მისი საკონტროლო ნაგებობათა, მოწყობილობებისა და
აპარატურის შეუფერხებელი ეფექტიანი მუშაობა და წესიერ
მდგომარეობაში შენახვა, აგრეთვე განახორციელონ ატმოს-
ფეროში გაფრქვეულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაო-
დენობისა და შემადგენლობის სისტემატური აღრიცხვა. ატ-
მოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება
არ უნდა იწვევდეს ნიადაგის, წყლის და სხვა ბუნებრივი ობი-
ექტების დაბინძურებას. ავარიული სიტუაციების შედეგად
ატმოსფეროში დანაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრული
დასაშვები გამონაფრქვევის დადგენილი ნორმატივების გადა-
მეტების შემთხვევაში სანარმოების, დაწესებულებების და
ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოფ-
ნებლივ აცნობონ ეს გარემოება ატმოსფერული ჰაერის დაც-
ვის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანო-
ებს და მიიღონ ზომები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და მი-
სი დაბინძურების მიზეზებისა და შედეგების სალიკვიდაცი-
ოდ. სანარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომ-
ლებიც მიიღებენ გაფრთხილებას მოსალოდნელი არახელსაყ-
რელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ჰაერში დანაბინ-
ძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შესაძლო გადიდე-
ბის შესახებ, მოვალენი არიან ატმოსფერული ჰაერის დაცვის
კონტროლის ორგანოებთან შეთანხმებით შეასრულონ სპეცი-
ალურად შემუშავებული ღონისძიებანი ატმოსფეროში ასეთ
ნივთიერებათა გამონაფრქვევის შესამცირებლად.

მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოს-
ფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის მოსა-
წესრიგებლად გათვალისწინებულია, რომ სამინისტროები,
დეპარტამენტები, უწყებები, სანარმოები, დაწესებულებები
და ორგანიზაციები, რომლებიც აპროექტებენ ავტომანქა-
ნებს, თვითმფრინავებს, გემებს და სხვა მოძრავ საშუალებებ-
სა და დანადგარებს, ახორციელებენ მათ წარმოებასა და ექ-
სპლუატაციას, მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციე-

ლონ სამუშაოთა კომპლექსი ამ საშუალებებისა და დანადგარების მიერ ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის თავიდან აცილების და შემცირებისათვის. სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებებისა და დანადგარების მიერ გამონაფრქვევ დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დანესებულ ნორმატივებს. ექსპლუატაციაში არსებული ყველა სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალება და დანადგარი ექვემდებარება კონტროლს დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები განაფრქვევის ნორმატივების დაცვისადმი. არ დაიშვება ისეთი სატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების და დანადგარების წარმოება და ექსპლუატაცია, რომელთა განაფრქვევაში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობა დადგენილ ნორმატივებს აღემატება. ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ კანონმდებლობის შესაბამისად შეზღუდონ ტრანსპორტისა და სხვა მოძრავ საშუალებათა შესვლა დასახლებულ პუნქტებში, გარკვეულ ზონებში, დასვენების და ტურიზმის ადგილებში, ან დაანესონ გადასახადი ჰაერის სპეციალური გამწმენდი საშუალებების მოსაწყობად.

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოები, დანესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან შეიმუშავონ და განახორციელონ ატმოსფეროს ბგერითი რბევების, მათ შორის ხმაურის, გამოსხივების და სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და ატმოსფეროს ღონისძიებანი. ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ცალკეული სახეობანი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. ატმოსფერულ ჰაერზე ყოველგვარი მავნე ფიზიკური ზემოქმედება დაიშვება იმ პირობით, თუ დაცულია დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმატივები, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გაცე-

მულია ნებართვა ან ნებართვის გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც, ამ მოთხოვნათა დარღვევისას ცალკეული საწარმოების, საამქროების, დანადგარების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესაბამისი საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს, შეიზღუდოს ან აიკრძალოს ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადანყვეტილებით, ვიდრე არ აღმოიფხვრა ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გადამეტება ან ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა.

საწარმოო და სხვაგვარ ხმაურთან ბრძოლის მიზნით უნდა დაინერგოს ნაკლებხმაურიანი ტექნოლოგიური პროცესები, გაუმჯობესდეს სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციები და მათი ექსპლუატაცია, აგრეთვე რკინიგზის ხაზების, სამანქანო გზების, ქუჩის საფარის მოვლა-პატრონობა. დასახლებული პუნქტებიდან და საცხოვრებელი განაშენიანების რაიონებიდან სათანადო მანძილზე უნდა განლაგდეს აეროდრომები და აეროპორტები, სამრეწველო და სხვა ნაგებობანი და მოწყობილობანი, რომელიც ხმაურის წყაროს წარმოადგენენ. უნდა განხორციელდეს ღონისძიებები საყოფაცხოვრებო ხმაურის თავიდან აცილებისა და შემცირებისათვის. მოქალაქენი მოვალენი არიან შეასრულონ მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია საყოფაცხოვრებო ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ბინებში, საცხოვრებელი სახლების ეზოებში, ქუჩებში, დასასვენებელ ადგილებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე კანონით ცალკეა მოწესრიგებული. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის და სა-

ექსპლუატაციოდ გადაცემის დროს, არსებულთა სრულყოფი-
სა და ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მონყობილო-
ბების დანერგვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ატმოსფერ-
ულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების ნორმატივების დაცვა.
ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს მავნე ნივთიერებე-
ბისა და ნარჩენების დაჭერა, უტილიზაცია, გაუვნებლება ან
დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სრული გამო-
რიცხვა. საქართველოს ტერიტორიაზე იმ ახალი საწარმოე-
ბის, ნაგებობების, ობიექტების განლაგებისა და მოქმედთა
რეკონსტრუქციის შესახებ წინადადების შეტანა და განხილვა,
რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე, მათი
უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ხორციელდება სა-
ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმ საწარ-
მოების, ნაგებობებისა და ობიექტების მშენებლობის გან-
საზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაე-
რის მდგომარეობაზე და მათი მშენებლობისა და რეკონ-
სტრუქციის პროექტები შეთანხმებული უნდა იქნეს ატმოსფერ-
ული ჰაერის დაცვის სახელმწიფო კონტროლის ორგანოებ-
თან. აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოე-
ბის, ნაგებობებისა და იმ ობიექტების საექსპლუატაციოდ გა-
დაცემა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაე-
რის დაცვის მოთხოვნებს.

ცალკე მოთხოვნები წაეყენება ქალაქებსა და სხვა დასახ-
ლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დროს
ატმოსფერული ჰაერის დაცვას. ქალაქებისა და სხვა დასახ-
ლებული პუნქტების განლაგებისა და განვითარების დაგეგ-
მვისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ატმოსფერული
ჰაერის მდგომარეობა, მისი შეცვლის პროგნოზი და მავნე ზე-
მოქმედებისგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ამოცანა. ქა-
ლაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაპროექტება,
განაშენიანება, რეკონსტრუქცია უნდა წარმოებდეს ატმოს-
ფერული ჰაერის დაცვის სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა
ნორმებისა და წესების შესაბამისად. ამ მიზნით, უნდა გან-

ხორციელდეს ღონისძიებები დასახლებული პუნქტების ტერიტორიული კეთილმოწყობისა და გამწვანების გაუმჯობესებისათვის, ხოლო საწარმოებმა, დანესებულებებმა და ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. იმ რაიონებში, რომელთა ჰაერზე გავლენას ახდენს საწარმოთა, დანესებულებათა და ორგანიზაციათა ჯგუფის საქმიანობა, დადგენილი ნესით მუშავდება და ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების კომპლექსური ღონისძიებები. ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა განაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების დადგენილ ნორმატივამდე შემცირების შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი საწარმოები, ნაგებობანი და სხვა ობიექტები იხურება ან იცვლება მათი საწარმოო პროფილი.

აკრძალულია აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების, ახალი ტექნიკური სისტემის, ნივთიერებისა და მასალის დანერგვა, აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სხვა ობიექტების საზღვარგარეთ შექმნა, თუ ისინი არ შეესაბამებიან საქართველოში დანესებულ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი არ არიან ატმოსფერულ ჰაერში განაფრქვევისადმი კონტროლის ტექნიკური საშუალებებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი მოვალენი არიან შეასრულონ მცენარეთა დაცვის საშუალებების, მათი ზრდის სტიმულირების, მინერალური სასუქებისა და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების ნესები, რათა არ დაუშვან ამ ნივთიერებებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დასახლებულ პუნქტებში, ტერიკონების, ნაგავსაყრელების განლაგება, სამრეწველო ნარჩენების, საწარმოო, საყოფაცხოვრებო ნაგვისა და სხვა იმ ნარჩენების დანყოფა, რომლებიც ნარმოადგენენ მტვრით, მავნე გაზისებრი და მყარი ნივთიერებებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყა-

როს, აგრეთვე აკრძალულია აღნიშნული ნარჩენების დანვა სანარმოების, დანესებულებების, ორგანიზაციებისა და დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე. სანარმოები, დანესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქენი მოვალენი არიან უზრუნველყონ ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნარჩენების დროული გატანა სპეციალიზებულ სანაგვეებზე ან იმ სანარმოებში, რომლებიც ამ ნარჩენებს ნედლეულად იყენებენ.

ატმოსფერული ჰაერის მავნე ზემოქმედება, რომლისთვისაც დადგენილი არ არის შესაბამისი ნორმატივები, შეიძლება დაშვებულ იქნას გამონაკლისის შემთხვევაში, ისიც სპეციალური ნებართვით, რომელსაც გარკვეული ვადით გასცემენ შესაბამისი ზედამხედველი ორგანოები. ამ ვადაში უნდა დადგინდეს მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები შესაბამისი ნორმატივები და განხორციელდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის საჭირო ღონისძიებანი.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ზედამხედველ ორგანოებს შეუძლიათ შეზღუდონ, შეაჩერონ ან აკრძალონ ჰაერის მოხმარება სანარმოო საჭიროებისათვის, იმ შემთხვევაში, როცა ეს იწვევს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის ცვლილებებს, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე.

მოქმედება, რომელიც მიმართულია სახალხო-სამეურნეო მიზნით ატმოსფეროს მდგომარეობისა და ატმოსფერული მოვლენების ხელოვნურად შესაცვლელად, შეიძლება განხორციელდეს სამინისტროებისა სხვა ორგანოების, უწყებების, სანარმოების, დანესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მხოლოდ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვით და მხოლოდ იმ პირობით, თუ ამას შედეგად არ მოჰყვება არახელსაყრელი ზემოქმედება ამინდსა და ჰაერზე.

ამგვარად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის და მასზე ზემოქმედების ღონისძიებები საკმაოდ ვრცელია. ყოველი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა, რა თქმა უნდა, არ იწვევს სა-

მართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ საკმაოდ ეფექტურ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ითვალისწინებს შეზღუდვებისა და აღკვეთის სახით. სწორედ ამ ღონისძიებების ეფექტური გამოყენებაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის რეალური გარანტია. სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი დამატებითი ღონისძიებაა, როდესაც სამართალდამრღვევებზე საჭიროა იძულებითი ზომების გამოყენება.

§ 3. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დარღვევისათვის

ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დარღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის მიმართ, სადაც ამ წესების დარღვევა მოხდა. ამასთან დისციპლინური სახდელები შეიძლება დავაკისროთ მხოლოდ მომსახურეებს და არა გარეშე პირს. დისციპლინური პასუხისმგებლობა ფართოდ გამოიყენება თანამდებობების დაუდევარი პირების მიმართ, რომლებიც არა თუ ქვეითდებიან თანამდებობრივად, არამედ შეიძლება დათხოვნილ იქნენ კიდევ სამუშაოდან ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესებისადმი უყურადღებობის გამო, თუკი მათ ქმედებაში სხვა სამართალდარღვევის ნიშნები არ შეიმჩნევა.

დეტალურადაა მოწესრიგებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების დარღვევისათვის. მას ეძღვნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 8 მუხლი (77-დან 85-მდე). ასეთ დარღვევებს პირველ რიგში განეკუთვნება ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევა ნორმატივების გადამეტებით ან უნებართვოდ, აგრეთვე ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება (მუხ. 77). ამ მუხლის თანახმად ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა

ზღვრულად დასაშვები ან დროებით შეთანხმებული განაფრქვევის ნორმატივების გადამეტება, ატმოსფერულ ჰაერზე ზღვრულად დასაშვები მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების გადამეტება, ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევა ან მავნე ფიზიკური ზემოქმედება სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ნებართვის გარეშე, როდესაც ასეთი ნებართვის მიღება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით, გამოიწვევს თანამდებობის პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 50-დან 100 მინიმალურ ოდენობამდე.

ატმოსფეროში განაფრქვევის სანმენდი და საკონტროლო ნაგებობების, მოწყობილობების, აპარატურის ექსპლუატაციის წესების დარღვევა ან მათი გამოუყენებლობა, ასევე გამოიწვევს თანამდებობის პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 10-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე (მუხ. 78). საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნილებებს გამოიწვევს ბრალეული თანამდებობის პირის დაჯარიმებას 100-დან 500 ლარის ოდენობამდე (მუხ. 79¹). ამ მუხლში დიფერენცირებულია პასუხისმგებლობა განმეორებითი გადაცდომებისათვის, მესამე და მეორე კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ცალკე შეეხება სატრანსპორტო საშუალებათა მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას. კერძოდ, კოდექსის მე-80 მუხლში აღნიშნულია, რომ ისეთი სატრანსპორტო და სხვა მოძრავ საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება, რომელთა განაფრქვევაში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე, აღემატება დადგენილ ნორმატივებს, გამოიწვევს ბრალეული თანამდებობის პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 5-დან 10 მინიმალურ ოდენობამდე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში ავტომანქანების გამოშ-

ვება შეწყვეტილია, ისევე როგორც თვითმფრინავების და გემების. ამიტომ ამ ნორმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ნორმა გადმოტანილი იყო რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან, სადაც აღნიშნული ტრანსპორტის საშუალებები მზადდებოდა. მომავალში, ჩვენშიც შეიძლება დამზადდეს გემები და სამგზავრო თვითმფრინავები, მსუბუქი და საბარგო ავტომანქანები. ამის მაგალითს თვით რუსეთი იძლევა, სადაც მხოლოდ პეტრე I-ის დროიდან დაიწყო გემების მშენებლობა და დღეს ის დიდი ზღვაოსნობის ქვეყანაა. არგონავტები საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოგზაურობდნენ და, რა გასაკვირია, რომ საქართველოც დიდი ზღვაოსნობის ქვეყანა გახდეს. მაგრამ ვიდრე ეს მრეწველობა ჩვენში არ განვითარებულა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღება არარსებული პროდუქციის წარმოებაზე არარეალურია. სამაგიეროდ კოდექსის სხვა მუხლი (მუხ. 81) აწესებს მოქალაქეთა მიერ ისეთი ავტო-მოტოსატრანსპორტო და სხვა მოძრავი საშუალებების და დანადგარების ექსპლუატაციისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელთა განაფრქვევაში დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს. ამ დარღვევისათვის გათვალისწინებულია გაფრთხილება ან დაჯარიმება შრომის ანაზღაურების 5 მინიმალურ ოდენობამდე.

კოდექსის 82-ე მუხლი ითვალისწინებს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწყოების წესების დარღვევას, აღნიშნული ნარჩენების დაწვისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნათა დაუცველობას, რისთვისაც დაწესებულია გაფრთხილება, ან ჯარიმა მოქალაქეებისათვის 5-10 მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირზე 10-20 მინიმალურ ოდენობამდე; ხოლო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად მცენარეთა დაცვის საშუალებების და სხვა პრეპარატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესის დარღვევა, რასაც მოჰყვა, ან შეიძლება მოჰყოლოდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, გამოიწვევს მოქალაქეთა გაფრთხი-

ლებას, ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 5-10 მინიმალურ ოდენობამდე; თანამდებობის პირებისათვის – გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომითი ანაზღაურების 10-დან 20 მინიმალურ ოდენობამდე; დაბოლოს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილია მუხლი 84-ე, რომლითაც დაწესებულია გაფრთხილება და ჯარიმა 5-10 მინიმალური ხელფასის ოდენობამდე ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოების მითითებათა შეუსრულებლობისათვის. ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება, ვფიქრობთ, არ არის სწორი, ვინაიდან ლაპარაკია ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებაზე („მითითებათა შეუსრულებლობა“), რაც ადმინისტრაციულ გადაცდომას კი არ ქმნის, არამედ დისციპლინური სამართალდარღვევაა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღებით შეიძლება ნებისმიერი ბიუროკრატი ზედამხედველის მუშაობა მაღალ დონეზე მოგვეჩვენოს. ჰაერის კონტროლის ორგანოებს ევალებათ მიიღონ ზომები ზემდგომი ორგანოების მეშვეობით იმ თანამდებობის პირის ან რიგითი მოსამსახურის დასასჯელად თვით სამსახურიდან დათხოვნამდეც კი, რომელიც დაუდევრად არღვევს ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესებს. თუ ჩვენ გვინდა ბიუროკრატები გავამრავლოთ, არ ვიზრუნოთ მათ ალაგმვაზე, მაშინ უმჯობესია ყველა მათი მოთხოვნის შეუსრულებლობა სამართალდარღვევად ვაქციოთ. ეს კი მუშაობის არავითარ სტილს და მეთოდებს არ შეესაბამება.

დაბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსი სპეციალურად ითვალისწინებს 288-ე მუხლს, რომლითაც გარემოსათვის საშიში ნივთიერებებისადმი ან ნარჩენებისადმი მოპყრობის წესების დარღვევა ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე, ხოლო თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა – თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე, მაგრამ თუ ამან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ადამიანთა მასობრივი დაავადება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 8 წლამდე.

თავი VII

წყლების სამართლებრივი დაცვა

§ 1. წყლები, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი

წყალი ყველაზე გავრცელებული ნივთიერებაა დედამიწაზე. ის ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ადამიანს შეუძლია საჭმლის გარეშე იცხოვროს ორ თვემდე, მაგრამ უწყლოდ ერთი კვირაც ვერ გაძლებს. ადამიანის არსებობისათვის უმთავრესად მტკნარ წყალს აქვს მნიშვნელობა. მტკნარი წყლების საერთო მოცულობა დაახლოებით 28,25 მლნ მ³ უდრის, რაც ჰიდროსფეროს მხოლოდ 2 % შეადგენს.

ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთეულ ფართზე მოსული შიდა წყლის (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) მარაგის მიხედვით საქართველოს პირველი ადგილი ეკავა. ქვეყნის ტერიტორიაზე 25 ათასზე მეტი მდინარეა საერთო სიგრძით 54 768 კმ; სულ 860 ტბაა, ჯამური ფართობი 179 კმ²-ზე მეტი. საქართველოში აშენებულია 40 მეტი წყალსაცავი, მათ შორის ყველაზე დიდია ენგურის – მოცულობით 1100 მლნ მ³, სიონის – 325 მლნ მ³, წალკის – 312 მლნ მ³ და ა.შ.

საქართველოს წყლის რესურსები გამოიყენება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების და ენერგეტიკის საჭიროებისათვის. წყლის რესურსების 60%-მდე გამოიყენება სოფლის მეურნეობაში (მორწყვა, საძოვრების განწყლიანება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური საჭიროებისათვის და სხვ.). 1990 წლის მონაცემებით მორწყუ-

ლი იყო 450 ათასი ჰა, განყლიანებული იყო ზათრის საძოვრების 602 ათასი ჰა, სარწყავი და დასაშრობი არხების საერთო სიგრძე შეადგენდა 24 ათას კმ-ზე მეტს. ხარჯის მხვრივ, სასოფლო-სამეურნეო წყალმომხარებაში პირველ ადგილზეა სარწყავი მიწათმოქმედება. სამრეწველო, წყალმომხარებლებისაგან განსხვავებით, სადაც წყალი სხვა ტექნოლოგიურ პროცესში შეიძლება სხვა რამით შეიცვალოს, სოფლის მეურნეობაში ასეთი შეცვლა შეუძლებელია. სოფლის მეურნეობა არის წყლის მუდმივი მომხმარებელი, სადაც წყლის ხარჯი ძირითადად დაუბრუნებელია (წყალმომხმარების დაახლოებით 3/4). ამჟამად მთავარი წყალმომხმარებელია მემცენარეობა.

საქართველოს პოტენციური ჰიდროენერგორესურსები 159,4 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენენ, საიდანაც ათვისებულობა მხოლოდ 12 %-მდე. შექმნილი მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია ტექნიკური და ეკონომიკური სიძნელებით.

საქართველოს ტერიტორიაზე წყლის რესურსები თანაბრად არ არის განაწილებული: დასავლეთ საქართველოში 1 მ³-ზე 2-3 ჯერ მეტი ნალექი მოდის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლსა და კახეთში დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწები ჰიდროტექნიკურ-მელიორაციულ ღონისძიებებს მოითხოვს. წყლის სიმცირე განსაკუთრებით იგრძნობა ზაფხულობით მდინარეთა ქვედა უბნებზე.

ქვეყნის ტერიტორიაზე წყლის რესურსების არათანაბარი განაწილება განსაზღვრავს წყლების დაცვის აუცილებლობას.

არასწორი სამეურნეო საქმიანობის და აგრეთვე წყლის ობიექტების არასაკმარისად დაბალანსებული გამოყენების შედეგად ადგილი აქვს ისეთ არახელსაყრელ შედეგებს, როგორცაა წყალსატევების დაბინძურება და დაშრება. ეს უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო წყლის ელემენტების მდგომარეობაზე, არამედ წყალთან მჭიდროდ დაკავშირებული ბუნების სხვა ობიექტებზეც, მათ შორის ნიადაგზე, მცენარეულ და ცხოველთა სამყაროზე. მდინარეების დაბინძურებაში ყველაზე აქტიური როლი ეკუთვნის ეროზიას. ქვეყნის წყალშემკრებ აუზზე

ბიდან წელიწადში საშუალოდ ჰექტრიდან 1-3 ტონა ნიადაგი ჩამორეცხება.

წყლების ძლიერი დაბინძურება იწვევს მათი ტემპერატურის ზრდას, რის შედეგადაც ხდება შიდა წყალსატევების თერმული რეჟიმის დარღვევა, წყლები კარგავენ თვითგანმენდის უნარს. ასეთ წყალსატევებში იზრდება ფიტოპლანქტონი და აღინიშნება მათი „ყვავილობა“. წყლების არარაციონალურმა გამოყენებამ და წყალბრუნვის დარღვევამ შეიძლება, თავის მხვრივ, გამოიწვიოს წყლის რესურსების თვითგანახლების პროცესის დარღვევა და მათი გამოლევა.

წყლების დაცვის, მათი თვითგანმენდის და თვითაღდგენის უნარის შენარჩუნების მიზნით გამოიყენეს მათი დაცვის სანიტარული, ჰიგიენური, სამეურნეო-ორგანიზაციული, ბიოლოგიური მეთოდების მთელი სისტემა. წყლების დაცვის მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის წყლების სამართლებრივ დაცვას. წყლების სამართლებრივ დაცვაში იგულისხმება იმ სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია წყლების ბუნებრივი მარაგების შენარჩუნების, აღდგენისა და გაუმჯობესებისაკენ.

წყლების რესურსების სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ისახავს შემდეგ ძირითად ამოცანებს: 1) მიწისქვეშა და მიწის ზედაპირის წყლის რესურსების აღიარება სახელმწიფო საკუთრებად; 2) წყლის რესურსების კომპლექსურად, გეგმაზომიერად და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა; 3) წყალმოსარგებლე ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის უფლება-მოვალეობის დადგენა; 4) მიწათმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი სამელიორაციოდ განკუთვნილი წყალსარგებლობის შემთხვევაში; 5) პასუხისმგებლობა წყლის რესურსების გამოყენების წესების დარღვევისათვის; 6) წყლის სარგებლობის შედეგად გამოწვეული დავების გადაჭრის საკითხი და ა.შ.

წყლის კანონმდებლობის საგანს წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობის ის სფერო, რომელიც აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო

მოთხოვნილებას, უზრუნველყოფს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის თუ სხვა დარგის მოთხოვნილებას წყალზე. წყლის მიწოდება, განაწილება სარგებლობა (მოხმარება) და მისი დაცვა წესრიგდება სამართლებრივი ნორმებით წყლის შესახებ.

ყველა სახის წყლის რესურსები, ბუნებრივი თუ ხელოვნური, აღირიცხება წყალთა რესურსების სახელმწიფო რეესტრში, სადაც გათვალისწინებულია რესურსების სახეები, მათი ადგილმდებარეობა, მოცულობა, ჰიდროტექნიკური მაჩვენებლები, ნაგებობათა ღირებულება და ა.შ.

§ 2. წყლის რესურსების სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები სამეურნეო სარგებლობის, თუ სხვაგვარი დანიშნულებისათვის იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად ან რესურსებად:

1. მრეწველობისათვის განკუთვნილი წყლები;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებული წყლის რესურსები;
3. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისათვის გამოსაყენებელი წყლები;
4. სპეციალური დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი
5. წყლის რესურსები, მათ შორის:
 - საზღვაო-სამდინარო სატრანსპორტო დანიშნულება;
 - ჰიდროელექტროსადგურებისათვის;
 - თევზისა და წყლის ცხოველთა (ფრინველთა) მოშენებისათვის;
 - სამკურნალო-სასპორტო დანიშნულებისათვის;
 - კომუნალური მომსახურებისათვის (მოსახლეობისათვის სასმელი და სამეურნეო საჭიროებისათვის) და სხვ.

ამჟამად, წყლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

წყალმოსარგებლეს, ერთი მხრივ, უფლება აქვს გამოიყენოს წყალი პირდაპირი დანიშნულებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მოვალეა შეასრულოს წყალზე საზედამხედველო ორგანოების მითითებანი, ზუსტად დაიცვას კანონით დადგენილი ნორმები, იზრუნოს წყალნაგებობათა მოვლა-პატრონობაზე. ამით განისაზღვრება წყალმოსარგებლის სარგებლობის უფლებამოსილი სუბიექტის და სამართლებრივი უფლებების მონაწილის როლი, ე.ი. წყალმოსარგებლის უფლება და მოვალეობა. მართალია წყალმოსარგებლეს წყლის გამოყენების უპირატესი უფლება აქვს, მაგრამ მას იმავდროულად ეკისრება წყლის მხოლოდ სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენების უზრუნველყოფა, მაგალითად, საირიგაციო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ეფექტური გამოყენება სრულდება წყლის გამოყენების სწორი ორგანიზაციით, გეგმაზომიერი და კომპლექსური წყალგამოყენებით, დანაკარგების მაქსიმალური შემცირებით, წყალსარგებლობისათვის დადგენილი წესების ზუსტი დაცვით და წყლის არასწორი გამოყენების შემთხვევაში შესაბამისი ორგანოებისთვის დაუყოვნებელი შეტყობინებით.

დღემდე წყლის გამოყენება წესრიგდება სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე. სახელშეკრულებო ურთიერთობები, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდნენ წყლის გეგმაზომიერად გამოყენებას.

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი წყლის შესახებ) წყლით მოსარგებლე სუბიექტებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოებისადმი დაქვემდებარებული სანარმოები და დანესებულებები, რომლებიც ახორციელებენ წყლის რესურსების გამოყენებას;
- სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები, რომლებსაც აქვთ არხები და სხვა სამელიორაციო ნაგებობანი, აგრეთვე მეურნეობები, რომლებიც გამოიყენებენ სხვის სარგებლობაში მყოფ სამელიორაციო ქსელს;
- სამრეწველო დანესებულებანი, რომელთაც მოეპოვებათ ჰიდროტექნიკური ნაგებობანი;

- საქალაქო და უწყებრივი წყალსადენის მეპატრონეები;
- მცირე არხებისა და წყალსატუმბავების მქონე იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ წყლით სხვადასხვა მიზნებისათვის;
- ჰიდროელექტროსადგურების საექსპლუატაციო ორგანოები;
- საკურორტო სამმართველოები და კურორტები, რომლებიც იყენებენ სამკურნალო წყლებს;
- მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნები;
- მადნეულისა და სხვა წიაღისეულის მომპოვებელი ორგანიზაციები;
- ნავსადგურები და სანაოსნოები;
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ წყლის რესურსებს (ბორნების, წისქვილების, აბანოების, სპორტული სადგურების მოსაწყობად);
- ხე-ტყის დასაცურებელ მდინარეთა გამომყენებელი და ხე-ტყის მრეწველობის ორგანოები;
- თევზისა და წყლის ცხოველების დამჭერი ორგანიზაციები.

მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით განისაზღვრება ზემოთ ჩამოთვლილი სუბექტების წყალთა რესურსების გამოყენების სამართლებრივი მდგომარეობა, რასთანაც უშუალოდაა დაკავშირებული მათი გამოყენების (მოხმარების) წესი და პირობები.

მრეწველობა არის წყლის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელი. ცნობილია, რომ 1 ტონა შაქრის წარმოებაზე იხარჯება 1000 მ³ წყალი, 1 ტონა ქალაღის წარმოებას ესაჭიროება – 250 მ³, ნიკელისას – 4000 მ³ და ა.შ.

კაცობრიობის განვითარება უშუალოდ იყო დაკავშირებული წყლის რესურსებთან. სწორედ ამიტომ კულტურის ძველი ცენტრები ვითარდებოდა მდინარეებით მკვებავ სივრცეებზე, მათ შორის მდინარეთაშორისებში. სხვა ადგილებში ნიადაგი ხელოვნურად ირწყვებოდა. უძველესი დროიდან წყალსადენები ცნობილი იყო მრავალ ქვეყანაში (ურარტუ, ჩინეთი, სპარ-

სეთი, რომი, საბერძნეთი და ა.შ.). მორწყვა საქართველოში ოდითგანვე იყო ცნობილი. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ მთაგორიან ადგილებში აქლემით ატრიალებდნენ ბორბლებს და აწვდიდნენ წყალს ისეთ ადგილებში, სადაც არხის გაყვანა შეუძლებელი იყო. ძველ დოკუმენტებში მოხსენიებულია სამგორის, ტაშისკარის, დიღმის, გორის და სხვა არხები. ალაზნის არხის ნაშთები დღესაცაა საინგილოს ტერიტორიაზე. ვახუშტი ბაგრატიონის (1941) ცნობით: „მდინარე იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაიდან აღმოვლენ რუნი და ირწყვის ველნი და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი“. საინტერესოა, რომ ამ ნაშრომში წყლის შეფასებაცაა მოცემული – „ხოლო ტბა ფარავნისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგება გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მრონლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამსარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მას გამო უგემურობასა“.

საქართველოში ნიადაგის მორწყვა ყოველთვის ითვლებოდა სახელმწიფოებრივ ღონისძიებად. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორის მითითებით დაიწყო სამგორის სარწყავი არხის გაყვანა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირი ომიანობის მიზეზით მიტოვებულ იქნა შუა გზაზე. 1864-1867 წლებში მოეწყო პირველი საინჟინრო სარწყავი ნაგებობა ახლანდელი გარდაბნის რაიონში. ამ ნაგებობის პროექტის ავტორები იყვნენ ინგლისელი სპეციალისტები. არსებობდა სპეციალური კანონები, რომლებიც ეხებოდა ნიადაგის მორწყვის რეგულირებასა და სარწყავი წყლის სწორად გამოყენებას. ამასთან ერთად, მაშინდელი საადგილმამულო კანონმდებლობა პრაქტიკულად ყოველთვის იცავდა წყლის კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს. დებულებაში ამიერკავკასიის მიწების მოსარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ, რომელიც მიღებული იყო 1890 წელს, ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ სარწყავი წყლით სარგებლობის უფლება ენიჭება მიწის მფლობელს და მისი სხვისთვის დათმობა მფლობელის ნებართვის გა-

რეშე აკრძალულია. წყალმომარაგებასა და წყალსარგებლობას განსაზღვრავდა ჩვეულებითი სამართალი, რომელიც მართალია მარტივი იყო, მაგრამ ამავე დროს, სამართლიანი. მემამულეები წყლით ჩვეულებრივ მტაცებლურად სარგებლობდნენ. ამასთან არასაინფინრო ტიპის არხების გაყვანა საჭირო ქსელის, სათავო ნაგებობის, წყალსაშვებების და დიუქერების გარეშე იყო და ეფექტური არ იყო. მტაცებლობა და ძალმომრეობა განპირობებული იყო იმიტაც, რომ არ იყო სარწყავი წყლის სარგებლობის ერთიანი წესები და კომპლექსური გამოყენების გეგმა. ამის შემდეგ გადაჭარბებულად მორწყულ მიწებთან ერთად მრავალი მათგანი მოურწყავი რჩებოდა.

საქართველო სარწყავი რესურსები გამოყენების და მორწყვის საჭიროების მიხედვით იყოფა ორ ძირითად ნაწილად. დასავლეთის (უხვწყლიანი) და აღმოსავლეთის (ნაკლებწყლიანი) ტერიტორიებად. ჩვენში მრავლადაა მთის მდინარეები, რომლებიც ერთდროულად ენერგეტიკისა და რწყვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ. პირველ რიგში ეს ეხება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს რეგიონებს. მდინარე ალაზნით და მისი შენაკადებით ირწყვება შიდა და გარეკახეთის მიწები, მდინარე ივრით – გარეკახეთის და სამგორის ველის მიწები. სიონის წყალსაცავი კვებავს ქვემო სამგორის სარწყავ სისტემას, რომელიც თვითდინებისა და მექანიკური დანადგარების საშუალებით უზრუნველყოფს გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების მიწების დიდი ნაწილის მორწყვას.

ტბებს, როგორც წყლის რესურსების და ბუნებრივ სიმდიდრეთა მრავალრიცხოვან კომპონენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს ტბები გამოიყენება როგორც თევზის მოშენებისათვის (ტაბანყურის, პალიასტომის, ფარავნის, სალამოს, ჯაპანას, ინკითის, ბაზალეთის, ჯანდარის და სხვ.), ისე დასასვენებლად (ბაზალეთის, რინის, ლისის, კუს და სხვ.). ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით ტბის წყლის რესურსების გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი არაა სათანადოდ განსაზღვრული. საჭიროა აიკრძალოს ტბებიდან სარწყავი წყლის ხარჯვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის დონის

შემცირება. ტბები უნდა იყოს დაცული დაბინძურებისაგან, რათა არ შეფერხდეს მათი გამოყენება თევზის მეურნეობისათვის, პირუტყვის სასმელად, თუ სპორტული მიზნებისათვის.

ჩვენში მიწების საკმაო რაოდენობა საჭიროებს მორწყვას. პირველ რიგში ეს ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარება იზღუდება არასაკმარისი ატმოსფერული ნალექებით და მათი არათანაბარი განაწილებით სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი (აღმოსავლეთ ნაწილში) აგრეთვე საჭიროებს მორწყვას (ზაფხულის თვეებში). საკმაოდ პერსპექტიულია ნიადაგის მორწყვა გამდინარე წყლით. ასეთ წყალში მინერალურ ნივთიერებათა მასა გახსნილია რაც უადვილებს მცენარეს მის შეთვისებას.

სამწუხაროდ, ამჟამად ქვეყნის მრავალი ჰიდროტექნიკური სარწყავი სისტემის ნაგებობა მოშლილი, დანგრეული და გაძარცვულია და მათი აღდგენა დიდ კაპიტალდაზიანებებთანაა დაკავშირებული. მიწების მელიორაციის საკითხებს არეგულირებს საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“.

ნიადაგის ხელოვნურად მორწყვის სისტემებს, მათ სახეობებსა და ხერხებს შორის ყველაზე ეფექტურია ნიადაგის მორწყვა დანვიმების წესით, რომლის დროსაც ძირითადად გამოიყენება მოძრავი სარწყავი აგრეგატები. ასეთი მორწყვის დროს იოლია წყლის ნორმების სწორად განსაზღვრა და ნიადაგის ზედმეტად დატენიანების თავიდან აცილება.

საინტერესოა ე.წ. გამანაყოფიერებელი მორწყვა, რომელიც, ჩვეულებრივ, არასავეგეტაციო პერიოდში ხდება (შემოდგომასა და ზამთარში). მინდვრებზე უშვებენ შენონილ ნივთიერებების მქონე მდინარის ნაკადს და დაშლამვის შედეგად ნიადაგი შესამჩნევლად ნაყოფიერდება. ეს წესი წააგავს კულტივირებას, რომელსაც იყენებენ კოლხეთში მიწის ზედაპირის ასამალღებლად და გრუნტის წყლების გავლენის შესასუსტებლად.

აუცილებელია, რომ წყალმოსარგებლებმა კარგ მდგომარეობაში შეინახონ სარწყავი ქსელი, უზრუნველყონ გეგმაზო-

მიერი წყალსარგებლობა, გამოიყენონ რწყვის ყველაზე უფრო სრულყოფილი ტექნიკა, დროულად და წესიერად უზრუნველყონ მოსარწყავი მიწების სასოფლო-სამეურნეო დამუშავება და რწყვისათვის სათანადო მომზადება.

სამწუხაროდ, ქალაქში სასმელ-სამეურნეო წყალზე მზარდი მოთხოვნილება ყოველთვის სრულად არ კმაყოფილდება და ამიტომ საჭიროა კანონმდებლობით მისი მოხმარების მკაცრი რეგლამენტირება.

XX საუკუნეში აღინიშნება სასმელ-სამეურნეო წყალზე მზარდი მოთხოვნილება. ამ სახის რესურსების გამოყენების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წყალი წარმოადგენს. საერთოდ ჭა მიეკუთვნება წყალსადენის პირველ ხელოვნურ ნაგებობას. ჯერ კიდევ 40 საუკუნის წინათ, ეგვიპტეში, შემდეგ ჩინეთში, ბაბილონში და სხვ. იყენებდნენ არტიზიულ წყლებს. ამ წყლებს ამჟამადაც ფართოდ იყენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სამწუხაროდ, დღემდე არტიზიული ჭების წყლის გამოყენება და მისი დაცვა არაა სათანადოდ ასახული კანონმდებლობაში. საერთოდ კი ჭებისა და წყაროების გამოყენება პირუტყვის დასაღვეად კანონით დაიშვება საწყურებლების მოწყობითა და სანიტარული წესების დაცვით. XIX საუკუნის 50-იან წლებში თბილისში იყო 16 პრიმიტიული შადრევანი და 50 აუზი. წყალსაცავების უმრავლესობა კერძო იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ორბელიანს, ბარათაშვილებს, გაბაშვილებს და სხვებს საკუთარი წყალსადენი ჰქონდათ. 1863 წელს მსხვილი მენარმის ყორღანოვის ინიციატივით თბილისში აიგო წყალმისაღები მანქანა (საქაჩავი), რომელიც შეძლებულ მესაკუთრეებს და სახელმწიფო დანესებულებებს ემსახურებოდა.

საქართველოს მრავალ ქალაქში (ჭიათურა, ტყიბული, ფოთი, ზესტაფონი და სხვ.) იყო ძველი, პრიმიტიულად მოწყობილი წყალსადენი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას წყალზე. მოსახლეობა ხშირად ჭუჭყიან წყალს სვამდა, რის გამოც ხშირი იყო ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები.

XX საუკუნის 30-იან წლებში ქვეყნის მსხვილ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ჭიათურა, ტყიბული, რუსთავი და სხვ.) დაიწყო თანამედროვე ცენტრალიზებული წყალსადენების მშენებლობა, რომელშიც ამჟამად სანიტარულ-ჰიგიენურად დაცულ სასმელ წყალს აწვდიან როგორც ქალაქის მოსახლეობას, ისე სხვადასხვა საწარმოებს და დანესებულებებს. ცნობილია, რომ თბილისში პირველი საინჟინრო-ტექნიკური წყალსადენი, რომელიც მოსახლეობას აწვდიდა სასმელ წყალს, იყო ავჭალის წყალსადენი. მისი მშენებლობა განხორციელდა XIX საუკუნის 80-იან წლებში.

თბილისის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება სასმელ წყალზე დაკმაყოფილდა მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც დამთავრდა ნატახტარის წყალსადენის პირველი (1933 წ) და მეორე (1936 წ) რიგის მშენებლობა. ამის გარდა, 1952 წელს დამთავრდა ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობა. ამჟამად თბილისის მკვებავი წყალსადენის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ის ერთი წყაროდან (მდ. არაგვი) იკვებება. მსხვილი ქალაქების მრავალწყაროიანი მომარაგება გამორიცხავს შესაძლო გამოუვალი მდგომარეობის შექმნას.

საერთოდ, წყალმომარაგება და წყალსარგებლობა, მათ შორის, სასმელ-სამეურნეო წყალსადენის მოწყობა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მისი სამართლებრივი რეჟიმი შესაბამისი კანონმდებლობით (ნორმატიული აქტებით) განისაზღვრება, რამეთუ მათ გარეშე წყალსარგებლობა ხდება სტიქიური და უმართავი.

წყლის რესურსებით სარგებლობა, მათ შორის სასმელ-სამეურნეო წყალსარგებლობა ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის (გარიგება) საფუძველზე. ამ დროს ცალკეულ მხარეთა შორის მყარდება, იცვლება ან ისპობა ესე თუ ის ვალდებულება.

წყლის გარეშე საქალაქო მეურნეობის (კანალიზაცია, ტრანსპორტი, ელექტროუზრუნველყოფა და ა.შ.) ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია. ამჟამად არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ქალაქად წყალსადენის სასმელ-სამეურნეო წყლით სარგებლობის უფლება აქვს ყველა მობინადრეს ან იქ

განთავსებულ საწარმოს ან დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ წყლითმოსარგებლე დანიშნულებისამებრ იყენებს და დროულად და სრულად იხდის სათანადო გადასახადს. ბუნებრივია, რომ აუცილებელია მინოდებული და დახარჯული წყლის სწორი აღრიცხვა, რადგანაც მომხმარებლისადმი სიტყვიერი გარიგებით, წერილობით, ხელშეკრულებით ან დადგენილებით მინოდებულ წყალს აქვს მატერიალური ღირებულება. გასათვალისწინებელია, რომ მომხმარებელი წყალს იყენებს განსხვავებული მიზნებისათვის და სხვადასხვა რაოდენობით.

წყალსადენიდან მოსახლეობისა და მრეწველობისათვის წყლის ხარჯვის რაოდენობის გაანგარიშება ქალაქად და სოფლად განსხვავებულად ხდება. საერთოდ, მობინადრეები წყლის საფასურს იხდიან სულადობის მიხედვით, ხოლო წარმოება-დანესებულებები წყლის ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით. ეს უკანასკნელი უნდა იყოს გამოანგარიშებული წყალსადენით სარგებლობისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

ქალაქად წყალმომხმარებელს შეიძლება შეუწყდეს (დროებით ან მუდმივად) სასმელი წყლის მინოდება შემდეგი მიზეზით:

1. სასმელი წყლის გამოყენების არასწორი აღრიცხვიანობა და ქსელის უწესოდ შენახვის გამო;
2. წყლის დიდი რაოდენობით გადაღვრისა და ამის საწინააღმდეგო ზომების მიუღებლობის გამო;
3. მობინადრეთა არყოფნის გამო;
4. უნებართვოდ (თვითნებურად) წყლის სხვისთვის გადაცემისათვის;
5. თუ წყალსადენის ინსპექტორი არ დაიშვება წყალსაზომის ან წყალსადენის ნაგებობათა გასინჯვა-შემოწმებისათვის და მას არ მიეცემა ცნობა დახარჯული წყლის აღრიცხვიანობის შესახებ;
6. თუ დახარჯული წყლის საფასური (ქირა) დროულად არაა გადახდილი წყალმოსარგებლის მიერ;
7. თუ წყალგაყვანილობა დაუმტკიცებელი პროექტით არის შესრულებული ან სხვა შემთხვევაში, რაც საქალაქო წყალსადენით და კანალიზაციით სარგებლობის შესაბამისი წესებით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ წყლის გადახარჯვა ხშირად გამოწვეულია წყალსადენის, ონკანის, ჩამრეცხი აუზის გაუმართავი მუშაობის გამო. ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებს სასმელ წყალზე არანაკლები (თუ მეტი არა) რაოდენობით სჭირდებათ ტექნიკური წყალი. ეს წყალი, ჩვეულებრივ, გადაეცემათ სხვადასხვა ორგანიზაციებს მიზნობრივი დანიშნულებისათვის და იმყოფება ამ ორგანიზაციების განსაზღვრულ სარგებლობაში. ტექნიკური წყლის გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი და მისი ხარჯვის (მოხმარების) ნორმა წინასწარ იგეგმება. ასევე წინასწარ იგეგმება ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ნორმა, გამოყენების წესი და პირობები, თუმცა ხანძარსაწინააღმდეგოდ განკუთვნილი ტექნიკური წყლის გამოყენება ეპიზოდურ (მხოლოდ ხანძრის დროს) ხასიათს ატარებს.

სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად სასმელი წყალი გამოიყენება იქ, სადაც შეიძლება და აუცილებელია ტექნიკური წყლის გამოყენება (მანქანების სამრეცხაოები, ქუჩის მორეცხვა, ბალ-პარკების მორწყვა და ა.შ.). ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქრონიკულად განვიცდით სასმელი წყლის უკმარისობას. მრეწველობის, მწვანე ნარგავების გაშენების და მოვლის და ქალაქის ინფრასტრუქტურის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური საჭიროებისათვის სხვადასხვა წყალსადენების აგება.

ქვეყანაში ხშირია წყლის რესურსების არადანიშნულები-სამებრ გამოყენება, მოსახლეობის მიერ უყაირათო ხარჯვა-გამოყენება და დაბინძურება. საწარმოები, როგორც წესი, აგრძელებენ გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. ამის გამო, დაბინძურებულია ყველა ძირითადი მდინარე (მტკვარი, რიონი, ლიახვი, ენგური და სხვ.). წყალსატევების დაბინძურება ასევე დიდი ზარალის მომტანია თევზის მეურნეობისათვის.

ცნობილია, რომ საკანალიზაციო ქსელში და ჩამდინარე წყლების მისაღებად მასთან შეერთებულ მოწყობილობაში იკრძალება მყარი ნაყარის ჩაყრა და 40 გრადუსზე მეტი ტემპერატურის მქონე ჩამდინარე წყლის, აგრეთვე მუავე და ტუტე

წყლების ჩაშვება, რომლებიც შეიცავენ მომნამლავ ნივთიერებას და სხვა ისეთ მინარევს, რომელიც მავნებელია კანალიზაციის ნაგებობისათვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩაშვებული ნივთიერება გამოყოფს ფეთქებად და მომნამლავ აირს. საჭიროა მკაცრად აიკრძალოს იმ ობიექტების კანალიზირება და ტბებთან ახლოს მშენებლობა, რომლებმაც თავის წარმოების ხასიათით შეიძლება გამოიწვიონ მათი დაბინძურება.

ცნობილია, რომ სხვადასხვა სახის ტრანსპორტს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წყლის ტრანსპორტი. საერთოდ, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული, ნაკლებხარჯიანი და გამტარუნარიანია და მისი სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საკანონმდებლო წესით.

ჩვენი ქვეყნის წყლის რესურსებიდან განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის შავ ზღვას, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი სახალხო-სამეურნეო და სატრანსპორტო მნიშვნელობა.

საქართველოს მდინარეების უმრავლესობა ნაოსნობისთვის გამოუყენებელია, რადგანაც ისინი ძირითადად მთის ხასიათის და შეზღუდული მოცულობისაა.

ქვეყნის მთელ რიგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან არსებული წყალსაცავი გამოიყენება სამდინარო სატრანსპორტო ნაოსნობისათვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ტრანსპორტისათვის გამოსადეგი წყლის რესურსებით სარგებლობის უფლება, სატრანსპორტო ნაგებობათა აშენება, ხეცის დაცურება, მდინარეთა და ტბის აუზის გამოყენება სანაოსნო-სამეურნეო მიზნებისათვის, მათ შორის, სპორტული და ნიშნულებისათვის ხდება ზემდგომი ორგანოების ნებართვით. ტრანსპორტისათვის წყლის რესურსებით მოსარგებლე სუბიექტები (ფიზიკური და იურიდიული პირები), მათ შორის სამდინარო ტრანსპორტის ხელმძღვანელები, კატარღების მომსახურე პერსონალი და სხვ., ვალდებული არიან მიზნობრივად გამოიყენონ წყლის რესურსები, დაიცვან სარგებლობის დადგენილი წესები, გააკონტროლონ წყალსატევების დამბინძურებელთა დანაშაულებრივი მოქმედება და წარადგინონ დამნაშავეთა შესახებ ცნობები მათზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

წყლის გამოყენების სამეურნეო დანიშნულების და მოხმარების მრავალგვარ და მრავალმხრივ წესებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას. მათ აქვთ საკმაოდ სპეციფიკური, ხანმოკლე და გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საქართველოში ჰიდროელექტროენერგეტიკის გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც 1899 წელს, მუშაობა დაიწყო ბორჯომის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურმა. მას იყენებდნენ მხოლოდ ბორჯომში მცხოვრებ მეფის ნაცვლისა და მისი ახლობლების სასახლეებში გასანათლებლად.

საზოგადოების მონინავე ფენები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ელექტროენერჯის გამოყენების საკითხს. ნიკო ნიკოლაძე ამას უშუალოდ უკავშირებდა ბუნებრივი რესურსების ათვისებას: „...აი მაშინ გაუთენდა აღდგომა ჩვენს მთებს; რამდენი მთიული მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბარია, ეს ყველაფერი გამოიყენება, ეს აუარებელ ჩარხებს, დაზგებს, მანქანებს აამოძრავებს. . . ქედი მოიდრიკეთ, ბატონებო, მის წინაშე, მოდის მომავალი დიდი ძალა“.

ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები უმეტეს ადგილებში ხელს უწყობს მდინარეთა წყალუხვობას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. საქართველოს ჰიდროელექტროსადგურები ბუნებრივი პირობების და სამეურნეო დანიშნულების გათვალისწინებით იყოფა 3 ჯგუფად: 1) სეზონური ჰიდროელექტროსადგურები (ენგურჰესი, ზაჰესი, რიონჰესი, ჩითაჰესი, აბჰესი, გუმბათჰესი 1 და 2 და სხვ.); 2) კომპლექსურ სისტემაზე აგებული ჰიდროელექტროსადგური (ალაზანჰესი, ტირიფონჰესი, სამგორჰესი, ორთაჭალჰესი და სხვ.); 3) მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურები (ხრამჰესი 1 და 2, შაორჰესი, ტყიბულჰესი და სხვ.).

ბოლო დრომდე ქვეყნის დაქვემდებარების ჰიდროელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი წყალთა რესურსების გამოყენებისათვის ანუ სარგებლობის მინიჭების უფლება

წყდებოდა მინისტრთა კაბინეტის სათანადო დადგენილების საფუძველზე. ჰიდროელექტროსადგურების მართვის წესი და პირობები საკანონმდებლო თვალსაზრისით რეგლამენტირდებოდა სპეციალური დებულების ან მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმებით. ამ გზით განისაზღვრებოდა ჰიდროელექტროსადგურის მართვა-გამგეობის სამართლებრივი რეჟიმი, წყლის რესურსების დანიშნულებისამებრ, კომლექსურად და ეფექტურად გამოყენების წესი.

ჰიდროელექტროსადგურების სარგებლობაში არსებული წყლის რესურსების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ელექტროსადგურის ასამუშავებლად და სხვა რაიმე მიზნით მათი ათვისება აკრძალულია. ამიტომ, რომ ჰიდროელექტროსადგურის მიერ წყლის რესურსების გამოყენება ერთჯერადია და მცირევადიანი. გამოყენებული წყლის რესურსები რჩება სახელმწიფო საკუთრებად და მათი გამოყენება სხვა მიზნებისათვის და უნებართვოდ დაუშვებელია.

ჰიდროელექტროსადგურებისათვის საჭირო წყლის რესურსების გამოყენების უფლებამოსილი სუბიექტები ვალდებული არიან შეასრულონ წყლის დაცვის აუცილებელი ღონისძიებები, მათ შორის, არხების შეკეთება, სისუფთავის დაცვა, დალექვისა და კალაპოტის მოშლის ნანაღმდგე ზომების მიღება და სხვ.

ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, აშენებული სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, რჩება მათ გამგებლობაში. ამავე დროს გამგებელი ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს ნაგებობათა და წყალსაცავთა შეკეთება, მოვლა-გასუფთავება და წყლის დანიშნულებისამებრ (მიზნობრივად) გამოყენება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. ამ საკითხს ჩვენში უძველესი დროიდან ექცეოდა ყურადღება. ეროვნული საუნჯის მრავალ ისტორიულ ძეგლში (ვარძია, უფლისციხე, შიომღვიმე, გარეჯი და სხვ.) შემორჩენილია წყალსადენთა ნაშთები. ისტორიულ წარსულში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ერთიანი წყალკანონმდებლობის უქონლობა.

დღემდე არსებული კანონმდებლობით წყლით სარგებლობის უფლება საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის რეგლამენტირებულია. ჯერჯერობით მოქალაქეს უფლება აქვს საოჯახო საჭიროებისათვის მოიხმაროს წყალი განსაზღვრული რაოდენობით.

თავის დროზე მთავრობის დადგენილებამ განსაზღვრა სასმელ-სამეურნეო წყლის სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი ნორმატივები, მათ შორის წყალსადენების და წყალსაცავების და, რასაკვირველია, ქსელის სათავეების სანიტარული დაცვის საკითხები. ამ დადგენილების თანახმად წყალსადენისათვის ზონა იყოფა 3 ნაწილად: პირველი – სადაც იკრძალება იმ პირების ყოფნა და ცხოვრება, რომლებიც არ მუშაობენ მოცემული წყალსადენის სისტემაში; მეორე – ტერიტორიის გამოყენება არადანიშნულებისამებრ იკრძალება სპეციალური ნებართვის გარეშე; მესამე – წყალსადენის მაგისტრალის გასწვრივ წესდება სპეციალური სანიტარული რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის დაცვას ინფექციური დაავადებებისაგან. სპეციალური ნებართვის გარეშე ვინმეს მიერ ე.წ. გასხვისების ზოლების რაიმე მიზნით გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

წინასწარ ხდება სასმელ-სამეურნეო წყლის გამოყენების წესის და მისი ხარჯვის ნორმის დადგენა. ჩვეულებრივ, დასახლებულ ადგილებში მაცხოვრებელთა დღე-ღამური წყლის ხარჯვა ხდება საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობაში წყლის გამოყენების განსაზღვრა ხდება დადგენილი ნორმების მიხედვით, სპეციალური რეჟიმის და სისუფთავის ნორმატივების დადგენით.

საქართველო მდიდარია მინერალური წყლებით. აქ არსებობს 2000-ზე მეტი მინერალური წყარო. დღემდე გამოვლენილი და შესწავლილი მინერალური წყლების ჯამური დებიტი დღე-ღამეში 130 მლნ ლიტრს აღემატება. ჩვენში მინერალურ წყაროს დიდი ხნის წინათ იცნობდნენ. ცაიშის გოგირდოვან, თბილ წყალს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცნობდნენ ბერძნები. საინტერესო და ხანგრძლივი ისტორია აქვს წყალტუბოს, და განსაკუთრებით, ბორჯომის მინერალურ წყლებს. ბორჯომი მინერალური წყლებით XIX საუკუნიდან

ეკუთვნოდა თავად ავალიშვილს, რომელმაც იგი მიჰყიდა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. მოკლე ხანში ბორჯომი გადაეცა მეფის მთავრობას, ხოლო XIX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში რუსეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ ბორჯომი თავისი მიდამოებით აჩუქა თავის ძმას მიხეილ რომანოვს. ამ უკანასკნელმა ბევრი რამ გააკეთა ბორჯომის საკეთილდღეოდ: ხაშურიდან ბორჯომამდე გაიყვანა რკინიგზა, ააშენა ელექტროსადგური და ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, მოაწყო დეკორატიული პარკები. სწორედ ამ დროს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა – პროფ. გ. მელიქიშვილმა და პროფ. გ. პეტრიაშვილმა შეისწავლეს საქართველოს მინერალური წყლების (მათ შორის ბორჯომის) და სამკურნალო ტალახების ქიმიური შემადგენლობა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე მინერალური წყლების გამოყენება რაიმე კანონმდებლობის გარეშე ხდებოდა. მათ მimarტ პირველ საკანონმდებლო აქტად შეიძლება ჩაითვალოს 1923 წლის 3 თებერვლის დეკრეტი „საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ“, სადაც განსაზღვრული იყო, რომ სამკურნალო ადგილი (კურორტი) საქართველოს რესპუბლიკის რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს იგი და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ყველა ნაგებობით, შენობით და მოძრავი ქონებით წარმოადგენს რესპუბლიკის საკუთრებას და უნდა იქნეს გამოყენებული სამკურნალო მიზნებისათვის.

დღემდე არსებული კანონმდებლობით მინერალური და სამკურნალო წყლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კვლევის საფუძველზე და შემდგომში ცალკეული წყლების ვარგისიანობის მიზნობრივი გამოყენების დადასტურებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ამჟამად საქართველოში კურორტები სამკურნალო თვისებების გათვალისწინებით იყოფა სამ ჯგუფად: კლიმატური (სამთო და საზღვაო), ბალნეოლოგიური და ტალახ-სამკურნა-

ლო. კურორტების უმრავლესობას მოეპოვება სამკურნალო მინერალური წყლები.

ქვეყნის მინერალური წყლების სრული პოტენციალი საბოლოოდ არ არის ათვისებული.

§ 3. წყლის გამოყენების კონტროლი და პასუხისმგებლობა

წყალზე და წყლის რესურსებზე ამჟამად არსებული სახელმწიფო საკუთრება დაცულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი ნორმებით.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი ბუნებით პრევენციული ხასიათისაა, რომელსაც უფრო მეტად აქვს დაჯარიმებისა და გამაფრთხილებელი დატვირთვა. ადმინისტრაციული სამართლით გათვალისწინებული ნორმები ბრალეულ მხარეს ძირითადად აკისრებენ ჯარიმებს და აგრეთვე არაქონებრივი ხასიათის სახდელებს (ადმინისტრაციულ პატიმრობას და სხვ.). აღნიშნულ სანქციებს აქვთ პირადი შეზღუდვითი ხასიათი და ისინი შესაძლებლობას აძლევენ მოქალაქეს სათანადოდ შეიგნონ გარემოსთან ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობა, ბუნების დაცვისათვის კანონების სამართლიანობა, შექმნას საერთო გაკიცხვის ატმოსფერო ყველას მიმართ, ვინც უდიერად ეპყრობა წყლის და წყლის რესურსების დაცვას. ამასვე ისახავს მიზნად დისციპლინური პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიყენება ცალკეული მოსამსახურეების მიმართ წყლისადმი უდიერი დამოკიდებულებისათვის.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები საშუალებას აძლევენ შესაბამის ორგანოებს უხელმძღვანელონ და კონტროლი გაუწიონ მათ გამგებლობაში არსებული წყლის რესურსების გამოყენების საქმეს და ამით უზრუნველყონ მათი სრული დაცვა.

თავის დროზე, წყალთა რესურსების გამოყენების და დაცვის შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, დებულების თანახ-

მად უფლება ჰქონდა კონტროლი გაენია წყალზე მავნე ზეგავლენისათვის. მათ შორის წყალდიდობების, შეტბორვის, დაჭაობების, ნიადაგის ეროზიის, მეწყერების, დაშრობის და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესასრულებლად. ამის გარდა, ადმინისტრაციული წესით შესაძლებელი იყო ჯარიმის დადება წყლის მომხმარებელ ობიექტებსა და ამ ობიექტზე მომუშავე თანამდებობის პირების მიმართ. წყლის რესურსების დაცვის და გამოყენების წესების შეუსრულებლობისათვის ჯარიმების დადება ითვალისწინებს პროფილაქტიკური ზომების გატარებას, კერძოდ, ქონებრივ პასუხისმგებლობას წინ უსწრებდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო ჯარიმის გამოყენებას წინ უსწრებდა რესურსების გამოყენებისა და დაცვის წესების დამრღვევთა წერილობითი (ბრძანებით) გაფრთხილება (დისციპლინური პასუხისმგებლობა).

წყალსა და წყლის რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების პირობებში ხშირად ჯარიმას უშუალოდ სამართალდამრღვევი კი არ იხდიდა, არამედ თვითონ დანესებულება – იურიდიული პირი. საბოლოო ჯამში ეს იწვევდა წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაუმართლებელ ზრდას, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნიველირებას.

ჯარიმების გამოყენება, მათი დადებისა და გადახდის წესი განისაზღვრებოდა მთავრობის მიერ სპეციალური დადგენილებით. ჯარიმა ედებოდა იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც თავიანთ დაკისრებულ მოვალეობას წესისამებრ არ ასრულებდნენ, არ იბრძოდნენ დამრღვევთა წინააღმდეგ.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ფიზიკურ პირებს. ამას გამოიწვევს: წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა (მუხ. 61), წყალსარგებლობის წესების დარღვევა (მუხ. 60), წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა (მუხ. 58), წყალსადენის ქსელში თვითნებური ჩართვა და სასმელი წყლით სარგებლობის წესების სხვა დარღვევები

(მუხ. 149). 2000-2003 წლებში ამ მუხლებს დაემატა შემდეგი დარღვევები: დაცული ტერიტორიების ფარგლებში წყლის დაცვის წესების დარღვევა (მუხ. 58¹), ზღვის დაბინძურება (მუხ. 58²), წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესების დარღვევა (მუხ. 60¹), სპეციალური წყალსარგებლობისათვის ლიცენზიის გასაცემად პირობების დარღვევა (მუხ. 60²), წყალდაცვითი ზოლებისა და სანზონების რეჟიმის დარღვევა (მუხ. 60³), წყლის სახელმწიფო კადასტრის დარღვევა (მუხ. 61¹).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქმედება, რის შემდეგ წყალსაცავი ბინძურდებოდა გაუწმენდავი ჩამდინარე წყლით, ორგვარი ბრალეულობით კვალიფიცირდება: როგორც სანიტარულ-ჰიგიენური წესების, ასევე წყალთა რესურსების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევად.

2006 წლის 24 ივლისს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვით 58-ე მუხლი წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევის შესახებ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტში სანარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნარჩენების ჩაყრა, რაც იწვევს ნიადაგის წყლის მიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარით. სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ასიდან ორას ლარამდე, ხოლო თანამდებობის პირთა – სამასიდან ოთხას ლარამდე. ისეთი სამეურნეო, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა, რომლებიც აღჭურვილი არ არის წყლის დაბინძურების, დანაგვიანებისა და

მათი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭირო ნაგებობებითა და მოწყობილობებით, გამოიწვევს თანამდებობის პირის დაჯარიმებას ორასიდან სამას ლარამდე. წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან, ხე-ტყის დაცურებისას წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ზეთის, მერქნის, ქიმიური, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქებისა და შხამქიმიკატების დანაკარგებით, აგრეთვე ტივად შეუკრავი ხე-ტყის დაცურება, გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე, ხოლო თანამდებობის პირთა – ასიდან ორას ორმოცდაათ ლარამდე. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების განმეორებით ჩადენა, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის, დანესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 5000 ლარით. ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ხუთას ლარამდე.

2006 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვით 60³ მუხლი წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმების დარღვევის შესახებ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას ას ლარამდე, იურიდიულ პირთა – ხუთას ლარამდე; სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალო და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილ სანიტარული დაცვის ზონებისა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმების დარღვევა, გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ათასი ლარით, იურიდიულ პირთა – ორი ათასი ლარით; იგივე ქმედება, ჩადენილი სანიტარული დაცვის მკაცრი

რეჟიმის ზონაში, გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას ორი ათასი ლარით, იურიდიულ პირთა – ოთხი ათასი ლარით.

წყლით სარგებლობის სფეროში ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეებს განიხილავენ სასამართლოები.

დავას წყალსარგებლობის საკითხებზე საზღვარგარეთის სახელმწიფოებს შორის არეგულირებენ საერთაშორისო სამართლის ნორმები.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება მაშინ, როდესაც წყალმოსარგებლის (თანამდებობის პირის ან რიგითი მოქალაქის) ქმედება ან უმოქმედობა ზიანს აყენებს წყლის ნაგებობებს და ამავე დროს იგი გამოწვეულია შემთხვევით, არ შეიცავს რაიმე ანგარება-გამოძალვას, ე.ი. არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. სამოქალაქო-სამართლებრივი ანუ მატერიალური პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ქონებრივი ზიანით გამოხატულ წყალკანონმდებლობის დარღვევას ან მის შეუსრულებლობას. საჭიროა აღინიშნოს, რომ მატერიალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას და მისი გამოყენება არაა დაკავშირებული სხვა სახის პასუხისმგებლობაზე, ანუ ცალკეული დანაშაულებისათვის შეფარდებული სასჯელი არ გამორიცხავს ქონების პასუხისმგებლობას და ეს რეგულირდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით.

სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობა დგება ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან ერთად, მიუხედავად იმისა, თუ ბრალეულმა მხარემ თავისი ქმედებით გარკვეული ზიანი მიაყენა წყალთა მეურნეობას თუ წყალმოსარგებლეს.

წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობას და წყალმოსარგებლებს შორის დადებული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წყალკანონმდებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბათილად იქნება ცნობილი.

სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ წარმოება-დანესებულებების თანამდებობის პირის უკანონო ან თვითნებური მოქმედებით გამოწვეული ზარალი შეიძლება და-

ეკისროს წარმოება-დანესებულებას, ხოლო რეგრესის წესით იმ კონკრეტულ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ზარალის მიყენებაში. მაშასადამე, თანამდებობის პირები, რომელთა განკარგულებით იყო გამოწვეული ზარალი, უნდა იყვნენ თანამოპასუხენი და წარმოება-დანესებულებებთან ერთად აგონ პასუხი ზოგიერთ დამამძიმებელ შემთხვევაში (თუ მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დიდი ზიანი მიაყენა წყალთა მეურნეობას და ამით პირადი გამორჩენა მიიღო) დამნაშავის ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაული და პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით (სსკ მუხ. 186).

ბრალეული მხარე შეიძლება განთავისუფლდეს წყალმეურნეობისათვის ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ აღნიშნულია ზარალის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ისეთ ქმედებას, რომელიც აშკარად ან ფარულად არღვევს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებების პრინციპს. ეს შეიძლება გამოიხატოს წყლის დინების (სარგებლობის) თვითნებურად მიტაცებაში ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებურ წარმოებაში საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლით სარგებლობის წესის სხვა დარღვევაში, რასაც მოჰყვა დიდი ზიანი (სსკ მუხ. 291). სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი ასე განმარტავს ამ დანაშაულს: „წყლის თვითნებური მიტაცება ან ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე, აგრეთვე წყლის სარგებლობის სხვა დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (თუ ამ მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. გარდა აღნიშნული მუხლისა საქართველოს სსკ ითვალისწინებს (სსკ მუხ. 292), რომ წყლის ობიექტების დაბინძურება-დაშრეტა ან მასზე სხვა ისეთი უარყოფითი

ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება დააზიანოს მოსახლეობის ჯანმრთელობა, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგანმწმენდის უნარის დაქვეითება, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ან ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე ანდა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 293 ეხება ზღვის დაბინძურებას. გემიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერებების, სხვა ნარჩენების ანდა მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ხმელეთიდან და საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვლისწინებული ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ სამყაროს, თევზის მარაგს ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმს, დასვენების ზონას ანდა კანონით დაცულ სხვა სიკეთეს, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 294 ეხება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება. გემის, სხვა მცურავი საშუალების, საჰაერო ხომალდის, პლატფორმის ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციის სათანადო პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ უახლოესი პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში, აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის შეუტყობინებლობა იმისა, რომ საქართველოს შიდა ზღვის ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში ანდა ღია ზღვაში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის გამო მოხ-

და ჩაყრა ან აუცდენელი დაკარგვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებისა ან ისეთი შენარევისა, რომელიც ასეთ ნივთიერებას დადგენილი ნორმის გადამეტებით შეიცავს, ანდა სხვა ნარჩენისა ან მასალისა, რომელსაც შეუძლია დააზიანოს დასვენების ზონა ან ხელი შეუშალოს ზღვის მართლზომიერ გამოყენებას ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

როგორც ვხედავთ, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა მეტად მკაცრია იმათ მიმართ, ვინც აბინძურებს წყალსატევებს.

თავი VIII

მინების სამართლებრივი დაცვა

§ 1. მინების სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი

ქართულ განმარტებით ლექსიკონში „მინა“ და „ნიადაგი“ სინონიმებადაა მიჩნეული, ხოლო ნიადაგი განმარტებულია როგორც დედამინის ქერქის ზედა შრე, რომელშიც მცენარე ფესვს იდგამს. სამართალში იხმარება მეტწილად ტერმინი „ნიადაგი“, ვინაიდან „მინას“ მრავალმხრივი გაგება აქვს (დედამინის ქერქის ფხვიერი ფენა, იგივე დედამინა, მინა-წყალი, ხმელეთი და სხვ.). საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 12 მაისის კანონში „ნიადაგის დაცვის შესახებ“ ნიადაგი განმარტებულია, როგორც დედამინის ფხვიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის, ხნოვანებისა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით. მინა წარმოუდგენელია მისი სარგებლიანობისა და ნაყოფიერების გარეშე. მინის ნაყოფიერება ნიადაგის ცნებას ქმნის, ე.ი. ნიადაგი არის მინის ნაყოფიერი ზედაფენა, რომელზედაც ხარობენ მცენარეები. ნიადაგის საფარი ქმნის დედამინის განსაკუთრებულ ბიოქიმიურ სარტყელს, რომელშიაც მიმდინარეობს ფოტოსინთეზი. ნიადაგის საფარი და მასთან დაკავშირებული ორგანიზმები ახორციელებენ ბიოლოგიური ცვლის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, როგორიცაა მცენარეთა ფოტოსინთეზის შედეგად ენერჯის აკუმულაცია და განაწილება, ბიოსფეროს უმნიშვნელოვანესი ელემენტე-

ბის (აზოტის, ნახშირორჟანგის, ჟანგბადის, ფოსფორის, გოგირდის, კალციუმის, კალიუმის) შენარჩუნება და მიმოქცევა დედამიწაზე, ხმელეთის ორგანული ნივთიერებების მიწერალიზაცია, მტკნარი წყლის მასების ბალანსირება და ა.შ. დიდია ნიადაგის საფარის როლი, როგორც ბიოლოგიური მიკროსამყაროსი. იგი წარმოადგენს დაბინძურების უნივერსალურ ბიოლოგიურ ნეიტრალიზატორს. ნიადაგის საფარის დაზიანებისა და განადგურების შედეგად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნების ძალების მოქმედებით, მშენებლობის, განაშენიანების, გზების გაყვანის ან არასწორი სამეურნეო საქმიანობის გამო, ადგილი აქვს ბუნებაში შეთანაწყობილი ურთიერთობის რღვევას და მიწის პროდუქტიულობის დაქვეითებას. ამიტომ ნიადაგის დაცვის ღონისძიებები მიწის ფართობის დაცვის შემადგენელი ნაწილია და განიხილება ერთობლივად და არა ცალ-ცალკე.

საქართველო მეტწილად მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 53,6 % მთაზე მოდის, 33,4 % კი მთისწინებზე, ხოლო საქართველოს ბარს ტერიტორიის მხოლოდ 13 % უჭირავს. ამიტომ საქართველოში დასამუშავებელი მიწების ხვედრითი წილი ძალიან დაბალია. საქართველო მცირემიწიანი სახელმწიფოა. ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,64 ჰა და სახნავის 0,14 ჰა. საერთოდ საქართველოში 9,26 % მიწის ფონდისა სახნავ-სათესია, 3,97 % – მრავალწლიანი ნარგავებისა, ნასვენი და სათიბ-საძოვარი მიწები 28,7 %-ია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს მიწის ფონდის 41,7 %. საქართველოს მიწები საგრძნობლად ეროზირებულია და ასეთი მიწები 30 % შეადგენს, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში – 29 %, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 33%. ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ სახნავის უმეტესი ნაწილი განლაგებულია სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახნავების 9 % განლაგებულია 10⁰-ზე მეტ დაქანებაზე, აქედან დასავლეთ სა-

ქართველოში – 19%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 5%. ქვეყნის მიწების 1 მილიონ ჰა-მდე დაზიანებულია მენყერებით, ღვარცოფებით და თოვლის ზვავეებით. ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 10 ათასზე მეტი მენყერი და 1000-მდე ღვარცოფიანი აუზი. სოფლის მოსახლეობის 25 ათასამდე სახლი დაზიანებულია ან იმყოფება მენყერის გავლენის ზონაში. საქართველოს საერთო ფართობიდან ტყესა და მთა-მდელოს ნიადაგებზე მოდის 24 %, ხოლო დამლაშებულ და დაჭაობებულ ნიადაგებზე – 8 %. სამინათმოქმედო ზონაში საშუალოდ ერთ ჰექტარზე არაერთობრებული ნიადაგის 0,5 მეტრში არის: ჰუმუსი – 100-160 ტონა, აზოტი – 6-8 ტონა, ფოსფორი – 10 ტონა, კალიუმი – 80-130 ტონა და ა.შ. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, ამიტომაც გადარეცხილ ნიადაგებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ეცემა 40-60 %.

აღსანიშნავია, რომ წიაღისეულის ღია წესით დამუშავების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წრებრუნვიდან ამოვარდნილია 10 000 ჰა. საქართველოს ნიადაგები მრავალ ადგილას დაბინძურებულია; სამრეწველო ცენტრების ირგვლივ კი, სხვა ნარჩენებთან ერთად, მძიმე მეტალებითაც.

მიწის სამართლებრივი დაცვა გულისხმობს იმ სამართლებრივი ნორმების შესრულებას, რომელიც მიზნად ისახავს მიწის შენარჩუნებას, აღდგენას და მისი ნაყოფიერების ზრდას. ყველა მიწათმოსარგებლე ვალდებულია სწორად და მიზანდასახულად გამოიყენოს მიჩენილი მიწის ნაკვეთი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სისტემატურად უნდა უმჯობესდებოდეს და არ უნდა მოხდეს მათი შემცირება. ამიტომ ყველა მიწათმოსარგებლე უნდა ატარებდეს აგროტექნიკურ, მელიორაციულ, ეროზიის სანინაალმდეგო ღონისძიებებს, რათა შენარჩუნდეს ნიადაგის ნაყოფიერება და უზრუნველყოფილ იქნეს მისი გამოყენების ყველაზე უკეთესი რეჟიმის დაცვა. ამ მიზნით ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ტარდება აღნიშნულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებული უნდა

იყოს. მიწების დაცვის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების აკრძალვა. სამრეწველო საწარმოს, სამრეწველო ობიექტების, რკინიგზისა და საავტომობილო გზების, ელექტროგადამცემი და მაგისტრალური მილსადენების მშენებლობა უნდა წარმოებდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, ან სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარ მიწებზე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მიწათმოქმედებისათვის ყველაზე ცუდ მიწაზე.

საქართველოს მიწის 1994 წლის 12 მაისის კანონით „ნიადაგის დაცვის შესახებ“ ნიადაგდაცვით ღონისძიებებს და საშუალებებს განეკუთვნება ნიადაგის პასპორტიზაცია შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა. ნიადაგის გამოფიტვის მიზეზებია, აგრეთვე მისი სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობოტანიკური კვლევა, ბონიტირება და კადასტრის პერიოდულად შედგენა, ეროზიისაგან მიწის დაცვისათვის ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, ჰიდროტექნიკური, ნიადაგდამცავი ღონისძიებების შერჩევა; დამლაშების, დაჭაობების, აგრეთვე ნიადაგის გამჟავების თავიდან აცილების მიზნით აგროსამელიორაციო და აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი შერჩევა; ნიადაგის რესურსების დაცვას ისეთი სტიქიური მოვლენებისაგან, როგორცაა: წყალდიდობა, ღვარცოფი, ზვავი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ტარდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში; სათიბ-საძოვრების ნიადაგების დაცვის, მათი ნაყოფიერების გაუმჯობესების და მცენარეული საფარის კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება; რეკულტივაცია იმ ნიადაგებისა, რომლებიც დაზიანებული აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულისა და საშენი მასალების კარიერული წესით მოპოვების შედეგად; რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებითა და წარმოების სხვადასხვა ნარჩენებით და-

ბინძურებისაგან ნიადაგის დაცვა; ნიადაგების ეტალონური ტიპების შენარჩუნება და აღკვეთილების მოწყობით მონიტორინგის ორგანიზება; ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგების სწორი სტრუქტურა; ნიადაგის დამუშავების, პროგრესული აგროტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, რწყვის, ნიადაგის მელიორაციისათვის ეფექტიანი მეთოდებისა და წესების გამოყენება; დაბოლოს, ნიადაგში მასაზრდოებელი ელემენტებისა და ჰუმუსის ბალანსის რეგულირებისათვის თესლბრუნვის დანერგვა ორგანული და მინერალური სასუქების, მელიორანტების გამოყენება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვისათვის, მაგრამ იგი როგორც ბუნების პროდუქტი, სისტემატურად განიცდის გარემოს ზემოქმედებას, რომელიც სრულყოფს ან აუარესებს მას. განსაკუთრებით დიდია გარემოს ზემოქმედება მინის ნაყოფიერებაზე. იმ ბუნებრივ ფაქტორებს შორის, რომლებიც იწვევენ მინის ნაყოფიერების შემცირებას ან დაკარგვას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი პროცესები, როგორიცაა: ეროზია, დამლაშება, დატბორვა, ბუჩქნარად ქცევა, სარეველების მოდება, ქვიშით დაფარვა და სხვ. ნიადაგის ეროზია გულისხმობს მინის ნაყოფიერების ისეთ დაკარგვას, რომელიც გამოწვეულია ნიადაგის რღვევით და მცენარეთა საკვები ნივთიერებების გამოტუტვით. იმისდა მიუხედავად, თუ რა სტიქიური ძალები მოქმედებენ, ეროზია შეიძლება იყოს წყლისმიერი ან ქარისმიერი. ეროზიული პროცესების განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანთა არასწორმა საქმიანობამაც, კერძოდ, ფერდობების დახვნამ, ტყის გაჩეხვამ, საქონლის გადაჭარბებულად ძოვებამ და სხვ.

ეროზიის დროს ნაწრეტ წყლებსა და ქარს ყოველწლიურად მდინარეებსა და ზღვაში ჩააქვს მილიონი ტონობით ნიადაგი, რომელიც შეიცავს აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, კალ-

ციუმს და სხვა საკვებ ნივთიერებებს. ნიადაგის ეროზია ქმნის აგრეთვე ხრამებს, ციცაბოებს, ამახინჯებს რელიეფს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის სხვა სამუშაოების შესრულებას, კერძოდ, გზების გაყვანას, განაშენიანებას.

მინის კანონმდებლობა აწესებს სავალდებულო ღონისძიებებს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ. ღონისძიებათა კომპლექსი მოიცავს როგორც ორგანიზაციულ-სამეურნეო, ისე აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ღონისძიებებს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისას საჭიროა განხორციელდეს სამელიორაციო მიწების მორწყვა, დაშრობა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი. მიწების მელიორაციის ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის გამართულ მუშაობას, ამ მოწყობილობათა დაცვას დაშლამვისაგან და მორწყვის აუცილებელი რეჟიმის დაცვას. კანონმდებლობა ითვალისწინებს მინათმფლობელთა მოვალეობას სამელიორაციო მიწების ექსპლუატაციის ხაზით, კერძოდ, აუცილებელია სისტემატური ზედამხედველობა ასეთი მიწების მდგომარეობაზე, რათა არ იქნეს ისინი დატბორილი, ან მეტისმეტად დამშრალი და ეროზირებული; მკაცრად უნდა იყოს დაცული ამ მიწებში სასუქების შეტანის ნორმირება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მონაცვლეობა, მიწების მიზნობრივი გამოყენება. ამავე დროს ამ მიწებზე დაცული უნდა იქნეს ჰიდროტექნიკური ნაგებობები და ტყის ნარგავები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდ ზიანს აყენებს სარეველა მცენარეები, რომლებიც სწრაფად მრავლდებიან და წარმოადგენენ სხვადასხვა დაავადებათა გამავრცელებლებს; ამავე დროს ისინი ამცირებენ ნიადაგში საკვებ ნივთიერებებსა და ტენიანობას, რაც ზღუდავს მოსავალს. ამიტომ მიწების დაცვის ერთ-ერთ სავალდებულო მოთხოვნად მიჩნეულია სარეველებთან ბრძოლა მინდვრებში, ველებსა და საძოვრებზე.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით შეიმჩნევა მიწების დანაგვიანება რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიე-

რებებით და წარმოების სხვა ნარჩენებით. ამის ძირითადი მიზეზი მეზობელი სახელმწიფოების გაუმართავი სამეურნეო საქმიანობაა. განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში ატომური ელექტროსადგურებისა და ტოქსიკურ ნივთიერებათა საცავების ტექნიკური გაუმართაობა, რაც ატმოსფერული ნალექებისა და ჩამდინარე წყლების მეშვეობით აბინძურებს ნიადაგურ საფარს. ასეთი მდგომარეობის სალიკვიდაციოდ საჭიროა შესაბამისი როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური ღონისძიებების გატარება. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ამ მხრივ საშიშროებას ქმნიდა ჭიათურის მანგანუმის და ზესტაფონის ლითონფონის საწარმოთა საქმიანობა. ამჟამად ეს მდგომარეობა ლიკვიდირებულია ამ საწარმოთა მუშაობის შეჩერების გამო, მაგრამ მომავალში შესაძლებელია იგივე გამეორდეს, რაც საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას.

ნიადაგის დაცვის შესახებ აღნიშნული კანონი ითვალისწინებს ცალკეულ აკრძალვებს, რომლის მიზანია ნიადაგის დაცვა მისი მთლიანობისა და ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით. კანონის მე-4 მუხლის თანახმად ნიადაგის დაცვის მიზნით აკრძალულია: ნაყოფიერი ნიადაგის არასამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენება; არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოუყენებლად; ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს დარღვეული ნიადაგის რეკულტივაციას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით; ფერდობების დატერასება ნიადაგის შეურჩევლად და სათანადოდ დაუპროექტებლად; საძოვრების გამწირება უნესრიგო ძოვებით; ტყის სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება; მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება; ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება; ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს; სასუქების, ქიმიური მელიორანტებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც არ

არის გამოცდილი ქვეყნის პირობებში, არა აქვთ გავლილი შესაბამისი ნიადაგური-ეკოლოგიური ექსპერტიზა და არ არიან შემონმებული, რეგისტრირებული და ნებადართული შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ; ნიადაგების ყოველგვარი დაბინძურება და დანაგვიანება.

აღნიშნული აკრძალვების დარღვევა ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ხოლო სხვა შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, **დადგება სამოქალაქო პასუხისმგებლობა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის სახით.** ამ საკითხს ჩვენს ქვემოთ უფრო დანვრილებით შევხებით.

§ 2. მიწების გამოყენებაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი

მიწების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის კონტროლი ხორციელდება სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების მიერ.

ნიადაგის დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლში სპეციალურად აღნიშნულია, რომ ნიადაგის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, საჭირო ღონისძიებებს რაიონებში ახორციელებენ შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ და უზრუნველყონ მიწათმესაკუთრეთა და მიწათმოსარგებლეთა მიერ ნიადაგის დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი სამუშაოების შესრულება, განახორციელონ ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და კონტროლი გაუწიონ, რათა მიწათმოსარგებლები და მიწათმესაკუთრენი იცავდნენ ნიადაგს და ასრულებდნენ დაწესებულ რეგლამენტს.

მიწა წარმოადგენს როგორც სახელმწიფო, ისე **იურიდიული და ფიზიკური პირების** საკუთრებას. ამა-

ვე დროს, სახელმწიფო ახორციელებს ტერიტორიულ სუვერენიტეტს სახელმწიფოში არსებულ მთელ მიწებზე, რაც ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, საზღვრების ურღვევობას და სახელმწიფო ტერიტორიულ დაცვას. ტერიტორიული სუვერენიტეტი საფუძველს ქმნის მიწათსარგებლობისა და მიწათსაკუთრებისათვის.

საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიზნად ისახავს სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა.

ამავე დროს საგადასახადო სისტემით გათვალისწინებულია მიწის გადასახადი.

§ 3. პასუხისმგებლობა მიწების დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის

ბუნების დაცვის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია დისციპლინური, მატერიალური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ აგროტექნიკით დადგენილ წესებს, ტოვებენ მიწებს დაუმუშავებლად და სხვ. თუ მინათმოსარგებლედ სისტემატურად არღვევს მინათსარგებლობისა და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების წესებს, მას შეიძლება ჩამოერთვას არასწორად გამოყენებული მიწის ნაკვეთები. აგრეთვე თუ ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები არღვევენ ობიექტის მშენებლობის ან მიწის ათვისების ვადებს, არარაციონალურად ან არადანიშნულებით იყენებენ მიწის ნაკვეთს, მათ შეიძლება ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთები იძულების წესით და გადაეცეს სხვა მოსარგებლეებს. იგივე შედეგი მოჰყვება განაშენიანების პირობების დარღვევის ან სარეველებთან ბრძოლის ბოროტად

თავის არიდებას. ასეთ შემთხვევაში მინის ჩამორთმევას მოჰყვება მინის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, დამრღვევს ეკისრება მინის გაფუჭებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სასოფლო ადგილებში მინის მიტაცება ხდება გამოყოფილი მინის ნაკვეთების თვითნებური გაზრდის სახით, ლობების გადაადგილების, ახალი შემოღობვის თუ სხვა გზით. მართალია, ასეთი ნაკვეთები გამოუყენებელია სახელმწიფო ორგანოს თუ მეურნეობის მიერ და უქმად ფუჭდება კიდეც, მაგრამ თვითნებობა მინათსარგებლობაში მიუღებელია და ყველა ასეთი თვითნებობა კვალიფიცირებულია მიტაცებით, რაც მეტად მკაცრ ზემოქმედებას იწვევს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით (მუხ. 1). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებისა და თავისუფლების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახ ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უკუქმედება, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (მუხ. 10).

განსაკუთრებით დაცულია მინები ადმინისტრაციული კანონმდებლობით, რაც თავისთავად გასაგებია, ვინაიდან დარ-

ღვევათა მეტი წილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-შენახვისა და სამელიორაციო სამუშაოთა ჩაუტარებლობის, აგრეთვე რეკულტივაციის, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიის და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგის დაცვის მიწათმოსარგებლებზე დამოკიდებული სავალდებულო ღონისძიებების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე (მუხ. 51), დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვისათვის უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა მიერ დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არა იმ მიზნით გამოყენება, რისთვისაც ისინი გამოიყო – გამოიწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდათიდან ორას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლთა, ბიოსფეროს რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე (მუხ. 51¹); მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესის ნებადართულ ღონისძიებებთან, გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ლარამდე (მუხ. 51²); სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილი წესით გაუფორმებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე (მუხ. 51³); მიწის გაფუჭება სანარმოო და სხვა ნარჩენებით, ჩამდინარე წყლით მისი დაბინძურება – გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე (მუხ. 52).

როგორც ვხედავთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევები მიწის დაცვისა და მოვლა-პატრონობის სფეროში საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ყველა ამ დარღვევის

აღკვეთის მიზანია მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების ზრდა და დანიშნულებისამებრ გამოყენება. განვიხილოთ დასახელებული სამართალდარღვევები და კიდევ რამდენიმე დამახასიათებელი გადაცდომა. დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მოვალეობის შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე (მუხ. 53); დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი მიწების დროულად დაუბრუნებლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლთა, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიოს მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ოთხას ლარამდე (მუხ.53¹); მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება, გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე (მუხ. 53²); მიწათმოსარგებლის მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის (ან მისი ნაწილის) არსებული წესის დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის გადაცემა გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან შვიდას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე (მუხ. 53³); მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან ხუთას ლარამდე (მუხ. 54); მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მოცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას ექვსასიდან შვიდას ლარამდე, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – ორი ათასიდან ორი ათას ხუთას ლარამდე (მუხ. 54¹); მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა, გამოიწვევს დაჯარიმებას სამა-

სიდან შვიდას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ათი დღის ვადით, საზღვრების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას ათას ხუთასიდან ორი ათას ლარამდე (მუხ. 55); მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ორი ათას ლარამდე (მუხ. 55¹); სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ანდა მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ორი ათას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან სამი ათას ხუთას ლარამდე (მუხ. 55²); მიწის ფონდზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის საჩივრების განხილვის დარღვევა, გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე (მუხ. 55³); დაცული ტერიტორიების და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა, გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდათიდან ას ლარამდე. იგივე მოქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლთა, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში გამოიწვევს დაჯარიმებას ასიდან ას ორმოცდათ ლარამდე (მუხ. 55⁴).

მიწის დაცვის საკითხები სათანადოდ არის ასახული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ასე, მაგალითად, მიწასთან დაკავშირებული უკანონო გარიგების რეგისტრაციამ სახელმწიფო მიწის კადასტრში, სააღრიცხვო მონაცემების დამახინჯება ანუ მიწის გადასახადის შემცირება ანგარებით ანდა სხვა პირადი მოტივით, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასოთხმოც

საათამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე, ან თანამდებობის დაკავების ანდა საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე (მუხ. 191); 1. საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში, ან მიმდინარე ზონაში ნაგებობის უკანონოდ აღმართვა, მის გარშემო ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების წესის დარღვევა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. 2. საქართველოს კონტინენტური შელფის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სათანადო ნებართვის გამოკვლევა ან დაზვერვა ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე (მუხ. 296). 1. სამენარმეო, სამეურნეო ან სხვაგვარი საქმიანობისას მავნე ნივთიერებით მიწის მონამვლა, დეგრადაცია ან მიწის სხვაგვარი გაუარესება, განპირობებული სასუქის, მცენარეთა ზრდის სტიმულატორის, შხამქიმიკატების, სხვა ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერების შენახვის, გამოყენების ან გადაზიდვის დროს მისდამი მოპყრობის წესის დარღვევით, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. 2. იგივე ქმედება ჩადენილი საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, რამაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობის გაუარესება გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. 3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

თ ა ვ ი IX

წილის და წილისეულის სამართლებრივი დაცვა

§ 1. წილის და წილისეულის სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი

წილს მიეკუთვნება მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, ზღვებისა და წიაღის ფენის ქვეშ განლაგებული დედამიწის ქერქის ის ნაწილი, რომელიც ხელმისაწვდომია შესწავლისა და გამოყენებისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ხოლო წილისეული წარმოადგენს წილში არსებულ სასარგებლო ბუნებრივ წარმონაქმნებს.

წილისეული დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მომავალში იგი შეიძლება ძირითად საარსებო საშუალებად გადაიქცეს (წავთობის სახით). ამიტომ წილისეულის რაციონალურ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების ნორმალური ცხოვრების შესანარჩუნებლად. ეს მით უფრო ყურადსაღებია, რადგან ზოგიერთი წილისეულის შევსება, მისი მარაგის აღდგენა შეუძლებელია და ამდენად მოსალოდნელია ამ მარაგის ამოწურვა. ამიტომ, ვიდრე კაცობრიობას ესა თუ ის წილისეული სხვა ანალოგიური სიკეთით არ შეუცვლია, აუცილებელია ზრუნვა წილისეულის მარაგის შენარჩუნებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ კანონმდებლობა მეტად მკაცრ ზომებს ითვალისწინებს წილისეულის გაფლანგვა-განიავეებისათვის, დაუდევარი მოპყრობისა და ეკოლოგიური საფრთხის შექმნისათვის.

ნიალსა და ნიალისეულს სხვადასხვა გამოყენებითი დანიშნულება აქვთ:

ნიალის გეოლოგიური შესწავლა, სასარგებლო ნიალისეულის სამრეწველო ათვისება სამთო-მოპოვებითი სანარმოების პროექტირებისა და მშენებლობის შედეგად მათი ექსპლუატაციის სახით; ისეთ მინისქვეშა მონყობილობათა ექსპლუატაცია, რომელიც დაკავშირებული არაა სასარგებლო ნიალისეულის გამოყენებასთან, როგორცაა მეტროპოლიტენი, გვირაბები, კოლექტორები, მილსადენები და სხვა, მავნე ნივთიერებების წარმოების ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მინისქვეშა ჩაშვება, ნავთობის, გაზის და სხვა პროდუქტების მინისქვეშა შენახვა, მინის ღრმა ფენების სითბოს გამოყენება და სახლებული პუნქტების სახლების გასათბობად და სხვა ენერგეტიკული საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ტორფისა და საამშენებლო მასალების მოპოვება და სხვ.

ნიალი და ნიალისეული სახელმწიფო საკუთრებაა. სახელმწიფო დაინტერესებულია შექმნას სრულყოფილი კანონმდებლობა მათ დასაცავად, უზრუნველყოს სახელმწიფო მმართველობის მაღალი დონე ამ სიმდიდრის რაციონალურად გამოსაყენებლად ხალხის ინტერესების სასარგებლოდ.

ნიალსა და ნიალისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მისი მართვის, ლიცენზირების, აღრიცხვის, კონტროლის და სახელმწიფო პასუხისმგებლობის შემოღების მეშვეობით. ამ რეგულირების ამოცანაა:

- ნიალით სარგებლობის სახელმწიფო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ლიცენზირებული უბნის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ინტერესების დაცვა;

- ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის წიაღით სარგებლობის ნორმალური პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

- თავისუფალი ეკონომიკური კავშირების განვითარება, წიაღით სარგებლობის სფეროში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;

- წიაღით მოსარგებლების, მათ შორის, უცხოელების აუცილებელი გარანტიების უზრუნველყოფა და წიაღისეულით სარგებლობაზე მათი უფლების დაცვა;

- ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონებისათვის წიაღისეულის ძირითადი სახეობების მოპოვების მოცულობათა დადგენა სადღეისო და მომავალი მოთხოვნების გათვალისწინებით;

- წიაღისეულის ნედლეულის ბაზის განვითარების უზრუნველყოფა და წიაღისეულის ისეთი უბნების რეზერვის შექმნა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსაკუთრებული მიზნებისათვის;

- წიაღით სარგებლობისათვის საფასურის შემოღება და წიაღისეულის ცალკეულ სახეობებზე ფასების რეგულირება;

- წიაღის შესწავლის, დაცვის, მისი რესურსების გამოყენება, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში სტანდარტებისა და ნორმების დადგენა;

- სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება წიაღის და წიაღისეულის დაცვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის.

წიაღის და წიაღისეულის სარგებლობის რეგულირების სფეროში დანაწევრებულია კომპეტენცია ქვეყნის, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივ ორგანოთა შორის. ძირითადი უფლებები, რასაკვირველია, განეკუთვნება საქართველოს ცენტრალურ ორგანოებს. როგორც საქართველოს 1995

ნლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პ. «ს» არის აღნიშნული, მიწის, ნიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. კერძოდ, ისინი ადგენენ ნიაღისა და ნიაღისეულის შესახებ კანონმდებლობას და სრულყოფენ მას, უზრუნველყოფენ ნიაღისა და ნიაღისეულის სახელმწიფო ფონდების ფორმირებას, განკარგავენ ზღვის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის და ტერიტორიული წყლების კონტინენტური შეღვის ნიაღის გამოყენებას, შეიმუშავენ ნიაღით სარგებლობის პროგრამებს და ზრუნავენ მათი რეალიზაციისათვის, ადგენენ ნიაღითა და ნიაღისეულით სარგებლობისა და მათი დაცვის, აგრეთვე ლიცენზირების წესებს, გამოყოფენ სამთო მიკუთვნებებს და მიწის ნაკვეთებს ნიაღით და ნიაღისეულით სარგებლობისათვის, ადგენენ ნიაღისეულით სარგებლობის გადასახადის პირობებსა და წესებს, ქმნიან ნიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო სისტემას, აწესებენ ნიაღის სარგებლობასა და მისი დაცვის სახელმწიფო კონტროლს, ადგენენ ნიაღისეულის საბადოების კადასტრს, მათი მარაგების ბალანსს, ატარებენ სახელმწიფო ექსპერტიზას, აწესებენ ნიაღით ცალკეული უბნებით სარგებლობის აკრძალვას და შეზღუდვას, დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ნიაღით სარგებლობისა და მისი დაცვის შესახებ, კოორდინაციას უწევენ ამ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, წყვეტენ ნიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს და სხვ. აღნიშნული საკითხები მეტად მნიშვნელოვანია ნიაღითა და ნიაღისეულით სარგებლობის სფეროში, რის გამოც ისინი საერთო-საქვეყნო გამგებლობას განეკუთვნება.

რაც შეეხება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას ნიაღით სარგებლობის რეგულირების სფეროში, იგი გამოიხატება ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული აქტების ცხოვრებაში გატარებით. კერძოდ, ეს ორგანო-

ები ახორციელებენ ზედამხედველობას წიალის გამოყენებასა და დაცვაზე, მონაწილეობენ მინის ნაკვეთების გამოყოფაში, აღკვეთენ წიალით თვითნებურად სარგებლობას და წიალისეულის განლაგების ფართობებზე უნებართვო განაშენიანებას, ზრუნავენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთათვის წიალისეულის სარესურსო ბაზის გაფართოებისათვის, აჩერებენ წიალით სარგებლობის სამუშაოებს საბადოთა დამუშავების ძირითადი მოთხოვნების შეუსრულებლობისას, ახორციელებენ კონტროლს წიალით სარგებლობაზე და მის დაცვაზე, აჩერებენ წიალით სარგებლობის სამუშაოებს დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე, როდესაც იგი საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, ან როცა მოსალოდნელია სამეურნეო ობიექტების ზარალი ან გარემოს ბუნებრივი წონასწორობის პირობების დარღვევა და სხვ.

წიალისა და წიალისეულის დაცვა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ გამოყენების ზედამხედველობით, სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, მათი სახელმწიფო აღრიცხვის, ინფორმაციის მოპოვების გადასახადების გადახდის და სხვა თვალსაზრისით.

წიალისა და წიალისეულის სამართლებრივი დაცვა გულისხმობს ყველა იმ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების დაცვას, რომლებიც განსაზღვრავენ წიალით სარგებლობისა და გამოყენების წესებს, ხოლო სამართალდარღვევების მიმართ იურიდიული პასუხისმგებლობის გამოყენებას.

სამართლებრივი დაცვის ზოგადი საფუძვლები იმით გამოიხატება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს წიალისეულით სარგებლობის წესების შესრულება და მისი თვითნებური გამოყენების აღკვეთა. კანონმდებლობამ ხელი უნდა შეუწყოს წიალის და წიალისეულის სრულ და კომპლექსურ შესწავლას, წიალისა და წიალისეულის რესურსების რაციონალურ, კომპლექსური გამოყენების უზრუნველყოფას. კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს წიალისეულის წინასწარი შესწავლა წიალის სარწმუნო მარაგების შეფასების და წიალის იმ უბნების მახა-

სიათებლების დადგენისათვის, რომლებიც გაიცემა წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებით სარგებლობისათვის, ასევე განსხვავებული მიზნებისათვის გაცემული სახელმწიფო ექსპერტიზა და სახელმწიფო აღრიცხვა. წიაღიდან ძირითადი და თანმდევი წიაღისეულის და კომპონენტების შესაძლებელი სისრულით ამოღება, მათი მარაგების სარწმუნო აღრიცხვა; კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს საბადოთა დაცვა დატბორვისაგან, განყლიანებისაგან, დაბინძურებისაგან, ხანძრის, დაშრევისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარესებენ წიაღისეულის ხარისხს, ამცირებენ საბადოს სამრეწველო ღირებულებას ან ართულებენ მის ათვისებას, გაზისა ან სხვა ნივთიერებების წიაღში შენახვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვების პროცესში წიაღზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა და იმ მინისქვეშა ნაგებობების, რომლებიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან, კონსერვაციისა და ლიკვიდაციის დადგენილი წესის დაცვა, წიაღისეულის საბადოთა ფართობზე თვითნებური განაშენიანების აღკვეთა. კანონმდებლობამ უნდა აკრძალოს სასამელი და ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სიახლოვეს და მათი სანიტარული ზონის ფარგლებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება; ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული საკანონმდებლო მოწესრიგების წესით გარემოს მდგომარეობაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების გავლენის სარწმუნო პროგნოზირებისა და შეფასების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვისა და მოსახლეობის უსაფრთხოების აუცილებელი ზომების განხორციელება. ჩამოთვლილ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, შეჩერდეს ან შეწყდეს წიაღით სარგებლობის უფლება სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

§ 2. კონტროლი და ზედამხედველობა წიაღისეულის დაცვაზე

წიაღის უსაფრთხო გამოყენების სფეროში სამართლებრივი მოთხოვნების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წიაღის გეოლოგიური შესწავლა, წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა, სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია ნებადართულია მხოლოდ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გავლენის ზონაში მცხოვრებთა და წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით.

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოდ შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა სამუშაოზე დაშვებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი სპეციალური მომზადების და კვალიფიკაციის მუშაკები. სამთო და ბურღვით სამუშაოებზე დასაქმებულნი უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ სპეცტანსაცმლით, დაცვის ინდივიდუალური და კოლექტიური საშუალებებით, გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, მასალები, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ სანიტარულ ნორმებსა და უსაფრთხოების წესებს. ფეთქებადი ნივთიერებებისა და ასაფეთქებელი საშუალებების სწორი გამოყენებისათვის აუცილებელია განხორციელდეს მათი სათანადო აღრიცხვა, შენახვა და ხარჯვა, ხოლო სამუშაოთა ნორმალური ტექნოლოგიური ციკლის უზრუნველყოფისა და საშიში სიტუაციების პროგნოზირებისათვის აუცილებელია ტექნოლოგიური, მოპოვებითი და სხვა სახის დაკვირვება.

უნდა დანესდეს სისტემატური კონტროლი სამთო გამონამუშევრებში მტვრის, ფეთქებადსაშიში აირებისა და ჟანგბადის შემცველობაზე. უნდა დამუშავდეს და გატარდეს წიაღით სარგებლობისას გარემოზე ყველა სახის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი და დასაშვებ ნორმამდე შემამცირებე-

ლი ღონისძიებები. წინასწარ უნდა შედგეს საშიში და ავარიული სიტუაციების თავიდან აცილების და ლიკვიდაციის გეგმები და შესაბამისი ღონისძიებანი.

წიალის გეოლოგიური შესწავლის დროს მისი დაცვის სამართლებრივი მოთხოვნები მდგომარეობს შემდეგში: წიალის სათანადო უზნის გეოლოგიური შესწავლისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი შესწავლის სისრულე და სისწორე. გეოლოგიური საკვლევი სამუშაოები არ უნდა იწვევდეს სასარგებლო წიალისეულის გაუმართლებელ დანაკარგებს და ხარისხის დაქვეითებას. სამუშაოების შესრულებისას დაცული უნდა იქნეს ჭაბურღილების ვარგისიანობა. შესრულებული გეოლოგიური სამუშაოების შედეგები უნდა იყოს სათანადოდ დაცული, რათა ისინი გამოყენებულ იქნეს წიალის შემდგომი შესწავლისათვის, სასარგებლო წიალისეულის დამუშავებისა და სხვა მიზნებისათვის.

წიალის შესწავლა მიზნად ისახავს მიიღონ მონაცემები წიალის აგებულების, მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, გამოავლინონ სასარგებლო წიალისეულთა ადგილსამყოფელი, მათი განლაგების კანონზომიერება, წიალისეულის გამოვლენის სამთოტექნიკური და სხვა პირობების კანონზომიერება, წიალის გამოყენება წიალისეულის ამოღების გარეშე.

წიალის შესწავლა გულისხმობს წიალის გეოლოგიური აგებულების შესწავლას, სასარგებლო წიალისეულის ადგილსამყოფელის მოძებნას და დაზვერვას, წიალის შესწავლას მინისქვეშა მოწყობილობათა ასაგებად, რაც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიალისეულის ამოღებასთან.

ამგვარად, გეოლოგიური სამუშაოები დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და ამიტომ ითვალისწინებს მთელი რიგი პირობების დაცვას სამუშაოთა უსაფრთხოებისა და სხვა თვალსაზრისით.

წიალისეულის მომპოვებელ და გადაამუშავებელ საწარმოთა, აგრეთვე, იმ მინისქვეშა ნაგებობათა დაპროექტება, რომელიც დაკავშირებული არ არის წიალისეულის მოპოვე-

ბასთან წარმოებს სავარაუდო მშენებლობის უბანზე წიაღის გეოლოგიური და სხვაგვარი შესწავლის შედეგების გათვალისწინებით. ეკონომიკური რაიონის განვითარების სახელმწიფო გეგმის მიხედვით, საქართველოს კანონის წიაღის შესახებ აქტების თანახმად ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესები და ნორმები და წიაღის დაცვის წესები, შეწყვიტონ წიაღის თვითნებური სარგებლობა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობზე თვითნებური მშენებლობა, წიაღით მოსარგებლე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევების აღმოსაფხვრელად, დადგენილი წესით გამოიძიონ წიაღით სარგებლობის დროს ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების გარემოებები და მიზეზები და გამოძიების შედეგების მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა შესაბამის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის. აღნიშნულ ორგანოებს უფლება აქვთ შეადგინონ აქტები სამართალდარღვევების შესახებ და გადასცენ სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოებს დარღვევის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისაცემად.

სახტექზედამხედველობის ძირითადი ამოცანებია: ზედამხედველობა ქვანახშირის, მადნეულ და არამადნეულ, სამთო-ქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობ- და აირმომპოვებელ, ნავთობ- და აირგადასამუშავებელ, ქიმიურ და ნავთობქიმიურ, ბიოლოგიურ, მიკრობიოლოგიურ, ფარმაცევტულ, საფქვაველევატორულ და კომბინირებული საკვების, ფეტქებად, ხანძარსაში და მომატებული საფრთხის წარმოებაზე, ასევე გეოლოგიურ საძიებო, ბურღვა-აფეთქებით და სხვა სამუშაოებზე, ფეთქებადი ნივთიერებების დამზადებაზე, შენახვა-გამო-

ყენებაზე, მაგისტრალურ ნავთობ, აირ და პროდუქტსადენებზე, გაზომარაგების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, თხევადი აირების (პროპან-ბუტანის) ტრანსპორტირებასა და შენახვა-გამოყენებაზე, სახტექზედამხედველო ორგანოები ასევე ზედამხედველობენ ტვირთამწე მექანიზმების (ამწეების, ლიფტების, ესკალატორების, ფუნიკულიორების, სამგზავრო და სატვირთი კიდული საბაგირო გზების), საქვაბე დანადგარების წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭლის, ორთქლისა და ცხელი წყლის მილგაყვანილობის დამზადებაზე, მოწყობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, ბირთვული, რადიაქტიული, მაიონიზებული გამოსხივების, ძლიერმოქმედი მომნამლავი ნივთიერებების გადაზიდვაზე, შენახვაზე, გამოყენებაზე, გაუენებლობაზე, უტილიზაციასა და დამარხვაზე, ატომური და თბოენერგეტიკის ობიექტებისათვის საჭირო აპარატურის, ხელსაწყოების და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების კონსტრუირებაზე, დამზადებაზე, ნიალისეულის დამუშავების დროს მის რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებაზე, სამთო ხანარმთა ექსპლუატაციის პროცესში მათ კომპლექსურ შესწავლაზე, სამთო გამონამუშევრებისა და მინისქვეშა ბუნებრივი გამოქვაბულების, მღვიმეების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, გასამხედროებული სამთომამშველი, შადრევანსანინაალმდეგო და აირმაშველი სამსახურების ავარიების ლიკვიდაციისათვის მზადყოფნაზე, ავარიებისა და უბედური შემთხვევების მიზეზების დადგენაზე.

როგორც ვხედავთ, სახტექზედამხედველობის ორგანოებს საკმაოდ დიდი სფერო აქვთ ზედამხედველობოს გასაწევად. იგი მეტწილად დაკავშირებულია ნიალისეულის ამოღებასა და სარგებლობასთან, ბუნებრივი სიმდიდრეებით სარგებლობის უსაფრთხოებასთან. მის ამ მნიშვნელოვან ამოცანებთან დაკავშირებულია სახტექზედამხედველობის ორგანოთა ფუნქციების ფართო მასშტაბები. ეს კარგად ჩანს დებულებიდან, რომელიც აწესებს სახტექზედამხედველობის ორგანოთა ფუნქციებს.

სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში აღნიშნული ორგანოები იკვლევენ ავარიებსა და უბედური შემთხვევების გამომწვევ მიზეზებს, ანალიზებენ, ამუშავებენ და აზოგადებენ მათ, სახავენ ასეთი შემთხვევების გამომრიცხავ ღონისძიებებს: უზრუნველყოფენ ქვეყნის მეურნეობაში უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას, განსაზღვრავენ ამ სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და პროგნოზირებას მოკლე და გრძელვადიანი პერიოდისათვის, ახდენენ მათ სისტემატურ კორექტირებას არსებულ საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში; სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად მონაწილეობენ უსაფრთხოების ტექნიკის, წიაღის დაცვისა და რაციონალური გამოყენების სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში, ორგანიზაციებს დახმარებას უწევენ უსაფრთხოების ტექნიკის ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში, ამტკიცებენ მათ, გასცემენ სამოქმედოდ და ადგენენ მათი გამოყენების წესებს.

დიდია სახტექნოლოგიური ორგანოთა როლი ცალკეული ექსპერტიზების ჩატარების საქმეშიც. დებულების მიხედვით, ეს ორგანოები ზედამხედველობას უწევენ მომეტებული საფრთხის საწარმოების პროექტების ექსპერტიზას და მონაწილეობენ ამ ობიექტების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ახდენენ უცხოეთში შესაძენი მომატებული საფრთხის შემცველი მანქანა-დანადგარების და ტექნოლოგიის ექსპერტიზის ორგანიზაციას, მონაწილეობენ მომატებული რისკის სათაო საცდელი ნიმუშების გამომცდელ კომისიებში და ნებართვას გასცემენ მათი სერიულად გამოშვებისათვის.

ანალიზისა და მუშაობის განზოგადების თვალსაზრისით სახტექნოლოგიური ორგანოები ანალიზს უკეთებენ და განზოგადებენ უსაფრთხოების ტექნიკის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეისწავლიან საზედამხედველო დარგებში სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს და გამოცდილებას, შეუმუშავენ წინადადებებს უმაღლეს ორგანოებში წარ-

სადგენად, შეისწავლიან საკონტროლო ობიექტებზე ავარიებისა და სანარმოო ტრავმატიზმის, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებების, ასაფეთქებელი მასალების სიჭარბისა და დანაკლისის შემთხვევების მიზეზებს, ატარებენ ტექნიკურ გამოკვლევებს დადგენილი წესის მიხედვით, აანალიზებენ მათ და, შედეგებიდან გამომდინარე, დამრღვევ სუბიექტებს აძლევენ სავალდებულო მინერილობებს შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში სამინისტროებს, სანარმოებს და მოქალაქეებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას.

სახტექნედამხედველობის ორგანოების ფუნქციებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკონტროლო-სანებართვო საქმიანობას. ამ მიზნით ისინი ახორციელებენ საზედამხედველო სანარმოებში უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის უზრუნველყოფის გეგმიურ შემონმებას, ასევე სხვადასხვა არხით მიღებული ინფორმაციის რაგვარეშე შემონმებებს, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებისა და დამტკიცების დროს სამინისტროებს, სანარმოებსა და მოქალაქეებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საკონტროლო აქტების, ნორმატიული დოკუმენტაციის პროექტების განხილვისას, ავარიების შემთხვევაში სადავო და ტექნიკურად რთული საკითხების გადაწყვეტის მიზნით სამინისტროებიდან, მეცნიერებათა აკადემიიდან, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან შეთანხმების საფუძველზე ინვევენ სპეციალისტებს, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტებს, მონაწილეობენ საზედამხედველო სანარმოთა ობიექტებისა და ნაკეთობათა მიმღები სახელმწიფო კომისიების მუშაობაში გამამწყვეტი ხმის უფლებით, აკონტროლებენ ფეთქებადი და ხანძარსაშიში სანარმოებისათვის კატეგორიების მინიჭების სისწორეს და ფეთქებადსაშიშ ზონებში გამოსაყენებელი მოწყობილობების შესაბამისობას, ზედამხედველობას უწევენ საკონტროლო ობიექტების პერსონალის მომზადებას, მონაწილეობენ სას-

წავლო პროგრამების შედგენაში, პერსონალის მომზადებაში და ცოდნის შემოწმების დადგენაში, ახდენენ თავიანთი სისტემის მუშაკების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.

სახტექნედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ შეამოწმონ საზედამხედველო სანარმოები, ორგანიზაციები და ობიექტები. მათ შეუძლიათ წარდგინებით მომართონ სამინისტროებსა და სანარმოებს იმ მოქალაქეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, რომლებსაც არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია ან რომლებიც სისტემატურად არღვევენ უსაფრთხოების წესებს და ნორმებს. ისინი სასწავლო კაბინეტებსა და საკონტროლო სანარმოებში ამოწმებენ უსაფრთხოების ტექნიკის შესწავლის ორგანიზაციას, მუშების სამუშაოზე დაშვების დადგენილი წესების დაცვას, სანარმოების შემოწმებისას ახდენენ ინჟინერ-ტექნიკური და მუშა პერსონალის შერჩევით შემოწმებას მათ მიერ ტექნოლოგიური რეგლამენტების, წესებისა და ნორმების ცოდნის თვალსაზრისით, იღებენ მონაწილეობას მათი ცოდნის შემოწმებელი კომისიების მუშაობაში. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სახტექნედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ მოისმინონ სამინისტროების, წარმოება-დანესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიშები, მისცენ მათ წინადადებები სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დანიშნონ დანადგარების, ნაკეთობათა საკონტროლო გამოცდები და მასალების ანალიზი, გააკონტროლონ მოწყობილობის ტექნიკური შემოწმების და გეგმიურ-გამაფრთხილებელი შეკეთებების სისრულე და ხარისხი.

სახტექნედამხედველობის ორგანოების სპეციალისტები სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით და მათ საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის აქვს, გარდა მათი ხელმძღვანელებისა. სპეციალისტების, მათი ხელმძღვანელების კანონიერი მოთხოვნები აუცილებელია შესასრულებლად თანამდებობის პირები-

სა და მოქალაქეებისათვის. სამინისტროები და საწარმოები, სადაც სახტექზედამხედველობის ორგანოები ზედამხედველობას ახორციელებენ, აგრეთვე ქალაქების და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა მოვალეა უსასყიდლოდ უზრუნველყოს სახტექზედამხედველობის სისტემის სპეციალისტები სასამსახურო სადგომებით, სატელეფონო და სხვა სახის კავშირგაბმულობით, ავარიების მოკვლევის და საწარმოების შემოწმების პერიოდში აუცილებელი სპეცტანსაცმლით, დამცავი საშუალებებითა და საჭირო ტრანსპორტით.

ასეთია წიაღისეულის დაცვასა და გამოყენებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოთა ფუნქციები. აღნიშნული უფლებამოსილებანი და მუშაობის ფორმები განაპირობებენ ამ სფეროში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას.

§ 3. პასუხისმგებლობა წიაღისა და წიაღისეულის დაცვის წესების დარღვევისათვის

წიაღისა და წიაღისეულის დაცვის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული, დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლის კოდექსი უშუალოდ წიაღისა და წიაღისეულის გამოყენების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, მაგრამ არის სამთო სამუშაოების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა (მუხ. 240). აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა (მუხ. 242), აგრეთვე წიაღისეულის, როგორც სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი განზრახ დაზიანების ან განადგურებისათვის პასუხისმგებლობა (მუხ. 187). ცალკე გათვალისწინებულია მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლუატაციის ან რემონტის უსაფრთხოების წესების დარღვევა (მუხ. 183). ასევე ცალკეა

აღნიშნული ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხ. 188).

სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების დადგენილი წესების დარღვევა გულისხმობს სამთო-გეოლოგიური, საძიებო, წიაღისეულის მოპოვებით და სხვა სამუშაოზე მისი უსაფრთხოების წესების დარღვევას. სსკ 240-ე მუხლი ბლანკეტური ხასიათისაა, ვინაიდან მასში არ არის ჩამოთვლილი სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების წესები, მაგრამ ამ წესების ნებისმიერი დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს. ასეთი პასუხისმგებლობა დადგება მაშინ, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვება. კოდექსი ასევე არ განმარტავს, თუ რა ითვლება მძიმე შედეგად. ბუნებრივია ადამიანის მსხვერპლი, ნგრევა და განადგურება მძიმე შედეგია, მაგრამ ეს ცნება მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც წესების დარღვევამ მძიმე მატერიალური ზარალი გამოიწვია. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი სპეციალურად ითვალისწინებს სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების დადგენილი წესების ისეთ დარღვევას, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა.

ამ შემთხვევაში სასჯელი გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით იმავე ვადით, თანამდებობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე ან უამისად, მაშინ როდესაც სხვა მძიმე შედეგის დადგომისას გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით 2 წლამდე (მუხ. 242).

სსკ 240-ე მუხლი, როგორც აღვნიშნეთ, ითვალისწინებს აფეთქების მხრივ საშიში საწარმოებსა და საამქროებში უსაფრთხოების წესების დარღვევას. აღნიშნული მუხლის დისპოზიცია მიუთითებს, რომ დარღვევა საწარმოო-ტექნიკური დისციპლინისა ან წესებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების უსაფრთხოებას აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში, გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუ-

ხისმგებლობას თავისუფლების შეზღუდვით 2 წლამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე ან უამისოდ. მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულია საშიშ საწარმოებსა და საამქროებში არა მხოლოდ უსაფრთხოების წესების დარღვევა, არამედ საწარმოო-ტექნიკური დისციპლინების დარღვევაც, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების უსაფრთხოებას. დისციპლინური დარღვევა, როგორც ცნობილია, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომელიც შთანთქავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმით, რომ აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და საამქროებში საწარმოო-ტექნიკური დარღვევა არა იშვიათად იწვევს მძიმე შედეგებს. ამ მუხლის მეორე ნაწილი სწორედ ამ მძიმე შედეგებზე მიუთითებს, კერძოდ, აღნიშნულ საწარმოებსა და საამქროებში საწარმოო-ტექნიკური დისციპლინის ან უსაფრთხოების წესების ისეთი დარღვევა, რომელსაც გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მძიმე შედეგი მოყვა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ამავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე. რაც შეეხება წიაღისა და წიაღისეულის დაზიანებას ან განადგურებას, იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ თუ გაუფრთხილებლობით დაზიანებისა და განადგურებისათვის პასუხისმგებლობის დამდგენ მუხლში. კერძოდ, სსრ მუხლში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ტუსალობით 2 თვემდე ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით 100-დან 180 საათამდე ან ჯარიმით; ხოლო ამ მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია დაღრვევის კვალიფიციური შემთხვევები. კერძოდ, სახელმწიფოს ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება, ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით, თუ საყოველთაოდ საშიში სა-

შუალელებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 10 წლამდე, ხოლო თუ ასეთ ქმედებას ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 15 წლამდე. როგორც ვხედავთ, მუხლი მეტად მკაცრია სახელმწიფო საკუთრების განადგურების ან დაზიანების შემთხვევის მიმართ, რომელთა შორის იგულისხმება წიაღისა და წიაღისეულის განზრახ განადგურება თუ დაზიანება.

როგორც აღვნიშნეთ, სსრ 283-ე მუხლში ცალკეა გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენების მშენებლობის, ექსპლუატაციის ან რემონტის უსაფრთხოების დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე, ხოლო იმავე ქმედების ჩადენა, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე, ხოლო ორი ან მეტი ადამიანის მსხვერპლის შემთხვევაში სასჯელი იზრდება 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

წიაღისეულის სხვა დაცვა სისხლის სამართლის კოდექსში გამოკვეთილად გათვალისწინებული არ არის,

გაუფრთხილებლობით დაზიანება ან განადგურება წიაღისა და წიაღისეულისა გათვალისწინებულია სსრ 188-ე მუხლში, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფო ქონების განადგურების თუ დაზიანების სახით, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან ან მომატებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით. აღნიშნული გაუფრთხილებელი დარღვევა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვას 3 წლამდე ან ჯარიმას.

ადმინისტრაციული კანონმდებლობა უფრო დანვრილებით არეგულირებს პასუხისმგებლობას წიაღისა და წიაღისეულის გამოყენების და სარგებლობის წესების დარღვევისათვის. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 47-ე მუხლი ანესებს დარღვევისათვის პასუხის-

მგებლობას, კერძოდ, ამ მუხლში აღნიშნულია, რომ ისეთი გარიგების დადება, რომელიც აშკარად თუ ფარულად არღვევს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, იწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 10-დან 60 მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო თანამდებობის პირთა მიმართ – 60-დან 90 მინიმალურ ოდენობამდე. როგორც ცნობილია, წიაღით სარგებლობის უფლება გააჩნია სახელმწიფოს არა მარტივ ცენტრალურ ორგანოებს, არამედ ადგილობრივ ორგანოებსაც და სწორედ მათ მიერ წიაღის თვითნებური გამოყენების ან კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადების შემთხვევაში გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აღნიშნულ 47-ე მუხლში.

წიაღის საკუთრების უფლების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, კერძოდ, დარღვევას წარმოადგენს უნებართვოდ წიაღით სარგებლობა, ისეთი გარიგების დადება, რომლითაც წიაღი შეიძლება გადავიდეს კერძო მოქალაქის, ორგანიზაციის თუ უცხო იწვესტორის საკუთრებაში, ანდა სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნეს იგი გამოყენებული. ყოველი ასეთი შემთხვევა ითვალისწინებს ბრალეული მხარის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

წიაღზე სახელმწიფო საკუთრების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დაცვას განეკუთვნება აგრეთვე მისი წვრილმანი დატაცებისათვის პასუხისმგებლობა. კერძოდ, კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცება (მათ შორის წიაღისეულისაც) ქურდობის, გაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის გზით გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 50 მინიმალურ ოდენობამდე. დატაცება ჩაითვლება წვრილმანად, თუ დატაცების ღირებულება არ აღემატება შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობას. ამასთან დატაცებულის ღირებულების გარდა გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე დატაცებული ნივთების რაოდენობა ნატურით (წონა, მოცულობა) და მათი მნიშვნელობა სახალხო

მეურნეობისათვის. როდესაც გატაცებული ნივთის ღირებულება დიდი არ არის, მაგრამ დიდია მისი სამეურნეო დანიშნულება ან დიდი რაოდენობითაა გატაცებული ნივთები, რომლებიც საერთო ჯამში დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაინც დადგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ნაცვლად ადმინისტრაციულისა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სპეციალურ მე-7 თავს უძღვნის გარემოს ადმინისტრაციული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ თავში გათვალისწინებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ 1996 წლის 10 დეკემბრის კანონის მოთხოვნები (მუხ. 57) და მოცემულია ისეთი დარღვევები, როგორცაა: წიაღის დაცვის მოთხოვნათა დარღვევა (მუხ. 56), სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა (მუხ. 56¹), წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა (მუხ. 57), სამთო სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევა (მუხ. 90), ძვირფას ლითონებთან, ქვებთან და მათი გამოყენებით დამზადებულ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევა (მუხ. 97¹).

წიაღის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სიმდიდრის შენარჩუნებისა და ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად. ამიტომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს წიაღის დაცვის პირობებს. კოდექსის აღნიშნულ 56-ე მუხლში ჩამოთვლილია ისეთი დარღვევები, როგორცაა: სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის წესებისა და წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, სასარგებლო წიარისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაცია კონსერვაციის, მიწის მიკუთვნების

ფარგლებში ნიადაგების რეკულტივაციის ნესებისა და ნორმების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან რვაას ლარამდე. სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლის გაუარესება გამოიწვევს დაჯარიმებას რვაასიდან ათას ლარამდე.

აღნიშნული დარღვევები შეიძლება ჩაიდინოს არა მხოლოდ თანამდებობის პირმა, არამედ ჩვენმა მოქალაქემ, უცხოელმა და მათ გაერთიანებამაც. ამიტომ მხოლოდ თანამდებობის პირებზე ყურადღების გამახვილება კოდექსის აღნიშნულ 56-ე მუხლში სავსებით სწორი იქნებოდა, რაც კანონმდებლობამ მომავალში უნდა გაითვალისწინოს.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წიაღს ქვეყნის ძლიერებისათვის, მისი სავალუტო ფონდის განმტკიცებისათვის. საქართველოში წიაღს უძველესი დროიდან მოიპოვებენ. ამ თემაზე მრავალი ლეგენდაც კი შექმნილა, თუნდაც ოქროს საწმისის სახით. დღესაც ოქროს მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამიტომ სახელმწიფო ზრუნავს ოქროს საბადოებზე, როგორც თავის უმნიშვნელოვანეს წიაღისეულზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსის 57¹ მუხლით წიაღით თვითნებურად სარგებლობა ანდა წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას ათასიდან ათასხუთას ლარამდე.

გეოლოგიურ სამუშაოთა წარმოებისათვის შესაძლო ადმინისტრაციულ დარღვევათა შესახებ მოცემულია კოდექსის 57-ე მუხლში. მასში აღნიშნულია: წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების ნესებისა და მოთხოვნათა დარღვევა რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მინისტრატურის წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ქაბურღილების, სამარკუმიდერო და გეოდეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, ცრუ ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 10-დან 50 მინიმალური ოდენობამდე, თანამდებობის პირებისათვის – 50-დან 70 მინიმალური ოდენობამდე. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლო-

ბას მხედველობაში აქვს გეოლოგიური პარტიების პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ დაუდევრობის ჩადენა, რამაც გამოიწვია საბადოთა და ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის მცდარი შეფასება. ასეთი დარღვევა ზიანის მომტანია სახალხო მეურნეობისათვის, რისთვისაც კანონმდებლობა მკაცრად ეპყრობა შესაბამის პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს.

დაბოლოს, წიაღისა და წიაღისეულის მოპოვებისა და გამოყენების სამუშაოთა უსაფრთხოების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 90-ე მუხლით. ამ მუხლში სპეციალურად წიაღისა და წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ საწარმოებზე არაა ლაპარაკი, მაგრამ მითითებულია, რომ სამთო, სამშენებლო, ფეტქებადსაში ან სხვა ობიექტებზე, სადაც ხორციელდება საშიში საქმიანობა, სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ნორმებისა და წესების დარღვევა მძიმე შედეგის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე, ხოლო განმეორებით ჩადენისას – 200-დან 500 ლარამდე. სახსამოტექნიკური უსაფრთხოების თანამდებობის პირთა მიერ მრეწველობის დარგებში და იმ ობიექტებზე, რომლებსაც კონტროლს უწევენ სახსამოტექნიკური უსაფრთხოების ორგანოები, სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების არაერთგზის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 10 მინიმალურ ოდენობამდე. სახსამოტექნიკური უსაფრთხოების ორგანოთა უსაფრთხოების ობიექტებს შორის, როგორც აღინიშნა, იგულისხმება სწორედ წიაღისა და წიაღისეულის კვლევის, მოპოვებისა და გადამუშავების ხასიათის ორგანიზაციები, რომელთა თანამდებობის პირები პასუხს აგებენ თავიანთ ობიექტებზე სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების არაერთგზის დარღვევაზე, რომელსაც ზიანი არ გამოუწვევია (არსებითი ზიანის შემთხვევაში დადგება სისხლის სამართლის პასუხის-

მგებლობა). ამიტომ ასეთი დარღვევა მხოლოდ მაშინ იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, თუ იგი არაერთგზის მოხდა ან სისტემატური ხასიათისაა.

რაც შეეხება დისციპლინურ და მატერიალურ პასუხისმგებლობას წიაღისა და წიაღისეულის დაცვის წესების დარღვევისათვის, იგი გათვალისწინებულია შესაბამის საუნწყებო ნორმატიულ აქტებში, რომლებიც აწესებენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირების დისციპლინურ პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული დარღვევისათვის, თანამდებობის პირებს დისციპლინური დასჯის ზომებს ზემდგომი თანამდებობის პირები აკისრებენ. ტექნიკური ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში შესაბამისი თანამდებობის პირების დისციპლინური წესით დასჯის შესახებ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ კანონმდებლობას წიაღისა და წიაღისეულის დაცვისა და მოვლა-პატრონობის შესახებ.

თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის დამრღვევებს შესაბამისი დაწესებულებების და ორგანიზაციის ადმინისტრაცია უფარდებს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და მატერიალურ პასუხისმგებლობას წიაღის კანონმდებლობის დამრღვევებს აკისრებენ სასამართლოები.

თ ა ვ ი X

ტყის და მცენარეულობის სამართლებრივი დაცვა

§ 1. ტყე, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი

კაცობრიობა უძველესი დროიდან მჭიდროდაა დაკავშირებული ტყესთან. ტყე ბიოსფეროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მსოფლიოში სატყეო ფართობი შეადგენს 4,1 მლრდ ჰა ანუ ხმელეთის დაახლოებით 1/2. მერქნის მსოფლიო მარაგი აღწევს 360 მლრდ კმმ, ხოლო ნლიური შემატება – 3200 მლნ კმმ. დედამიწის ზურგზე იზრდება მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეების 30000 სახეობა. ტყე დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარების, გარემოს გაუმჯობესების და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საქმეში. მას როგორც ბუნებრივი გარემოს ნაწილს მთელი რიგი პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, რითაც ის არსებითად განსხვავდება მცენარეული სამყაროს სხვა ობიექტებისაგან. თანამედროვე განმარტებით ტყე არის გეოგრაფიული ლანდშაფტის ელემენტი შემდგარი ბიოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული ხეების, ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმებისაგან, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და გარემოზე. მაშასადამე, ტყეში მერქნიანი ჯიშების რაოდენობრივი დაგროვება ქმნის ახალ ხარისხობრივ თვისებებს, რაც გამოიხატება ბუნების ცალკეული ობიექტების ურთიერთქმედებაში. ეს ეკოლოგიური კომპლექსი არსებით და მრავალმხრივ გავლენას ახდენს გარემო-

ზე. ტყის ამ თვისებით ხდება მისი გამიჯვნა პარკის, სკვერის და ბალისაგან, სადაც ხეების ერთობლიობა არ ქმნის ტყის გარემოსთვის დამახასიათებელ ფუნქციონალურ ურთიერთკავშირებს. მეორე მხრივ, ტყეს შეიძლება მივაკუთვნოთ ნებისმიერი მერქნიანი თანასაზოგადოება, რომელსაც აქვს აღნიშნული თვისებები, მიუხედავად წარმოშობისა (ხელოვნური ან ბუნებრივი), ხეების ჯიშობრივი შემადგენლობისა და ადგილმდებარეობისა (ქალაქებში ან მის გარეთ).

ადამიანის ცხოვრებაში ტყის როგორც ბუნებრივი გარემოს ნაწილის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი თავისებურებებით.

ტყეს აქვს მრავალმხრივი ფუნქციები. ტყე მზის ენერჯის მძლავრი აკუმულატორია, ის არსებით გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე, ბუნებაში წყლის წრებრუნვაზე, ატმოსფეროში აირგაცვლაზე და ამგვარად ქმნის ადამიანის სიცოცხლისათვის საჭირო პირობებს. ამ წრებრუნვის საწყისს წარმოადგენს ფოტოსინთეზის პროცესი, რომლის დროსაც გამოიყოფა ჟანგბადი. თუ 30-50-იან წლებში ჟანგბადის ბალანსის შევსებაზე ტყეზე მოდიოდა მხოლოდ 30%, ახლა ტყე გამოყოფს ბიოლოგიურად აქტიური ჟანგბადის 60%, დანარჩენს კი იძლევიან ზღვებისა და ოკეანეების პლანქტონი და მინდვრების და ბაღების კულტურული მცენარეულობა, ტყის ჟანგბადი ხარისხობრივად განსხვავდება ზღვებისა და ოკეანეების ჟანგბადისაგან იმით, რომ გაჯერებულია უარყოფითი იონებით. ეს მნიშვნელოვნად ადიდებს ტყის ბალნეოლოგიურ თვისებებს, რადგანაც დამტკიცებულია უარყოფითი იონიზაციის კეთილმყოფელი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ტყის ჟანგბადის იონიზაცია 2-3-ჯერ უფრო მეტია ზღვის და 5-10-ჯერ ქალაქების ატმოსფეროს ჟანგბადის იონიზაციაზე.

ტყე, როგორც დედამიწაზე ყველაზე დიდი ბიოლოგიური თანასაზოგადოება ასუფთავებს ჰაერს მტკერისაგან. ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტკერს ფილტრავს, ხოლო ამის შესაბამისად საქართველოს ტყეები მთლიანად 135-190 მლნ ტონამდე.

ტყე არეგულირებს თოვლდნობის ინტენსივობას, მნიშვნელოვნად ამცირებს ჰაერის სისწრაფეს, იცავს სასარგებლო ფაუნას და მიკროორგანიზმებს. ტყის მრავალი მცენარე გამოყოფს ფიტონციდებს, რომლებიც თრგუნავენ დამავადებელ ორგანიზმებს და ამით აჯანსაღებენ გარემოს. ტყე შთანთქავს ხმაურს. ტყე – მძლავრი სანიტარულ-ჰიგიენური ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

მეტად მნიშვნელოვანია ტყის წყალდაცვითი ფუნქციები. ის ხელს უწყობს მდინარეებისა და წყლის სხვა რესურსების (ტბები, წყაროები და სხვა) ნორმალურ და თანაბარ მომარაგებას წყლით, აფერხებს წყალდიდობებს, უზრუნველყოფს წყლის ხარისხის ამაღლებას, იცავს მათ გაჭუჭყიანებისაგან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტყის როლი ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და წყლის და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვის საქმეში. სახნავების უმრავლესობა განლაგებულია არამყარი და არასაკმარისი დატენიანების ზონებში. დაცვითი ტყის გაშენება მიეკუთვნება აქტიურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია გვალვის და ეროზიული მოვლენების წინააღმდეგ.

ტყე – მერქნის წყაროა. ამჟამად ცნობილია მერქნის 15000 სახის ნაკეთობანი (მეორე მსოფლიო ომის დროს ეს მაჩვენებელი 5000 არ აღემატებოდა). სამართლიანად ამბობენ, რომ მერქნის საუკუნე ისევე წინაა, როგორც უკან.

ტყე იძლევა მრავალი სახის ძვირფას პროდუქტს და ნედლეულს. ის არის მრავალფეროვანი ფაუნის ადგილსამყოფელი. მეტად დიდია ტყის რეკრეაციული და ტურისტული მნიშვნელობა.

სატყეო მეურნეობის ძირითადი მიზანია სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების სრული, მრავალმხრივი დაკმაყოფილება ტყის პროდუქტებით ტყის რესურსების გამოუღვევლად. ეს ამოცანა უნდა წყდებოდეს ტყით დაფარული ფართობების შეუმცირებლად, ტყის პროდუქტიულობის შენარჩუნებით, მისი ბუნებათდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა სასარგებლო თვისებების დაცვით.

სატყეო მეურნეობას, როგორც წარმოების დარგს აქვს თავისებურება – ტყის ზრდის საგრძნობლად ხანგრძლივი პერიოდი. სატყეო მეურნეობის ერთ ბრუნვას ესაჭიროება იმდენი დრო, რამდენიც საკმარისია სოფლის მეურნეობის 80-150 ბრუნვისათვის. ცვლილებები სატყეო მეურნეობაში ძირითადად შეუმჩნეველია ერთი თაობისათვის. ადამიანი, რომელიც ჩეხს ტყეს შედეგების გაუთვალისწინებლად, შეიძლება დიდხანს ცოცხლობდეს და მოესწროს ამ შედეგებს; მეტყევე, რომელიც აშენებს ტყეს, უმრავლეს შემთხვევაში კვდება ისე, რომ ვერ იხილავს თავის საბოლოო შედეგს – ტყეს.

ტყეს გააჩნია თვითაღდგენის უნარი; მისი რაციონალურად ექსპლუატაციისას ის ინარჩუნებს და იუმჯობესებს თავის ბუნებრივ თვისებებს და უზრუნველყოფს თაობების სწორ ცვლას. ტყის კულტურების ზრდის ხანგრძლივობა და ტყის რაციონალური ექსპლუატაცია განსაზღვრავენ ადამიანის და ტყის გარემოს ურთიერთქმედების თავისებურებას.

საქართველოს ტერიტორიის 39,5% ტყით არის დაფარული. ჩვენი ტყეები, თითქმის მთლიანად (97,7%) მთის ფერდობებზეა განლაგებული.

მთის ტყეები იზრდება მთის სისტემების და ცალკეული მთის მასივების ფარგლებში 1000 მ მეტი ფარდობითი სიმაღლეების ცვალებადობით, სხვადასხვა დაქანების ფერდობებზე და აგრეთვე მთის პლატოებზე. მთის ტყეები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ეკოლოგიურ სისტემას, რომელშიც ნათლადაა გამოხატული ვერტიკალური სარტყლიანობა. ამ ტყეების ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია ექსპოზიციასზე, ფერდობის სიმკვეთრეზე და სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მთებში ბუნებრივი პროცესების ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებაა მათი მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება: ტყის გაჩეხვა იწვევს ბუნების სხვა კომპონენტების დარღვევას და მოსპობას.

საქართველოში ტყის მცენარეულობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

ა) ტყის მერქნიანი ჯიშების ნაირფეროვნება. ფოთლოვან ტყეებს მთლიანად უკავია 1,756 მლნ ჰექტარი (81,0%) მერქნის საერთო მარაგით 263,5 მლნ კბმ, მათ შორის წიფლით გაბატონებულ კორომებს უჭირავს 1,051 მლნ ჰექტარი, მუხით – 220,0 ათასი ჰექტარი, რცხილით – 144,1 ათასი ჰექტარი, მურყანით 69,1 ათასი ჰექტარი და ა.შ. წიწვიან ტყეებს სულ უკავია 0,413 მლნ ჰექტარი (19%) მერქნის საერთო მარაგით 115,8 მლნ კბმ, მათ შორის ფიჭვით გაბატონებულ კორომებს უკავია 102,3 ათასი ჰექტარი, ნაძვით 125,0 ათასი ჰექტარი, სოჭით – 182,4 ათასი ჰექტარი.

ბ) ტყის უმეტესი ნაწილი (97,7%) განლაგებულია დიდი დაქანების (21 გრადუსი და მეტი) ფერდობზე. ასე, მაგალითად, ტყეების განაწილება ფერდობების დაქანების სიმკვეთრის მიხედვით შემდეგია: 0-10 გრადუსი – 5,3%; 11-20 გრადუსი – 15,0%; 21-25 გრადუსი – 17,1%; 26-30 გრადუსი – 20,4%; 31-35 გრადუსი – 23,4%; 41 გრადუსზე და ზევით – 1,5%.

გ) ტყის განაწილება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით შემდეგია: ზღვის დონიდან 500 მეტრამდე გავრცელებულია 7,3%; 501-1000 მეტრამდე – 19,7%; 1001-1500 მეტრამდე – 35,5%; 1501-2000 მეტრამდე – 30,7%; 2001 მეტრიდან და ზევით – 6,8%. მაშასადამე, ვერტიკალური სიმაღლის მიხედვით ტყის უმეტესობა (92,7%) განლაგებულია ზღვის დონიდან 501 მეტრის ზევით.

დ) ტყის მასივების ხნოვანების ნაირგვარობა. ახალგაზრდა კორომებს უჭირავს 6,9%; შუახნის 47,7%; მომწიფარ კორომებს – 15,2%, მწიფე და მათზე უხნეს კორომებს – 30,2%.

ე) ტყის რესურსების არათანაბარი განაწილება. ტყიანობის პროცენტის მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციული რაიონები პირობით შეიძლება დაიყოს 5 ჯგუფად: პირველ ჯგუფში ტყიანობა აღემატება 50 პროცენტს (გაგრა, სოხუმი, ბათუმი, ქედა, წალენჯიხა, ლენტეხი, ბორჯომი და სხვა), მეორეში – 35-დან 50 პროცენტამდე (მესტია, ოზურგეთი, ონი, მცხეთა, დუშეთი, ახმეტა, ლაგოდეხი და სხვა), მესამეში – 15-დან 35-მდე (ზუგდი-

დი, ხობი, ქარელი, საგარეჯო, გურჯაანი და სხვა) და მეხუთეში – 5 პროცენტამდე (აბაშა, ყაზბეგი, ნინოწმინდა და სხვა).

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და მოსახლეობის ცხოვრებაში ტყის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა განსაზღვრავს მისი დაცვის აუცილებლობას. ტყის დაცვა სახელმწიფოებრივი ამოცანაა და იგი ხორციელდება ღონისძიებათა სისტემით, რომელიც მოიცავს ბიოლოგიურ, სატყეო-სამეურნეო, ქიმიურ და სამართლებრივ ასპექტს.

ტყის კანონდებლობის ძირითადი არსი უმთავრესად ტყით, როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი თვითგანახლებადი კომპონენტით, განუწყვეტელი სარგებლობის დაკანონების იურიდიულ დასაბუთებაში მდგომარეობს.

ყოფილ სსრ კავშირში ტყეში რაციონალური და დიფერენცირებული მეურნეობის წარმოებისა და საერთოდ, ტყის რესურსების გამოლევის თავიდან აცილების მიზნით, ტყის ფონდი მათი სახალხო – სამეურნეო მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და შესასრულებელი ფუნქციების შესაბამისად ჯგუფებად იყოფოდა.

პირველი ჯგუფის ტყეს მიეკუთვნებოდა წყალშენახვითი, ნიადაგდაცვითი, საკურორტო, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დანიშნულების ტყე, აგრეთვე ნაკრძალები, ეროვნული და ბუნებრივი პარკები, ბუნების ძეგლები, ტყე-პარკები, სუბალპური და სამეცნიერო ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეები.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა ტყე, რომელიც განლაგებული იყო მჭიდროდ დასახლებული და განვითარებული სატრანსპორტო გზების ქსელის მქონე და ამასთან უტყეო ან მცირე ტყიან რაიონებში.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნებოდა ტყით მდიდარი რაიონების ტყე, რომელსაც, ძირითადად, საექსპლუატაციო მნიშვნელობა ჰქონდა.

პირველი ჯგუფის ტყეში მეურნეობის წარმოების ძირითადი მიზანი იყო ამ ტყის განსაკუთრებული ფუნქციების შენარ-

ჩუნება-გაძლიერება. მერქნის სარგებლობა შეზღუდული იყო და ტყის დაცვითი და სხვა სპეციალური ფუნქციების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ექვემდებარებოდა. მეორე ჯგუფის ტყეში მეურნეობის ძირითადი მიზანი წარსულში უსისტემო ჭრის შედეგად გამეჩხერებული ტყის აღდგენასა და მათი მწარმოებლურობის ამაღლებაში მდგომარეობდა. ამასთან ერთად ამ ტყეს საექსპლუატაციო მნიშვნელობა ჰქონდა; მერქნით მთავარი სარგებლობის ოდენობა კორომის ყოველწლიურ ნამატს არ აღემატებოდა. მესამე ჯგუფის ტყეში მეურნეობის ძირითადი მიმართულება იყო ტყის სამრეწველო ექსპლუატაცია, ე.ი. მერქნით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

საქართველოს 1999 წლის კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის“ მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი ერთიანი სამეურნეო მიზნების, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური მნიშვნელობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით იყოფა დაცული ტერიტორიებისა და სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებად.

სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიებია:

- ა) სახელმწიფო ნაკრძალი;
- ბ) ეროვნული პარკი;
- გ) ბუნების ძეგლი;
- დ) აღკვეთილი;
- ე) დაცული ლანდშაფტი;
- ვ) მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებია:

- ა) საკურორტო ზონა;
- ბ) მწვანე ზონა;
- გ) ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყე.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქვეყნის დაცული ტერიტორიები შეიძლება აგრეთვე ჩართული იქნენ საერთაშორისო ქსელში შემდეგი კატეგორიებით:

- ა) ბიოსფეროს რეზერვატი;
- ბ) მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი;
- გ) საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

კოდექსით დაშვებულია აგრეთვე სამეურნეო ტყის ფონდში განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულებისა და ლანდშაფტური უბნების გამოყოფა.

§ 2 ტყის სამართლებრივი დაცვის ცნება და შინაარსი

ტყის სამართლებრივი დაცვის მიზანია ტყის სიმდიდრეების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, ტყის ფონდის შენარჩუნება, ტყის უწყვეტი კვლავნარმოება, დაცვითი, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო თვისებების გაძლიერება.

ტყის სამართლებრივი დაცვა მდგომარეობს სახელმწიფოს მიერ ისეთი სამართლებრივი ნორმების დადგენასა და ეფექტურად გამოყენებაში, რომლებიც განსაზღვრავენ დაცვის ობიექტებს და მათ კლასიფიკაციას, ტყის გამოყენების წესს, ტყითსარგებლობის უფლებებს და ვალდებულებებს, მათ პასუხისმგებლობას ტყის წესების დარღვევებზე და კონტროლს ტყის გამოყენებაზე.

სატყეო კანონმდებლობის ამოცანები გამოიხატება იმით, რომ უზრუნველყოს ტყის და მათ შორის, ტყის რესურსების კვლავნარმოება და პროდუქტიულობის ამაღლება, დაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო თვისებების შენარჩუნებით და გაძლიერებით, მერქნით და ტყის სხვა პროდუქციით სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ტყის სამართლებრივი დაცვა წარმოადგენს გარემოსდაცვით და მათ შორის, სატყეო კანონმდებლობაში ასახული ღონისძიებების სისტემას. ტყის დაცვის კანონმდებლობა მოიცავს მთელ რიგ სამართლებრივ აქტებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ტყის კოდექსი, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, აგრეთვე სამთავრობო დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისა და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებები და სხვა ნორმატიული აქტები.

ტყის დაცვის სამართლებრივი აქტები მოიცავენ მთელ რიგ ნორმებს. საერთო მნიშვნელობა აქვს ისეთ ნორმებს, რომლებიც ასახავენ სატყეო მეურნეობის გაძღოლის მიზნებს და პრინციპებს. მათი დაკონკრეტება ხდება ტყეთდაცვითი კანონმდებლობის სხვა ნორმებით. იურიდიული საფუძვლისაგან დამოუკიდებლად (ან ასეთი საფუძვლის უქონლობის შემთხვევაში) გამოიყენება ისეთი ნორმები, რომელთა მიხედვით მოსახლეობას, საწარმოებს, დაწესებულებებს ეძლევათ ტყით სარგებლობის უფლება. ეს ნორმები კრძალავენ ისეთ ქმედებას (ან უმოქმედობას), რომელიც ზარალს აყენებს ტყის რესურსებს. არსებობს ნორმები, რომლებიც უფლებას აძლევენ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, მოსახლეობას შეასრულონ კანონით გათვალისწინებული გარკვეული ქმედება ტყისა და მისი პროდუქციის გამოყენების მიზნით. ასეთი გზით ხდება როგორც მერქნით ექსპლუატაციის, ისე არაპირდაპირი სარგებლობის (თიბვა, საქონლის ძოვება, სოკოების, კაკლის, ტყის ნაყოფის შეგროვება) რეგულირება. ცნობილია ნორმები, რომლებიც ავალდებულებენ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს შეასრულონ გარკვეული ქმედება ტყის სიმდიდრის დაცვის და რაციონალური გამოყენების მიზნით. ეს ნორმები ავალდებულებენ ხე-ტყის მრეწველებს მკაცრად დაიცვან და შეასრულონ ტყის ექსპლუატაციის წესები, უზრუნველყონ სატყეო-სამეურნეო სამუშაოები ტყის აღდგენი-

თი, გამაჯანსაღებელი და სანიტარული ღონისძიებებით, განახორციელონ ტყის ხანძრებისაგან, თვითნებური ჭრისაგან, უსისტემო ძოვებისაგან, მავნე მწერებისაგან და ა.შ. დაცვა.

ზოგიერთი ნორმა ითვალისწინებს ტყის დაცვისა და სასარგებლო წესების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და სისხლის სამართლებრივ სანქციებს. ამის გარდა, არსებობს ნორმები, რომლებიც არეგულირებენ სატყეო მეურნეობის ორგანოების მუშაობას ტყის წესების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობაში მისაცემად.

სატყეო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უშუალოდ ტყის დაცვის ნორმებს ეთმობა, რომლებშიც ასახულია ტყის დაცვის შემდეგი სახეები: ტყის დაცვა განადგურებისა და გაჩანაგებისაგან, ტყის სანიტარული დაცვა და ტყის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა.

ტყის განადგურების და გაჩანაგებისაგან დაცვის განხილვისას საჭიროა აღინიშნოს, რომ მას ყველაზე დიდ ზიანს აყენებს არარაციონალური, მტაცებლური ექსპლუატაცია. ტყით რაციონალური სარგებლობის ორგანიზაცია ტყით დაცვის უმნიშვნელოვანესი მხარეა. სატყეო კანონმდებლობა ადგენს ტყის სარგებლობის სახეებს და ვადებს, ტყით მოსარგებლეების უფლებებს და ვალდებულებებს და ა.შ. ტყის სარგებლობის ძირითად სახეს მერქნის დამზადება წარმოადგენს. მთიან პირობებში ეს ქმედება უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული და ითვალისწინებდეს ტყის დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებას. მერქნის დამზადება უნდა იგეგმებოდეს საანგარიშო ტყეკაფის საფუძველზე ისე, რომ დასამზადებელი მერქნის მოცულობა არ აღემატებოდეს მერქნის ნლიურ შემატებას.

რაც შეეხება ტყეში და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე სანარმოო ობიექტების მშენებლობის და რეკონსტრუქციის, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, წიაღისეულის მოპოვების, კაბელების გაყვანის და სხვა სამუშაოების შესრულების დროს უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ღონისძი-

ებები, რომლებიც იცავენ ტყეს სასოფლო-სამეურნეო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნარჩენების და გამონაბოლქვების მავნე ზემოქმედებისაგან.

ტყის შენარჩუნების მიზნით კანონმდებლობა ითვალისწინებს ამკრძალავ, სავალდებულო და გამაფრთხილებელ ღონისძიებებს. ამკრძალავი ღონისძიებებით იკრძალება ისეთი თვითნებური ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სატყეო მეურნეობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება თვითნებური (უკანონო) ჭრა, თიბვა, ძოვება, ამოძირკვა, ნაგებობების მშენებლობა და სხვა მსგავსი ქმედება, რომელიც ინვესს ტყეში ჩამოყალიბებული კავშირების დარღვევას. თვითნებური ქმედება გულისხმობს კანონსაწინააღმდეგო ქცევას, ისეთ ქცევას, რომელიც არ ემყარება მოქმედ კანონს. ასეთ დროს ტყითსარგებლობა ხორციელდება სატყეო მეურნეობის ორგანოების გარეშე, ან ნებართვის შემთხვევაში ადგილის, დროის და ტყის პროდუქციის გაუთვალისწინებლად. სამართალმარეგულირებელი ღონისძიებების მეშვეობით მოქმედი კანონმდებლობა აყალიბებს ტყის სარგებლობის ისეთ რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს ტყის სიმდიდრეების რაციონალურ ექსპლუატაციას. სავალდებულო ღონისძიებები ითვალისწინებენ გარემოს მდგომარეობაზე მეთვალყურეობას, ხანძრების და თვითნებური ჭრისაგან ტყის დაცვას, სანიტარული ჭრის ჩატარებას, ბრძოლას ტყის მავნებლებთან, ტყის აღდგენა-გაშენებას. გამაფრთხილებელი ღონისძიებები ქმნიან ისეთ პირობებს, რომლის დროსაც გამორიცხულია ტყის სიმდიდრეების მიმართ მფლანგველური დამოკიდებულება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ტყის დაყოფა კატეგორიებად, ტყის დამამზადებელი სამუშაოების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა; ტყის ისეთი დამამზადებელი სამუშაოების შეჩერება და სრული აკრძალვა, რომელიც ტყის დაცვის წესების დარღვევით ხდება.

ტყის სანიტარულმა დაცვამ უნდა უზრუნველყოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ნიადაგური, წყლის და ატმოსფერული რეჟიმის დაცვა. ტყის ტერიტორიაზე უნდა იკ-

რძალებოდეს ისეთი საწარმოების საქმიანობა, რომლებიც აჭუჭყიანებენ გარემოს (სამრეწველო ნარჩენების, ქიმიკატების დაგროვება, ჩამდინარე წყლების გატარება და სხვ.).

ტყის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხანძრის შედეგად ნადგურდება ამონაყარი, აღმონაცენი, მოზარდი, იწვება მკვდარი და ცოცხალი საფარი, უარესდება ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური და წყალმენახვითი, ნიადაგდაცვითი თვისებები, ძლიერდება წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის საშიშროება. წარსულში ხანძარი საქართველოს ტყეში ხშირი მოვლენა იყო და დიდ ფართობზე ვრცელდებოდა. მაგალითად, ძლიერი ხანძარი აღინიშნა 1884 წელს „გუჯარეთის“ სახელწოდებით. მან მოიცვა 30 ათასი ჰექტარი ტყე წალვერ-ბაკურიანიდან მდინარე ტანას ხეობამდე. ხანძარი მძვინვარებდა რამდენიმე თვე. მისი ლოკალიზაციისათვის მობილიზებულ იქნა ქართლის მოსახლეობა და სამხედრო ნაწილები. აგრეთვე აღსანიშნავია 2008 წელს რუსეთის აგრესიის შედეგად ბორჯომის რაიონის ტყეებში გაჩენილი ხანძარი, რომელმაც 1000 ჰექტარი ფართობი მოიცვა და გაანადგურა ამ ხეობისათვის დამახასიათებელი უნიკალური ტყეები.

ტყის ხანძრების ძირითად დამნაშავედ გვევლინება ადამიანი. მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ადამიანის მიზეზით შვედეთში ხანძრების 56% ხდება, საფრანგეთში – 41%, გერმანიაში – 57%, აშშ-ში – 46%, კანადაში – 36%. ტყის ხანძრების ჩვეულებრივ მხოლოდ 1/6 ჩნდება ბუნებრივი მიზეზით, როგორცაა მეხის დაცემა, წლის ცხელ პერიოდში თვითაალება და სხვ.

ტყის ხანძრებთან ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების გატარება, სახანძრო დაცვის ორგანიზება, მისი აღჭურვა სათანადო ტექნიკური საშუალებებით, მოსახლეობაში, საწარმოებში და ორგანიზაციებში განმარტებითი მუშაობა. ამავე დროს, ამ საშუალებების ეფექტურობა განისაზღვრება დაცვის სამართლებრივ ღონისძიებებთან შეხამებით.

ტყეში სახანძრო უსაფრთხოების წესები ითვალისწინებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და მოსახ-

ლეობის მიმართ ზოგად და ტყეში შესასრულებელი სამუშაოების მიმართ სპეციალურ მოთხოვნებს. ხანძარსაშიშ პერიოდში შესაძლებელია ტყეში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების შესვლის აკრძალვა.

ტყის დაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მისი კვლავწარმოება. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა საქართველოში.

ტყის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია მერქნის ეკონომიკური ხარჯვის ღონისძიებები, მერქანშემცველი მასალების დანერგვა, მაკულატურის შეგროვება და გამოყენება და ა.შ.

როგორც აღინიშნა საქართველოს ტყის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით, თუმცა ძირითად კანონს ტყეებთან დაკავშირებით საქართველოს ტყის კოდექსი წარმოადგენს (მიღებული 1999 წლის 22 ივნისს). საქართველოს ტყის კოდექსიდან გამომდინარე აგრეთვე მიღებულია 40-ზე მეტი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც სრულად ასახავენ ტყეების მართვის სამართლებრივ სივრცეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად დაშვებულია ადგილობრივი (მუნიციპალური) და კერძო ტყის არსებობა, განსაკუთრებული უფლებამოსილებები და პრიორიტეტები მიკუთვნებული აქვს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას – საპატრიარქოს.

კანონში ზოგადად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული ადგილობრივი მმართველობის და მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები სატყეო ურთიერთობების სფეროში, მოცემულია ტყის ფონდის კატეგორიების განსაზღვრებები, წარმოდგენილია სატყეო სექტორის ორგანიზაციის დაფინანსების, ტყის ფონდის აღრიცხვის, დაცვის, მოვლის, კვლავწარმოების და სარგებლობის ძირითადი საფუძვლები. იგი ადგენს პრინციპებს სატყეო სექტორის ცენტრალური დაგეგმვის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების უფლებებს ტყის ფონდის მართვის საქმეში.

კოდექსით განსაკუთრებული მკაცრი მოთხოვნებია დასმული ჭალის ტყის, ტყის სუბალპური ზოლის, 30-დან 35 გრადუსამდე და უფრო მეტი დაქანების ფერდობებზე, აგრეთვე სხვა მგრძნობიარე უბნების დაცვის მიზნით. მაგალითად, ტყის სუბალპურ ზოლში თითქმის მთლიანადაა აკრძალული ტყით სარგებლობა და იგი მისადაგებულია ნაკრძალის რეჟიმთან.

სამეურნეო ტყისათვის დაწესებულია ტყის ფონდის დაცვის განსაკუთრებული და საერთო რეჟიმები, ტყის ფონდის შესაბამისი უბნების გამოყოფა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ტყით სარგებლობის სფეროში. ტყით სარგებლობაში დაინერგა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მექანიზმები.

კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლება. მართვისა და კონტროლის ფუნქციები გამიჯნულია კომერციული საქმიანობებისაგან და შესაბამისად სახელმწიფო უწყება არ აწარმოებს კომერციულ საქმიანობებს, რაც დელეგირებულია კერძო სექტორზე.

ამავე კანონით განსაზღვრულ იქნა ტყით სარგებლობის სისტემა, რომელიც მოიცავს ტყით სარგებლობის სახეებს, ვადებს, დაგეგმვისა და გაძღოლის ძირითად მოთხოვნილებებს, აგრეთვე იმ დროისათვის დადგენილ იქნა კონკრეტული სახის ტყითსარგებლობის ნებართვის მოპოვების პროცედურა, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ, ამჟამად ტყით სარგებლობის უფლების მოპოვების სფეროში შექმნილ სამართლებრივ მდგომარეობას.

საქართველოში ტყით სარგებლობის, განსაკუთრებით ხეტყის დამზადების, ლიცენზირება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისათვის მუდმივად დაინტერესების და მათ შორის

დავის საგანს წარმოადგენდა. 1990 წლიდან დღემდე რამოდენიმეჯერ მოხდა ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ტყით სარგებლობის ცალკეული სახეების ლიცენზირება საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით ძირითადად გადანაწილებული იყო სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის. ამასთანავე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ტყით სარგებლობის რეგულირებისათვის, გარდა უშუალოდ ლიცენზიის გაცემისა, გააჩნდა სხვა ბერკეტებიც, როგორცაა ტყის მართვის გეგმების ანუ ტყეთმონყობის პროექტების ექსპერტიზა და დამტკიცება, საანგარიშო ტყეკაფების მოცულობის შეთანხმება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტების დამტკიცება.

2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა “ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ” საქართველოს კანონი, რითაც ჩამოყალიბდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ზოგადი მიდგომები. აღნიშნულმა კანონმა ძირეულად შეცვალა როგორც ლიცენზიის გაცემის პროცედურები, ისე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მთელი რიგი სხვა პრინციპული საკითხები. კანონი ზოგადად განსაზღვრავს სანებართვო დოკუმენტაციის გაცემის პრინციპებს, მიმართულებებს, მათი გაცემის წესს და პირობებს, ხოლო რაც შეეხება მათი უშუალო განხორციელების კონკრეტული მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრას ამავე კანონის თანახმად ევალება სანებართვო დოკუმენტაციის გამცემ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას კომპეტენციის მიხედვით. ამჟამად საქართველოს მთავრობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგინდა ლიცენზიის გაცემის, აუქციონის ჩატარების, სანებართვო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და წარდგენის, სალიცენზიო პირობებისა და რესურსის (ხე-ტყე) სანყისი ფასის განსაზღვრის და მისი კა-

ნონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი, თუმცა ჯერ კიდევ სრულყოფას მოითხოვს ტყით სარგებლობის სხვა სახეების (გარდა მერქნითი სარგებლობისა და სამონადირეო მეურნეობის წარმოებისა) განხორციელებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა.

ტყის კანონმდებლობა აქტიურად უწყობს ხელს მის მეცნიერულად დასაბუთებულ, კომპლექსურ გამოყენებას, გეგმაზომიერ კვლავწარმოებასა და ეფექტიან დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, ადამიანის აღზრდას ტყისადმი, როგორც ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისადმი, ყაირათიანი, მზრუნველი დამოკიდებულებისათვის, მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს ტყის კოდექსი.

§ 3. პასუხისმგებლობა ტყის წესების დარღვევისათვის

ტყის სამართლებრივი დაცვის შემადგენელი ნაწილია იურიდიული პასუხისმგებლობა ტყის წესების დარღვევაზე. ტყის წესების დარღვევა ესაა კანონსწინააღმდეგო ქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც ჩადაინ ტყის რაციონალური გამოყენების და დაცვის სამართლით მოწესრიგებული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, რაც იწვევს ან გამოიწვევს ზიანს ტყეში ან სატყეო მეურნეობაში. ტყის წესების დარღვევის რიცხვს მიეკუთვნება: ტყის ჭრა ისეთ ნაკვეთებზე, რომელიც არაა განკუთვნილი ჭრისათვის; ტყის ჭრა ტყის საჭრელი დოკუმენტის გარეშე ან დოკუმენტით, მაგრამ არა იმ ნაკვეთებზე, არა იმ რაოდენობით და არა იმ ჯიშებისა, რაც აღნიშნულია ამ დოკუმენტში; ხეების და ბუჩქების დაზიანება; მოჭრილი ან ქარქცევადი ხეების მითვისება ან ზეხმელი ხეების თვითნებური ჭრა; ტყის მოსპობა ან დაზიანება სამრეწველო

ნარჩენებით, ქიმიკატებით ან ჩამდინარე წყლებით, რაც იწვევს მათ ხმობას; თვითნებური ამოძირკვა ან ტყის უბნების გადახვნა ან მათი თვითნებური გამოყენება ნაგებობების ასაგებად, მერქნის გადასამუშავებლად ან წიაღისეულის ასათვისებლად; ტყის კულტურის მოსპობა ან დაზიანება; ტყეში თვითნებური თიბვა, საქონლის ძოვება და სხვ.

ტყის ყველა წესის დარღვევა შეიძლება პირობითად დაიყოს ტყის დარღვევად, რომლებიც ხელყოფენ ტყითსარგებლობის რიგს, ტყის კვლავწარმოების და პროდუქტიულობის ამაღლების რიგს, სატყეო მეურნეობის რიგს, ტყის დაცვის რიგს.

ტყის წესების დამრღვევი სუბიექტები შეიძლება იყვნენ საწარმოები, ორგანიზაციები, მათი თანამდებობრივი პირები, ცალკეული მოქალაქეები. ისინი როგორც ტყის წესების დარღვევების სუბიექტები თავისი სამართლებრივი სტატუსის მიხედვით შეიძლება იყვნენ: ა) დამამზადებლები, რომლებიც ნებართვის საფუძველზე ახორციელებენ ტყის ჭრას, ტყის პროდუქციის შეგროვებას; ბ) მიწათმოსარგებლები, რომლებიც აწარმოებენ მათთვის გამოყოფილი ტყის ფონდის მიწის ნაკვეთების ათვისებას, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობას, კომუნიკაციების გაყვანას, სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვას და დამუშავებას; გ) ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ან მათ დაქვემდებარებულ ტყეში სატყეო მეურნეობის გაძლოლაზე; დ) სხვა საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომელთა ქმედება არაა უშუალოდ დაკავშირებული ტყით სარგებლობასთან ან ტყის ფონდის მიწებზე მიწათსარგებლობასთან.

ტყის წესების დარღვევის ობიექტია ტყე, როგორც ბუნებრივი ეკოლოგიური კომპლექსი და სატყეო მეურნეობა, როგორც ტყის სიმდიდრეების დაცვის და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა სისტემა.

ტყის წესების დარღვევის პასუხისმგებლობის სიდიდეზე დიდ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ტყის კატეგორიები; დაცვითი რეჟიმები, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვ. სა-

სარგებლო თვისებები; მერქნიანი ჯიშების ფასეულობა, გავრცელება, ხნოვანება და სხვა.

ტყის წესების დარღვევისათვის შეიძლება იყოს ოთხი სახის პასუხისმგებლობა: მატერიალური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და დისციპლინური.

ტყის წესების დარღვევისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება. მატერიალურ პასუხისმგებლობას ექვემდებარება ტყის წესების დარღვევის შემდეგი სახეები: ტყის უკანონო ჭრა; მზარდი ხეების და ბუჩქების დაზიანება მათი ზრდის შეჩერებამდე; ქარქცევადი ხეების მითვისება ან ზეხმელი ხეების თვითნებური ჭრა; ტყის განადგურება ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლთან დაუდევარი ქცევის შედეგად; ტყის დაზიანება ჩამდინარე წყლებით, სამრეწველო და სხვა ნარჩენებით, რაც იწვევს ხმობას და დაავადებას; ტყის კულტურების და მოზარდის მოსპობა; ტყის ნაკვეთების თვითნებური ამოძირკვა და გადათხრა; თვითნებური თიბვა და საქონლის ძოვება; ნაყოფების, სოკოების თვითნებური შეგროვება ისეთ ადგილებში, სადაც აკრძალულია; შემზღუდავი ნიშნების მოსპობა და დაზიანება; სასარგებლო ფაუნის მოსპობა. ამ რიგს შეიძლება დაემატოს მოზარდის მოსპობა ჭრების დროს; ტყეკაფების არადამაკმაყოფილებელი განმენდა; სათესლე ხეების ჭრა ან დაზიანება; სამასალე მერქნის არარაციონალური გადაყვანა საშეშეში.

ტყის წესების დარღვევისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის თავისებურება განისაზღვრება სამართალდარღვევის ობიექტის სპეციფიკურობით. როგორც ძირითადად სახელმწიფოს საკუთრება და გარემოს შემადგენელი ნაწილი ტყე ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან. ამის გამო ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპი, რომელიც დამახასიათებელია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, ტყის მიმართ თავისებურ ხასიათს იძენს. ამ თავისებურებების გათვალისწინებით მატერიალური ზარალის სიდი-

დის დასადგენად მიღებულია სპეციალური ნიხრები. ამის მიხედვით ტყის სარგებლობის წესების ცალკეული დარღვევისათვის დადგენილია მყარი გადასახდელი თანხა. ნიხრების სიდიდეს აქვს ჯარიმის ხასიათი. მასში უნდა შედიოდეს უკანონოდ განადგურებული, დაზიანებული ან მითვისებული პროდუქციის შეფასება, დარღვეული ტყის გარემოს დანახარჯები და ჯარიმის თანხა დაშვებული ტყის წესების დარღვევისათვის. ნიხრის სიდიდე და მისი აღრიცხვის პრინციპი განისაზღვრება კონკრეტული ტყის წესების დარღვევით. ასე, მაგალითად, უკანონოდ ქრის შემთხვევაში ნიხრის სიდიდე განისაზღვრება ყოველი დაზიანებული ხის დიამეტრით, ხოლო ბუჩქებისათვის – ყოველი ბუჩქისათვის; ტყის კულტურების (ათწლამდე) შემთხვევაში ნიხრის სიდიდე აღირიცხება ჰექტრებით. თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ტყის წესების დარღვევის რამდენიმე სახეა (მაგალითად, თვითნებურ თიბვასთან ან ძოვებასთან ერთად ადგილი აქვს ტყის კულტურების განადგურებას), მაშინ ზარალის სიდიდე განისაზღვრება ცალკეული ტყის წესების დარღვევის ნიხრის სიდიდის ჯამით. დამტკიცებული ნიხრებით ტყის წესების დარღვევაზე მატერიალური პასუხისმგებლობა თანაბრად ვრცელდება ყველა დამრღვევზე (საწარმოო, ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქე) მიუხედავად მისი სატყეო მეურნეობის ორგანობთან სამართლებრივი ურთიერთობებისა. უფრო მეტიც, პასუხისმგებლობის სახე ვრცელდება სატყეო მეურნეობის ორგანობებზეც (ანუ იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ტყით სარგებლობის კონტროლს ახორციელებენ) თუ ისინი არღვევენ ტყის წესებს. სპეციალური ნიხრებით ზარალის ამოღების გარდა მატერიალური პასუხისმგებლობა ტყის წესების დარღვევისათვის ითვალისწინებს უკანონო გზით მოპოვებული პროდუქციის ამოღებას ან ამ პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებას: მერქნისა – დამამზადებლისათვის გასაცემი ტყის დადგენილი ნიხრებით, ხოლო თივის, ხილ-კენკროვანების – დამამზადებელი ფასებით.

მატიერიალური პასუხისმგებლობის ზემოთ აღნიშნული წესი ვრცელდება ტყის იმ სახის წესების დარღვევებზე, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრულია კანონმდებლობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის წესების დარღვევისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები არაა, მაშინ სატყეო მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი ამოიღება სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი წესების შესაბამისად.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია ტყის წესების დარღვევის შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი. ზარალის სიდიდე განისაზღვრება სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალის მოცულობით. ზარალის კონკრეტული სიდიდე დგება ყოველი ცალკეული სამართალდარღვევისათვის. ასე, მაგალითად, ტყის მოსპობის ან დაზიანებისას, ცეცხლის გაჩენის; ცეცხლთან დაუდევარი ქცევის შედეგად მიყენებული ზარალი აითვლება სასაქონლო ფასეულობის დაკარგვის სიდიდით (მერქანზე არსებული ნიხრებიდან გამომდინარე); განადგურებული ტყის კულტურების შემთხვევაში მათ აღზრდაზე საჭირო დანახარჯებით და ა.შ. თვითნებური ამოძირკვით და ტყის ნაკვეთების გადახვნით, მათი ნაგებობებისათვის გამოყენებით, სანაგვის მოწყობით და სხვ.

სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი განისაზღვრება სამეუშაოების ღირებულების იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა მოცემული ტერიტორიის გამოსადეგ მდგომარეობაში მოსაყვანად. თუ დამნაშავე პირის ქმედებაში რამდენიმე სახის ტყის წესების დარღვევაა (მაგალითად, თვითნებური ამოძირკვა ან ტყის ნაკვეთების გადახვნა, თვითნებური მშენებლობა, უნებართვო ჭრა ან მზარდი ტყის დაზიანება და ა.შ.), მაშინ დგება რამდენიმე სახის პასუხისმგებლობა: სამოქალაქო კოდექსის ნორმებით სატყეო მეურნეობისადმი მიყენებული ზარალისათვის ტყის ცალკეული სახეობისათვის დამტკიცებული ნიხრებით და ადმინისტრაციული – ტყის დაცვის წესების დარღვევისათვის.

ტყის წესების დარღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და იწვევს აღკვეთისა და დასჯის ღონისძიებებს. ტყის დაცვის რეგულირება ხდება ცალკეული საკანონმდებლო აქტით, ქალაქების მერიებისა და რაიონების საკრებულოების გადანყვეტილებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემულია მუხლები ტყის დაცვისა და სარგებლობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ესაა: მუხ.62, მუხ.63, მუხ.64, მუხ.65, მუხ.67, მუხ.68, მუხ.71, მუხ.72, მუხ.73, მუხ.74, მუხ.75, მუხ.76. (სულ 12 მუხლია).

მოსამართლეებს უფლება აქვთ ტყის წესების დარღვევის ხასიათის და შედეგების გათვალისწინებით დააჯარიმონ დამრღვევები, ან შეუძლიათ დაჯარიმების ნაცვლად გააფრთხილონ დამრღვევი ან გადასცენ მასალები საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების მისაღებად.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება ტყის დაცვაში დანაშაულებრივი ქმედებისათვის. პასუხისმგებლობის ეს სახე რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით. სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია მუხ.303, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვისათვის. ეს დანაშაული გამოიხატება პირველი ჯგუფის ტყეში, რომელიც დაცვით, სანიტარულ-ჰიგიენურ და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებენ, ნაკრძალ, ეროვნული და ბუნებრივი პარკების ტყეში, ნაკრძალ ტყის უბნებში, მეცნიერული და ისტორიული მნიშვნელობის ტყეში, ბუნებრივ ძეგლებში, ტყე-პარკებში ხეებისა და ბუჩქნარების უკანონო გაჩეხვაში ზარალის მიყენებით გარკვეული ოდენობით, რაც გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე, ხოლო ხეებისა და ბუჩქნარების სისტემატური უკანონო გაჩეხვა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით, ან გამასწორებელ სამუშაოებს 2 წლამდე ვადით მოპოვებულის ჩამორთმევით.

სსკ 304-ე მუხლით ტყის ან ნარგავების დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოებით ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე.

ტყის ან ნარგავების დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით, ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 8 წლამდე (მუხ.304-ის 11 ნაწილი).

ტყის წესების დარღვევაზე დისციპლინარული პასუხისმგებლობა დგება იმ პირების მიმართ, რომელთა თანამდებობრივ მოვალეობაში შედის ტყის დაცვა ან იქ მეურნეობის გაძლოლა.

ტყის წესების დარღვევისას ტყის დაცვის შესაბამისი ორგანოები (სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვის ინსპექცია) ასრულებენ შემდეგ ოპერაციებს:

1. ტყის წესების დარღვევაზე აქტის შედგენა.

ამ დროს ხდება ტყის წესების დამრღვევის ვინაობის დადგენა, არაკანონიერი გზით მოპოვებული პროდუქციის დადგენა. აქტი დგება ტყის წესების დამრღვევის ან დამნაშავე ორგანიზაციის, სანარმოს, დაწესებულების წარმომადგენლის დასწრებით. აქტში აღინიშნება ტყის წესების დარღვევის დრო, ხასიათი და სახე, ამოღებული პროდუქციის რაოდენობა. თუ ტყის წესების დამრღვევის ვინაობის დადგენა ადგილზე შეუძლებელია ან ის უარს ამბობს ხელი მოაწეროს აქტს, მაშინ დამრღვევი უნდა იყოს მიყვანილი პოლიციაში ვინაობის დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის წესების დამრღვევი დადგენილია, ხოლო ის არაა დარღვევის ადგილას, მას ეგზავნება წერილობითი შეტყობინება აქტის დროის და ადგილის შედგენის შესახებ.

2. ტყის წესების აქტის შემოწმება და რეგისტრაცია.

მასალები ტყის წესების დარღვევის შესახებ გადაიგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. საგამოძი-

ებო დეპარტამენტი დანაშაულის ნიშნების არსებობისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სრული მოცულობით წინასწარ გამოძიებას.

3. ტყის წესების დარღვევაზე მასალების გადაგზავნა და ნიშნულებისამებრ დამრღვევის პასუხისგებაში მისაცემად.

შედგენილ აქტზე იწერება წერილობითი დასკვნა და ეს მასალები გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

4. ტყის წესების დარღვევაზე საქმეების განხილვა და დამრღვევთა მიცემა პასუხისგებაში.

ისეთი ტყის წესების დარღვევის საქმეების განხილვა, რომელზეც დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, იხილება სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სამართალწარმოების წესით. საქმეები ტყის დარღვევით გამოწვეული ზარალის ამოსაღებად იხილება სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ან ზემდგომი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ექვემდებარება ტყის წესების დამრღვევი საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება.

სასამართლოებში და ადმინისტრაციულ ორგანოებში ტყის წესების დარღვევის განხილვისას განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაეთმოს ტყის წესების დარღვევის თავიდან აცილებას, ტყის დაცვის ორგანიზაციაში ნაკლოვანებების გამოვლენას.

კოდექსით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად მიჩნეულია იმ პირთა ქმედება, რომლებმაც:

- 1) უკანონოდ გაჩეხეს და დააზიანეს ხეები და ბუჩქნარი;
- 2) მოსპეს ან დააზიანეს ტყე ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლისადმი დაუდევრობის შედეგად;
- 3) დაარღვიეს ტყეში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;
- 4) დააზიანეს ტყე ჩამდინარე წყლებით, ქიმიური ნივთიერებებით, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნაგავით, ამონაფრქვევებითა და ნარჩენებით, რომლებიც ტყის გახმობას ან დაავადებას იწვევს;

5) მოსპეს ან დააზიანეს ტყის კულტურები, ნათესარები ან ნერგები, ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში, აგრეთვე ბუნებრივი წარმოშობის მოზარდი და აღმონაცენი ტყის აღდგენისათვის განკუთვნილ ფართობებზე;

6) გამოიყენეს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის ნაკვეთები ამოძირკვისათვის, ნაგებობათა აშენებისათვის, მერქნის გადამუშავებისათვის, საწყობების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის ან ნაკვეთების გამოყენებაზე სათანადო ნებართვის მიუღებლად;

7) თვითნებურად გათიბეს და აძოვეს პირუტყვი ტყესა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე;

8) თვითნებურად მოკრიფეს ველური ხილი, კაკლოვანები, სოკო, კენკრა და ა.შ. უბნებში, სადაც ეს აკრძალულია ან დასაშვებია მხოლოდ ტყის ბარათებით;

9) დაარღვიეს ტყეკაფის ფონდის გამოყენების, მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის და ფისის დამზადების დადგენილი წესი;

10) მოსპეს და დააზიანეს სამიჯნე ნიშნები ტყეში;

11) გაანადგურეს ტყისთვის სასარგებლო ფაუნა;

12) დააზიანეს ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე სათიბი და საძოვარი სავარგულეები;

13) მოსპეს ან დააზიანეს ტყის დასაშრობი თხრილები, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული სადრენაჟო სისტემები;

14) საექსპლუატაციოდ გადასცეს ისეთი ახალი და რეკონსტრუირებული სანარმოები, საამქროები, აგრეგატები, სატრანსპორტო გზები, კომუნალური და სხვა ობიექტები, რომლებიც აღჭურვილნი არ არიან ტყის მდგომარეობასა და კვლავნარმოებაზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის საჭირო მონყობილობით.

თავი XI

ცხოველთა სამყაროს სამართლებრივი დაცვა

§ 1. ცხოველთა სამყარო, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტი

ქვეყნის ფაუნას, რომელიც შედგება ხმელეთისა და წყლის ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში მყოფი ცხოველებისგან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. ეს არის ხორცისა და თევზების, თევზებისა და ბუმბულის წყარო. ორნითოფაუნას (ფრინველებს) განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის კულტურებისა და ტყის მავნე მწერებთან ბრძოლაში. გარეული ნადირის ცალკეული წარმომადგენლები (მგელი, ტურა და სხვ.) ებრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებს. ცხოველების ეკოლოგიური მნიშვნელობა ისაა, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებრივი ეკოსისტემების ფუნქციონირებაში, განსაზღვრავენ ნიადაგის ნაყოფიერებას, წყლის ბიოლოგიურ თვისებებს, წარმომადგენენ ნივთიერებების და ენერჯიის წრებრუნვის აუცილებელ რგოლს. საკმაოდ დიდია ცხოველების კულტურული, სამეცნიერო, ესთეტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ეკონომიკის განვითარებამ, ახალი სივრცეების ათვისებამ, გარემოს გარდაქმნამ და ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობამ ცხოველების მრავალი სახეობა გაანადგურა, გამოიწვია თევზის მარაგების შემცირება. XIX საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე მოიხპო ცხოველთა 106 სახეობა, ხოლო XX საუ-

კუნის პირველ ნახევარში კი 40 სახეობა. 1600-დან 1960 წლამდე მოისპო ძუძუმწოვრების 36 სახეობა, ხოლო 120 სახეობას ამის საშიშროება ემუქრება. უკანასკნელ ათასწლეულში კავკასიაში განადგურდა მსხვილ ძუძუმწოვარ ცხოველთა 9 სახეობა: ლომი – X საუკუნეში, კანჯარი (კულანი) და ავაზა – XIII საუკუნეში, თახვი და ცხენირემა – XIX საუკუნის დასაწყისში, ტარპანი – XX საუკუნის დასაწყისში და ვეფხვი – XX საუკუნეში. რ. ჟორდანიას ცნობით, საქართველოში წინათ ივრისპირებსა და ალავნისპირებში მრავლად იყო უძვირფასესი სანადირო ფრინველი – დურაჯი, რომლის ადგილობრივი პოპულაცია მთლად ამოწყვეტილია. საქართველოს ფრინველთა სიას მალე გამოაკლდება სავათი, ხონტქრის ქათამი; უკვე ძალიან ცოტაა გნოლი, ხოხობი, შავარდენი, კრავიჭამია, ფსოვი (თეთრკუდა არწივი), მთის არწივი, ბეგონის არწივი, გველიჭამია არწივი, ორბი, სვაკი და სხვ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ორნითოფაუნის დღეს არსებული სახეობები 40 რიგშია განაწილებული, მათგან საქართველოში მოიპოვება 24 რიგის წარმომადგენლები.

გარეული ცხოველების დაცვისას საჭიროა გავითვალისწინოთ მათი როლი და მნიშვნელობა მეურნეობაში, ბუნებაში და საზოგადოების ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით ცხოველები შეიძლება დაიყოს შემდეგ მსხვილ ჯგუფებად: 1) ცხოველები, როგორც კვების პროდუქტების და სამრეწველო ნედლეულის წყარო; 2) ცხოველები, რომლებიც აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს და ტყის ჯიშებს; 3) ადამიანის და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაავადების აღმძვრელი და გადამტანი; 4) ცხოველები, რომლებსაც აქვთ ბიოცენოტური (ეკოსისტემური) მნიშვნელობა.

ცხოველთა სამყაროს დაცვა მიზნად უნდა ისახავდეს სასარგებლო ცხოველების გაფართოებულ კვლავწარმოებას და ზიანის მომტანი ცხოველების რიცხოვნობის შემცირებას.

ცნება „ცხოველთა სამყარო“ იურიდიულ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში შედარებით ახალია და ამიტომ იძენს სამართლებრივ შინაარსს და საჭიროებს მკაცრ რეგლამენტა-

ცხად. თავისათავად „ცხოველთა სამყარო“ თავისი წარმოშობით ბუნებრივ-სამეცნიეროა.

ცხოველთა სამყარო ესაა ქვეყნის ტერიტორიის ხმელეთზე, წყალში, ატმოსფეროში, ნიადაგში და ა.შ. ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში არსებული და განვითარებადი გარეული ცხოველების, ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, ხოლო შინაურ ცხოველთა სამყარო სამართლებრივი დაცვის სხვა ობიექტია.

ესაა იურიდიული განმარტება, რადგანაც ის ასახავს სამართლებრივი ხასიათის მთელ რიგ არსებით ნიშანს. ამის გარდა, ცხოველთა სამყარო შეიძლება განმარტებულ იქნეს საკუთრების უფლებისა და სხვა სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ ობიექტად.

ცხოველთა სამყაროს ზემოთ აღნიშნულ განმარტებას სამართლებრივი ხასიათის სულ ცოტა ოთხი ძირითადი ნიშანი აქვს.

1. ცხოველთა სამყარო, როგორც ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ნაწილი.

გარეული ცხოველები, რომლებიც გამოყვეს ბუნებრივი გარემოდან, გადაიქცევიან მოპოვებით რენვის პროდუქტად. გარეული ცხოველები, რომლებიც მოაცილეს ბუნებრივ გარემოს და იმყოფებიან ტყვეობაში, არ შედიან ცხოველთა სამყაროს ცნებაში. იურიდიულად ისინი აღარ არიან ბუნების ობიექტები და გარდაიქმნებიან სოციალურ ნივთებად, სასაქონლო მატერიალურ ღირებულებად.

ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება ცხოველების უშუალო კავშირი ბუნებასთან, სხვადასხვა გარეული ცხოველებისათვის ეს კავშირი განსხვავებულია და განპირობებულია ცალკეული სახეობის ბიოლოგიური თავისებურებებით.

ზოგიერთ ნაკრძალში ცხოველები (ირმები, დათვები) იმყოფებიან დიდ ბაკებში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველების არსებობის პირობები მაქსიმალურადაა მიახლოებული ბუნებრივს, ისინი მაინც არ იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში. მათი სასიცოცხლო სივრცე მაინც შეზღუ-

დულია. ამასთან ისინი ხელოვნურად იღებენ დამატებით კვე-
ბას. ასეთ პირობებში ეს ცხოველები წარმოადგენენ ნაკრძა-
ლის ქონებას, მათზე კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს
შესახებ არ ვრცელდება. ნახევრად თავისუფალ მდგომარეო-
ბაში მყოფი ეს ცხოველები ნაკლებად არაა დაცული, ვიდრე
ნაკრძალში თავისუფლად არსებული ცხოველები. ისინი საკ-
მაოდ კარგად არიან დაცული, მაგრამ არა როგორც ბუნებრი-
ვი ობიექტები – ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები,
არამედ როგორც საქონელ-მატერიალური ღირებულებანი.

კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ის ეხება
კულტურული თევზსაშენი მეურნეობების სამართლებრივ რე-
ჟიმს. არსებული კანონმდებლობით თევზები, რომლებიც ხე-
ლოვნურადაა გაშენებული დახურულ (იზოლირებულ) წყალ-
საცავებში – ტბორებში, გუბურაში, აუზში წარმოადგენენ
სხვადასხვა დაწესებულების, ორგანიზაციის ან სხვა კერძო
პირის ქონებას (დაუმთავრებელი წარმოების საშუალებები).
ეს თევზები არ მიეკუთვნება თევზის მარაგს როგორც ქვეყნის
ცხოველთა სამყაროს შემადგენელი ნაწილი და თავის სამარ-
თლებრივი სტატუსით წარმოადგენენ შინაურ ცხოველებს.
აქედან გამომდინარე იურიდიული შედეგებით მათი გამოყე-
ნების და დაცვის მიმართ დიფერენცირებული მიდგომის აუ-
ცილებლობაზე თავის დროზე მიეთითა სასამართლოებს მათ
მიერ ბუნების დაცვის კანონმდებლობის გამოყენებასთან და-
კავშირებით. კერძოდ აღინიშნა, რომ წყალსაცავებში გაშენე-
ბული თევზის უკანონო რენვა ან ამ თევზის უკანონოდ დაუფ-
ლება, ან სანერგეში ან ვოლიერში გარეული ცხოველების ან
ფრინველების უკანონო დაუფლება კვალიფიცირდება რო-
გორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაცვა.

2. ორგანიზმების ცოცხალ მდგომარეობაში არსებობა.

ბუნებრივად, ან ადამიანის მიერ დახოცილი ცხოველები
ავტომატურად გამოირიცხებიან საქართველოს ცხოველთა
სამყაროს შემადგენლობიდან. ცხოველთა სამყაროს გამოყე-
ნების და დაცვის არსებული სამართლებრივი წესის ძალით

გარეული ცხოველების დახოცვის ხერხები და სხვა პირობები ინვევენ თავის სამართლებრივ შედეგებს. ცხოველთა სამყაროს შემადგენლობის მიმართ საკითხი წყდება ცალსახად. ცხოველების რაოდენობა მცირდება რაიმე აღრიცხვის დოკუმენტების გაფორმების გარეშე. ამით ცხოველთა სამყაროს სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ტყის სამართლებრივი რეჟიმიდან; მოჭრილი მერქნიანი ნარგავები რამდენიმე ხანს იურიდიულად რჩება ტყის შემადგენლობაში მანამ, სანამ არ იქნება ჩატარებული ტყეკაფების ფართობების შემოწმება მომდევნო ტყეთაღრიცხვის ოპერაციებით. ტყის შემადგენლობაში მზარდი ნარგავების ჩართვა აგრეთვე ხდება სპეციალური ტყეთაღრიცხვის აქტების საფუძველზე.

არსებული კანონმდებლობით ცხოველთა სამყაროს მიეკუთვნება აგრეთვე მომპოვებითი სარენების (ნადირობა, თევჭერა და ა.შ.) პროდუქცია და ნაკეთობები ამ პროდუქციიდან.

3. ცოცხალი ორგანიზმების არსებობა საქართველოს იურისდიქციის სივრცობრივ საზღვრებში, ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის შიდა და ზღვისპირა ნყლებში და საჰაერო სივრცეში.

გარეული ცხოველების მიგრაცია ანუ მათი საქართველოს საზღვრების გადალახვა, რაც დაკავშირებულია მათ სასიცოცხლო ციკლებთან ან ადგილსამყოფელის შეცვლასთან, ინვევს ავტომატურ ცვლილებებს საქართველოს ცხოველთა სამყაროს სახეობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველების ამა თუ იმ სახეობის რაოდენობა საქართველოს ცხოველთა სამყაროს შემადგენლობაში დროის სხვადასხვა პერიოდში შეიძლება იზრდებოდეს ან მცირდებოდეს. მიგრაციის შედეგად ტერიტორიაზე მოხვედრილი გარეული ცხოველები ავტომატურად ხდება სახელმწიფო საკუთრების სამართლის ობიექტად, რომელთა გამოყენება და დაცვა ხორციელდება ცხოველთა სამყაროზე არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ცხოველები – გამოი-

რიცხება სახელმწიფო საკუთრების სამართლის ობიექტების რიცხვიდან და მათი გამოყენება და დაცვა ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. ცხოველთა სამყაროს შემადგენლობაში შედის არა ყველა ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში საქართველოს ტერიტორიის სივცობრივ ფარგლებშია, არამედ ის ცხოველები, რომლებიც წარმოადგენენ განცალკევებულ, დამოუკიდებელ მატერიალურ ობიექტებს – სამართლებრივი ურთიერთობების საგნებს.

ცოცხალი ორგანიზმები ყოველთვის არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ მატერიალურ ობიექტებს. გარკვეულ შემთხვევაში ისინი არსებობენ, როგორც ბუნებრივი გარემოს, სხვა ელემენტების ან სხვა ცოცხალი ორგანიზმების ორგანულად განუყოფელი კომპონენტები. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს ნიადაგის მიკროფაუნა. ცოცხალი ორგანიზმები აქ წარმოადგენენ ნიადაგური ნივთიერების განუყოფელ კომპონენტს, ნიადაგის ხარისხობრივი მდგომარეობის ელემენტს. ნიადაგის მიკროფაუნის გამოყენება და დაცვა არ გამოიყოფა და არ განცალკევდება თვით ნიადაგის გამოყენებისა და დაცვისაგან. ის წარმოადგენს ურთიერთობების ობიექტს და რეგულირდება მინის სამართლით. თანამედროვე მინის სამართალი ითვალისწინებს ნიადაგების რაციონალურად გამოყენებას და დაცვის ღონისძიებების ისეთ სისტემას, რომელიც მოიცავს ნიადაგის მიკროფაუნასაც. სოციალურ ასპექტში არაა საფუძველი, რომ ნიადაგური მიკროფაუნა გამოიყოს ნიადაგიდან დამოუკიდებელ ობიექტად.

ცხოველთა სამყაროს ობიექტებად ცოცხალი ორგანიზმების გამორიცხვის სხვა მაგალითს წარმოადგენს პარაზიტი ორგანიზმები იმ პერიოდში, როდესაც ისინი იმყოფებიან სხვა ორგანიზმების სისხლში, ქსოვილში და მომწიფებელ ტრატქტში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ცხოველთა სამყაროს იურიდიული ცნება არაა დამოკიდებული გარეული ცხოველების კლა-

სიფიკაციაზე მათი სარგებლობის ან მათი მავნეობის მიხედვით. ცხოველთა სამყაროს შემადგენლობაში შედიან როგორც სასარგებლო, ისე მავნე ცხოველები, თუმცა მათი გამოყენება და დაცვა სხვადასხვანაირად ხორციელდება.

§ 2. ცხოველთა სამყაროს სამართლებრივი დაცვის შინაარსი

ცხოველთა სამყაროს დაცვის სამართლებრივი ღონისძიებები მუდამ ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილი წესების გამოყენებაში, მათ შორის ამკრძალავი, გამაფრთხილებელი, მარეგულირებელი, აღდგენითი და სხვ., რომელიც მიმართულია ოპტიმალური რიცხოვნობის და მათი გენეტიკური ფონდის შენარჩუნებისაკენ.

ამკრძალავ ნორმებში აისახება შეზღუდვები და აკრძალვა ცხოველების მოსპობისა, დაჭერისა და სხვა გამოყენებისა, რომელთა რიცხოვნობა შემცირდება იმ ზღვრამდე, რომელიც აუცილებელია მათი რენვის ან გენეტიკური ფონდის შესანარჩუნებლად. აკრძალვები შეიძლება იყოს დროებითი, მუდმივი, დიფერენცირებული. დროებითი აკრძალვები გამოიყენება სამონადირეო ფონდის ცხოველების აღწარმოების პირობების შესაქმნელად. მუდმივი აკრძალვები მოქმედებს ცხოველების რელიქტური, იშვიათი და გადაშენებადი სახეობების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ ღირებულებას. დიფერენცირებული აღკვეთები წესდება ცხოველების ადგილსამყოფელის გეოგრაფიული ზონის ან ნადირობის სახის გათვალისწინებით.

ცხოველთა სამყაროს დაცვის გამაფრთხილებელი სამართლებრივი ღონისძიებები მდგომარეობს მათი ადგილსამყოფელის დაცვაში, ნაკრძალების აღკვეთილების და სხვა დაცული ტერიტორიების ორგანიზაციაში, იშვიათი და გადაშენებადი ცხოველების დაცვის მიზნით, „წითელი წიგნის“ გაძღოლაში. ცხოველთა სამყაროს არსებობისათვის ადგილსამყოფე-

ლის დაცვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამასთან ერთად, გარემოს დაცვასა და ცხოველთა სამყაროს დაცვას შორის არსებობს პირდაპირი და უკუკავშირების სისტემა. ცხოველთა სამყაროში ზოგიერთი სახეობების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მათი გარემოს დაცვით: მწერების, ფრინველების ცალკეული სახეობების, თევზების და სხვ. ამავე დროს, ცხოველების ცალკეული სახეობების დაცვა (მაგალითად, ჭიკვლები ტყეში) ხორციელდება გარემოს დაცვის მიზნით. ცხოველების რიცხოვნობის რეგულირება ხდება გარემოს ოპტიმალური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით. ცხოველების გენეტიკური ფონდის შენარჩუნების საკმაოდ ეფექტური ფორმაა დაცული ტერიტორიების (მათ შორის წყლის სივრცეებზე) ორგანიზაცია, სადაც იკრძალება ან იზღუდება სამეურნეო და რეკრეაციული საქმიანობა.

მარეგულირებელი სამართლებრივი ღონისძიებები მიმართულია ნადირობის და თევჭერის დარეგულირებისაკენ. ისინი მიზნად ისახავს უზრუნველყონ ცხოველების ოპტიმალური რიცხოვნობა, დააკმაყოფილონ საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები ნადირობის და თევჭერის პროდუქტებში, მოსახლეობის კულტურულ-გამაჯანსაღებელი ინტერესები.

ნადირობა არის კანონით დაშვებული საქმიანობის სახე, რომელიც მდგომარეობს იმ გარეული ცხოველების და ფრინველების დევნაში მოპოვების მიზნით, რომლებიც იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში, იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ნადირობის უფლება. ნადირობის ობიექტია გარეული ფაუნა, რომელიც იმყოფება ბუნებრივი თავისუფლების პირობებში და შედის სახელმწიფო სანადირო ფონდში. გარეულ ფაუნას მიეკუთვნება ცხოველები (მათ შორის წყლის) და ფრინველები, რომლებიც განუყოფელ კავშირში არიან თავისი ადგილსამყოფელის გარემოსთან. ტყვეობაში მყოფი (ზოოპარკები, ვოლერიები და ა.შ.) გარეული ცხოველები და ფრინველები არ შედიან სანადირო ფონდში და არ წარმოადგენენ ნადირობის ობიექტს. ნადირობის სუბიექტია პირი,

რომელსაც აქვს ნადირობის უფლება და რომელიც იცავს ნადირობის დადგენილ წესებს.

ნადირობის სამართლებრივი რეგულირების მიზანია ცხოველთა სამყაროს რაციონალური გამოყენების ორგანიზაცია, რაც დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტასთან: ეკოლოგიური (ცხოველების გენეტიკური ფონდის შენარჩუნება, ცხოველების ოპტიმალური რიცხოვნობის რეგულირება), ეკონომიკური (ნადირობის პროდუქციით უზრუნველყოფა), კულტურული (სპორტულ-სამოყვარულო, სამეცნიერო, შემეცნებითი და ესთეტიკური ინტერესების დაკმაყოფილება).

ნადირობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: სარენაო, სპორტულ-სამოყვარულო, გამანადგურებელი, სამეცნიერო-კვლევითი. ნადირობის ამ სახეებს ცხოველთა სამყაროს დაცვის საერთო მოთხოვნილებების ფარგლებში თავისი თავისებურებები გააჩნია. სარენაო ნადირობა ხორციელდება ნადირის პროდუქციის მიღების მიზნით. სპორტულ-სამოყვარულო ნადირობა (ნადირობის ყველაზე მასობრივი სახე) წარმოადგენს ცხოველების რიცხოვნობის დარეგულირების, ნადირობის პროდუქციის მიღების, მოსახლეობის კულტურულ გამაჯანსაღებელი და ესთეტიკური ინტერესების დაკმაყოფილების წყაროს. გამანადგურებელი ნადირობა მიზნად ისახავს იმ ცხოველების და ფრინველების მოსპობას (ან ოპტიმალურ რაოდენობამდე დაყვანას), რომლებიც ზიანს აყენებენ ცხოველების გენეტიკურ ფონდს და სახალხო მეურნეობას. სამეცნიერო-კვლევითი ნადირობა წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ცხოველთა სამყაროს განვითარების კანონზომიერების შესასწავლად.

ნადირობის სამართლებრივი რეგულირების შინაარსში შედის სანადირო მეურნეობის გაძღოლის წესის, ნადირობაზე უფლებების და ნადირობის წესების, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის დადგენა. ნადირობის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სანადირო კანონმდებლობის საფუძველზე.

სანადირო ფონდი არის ცხოველების და ფრინველების ერთობლიობა, რომელიც იმყოფება სანადირო სავარგულების

ტერიტორიაზე და წარმოადგენს ნადირობის ობიექტს. სანადირო სავარგულებს მიეკუთვნება ყველა მინის, ტყის და წყლით დაფარული ფართობები, რომლებიც სანადირო ფონდში შემავალი გარეული ცხოველების და ფრინველების ბინადრობის ადგილებია. სამონადირეო სავარგულები იყოფა ორ კატეგორიად: 1) დამაგრებული სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და სადაც ნადირობა ხორციელდება ამ ორგანიზაციების ნებართვით და 2) საერთო სარგებლობის, სადაც ყველა მოქალაქისათვის დასაშვებია ნადირობა დადგენილი წესების გათვალისწინებით. ორგანიზაციები, რომლებზედაც დამაგრებულია სამონადირეო სავარგულები, ვალდებული არიან უზრუნველყონ გარეული ცხოველების და ფრინველების დაცვა, რეგულირება, კვლავნარმოება და განსახლება.

ნადირობაზე უფლების მოწმობას წარმოადგენენ: სამონადირეო ბილეთი სამონადირეო მინიმუმის ჩაბარების და ბაჟის გადახდის აღნიშვნით, ლიცენზია და განსაკუთრებულ შემთხვევაში ხელშეკრულება დამამზადებელი ორგანიზაციიდან. ნადირობის წესებს ადგენენ ნადირობის და სამონადირეო მეურნეობების ორგანოები. ეს წესები ადგენენ ნადირობის ვადებს, ნადირობის ადგილს, ნადირობის დაშვებულ და აკრძალულ ხერხებს და იარაღებს, მონადირეების უფლებებს და მოვალეობებს. ნადირობის ვადებს ადგენენ ცხოველების სახეობის და მისი ადგილსამყოფელის გათვალისწინებით.

ნადირობის იარაღებს მიეკუთვნება თოფი, ხაფანგი, სხვა საგნები, რომლებიც გამოიყენება სანადირო ცხოველების კვალის მიგნების, დევნის, მოპოვების მიზნით. აკრძალულია მცირეკალიბრიანი ხრახნიანი თოფის, პნევმატიური იარაღის, შხამქიმიკატების (გარდა გამანადგურებელი ნადირობის), ნადირობის საშიში ხერხების და იარაღების (დამჭერი ორმოები, მსხვილი ხაფანგები და ა.შ.), ბადეების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, თვითმფრინავების, შვეულმფრენების (გარდა მგლებზე ნადირობისას), მცენარეულობის გამოწვით, ცხოველების ხროვის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ნადირობის წესები შეიცავენ იმ ცხოველების ნუსხას, რომლებზეც ნადირობა სრულებით არის აკრძალული ან დაიშვება განსაკუთრებული ნებართვით.

მონადირე ვალდებულია დაიცვას ნადირობის და ბუნების დაცვის წესები, მონაწილეობა მიიღოს ცხოველების კვლავნარმოებაში, ებრძოდოს ბრაკონიერებს, ანადგუროს მავნე მტაცებლები.

თევზჭერის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება თევზის მარაგების დაცვის, რაციონალურად გამოყენების და კვლავნარმოების მიზნით. თევზსამეურნეო წყალსატევებს მიეკუთვნება ყველა წყალსატევი, რომელიც გამოიყენა ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს თევზის ან სხვა წყლის ცხოველების სარენაო მოპოვებისათვის, ან აქვს მნიშვნელობა სარენაო თევზების მარაგების კვლავნარმოებისათვის.

თევზის სარენაო მოპოვება ხდება თევზსამეურნეო ნაკვეთებზე. სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს თევზდაცვის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ თევზჭერა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი იარაღით. სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერა პირადი მოთხოვნებისათვის დასაშვებია ყველა მოქალაქისათვის ყველა წყალსატევეებში გარდა იმ ნაკვეთებისა, რომლებიც დაკავებულია ნაკრძალებით, თევზსანერგე, სატბორე და სხვა კულტურული თევზმეურნეობით.

თევზჭერის წესებით განისაზღვრება სარენაო და სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის ვადები, თევზჭერისათვის აკრძალული ძვირფასი თევზების ნუსხა, მოქალაქისათვის თევზჭერის ნორმა, თევზჭერის ნებადართული და აკრძალული ხერხების და იარაღების სია და სხვა მოთხოვნები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თევზის მარაგის დაცვისა და კვლავნარმოებისათვის.

წესები კრძალავენ თევზსამეურნეო წყალსატევეებში გაუნმენდავი და გაუზნებელი ნარჩენების ჩაშვებას, აწარმოონ ისეთი სამუშაოები, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ თევზის მარაგების მდგომარეობას და კვლავნარმოებას.

§ 3. ცხოველთა სამყაროს გამოყენების კონტროლი და პასუხისმგებლობა

ცხოველთა სამყაროს მდგომარეობისა და დაცვის კონტროლი მიზნად ისახავს ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქის მიერ ხმელეთის და წყლის არსებათა დაცვის, გამოყენების წესის და კვლავწარმოების მოთხოვნების და აგრეთვე ცხოველთა სამყაროს დაცვასა და გამოყენებაზე კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესრულებას. ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ამაზე სპეციალურად რწმუნებული სახელმწიფო ორგანოები.

ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლის ორგანოები აწარმოებენ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის მეთვალყურეობას მათ შეცვლაზე (სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენით), ცხოველების მიგრაციაზე, უზრუნველყოფენ ნადირობის წესების დაცვას და ცხოველების სხვა გამოყენებას სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოქალაქეების მიერ. მათ აქვთ უფლება დააკავონ ნადირობის წესების დამრღვევები, ჩამოართვან უკანონოდ მოპოვებული პროდუქცია, ნადირობის უკანონო იარაღები და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცენ დამრღვევები.

სამონადირეო სავარგულების ფარგლებში ცხოველთა სამყაროს კონტროლს სამონადირეო ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე დამამზადებელი სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები.

თევზჭერის ზედამხედველობის ორგანოების ძირითადი ამოცანებია: თევზის მარაგების დაცვა და კვლავწარმოება, თევზჭერის რეგულირება, თევზჭერის არსებული წესების შესრულების კონტროლი, საქართველოს საზღვაო შეღწეზე ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვა.

თევზჭერის ზედამხედველობის ორგანოებს ევალებათ კონტროლი გაუნიონ თევზმეურნეობების წყალსატევების მდგომარეობას, თევზის მარაგს, მის შეცვლას სამეურნეო საქმიანობის ზეგავლენით, თევზჭერის წესების შესრულებას და თევზის მარაგის დაცვას. ეს ორგანოები უნდა იძლეოდნენ სხვადასხვა ნაგებობების (ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო და სხვ.) მშენებლობისას თევზის მარაგის შენარჩუნებაზე დასკვნებს. თევზჭერის ორგანოებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად ნახონ საწარმოები, ნაგებობები, სარენაო გემები და ა.შ. მოითხოვონ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, შეამოწმონ თევზჭერის იარაღები, დააკავონ თევზჭერის წესების და თევზის მარაგის დაცვის დამრღვევები, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში გადასცენ დამნაშავეები, გადასცენ მასალები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად და მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად.

თევზდაცვის ორგანოები ასრულებენ თავის ამოცანებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

არსებული კანონმდებლობით, ხმელეთისა და წყლის გარეული ფაუნის დაცვის და გამოყენების კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და მატერიალური პასუხისმგებლობა.

ასეთი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევების შემდეგი სახეები: ცხოველთა სამყაროს დაცვის და გამოყენების ნორმების და სხვა მოთხოვნების წესების, მათი ადგილსამყოფელის, ცხოველების მიგრაციის გზების, თვითნებური განსახლების, ინტროდუქციის, ცხოველების შეჯერების წესების დარღვევა, საპროექტო, სამშენებლო და სხვა სამუშაოების შესრულება ცხოველთა სამყაროს დაცვის ორგანოებთან შეუთანხმებლად.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი ეძღვნება ცხოველთა სამყაროს დაცვის წესებს. კერძოდ, ამ კოდექსის 85-ე მუხლში გათვალისწინებულია გარეულ ცხოველეთა საბინადრო გარემოს,

გამრავლების არეალების, გადარჩენის, სტაციების და სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური ტრანსლოკაცია, ჰიბრიდიზაცია, რომელიც გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი „ნიეთელ წიგნში“ შეტანილი ცხოველების ან ნაკრძალის, ეროვნული პარკის, რეზერვატის, საერთაშორისო მნიშვნელობით დადგენილი საზღვრების გარეულ ცხოველთა მიმართ გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 180 ლარამდე. ამავე კოდექსის 85²-ე მუხლში აღნიშნულია გარეულ ცხოველთა ზოოლოგიური კოლექციების გარემოდან ცხოველების ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა, რომელიც იწვევს დაჯარიმებას 20-დან 150 ლარამდე. 85³-ე მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იშვიათ და გადაშენების პირას მისული ცხოველების მოსპობის ან სხვა ისეთ მოქმედებათა ჩადენისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს ასეთ ცხოველთა დაღუპვა. კოდექსის 86-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ნადირობისა და თევზჭერის წესების, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს სხვა სახის სარგებლობის წესების დარღვევისათვის. კერძოდ, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება საქართველოს კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ან შიდა წყლებში თევზსარეწი იარაღით ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით, ელექტროდენით ან სხვა აკრძალული იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით ანდა თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურება სხვა საშუალებით ასევე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთ 1 წლამდე ან ტუსალობით 2 თვემდე, ხოლო იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ან ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალში ან აღკვეთილში, ანდა აკრძალულ დროს ან ადგილას, აგრეთვე საგან-

გებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს, ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალ ორგანიზმის მიმართ ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი 2 წლამდე ან ტუსალობით 4 თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე. ნადირობის, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარამდე, მოპოვებულისა და უკანონო იარაღის ჩამორთმევით ან უამისოდ, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ანდა იმ იარაღით ან საშუალებებით, რომლებით ნადირობაც აკრძალულია გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 300 ლარამდე მოპოვებულის და უკანონო იარაღის ჩამორთმევით ან უამისოდ.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უკანონო ნადირობის ჩადენისათვის. კერძოდ, ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილას ანდა აკრძალულ დროს, ან აკრძალული იარაღით ან საშუალებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაოები 2 წლამდე ან ტუსალობა 4 თვემდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე ან უამისოდ, ხოლო ნადირობისთვის სახელმწიფო ნაკრძალებსა ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნიგნში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირ-ფრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის დროს ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე (მუხ. 301).

თ ა ვ ი XII

დაცული ტერიტორიების სამართლებრივი დაცვა

§ 1. დაცული ტერიტორიები – სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები და დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიები, როგორც სამართლებრივი დაცვის ობიექტები

ბუნების დაცვის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი ტერიტორიების, ლანდშაფტების, ბუნების ობიექტებისა და ბუნებრივი კომპლექსების დაცვას. ბუნების შენარჩუნება ხელუხლებელ ან ხელუხლებელთან მაქსიმალურად მიახლოებულ მდგომარეობაში აუცილებელია ადამიანის სასიცოცხლო სივრცის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. წყლის, ჰაერის, ნიადაგის ხარისხის, გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა და სხვ. დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ხარისხით ხორციელდება ბუნებრივი ტერიტორიების დაცვა. ამ ტერიტორიებს გააჩნიათ სამეცნიერო, კულტურული მნიშვნელობა, გამოირჩევიან ესთეტიკური ფასეულობითა და მიმზიდველობით რეკრეაციისა და ტურიზმისთვის. დაცული ტერიტორიების სამართლებრივი დაცვა წარმოადგენს ბუნებისდაცვითი საქმიანობის იმ მხარეს, რომელიც განიმარტება როგორც თვით ბუნების დაცვა ან მისი შენარჩუნება პირველქმნილი/ხელუხლებელი სახით (ბუნების კონსერვაცია).

საქართველოში ბუნებრივი კომპლექსებისა და ბუნების ობიექტების დაცვას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეცნიერუ-

ლი, კულტურული, რეკრეაციული ღირებულების ბუნებრივი კომპლექსების და ბუნების ობიექტების დაცვა ხდებოდა ძირითადად სახელმწიფო ნაკრძალების ორგანიზაციის გზით. ამ შემთხვევაში დაცვის ობიექტად გვევლინებოდა მთელი ბუნებრივი კომპლექსი. ამას გარდა, გამოიყოფოდა ალკვეთილები და ბუნების ძეგლები – ამა თუ იმ ბუნებრივი კომპლექსის ნაწილის შესანარჩუნებლად.

დღეისათვის არსებობს დაცული ტერიტორიების საკმაოდ ფართო ქსელი. მათ შორის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, რომელთაგან აღსანიშნავია: ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (ფართობით 22295 ჰა), რომელმაც სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი მიიღო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში – აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფართოფოთლოვანი ტყეების, ცხოველთა სამყაროს, სუბალპური და ალპური მდელოებისა და მცენარეულობის დაცვის მიზნით; ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი (10143 ჰა) – შეიქმნა არიდული მეჩხერი ტყეების (კევის ხე, ღვიები და სხვ.) უნიკალური მასივების დაცვის მიზნით; რინის სახელმწიფო ნაკრძალი (16289 ჰა), რომელიც მდებარეობს რინის ტბის მიდამოებში შეიქმნა მთავარი კავკასიონის დასავლეთ ნაწილის ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით; სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი (354 ჰა) – შეიქმნა დინოზავრის ნაკვალევისა და სათაფლიის მღვიმის დაცვის მიზნით; ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი (14820,60 ჰა) – შეიქმნა ბიოცენოზებში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების შესწავლის და ფლორის და ფაუნის იშვიათი ან გადაშენებული სახეობების გენოფონდის შენარჩუნების და შესწავლის მიზნით; მარიაშვილის სახელმწიფო ნაკრძალი (1040 ჰა) – შეიქმნა ჩვეულებრივი ფიჭვის ფორმნარმოქმნის პროცესების შესასწავლად; ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი (3645 ჰა) – შეიქმნა ენდემური ბიჭვინთის ფიჭვის, ბზის ტევრისა და მიუსერის ძვირფასი ტყის მასივის დაცვის მიზნით; ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი (40819 ჰა) – შეიქმნა ხელუხლებელ ბიოცენოზში მიმდინარე პროცესების უზრუნ-

ველყოფისა და შესწავლის მიზნით; კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (10703 ჰა) – შეიქმნა კოლხეთის რელიქტური ტყეების შენარჩუნების მიზნით და სხვ.

მოქმედი ეროვნულ პარკებიდან აღსანიშნავია: 1995 წელს შექმნილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (61234,84 ჰა), 1999 წელს შექმნილი კოლხეთის ეროვნული პარკი (საერთო ფართობით 45447,4 ჰა, აქედან ხმელეთის ფართობი შეადგენს 29704,4 ჰა-ს, ხოლო ზღვის აკვატორიისა – 15743 ჰა-ს) და 2006 წელს შექმნილი მტირალას ეროვნული პარკი (15804 ჰა). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2007 წელს აღდგენილი იქნა თბილისის ეროვნული პარკი (22425,06 ჰა) – აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილის იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. სულ დღეისათვის ფუნქციონირებს 8 ეროვნული პარკი.

გარდა სახელმწიფო ნაკრძალებისა და ეროვნული პარკებისა საქართველოში არსებობს დაცული ტერიტორიების კიდევ სამი კატეგორია – ბუნების ძეგლი (14), აღკვეთილი (12) და დაცული ლანდშაფტი (2).

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების ქსელი ვერ ასახავდა ქვეყნის ბუნებრივი კომპლექსების მრავალფეროვნებას. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) საქმიანობის გაშლას საქართველოში. 1990 წელს საფუძველი ჩაეყარა ეროვნული პარკების შექმნის პირველ პროექტს: მიზნად იქნა დასახული 7 ეროვნული პარკის ჩამოყალიბება. მათ შორის, კოლხეთის,

რომელსაც უნდა მოეცვა შავიზღვისპირა ტერიტორია (ორიგინალური მცენარეულობით, ჭაობის ლანდშაფტებით) და რომელიც წარმოადგენდა გადამფრენი ფრინველების თავშესაფარს; ცენტრალური კავკასიონისა, რომელიც უნდა შექმნილიყო ცენტრალური კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, რომელიც გამოირჩევა უმდიდრესი და მრავალსახოვანი ბუნებრივი ლანდშაფტებით – ტყის მასივებით, სუბალპური და ალპური მდელოებით და მდინარეებით; ფშავხევსურეთ-თუშეთისა და მთიანი კახეთისა, რომელსაც უნდა მოეცვა საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე კალთა მთის ტყით და ხელუხლებელი მაღალმთის მდელოებით; ივრის ზეგანისა, როგორც გამორჩეული ტერიტორიისა განსაკუთრებული ორიგინალობითა და ეგზოტიკურობით, სემიარიდული მცენარეულობით; ერუშეთისა – ერუშეთის მთიანეთის საქართველოში შემავალი ნაწილში, რომლის ძირითად სიმდიდრეს ჯერ კიდევ შემორჩენილი მაღალმთის სტეპი, მდელო და ტყე წარმოადგენს; აჭარა-გურია-იმერეთისა, რომელსაც უნდა მოეცვა აჭარა-იმერეთის ქედის თხემური ზოლი და მისი კალთები საინტერესო ტყით და უნიკალური ფაუნით და ბორჯომის ლანდშაფტების (ძირითადი ტყის) განსაკუთრებული მოზაიკით.

ფაქტობრივად, ეს იყო მომავალი დაცული ტერიტორიების პირველდანიეებითი კონტურები, სადაც ეროვნულ პარკებთან ერთად გამოყოფილი იქნებოდა დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიებიც – ბუნების ძეგლები, აღკვეთილები და ა.შ. დაცული ტერიტორიების ცნება ხშირად გაიგივებულია ეროვნულ პარკებთან. მართალია ეს სწორი არაა, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. დაცული ტერიტორიების დაარსებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1882 წელს აშშ-ში პირველი ეროვნული პარკის – იელოუსტონის დაფუძნებით. ამჟამად მსოფლიოში 2000-ზე მეტ ტერიტორიას აქვს ეროვნული პარკის სტატუსი მინიჭებული. ამ სფეროში ტერმინოლოგიის დახ-

ვენის აუცილებლობამ საკმაოდ აქტუალური მნიშვნელობა მიიღო. ამიტომ 1962 წლის დეკემბერში მიღებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეროვნული პარკების და მათი შესატყვისი რეზერვატების სია. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირს (IUCN), რომლის ინიციატივითაც შემუშავებული იქნა დაცული ტერიტორიების ძირითადი კატეგორიები და მათი განმარტებები.

§ 2. დაცული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმი

საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემა ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კლიმატური გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების შენარჩუნებას, მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვის და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლის შექმნას.

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, ფლორისა და ფაუნის ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული ობიექტების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი სამეურნეო განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

დაცული ტერიტორიების სისტემა ამჟამად აერთიანებს დაცული ტერიტორიების შემდეგ ეროვნულ კატეგორიებს: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, ალკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. საქართველოში ასევე, შეიძლება არსებობდეს დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული შემდეგი დაცული ტერიტორიების კატეგორიები – ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიოს მემკვიდრეობის უბანი და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევის, მათი დაარსების და ფუნქციონირების მიზნები:

ბუნებრივი პროცესების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ბიოგეოგრაფიული ერთეულების გარანტირებული დაცვა;

ბუნებრივი ეკოსისტემების და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა;

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით;

ბუნების უნიკალური და იშვიათი ორგანული და არაორგანული კომპონენტების შენარჩუნება;

ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ხუროთმოძღვრული, პალეობიოლოგიური და არქეოლოგიური კომპლექსების შენარჩუნება და აღდგენა;

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებისათვის დაკავშირებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა;

სახელმწიფო ნაკრძალი არის დაცული ტერიტორიის კატეგორია, რომელიც წარმოადგენს სივრცეს (ტერიტორია, აკვატორია), სადაც გამოირიცხულია ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა. სახელმწიფო ნაკრძალი ხასიათდება განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული ღირებულების ტიპური ან იშვიათი ლანდშაფტებით, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების თანასაზოგადოებებით, იშვიათი გეოლოგიური ან ნიადაგური წარმონაქმნები მცენარეების, ცხოველების სახეობებით და ა.შ. ნაკრძალებში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს ადამიანის ჩაურევლად. პროცესები, რომლებიც ცვლიან ეკოლოგიურ სისტემებს, იქმნება ბუნებრივი გზით, მაგალითად: ხანძრები, მწერების გამრავლება, მიწისძვრა და ა.შ.

სახელმწიფო ნაკრძალი არსდება ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით. ნაკრძალი

ბუნებრივი პროცესების თვითრეგულირებად მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის საჭიროებს გარკვეულ ტერიტორიას, სადაც ეკოსისტემების უნიკალური და იშვიათი წარმომადგენლები, დაცული იქნებიან ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან.

ეროვნული პარკი არის მნიშვნელოვანი ტერიტორია, სადაც ადამიანის ზემოქმედებით არაა დაზიანებული ერთი ან რამდენიმე ეკოსისტემა, სადაც ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, გარემოს გეომორფოლოგიურ თავისებურებებს გააჩნიათ განსაკუთრებული სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან რეკრეაციული მნიშვნელობა; ანდა წარმოდგენილია თვალწარმტაცი ბუნებრივი ლანდშაფტებით, რომელთა დაცვა და გაფრთხილებაა საჭირო.

ეროვნული პარკი არსდება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე, შედარებით დიდი და ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული ტერიტორიის დასაცავად. ეროვნული პარკი საჭიროებს ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე შედარებით დიდ სახმელეთო და აკვატორიულ ბუნებრივ ტერიტორიას, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა და მისი კომპონენტები.

ეროვნულ პარკში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ზონები:

- ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- გ) ისტორიულ-კულტურული ზონა;
- დ) დამხმარე (ბუფერული) ზონა;
- ე) ადმინისტრაციული ზონა.

ეროვნული პარკის ფარგლებს გარეთ, ჩვეულებრივ, ხდება დამხმარე ზონის ორგანიზება (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის გამოყენებით).

ბუნების ძეგლი არის გამორჩეული ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ან იშვიათი ბუნებრივი წარმონაქმნი. ფარ-

თობი არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს; ტერიტორია უნდა იყოს საკმაოდ დიდი, რათა ძეგლებმა შეინარჩუნონ დაუზიანებლობა.

ბუნების ძეგლი არსდება ეროვნული მნიშვნელობის მქონე, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიის და იშვიათი ბუნებრივი წარმონაქმნების დასაცავად. ბუნების ძეგლი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორიას, სადაც იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური, ნიადაგური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტებია წარმოდგენილი.

აღკვეთილი არის დაცული ტერიტორიის კატეგორია სადაც (მუდმივად ან დროებით) აკრძალულია სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეები და ფორმები ცოცხალი ორგანიზმების ერთი ან მრავალი სახეობის, ბიოგეოცენოზების, ერთი ან რამდენიმე ეკოლოგიური კომპონენტის ან დაცული ტერიტორიის საერთო ხასიათის დაცვის უზრუნველსაყოფად.

აღკვეთილი არსდება ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების მარადსაყოფად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც მოითხოვს სპეციალურ აღდგენით და მოვლით ღონისძიებებს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია განახლებადი ცალკეული რესურსის მოხმარება. აღკვეთილი საჭიროებს ეროვნული და ცალკეულ შემთხვევებში საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სახმელეთო და აკვატორიულ ტერიტორიებს, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილობრივი და მიგრირებადი სახეობები და ეკოსისტემების ცალკეული მნიშვნელოვანი ბიოტური და აბიოტური კომპონენტებია წარმოდგენილი.

დაცული ლანდშაფტი არის დაცული ტერიტორიის კატეგორია, რომელიც შეიცავს ეროვნული მნიშვნელობის ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტებს. ლანდშაფტების გამოყენების ტრადიციული ფორმები დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, მდელის ნაპირებსა და თევზჭერასთან. ტერიტორია საკმაოდ დიდია, რათა გარანტირებული იყოს ლანდშაფტური სტრუქტურის ერთიანობა.

დაცული ლანდშაფტი არსდება ეროვნული მნიშვნელობის მქონე, სილამაზით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტების დასაცავად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მიერ მათი რეკრეაციულ-ტურისტული გამოყენება ტრადიციული მეურნეობის შენარჩუნებისა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში. დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო და აკვატორიალურ ტერიტორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოირჩევა ისტორიული და ესთეტიკური მნიშვნელობით.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია არის მართვადი ტერიტორია, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ტერიტორიას მერქნის, წყლის, მდელოების, გარეული ცხოველების, ზღვის პროდუქტების მისაღებად და ტერიტორიის ნაწილი შეიძლება იყოს ადამიანის მიერ დასახლებული და/ან სახეშეცვლილი.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია უნდა შექმნას ბუნების დაცვაზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, სათანადო ტერიტორიითა და მუდმივად განახლებადი ბუნებრივი რესურსებით. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს შედარებით დიდ სახმელეთო და აკვატორიულ ტერიტორიას.

ბიოსფერული რეზერვატი წარმოადგენს ხმელეთისა და ზღვის სანაპირო ზოლის ან მათი ერთობლიობის ეკოსისტემების შემცველ დაცულ არეს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ბიოსფერული რეზერვატი უნდა არსებობდეს ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დინამიკურ და თვითრეგულირებად მდგომარეობაში დასაცავად.

ბიოსფერული რეზერვატები წარმოადგენენ ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში შემავალ დაცულ ტერიტორიებს, და ისინი წარმოადგენენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ელემენტების ხანგრძლივი გამოყენების საშუალებას და ამრიგად პასუხობენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნებს.

ბიოსფერული რეზერვატი იმ ქვეყნის სრული იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს.

ბიოსფერული რეზერვატები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- დაცვას – ხელს უწყობენ ლანდშაფტების, ეკოსისტემების, სახეობების და ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებას;

- მდგრად განვითარებას – ხელს უწყობენ საზოგადოებისა და ეკონომიკის ეკოლოგიურად სტაბილურ განვითარებას;

- კვლევას, განათლებას და აღზრდას.

ბიოსფერული რეზერვატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. შეიცავდეს ბიოგეოგრაფიული ეკოსისტემების დამახასიათებელ ნიმუშს, ან ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებით ჩამოყალიბებული ლანდშაფტებისა და სისტემების წარმომადგენლობით ნიმუშს;

2. ჰქონდეს ეროვნული ან მსოფლიო მნიშვნელობა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დასაცავად;

3. ჰქონდეს ზემოთ აღწერილი ბიოსფერული რეზერვატის სამი ფუნქციის შესაბამისი სიდიდე;

ბიოსფერული რეზერვატის ძირითადი ფუნქციების განხორციელება უნდა ხდებოდეს მისი ზონირებით (ზონებად დაყოფით):

ა) ერთი ან რამდენიმე მკაფიოდ შემოფარგლული ცენტრალური (ბირთვის) ზონა, რომელიც არის საკმარისად ვრცელი ლეგალური დაცვის მიზნების შესასრულებლად;

ბ) ერთი ან რამდენიმე მკაფიოდ შემოფარგლული გარდამავალი ზონა, რომელიც გარს ერტყმის ან ემიჯნება ცენტრალურ ზონას (ზონებს), სადაც დაშვებულია მხოლოდ დაცვის მიზნებთან შეთავსებული საქმიანობა;

გ) გარეთა გარდამავალი ზონა, სადაც წარმოებს რესურსების სტაბილური გამოყენება და ამ გამოყენებისათვის ხელშეწყობა.

5. ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციების ასამომქმედებლად საჭიროა ისეთი მექანიზმის გამონახვა, რომელიც საშუალებას იძლევა მრავლად მივიზიდოთ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები.

6. ბიოსფერულ რეზერვატში უნდა ხორციელდებოდეს:

ა) ტერიტორიის ფიზიკური დაცვა;

ბ) მიწების მართვის მექანიზმის დადგენა და საქმიანობა გარდამავალ ზონაში (ან ზონებში);

გ) ბიოსფერული რეზერვატის მართვის გეგმისა ან პოლიტიკის შემუშავება;

დ) დადგენა უფლებისა ან მექანიზმისა, რომლის დანიშნულებაა ამ პოლიტიკისა თუ გეგმის განხორციელება;

ე) კვლევის, უწყვეტი ზედამხედველობის, განათლებისა და აღზრდის პროგრამის შედგენა.

ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭება ხდება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ბიოსფერული რეზერვატების საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე შემდეგი პროცედურული თანამიმდევრობით:

ა) მას შემდეგ, რაც გამოკვლეული იქნება, რომელი ტერიტორიები შეესაბამება ბიოსფერული რეზერვატის კრიტერიუმებს, სახელმწიფო „მაბ“-ის კომიტეტის შუამდგომლობით უგზავნის სამდივნოს შერჩევის წინადადებებს სათანადო დოკუმენტაციის თანხლებით;

ბ) სამდივნო ამონშებს ამ მასალას; თუ იგი არ არის სრული, სამდივნო სთხოვს სახელმწიფოს მის შევსებას აუცილებელი დოკუმენტაციით.

გ) სამდივნო უგზავნის წინადადებებს ბუნების და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირს და დაცვის მონიტორინგის ცენტრს ან აუცილებლობის შემთხვევაში რომელიმე სხვა დამოუკიდებელ ორგანიზაციას ტექნიკური შეფასებისათვის, რაც უნდა გულისხმობდეს ადგილზე ჩასვლას და წერილობითი შეფასების ანგარიშს;

დ) წინადადებები და მათი შეფასება გადაეცემა ბიოსფერული რეზერვატების საკონსულტაციო კომიტეტს რეკომენდაციისათვის;

ე) ეს რეკომენდაცია შეიძლება იყოს შევსებული მოსაზრებებით იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა მიიღოს სახელმწიფომ ან შესატყვისმა ხელმძღვანელობამ იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნეს წარმოდგენილი ბიოსფერული რეზერვატის კონცეფცია და ფუნქციონირება;

ვ) საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით კოორდინაციის საერთაშორისო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას რეზერვატის ჩამოყალიბების თაობაზე. „იუნესკოს“ გენერალური დირექტორი ოფიციალურად ატყობინებს მიღებულ გადაწყვეტილებას დაინტერესებულ სახელმწიფოს.

ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში ჩართული ქვეყნები მონაწილეობენ ან აადვილებენ ქსელში თანამშრომლობის საქმიანობას, მეცნიერული კვლევისა და მუდმივი ზედამხედველობის ჩათვლით მსოფლიო, რეგიონულ და ქვერეგიონულ დონეზე. ქსელის ნორმალური ფუნქციონირებისა და ურთიერთსასარგებლო ინფორმაციის მიღების გასაუმჯობესებლად სახელმწიფოების შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები ხელმისაწვდომს ხდიან კვლევის შედეგებს, მუდმივი ზედამხედველობის წყალობით დაგროვილ მონაცემებს და მათთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს. სახელმწიფოები და შესაბამისი ორგანოები ხელს უწყობენ გარემოს დაცვის

დარგში განათლებასა და აღზრდას, ადამიანური რესურსების განვითარებას სხვა ბიოსფერულ რეზერვატებთან თანამშრომლობით.

ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ხდება ბიოსფერული რეზერვატის შემოწმება. თუ ბიოსფერული რეზერვატი არ პასუხობს დებულებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, სახელმწიფოს მიეცემა რჩევა მიიღოს საჭირო ზომები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს დებულებებთან შესაბამისობა. თუ შემოთავაზებული ზომები არ იქნება მიღებული სათანადო დროის განმავლობაში, სარეზერვატო არე აღარ განიხილება როგორც ბიოსფერული რეზერვატი და აღარ ჩაითვლება ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელის შემადგენელ ნაწილად.

ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში შემავალი ბიოსფერული რეზერვატების სია, მათი მიზნები და დეტალური აღწერა ნებსრიგში მოჰყავს „იუნესკოს“, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს და ავრცელებს ამ მასალას.

ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის კატეგორიის ჩართვა (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია).

მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი უნდა არსებობდეს უნიკალური ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ტერიტორიებისა და წარმონაქმნების დასაცავად. ის საჭიროებს ტერიტორიას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე შემდეგ ბუნებრივ და ბუნებრივ-კულტურულ ფასეულობებს:

ა) ბუნებრივ გარემოში დედამიწის ისტორიის ამსახველი ნიმუშები;

ბ) გეოლოგიური და ბიოლოგიური პროცესების, აგრეთვე, ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი გარემოს მაგალითები;

გ) უნიკალური, იშვიათი ან განსაკუთრებული ბუნებრივი ფენომენები, ფორმაციები, წარმონაქმნები ან გამორჩეული სილამაზის ბუნებრივი ტერიტორიები;

დ) იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეები და ცხოველები და მათი საარსებო გარემო;

ე) ადამიანის იშვიათი, უნიკალური და განსაკუთრებით მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიოს ისტორიის ქალაქდაგეგმარების, ლანდშაფტური არქიტექტურის, ხუროთმოძღვრებისა და მასთან დაკავშირებული სახვითი ხელოვნების განვითარებაში და რომლებიც წარმოადგენენ ბუნებისა და კულტურის ჰარმონიული ერთიანობის მაგალითს.

შერჩეული ობიექტი მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად დამტკიცებისათვის საჭიროებს „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სამდივნოს მიერ აღიარებასა და მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანას.

მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ფარგლებში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე დაცული ტერიტორიის კატეგორიის ჩართვა (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი). ამის გარდა, თავად მისი ჩართვა სხვა დაცულ ტერიტორიაში (ბიოსფერული რეზერვატი, სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი).

სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნებრივი ძეგლის, აღკვეთილის, დაცული ლანდშაფტის გარშემო საჭიროების მიხედვით, ხოლო ბიოსფერულ რეზერვატში სავალდებულოდ არსდება დამხმარე/ბუფერული ზონა. დამხმარე/ბუფერული ზონა იქმნება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორიის გამოყენებით. მისი მართვის კოორდინაცია და დაშვებული საქმიანობის განვითარება განისაზღვრება სპეციალური პროგრამით, რომელიც წინასწარ განიხილება და მტკიცდება.

ბუნებრივი რესურსების ფლობის, განკარგვისა და სარგებლობის დაშვებული ფორმა დაცულ ტერიტორიებზე განისაზღვრება მათი კატეგორიებისა და ტერიტორიულ-ფუნქციური ზონების მიხედვით:

– სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. აქ დაუშვებელია არასახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ბუნებრივი რესურსების სარგებლობაში გადაცემა;

– ეროვნული პარკის ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვისას და ბუნების მართვადი დაცვის ზონებში არასახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ბუნებრივი რესურსების სარგებლობაში გადაცემა არ დაიშვება;

– ბუნების ძეგლების ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ბუნების ძეგლების ტერიტორიაზე არ დაიშვება არასახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ბუნებრივი რესურსების სარგებლობაში გადაცემა;

– აღკვეთილის ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები, მომთაბარე ცოცხალი ორგანიზმების ჩათვლით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას;

– დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივ-კულტურული და ისტორიულ-კულტურული ობიექტები უპირატესად წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, გარდა ამისა დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დაშვებულია საკუთრების სხვადასხვა ფორმები.

– მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, ბუნებრივ-ანთროპოგენულ და ანთროპოგენულ ობიექტებზე სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად დაშვებულია საკუთრების სხვა ფორმებიც.

ბიოსფერული რეზერვატის ცენტრალური (ბირთვის) და გარდამავალი ზონების ტერიტორია და იქ არსებული ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. ამ ზონებში არ დაიშვება არასახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ბუნებრივი რესურსების სარგებლობაში

გადაცემა. გარეთა გარდამავალი ზონის ტერიტორია და იქ არსებული ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივ-კულტურული და ისტორიულ-კულტურული ობიექტები წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას, დაიშვება აგრეთვე, საკუთრების სხვადასხვა ფორმები.

– მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების საკუთრების ფორმები განისაზღვრება იმ დაცული ტერიტორიის კატეგორიის საკუთრების ფორმით, რომელიც შედის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში.

§ 3. დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა, დაცვისა და გამოყენების რეჟიმი, კონტროლი და პასუხისმგებლობა

დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა წარმოადგენს საქართველოს მდგრადი განვითარების სტრატეგიის ნაწილს და უშუალო კავშირშია როგორც ტერიტორიული დაგეგმარების (ლანდშაფტის დაგეგმარების) სახელმწიფო სისტემის სხვადასხვა (ეროვნული, რეგიონალური) საფეხურთან, ასევე დარგობრივი დაგეგმვის (მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, ბუნების დაცვა, გარემოს შენარჩუნება, ტურიზმი, რეკრეაცია, სოფლის და სატყეო მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა და სხვა) მრავალ პროგრამასთან. დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა განსაზღვრავს გეგმარებით რეგიონებს, დასაცავად ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ ობიექტებს, აზუსტებს დაცული ტერიტორიების კატეგორიებს, რეკომენდებულ საზღვრებსა და ზონებს, აკრძალვებსა და დაშვებულ საქმიანობას, აყალიბებს დაცული ტერიტორიების დაარსების პრიორიტეტებსა და ეტაპებს. დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ.

დაცული ტერიტორიების შექმნის და განვითარების საკითხებს იხილავს საქართველოს პარლამენტი. საგანგებო შემთხვევაში (დაცული ეკოსისტემების კატასტროფული და შეუქცევადი რღვევა, დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, ფართო აღდგენით სამუშაოების აუცილებლობა) დაცული ტერიტორიების დროებით და მუდმივ გაუქმებას, ტერიტორიულ და დაცვითი კატეგორიების შეცვლას ახდენს ასევე საქართველოს პარლამენტი. ცალკეულ შემთხვევაში დაზუსტებული საზღვრებისა და ზონების, დაცვის, მოვლა-პატრონობისა და მართვის დეტალური პროგრამების (დაცული ტერიტორიის მოვლა-პატრონობისა და მართვის დეტალური პროგრამების), დაცული ტერიტორიის სამენეჯმენტო გეგმის შემუშავებამდე, ე.ი. მუდმივი კატეგორიის განსაზღვრამდე არსდება დაცული ტერიტორიის დროებითი კატეგორია.

დაცული ტერიტორიების დაგეგმვის პირველი ეტაპი (სისტემის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე) თითოეული დაცული ტერიტორიისათვის ხორციელდება სავალდებულო მენეჯმენტის საშუალებით. მენეჯმენტის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის დაზუსტებულ საზღვრებს, ზონებს, მათ ტერიტორიულ ორგანიზაციას, გარდამავალ არეს (ბუფერის ზონა) და დაცვის, მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის, განათლების, ტურიზმის, ადმინისტრირების და სხვა საქმიანობის ინტეგრალური განვითარების პროგრამასა და ბიუჯეტს, მუშავდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ან მისი დაკვეთით, დაცული ტერიტორიის დაარსების დროს ან დაარსებიდან სამი წლის განმავლობაში. მენეჯმენტის გეგმა თითოეული დაცული ტერიტორიის თავისებურებიდან გამომდინარე მუშავდება დანერგვის სხვადასხვა პერიოდისათვის. დანერგვის პერიოდის გასვლის შემდეგ მუშავდება განახლებული მენეჯმენტის გეგმა. მენეჯმენტის გეგმა, რომელიც განიხილება აღ-

გილობრივი მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების მიერ და მტკიცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ. განახლებული მენეჯმენტის გეგმა გადის ანალოგიურ პროცედურებს.

ამჟამად საქართველოში საკმაოდ აქტიურად და თანმიმდევრულად მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების შედგენა. ამ უალრესად მნიშვნელოვან საქმის განხორციელებად ხელს უწყობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების სააგენტო უფლებამოსილი არიან განახორციელონ:

- დაცული ტერიტორიების სისტემების დაგეგმვა და დანერგვა;

- საზოგადოების სხვადასხვა ფენების თანამშრომლობის ხელშეწყობა;

- დაცულ ტერიტორიებზე განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებში მდებარე საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება და შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა;

- მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია და კოორდინაცია;

- მენეჯმენტის გეგმების დამუშავება, განხილვა, დამტკიცება და განხორციელება;

- დაკვირვების მონაცემთა დამუშავება, შენახვა და გავრცელება;

- მართვის მექანიზმის სრულყოფა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

- დაცული ტერიტორიების ადმინისტრირება და ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ფონდებთან თანამშრომლობა;

- თითოეული დაცული ტერიტორიის დებულებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შემუშავება;

- დაცული ტერიტორიების მოვლის, აღდგენისა და დაცვის ხარჯების გაღება;

– სხვადასხვა მიზნით ტერიტორიების შემოერთების ღონისძიებების განხორციელება;

– დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კეთილმოწყობის სამუშაოების (ბილიკები, ზღუდეები, გზები, თავშესაფრები და სხვა) ორგანიზება;

– ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საკონსულტაციო კომისიების, სპეციალისტთა და მოყვარულთა სამოქმედო ჯგუფებისა და სხვათა ჩამოყალიბება;

– შესაბამისი ფუნქციების მქონე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

– შესაბამისი სამსახურების ჩამოყალიბება;

დაცულ ტერიტორიებს მართავენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები – დაცული ტერიტორიების ტერიტორიული ადმინისტრაციები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ შესაბამისი მოქმედებები;

– ეკოსისტემების, ფლორისა და ფაუნის ცალკეული სახეობებისა და მათი არეალის დაზიანებისაგან დაცვა და აღდგენა;

– ცხოველთა და მცენარეთა განადგურების, მიტაცებისა და შელახვის აღკვეთა;

– ფლორისა და ფაუნის უცხო სახეობათა გავრცელების აღკვეთა;

– ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვა და აღდგენა;

– ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან კოოპერაცია;

– ტერიტორიის (დაცულ ტერიტორიაზე და ბუფერის ზონაში) ბუნებრივი რესურსების გამოყენების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ვიზიტორთა კონტროლი;

– სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების უკანონოდ შემოჭრის აღკვეთა;

– დაცულ ტერიტორიაზე კანონის დამრღვევთა დაკავება;

დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობისა და დაცვის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს დაცული ტერიტო-

რიების სააგენტო, რომელიც მართავს: ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, ბუნების ძეგლებსა და აღკვეთილებს და სხვ.

დაცულ ტერიტორიაზე აკრძალული და დაშვებული რეგულირებადი საქმიანობა განისაზღვრება დაცული ტერიტორიების კატეგორიების მიხედვით, საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესაბამისად. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზაცია ხდება დაცული ტერიტორიების შიგნით საქმის რეგულირებით, საქმის დროებითი რეგულირებით და დაცული ტერიტორიების გარეთა რეგულირებით. ეს საქმიანობა დეტალურად განისაზღვრება დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით.

დაცული ტერიტორიების საზღვრებში ძირითადად იკრძალება:

ა) ეკოსისტემების ნებისმიერი რღვევა;

ბ) ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამონყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება, შეშფოთება;

გ) გარემოს დაბინძურებით ბუნებრივი ეკოსისტემის ან ცალკეული სახეობის დაზიანება;

დ) ცოცხალ ორგანიზმთა უცხო და ეგზოტიკური სახეობების შემოყვანა და გავრცელება;

დაცული ტერიტორიის საზღვრებში ძირითადად რეგულირებას ექვემდებარება:

ა) ვიზიტორთა დაშვება განსაზღვრულ ადგილებში (იკრძალება ან მკაცრად რეგულირდება);

ბ) ნადირობა, თევზაობა, დაბანაკება, ცეცხლის გამოყენება, სავაჭრო და კომერციული საქმიანობა, შენობები, გზებისა და ნაგებობების მშენებლობა და მათი ისტორიული სახის შეცვლა, ტერიტორიაზე, მის ზევით, ან მის ქვეშ სახმელეთო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის გამოყენება (იკრძალება ან მკაცრად რეგულირდება);

გ) მცენარეებისა და ცხოველების შეგროვება და დაჭრა ტერიტორიაზე და მათი გატანა (გაყვანა) მის გარეთ (რეგულირდება ან იკრძალება);

დ) უპატრონოდ მიტოვებული შინაური ცხოველების გარეკვა, ჩამორთმევა, იზოლირება, განადგურება;

ე) ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა (იკრძალება);

დაცული ტერიტორიის საზღვრებში კონტროლდება ყველა სახის დაშვებული სამეცნიერო, საგანმანათლებლო საქმიანობა და აგრეთვე ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება:

დაშვებულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა ნაკადის თანაბარი განაწილება;

ვიზიტორთა ინტერესების მიხედვით შერჩეული ტერიტორიების წინასწარი რეგისტრაცია;

ვიზიტორთა დაშვების დროისა და ხანგრძლივობის შესაბამისობა დაცული ტერიტორიის მიზნებთან;

თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა დაშვებული ლიმიტების შესაბამისობა ვიზიტორთა რაოდენობასთან;

სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფის საფრთხის საშიშროების დროული შეტყობინება.

დაცული ტერიტორია დროებითი რეგულირებით კონტროლდება: დაცული ტერიტორიის კატეგორიის დაკანონებამდე და მენეჯმენტის პირველი გეგმის დამტკიცებამდე და სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების სალიკვიდაციო ღონისძიებების დროს (საგანგებო წესები განისაზღვრება ნორმატიული აქტებით).

დაცული ტერიტორიების სააგენტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელებისა და მართვის პროცესში თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დაცული ტერიტორიების სამსახური საკოორდინაციო საბჭოს საშუალებით თანამშრომლობს ცალკეული დაცული ტერიტორიის დირექციასთან:

დაცული ლანდშაფტის, გამონაკლის შემთხვევაში აღკვეთილების, ეროვნული პარკების, ბიოსფერული რეზერვატებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ცალკეული ზონების მართვისა და კონტროლის საქმეში;

– მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების (ბუფერის ზონების) რეგულირებისა და კონტროლის საქმეში;

– საგანგებო სიტუაციებში ერთობლივი ღონისძიებების გატარებაში.

საზოგადოების ფართო ფენებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ: დაცული ტერიტორიის დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების, მენეჯმენტის გეგმების, დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორებების პროცესში; დაცული ტერიტორიების და დამხმარე/ბუფერული ზონის მოვლა-პატრონობისა და მართვის საქმიანობაში ადგილობრივი პრობლემატიკის სრულფასოვანი ასახვის მიზნით სპეციფიკურ ცენტრალურ პროგრამებში და გადაწყვეტილებებში; ყველა დონის საკონსულტაციო საბჭოებში; დაცული ტერიტორიების ადგილობრივი ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი ფინანსების ხარჯების რეგულირების საქმეში და სხვა.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წლის 7 მარტი) მიზნად ისახავს საქართველოში დაცული ტერიტორიების ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლის შექმნას. იგი აკანონებს საქართველოში შემორჩენილი საერთაშორისო ღირებულების მქონე უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოს მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებისა და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ამოცანათა გადაწყვეტის ხელშემწყობ პირობებს.

თ ა ვ ი XIII

ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა

§ 1. ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ცნება და მნიშვნელობა

ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო, საზღვაო, საჰაერო, კოსმიური, წყლის, სანიტარულ-ჰიგიენური სამართლის ასპექტებს.

ბუნების დაცვა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენება თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა და მისი გადანყვეტა შესაძლებელია ყველა სახელმწიფოს კოლექტიური ძალისხმევით საერთო საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპების და ნორმების საფუძველზე.

ბუნების დაცვის სფეროში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობა ჩაისახა გასული საუკუნის დასაწყისში. პირველი დიდი საერთაშორისო ბუნებათდაცვითი ღონისძიება იყო ბუნების საერთაშორისო დაცვის კონფერენცია, რომელიც გაიმართა 1913 წლის 17-19 ნოემბერს ბერნში (შვეიცარია). 1948 წელს შეიქმნა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი. 1962 წელს ბუნების დაცვის საკითხი ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით პირველად იყო განხილული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. ბუნების დაცვის საკითხები შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რიგი ორგანოების და სპეციალიზებული დაწესებულებათა მოღვაწეობის პროგრამებში. ასეთი ორ-

განიზაციების რიცხვს მიეკუთვნება იუნესკო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ეკონომიკური კომისია, გაერთიანებული ერების კვების და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მრავალი სხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია. 1972 წლის ივნისში გაიმართა ადამიანის გარემოს დაცვის სტოკჰოლმის კონფერენცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოში ამ მიმართულებით რეგულარულ საქმიანობას.

თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ცალკეული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მოქმედების კოორდინაცია;

2. ორი ან რამდენიმე ქვეყნის თანამშრომლობა ცალკეული ობიექტების დაცვის ერთობლივი მოქმედების მიზნით (მაგ. შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობა მისი გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად);

3. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობა გარემოს გლობალური ამოცანების გადასაწყვეტად.

ბუნების დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დარეგულირებაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული უნივერსალური პროგრესული პრინციპები და ნორმები, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და სხვა უმთავრეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა, მათი თანასწორობა, ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება და ა.შ.

ამავე დროს, ქვეყნების თანამშრომლობამ გარემოს დაცვის სფეროში გაამდიდრა საერთაშორისო სამართალი ახალი პროგრესული პრინციპებით და ნორმებით. მათ შორის, ყვე-

ლაზე არსებითი აისახა ადამიანის გარემოს დეკლარაციაში, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტოკჰოლმის კონფერენციაზე 1972 წლის ივნისში. დეკლარაციამ განსაზღვრა ყოველი ადამიანის უფლება ხელსაყრელ გარემოზე, როგორც გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო კვლევას და გამოცდილების გაზიარებას, ისეთი დაგეგმვის განვითარებას, რომელიც ითვალისწინებს გარემოს ინტერესებს, მოსახლეობის სათანადო აღზრდას და განათლებას. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ საკუთარი რესურსები ბუნების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით.

ბუნების კვლევის და გამოყენების მრავალმხრივი მოღვაწეობა განისაზღვრება ზოგადი და სპეციალური საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებით.

საერთაშორისო სამართლის ყველა ძირითადი პრინციპი არეგულირებს სამართალურთიერთობას ბუნების დაცვის და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების სფეროში. ამავე დროს ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა მოიცავს მთელ რიგ სპეციფიკურ პრინციპს:

1. ბუნება სახელმწიფო საზღვრების მიღმა – კაცობრიობის საერთო საკუთრებაა.

ბუნებრივი რესურსები ეროვნული იურისდიქციის მოქმედების ფარგლებს გარეთ წარმოადგენს ყველა ქვეყნის და ხალხის საერთო ქონებას და არ შეიძლება გახდეს ოკუპაციის ან დატაცების საგანი ნებისმიერი ფორმით. ბუნების ამ რესურსებით ექსპლუატაცია შესაძლებელია და მართლზომიერია მხოლოდ მთელი კაცობრიობის თანხმობისას და მის საკეთილდღეოდ.

2. ბუნების და მისი კომპონენტების კვლევის და გამოყენების თავისუფლება.

ყველა სახელმწიფო და აგრეთვე ზოგიერთი საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაცია ეროვნული იურის-

დიქციის ფარგლებს გარეთ რაიმე დისკრიმინაციის გარეშე ახორციელებს მართლზომიერ საქმიანობას ბუნებაში.

3. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

ეროვნული იურისდიქციის მოქმედების ფარგლებს გარეთ დაშვებული ექსპლუატაცია უნდა წარმოებდეს მაქსიმალურად მყარ დონეზე. სახელმწიფოები პასუხისმგებელია მათ შენარჩუნებაზე ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის და ვალდებული არიან განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები აღდგენადი რესურსების კვლავწარმოებისათვის.

4. გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილება.

ეროვნულ საზღვრებს მიღმა ბუნების გამოკვლევისა და გამოყენების შესაბამისმა სუბიექტებმა არ უნდა შეიყვანონ მასში ტოქსიკური ან სხვა ნივთიერებები ისეთი რაოდენობებითა და კონცენტრაციით, რომლებიც აჭარბებენ გარემოს გაუვნებლობის უნარს.

5. ბუნების გამოკვლევისა და გამოყენებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელის შეწყობა.

ბუნების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაწყდეს ყველა ქვეყნის თანაბარუფლებიანი ურთიერთობის საფუძველზე. ეს აუცილებელია ეფექტური მონიტორინგის ორგანიზაციისათვის, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების ან შემცირებისათვის.

6. ბუნების შენარჩუნებისათვის სახელმწიფოების საერთაშორისო პასუხისმგებლობა.

ბუნების და მისი კომპონენტების (ბუნებრივი რესურსების) გამოკვლევისა და გამოყენებაში, სახელმწიფოების გარდა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა. მაგრამ ყველა შემთხვევაში გარემოსადმი შესაძლებელი ზარალის მიყენებისათვის პასუხისმგებელი უნდა გამოდიოდეს მხოლოდ სახელმწიფო-საერთაშორისო სამართლის პირველადი სუბიექტი.

საერთაშორისო სისხლის სამართალი ცალკე გამოყოფს დანაშაულს გარემოს წინააღმდეგ (Crimes Against the Environment). საერთოდ საერთაშორისო სისხლის სამართალს ყოფენ

ორ კატეგორიად: საერთაშორისო სისხლის სამართლის ასპექტი და საშინაო სისხლის სამართლის საერთაშორისო ასპექტი. სხვადასხვა საერთაშორისო საშუალებები, პრინციპები და თეორიები შეიცავენ საჯარიმო სანქციებს, რათა მართონ ზიანის შედეგები, რომლებსაც აყენებენ ცოცხალ და შეზღუდულ (იშვიათ) ბუნებრივ რესურსებს. ზოგიერთ ქვეყანას აქვს ადგილობრივი კანონები, რომლითაც ადგილობრივ (მუნიციპალურ) დონეზე სჯიან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე რესურსებისათვის ზიანის მიყენებას. „ბუნებრივ გარემოსთან“ შედარებით, ტერმინ „გარემოს“ აბსტრაქტულობა ართულებს მის გამოყენებას. საერთაშორისო სისხლის სამართალში ტერმინი „საერთაშორისო“ გულისხმობს არა მარტო საერთაშორისო საშუალებებს, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულ ნორმებს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით „ეკოლოგიურ“ დამნაშავედ გამოცხადება არის ცდა, რომ მოხდეს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების კომპენსაცია ჯარიმით, რაც ასახავს საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს და წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესების შელახვისათვის სანქციის დანესების საფუძველს. დანაშაულისათვის გადასახადი შეიძლება იყოს ფულადი და არაფულადი. იმის გამო, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის რესურსები ზოგჯერ ნაკლებადაა დაცული ვიდრე ადგილობრივი მნიშვნელობისა, მათ მიმართ მიღებული სანქციები უფრო მკაცრია.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პრობლემის განხილვისას აღინიშნება, რომ ამ ბოლო დროს ხშირად იყენებენ მიმართვას „არ დაანაგვიანოთ საჯარიმო კოდექსი“, რათა პოტენციურმა დამნაგვიანებელმა გააცნობიეროს, რომ საზოგადოება სერიოზულად არის განწყობილი კონკრეტული ადგილის სისუფთავისათვის და ამავე დროს დააჯარიმებს დამნაგვიანებელს.

საერთაშორისო კანონების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს კერძო პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არის რამდენიმე დებულება, რომელიც ეხება ბუნების და გარემოს დაცვას და არსებობს საერთაშორისო კა-

ნონმდებლობაში. – ამჟამად აღიარებულია მახასიათებლების შემდეგი ჩამონათვალი, რომელთა არსებობა მიეკუთვნება მათ საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროს: 1. მკაფიოდ ჩამოყალიბებული ან ნაგულისხმები განცხადება გარკვეული ქცევისა, როგორც დანაშაულისა საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით; 2. ქცევის დანაშაულად გამოცხადება ეროვნული სამართლის შესაბამისად; 3. სასამართლო დევნის ან სხვა სახელმწიფოსათვის დამნაშავის ან ექვმიტანილის გადაცემის უზრუნველყოფა; 4. დამნაშავის დასჯის გარდუვალობა; 5. თანამშრომლობა სხვადასხვა ტიპის იურიდიული დახმარების ხელშეკრულების შესრულებაში; 6. პრიორიტეტის დადგენა სამართლის თეორიებში და შესაძლო რეკომენდაცია უნივერსალური ეკოლოგიური იურისდიქციის შემოღების შესახებ; 7. საერთაშორისო სისხლის სამართალზე დაყრდნობა; 8. ზედა სტრუქტურების მიერ დაცვის გამორიცხვა.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ცალკეულ ქვეყნებში მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტები შეიძლება გამოყენებული იქნას ცივილიზირებული ქვეყნების ურთიერთობების დასარეგულირებლად. სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იღებს ისეთ კანონმდებლობას, სადაც გათვალისწინებულია გარემოს დაცვის სამართლებრივი ზომები. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკვე 85 ქვეყანაზე მეტმა ხელი მოაწერა კონვენციას „გარეული ფაუნის და ფლორის გადაშენებადი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“. ამან ხელი შეუწყო მრავალი იშვიათი მცენარისა და ცხოველის გადარჩენას.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპია ისეთი ღირებულებების დაცვა, რომლებსაც მსოფლიო საზოგადოება აღიარებს იმდენად მნიშვნელოვნად, რომ მათი ხელყოფისათვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციები. მათი სპექტრი საკმაოდ ფართოა, დაწყებული ესთეტიკური თვალსაზრისით, დამთავრებული ეკონომიკურით, ადამიანის ჯანმრთელობის ჩათვლით.

ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომელშიც ასახულია ბუნებათმოსარგებლის სუბიექტის ნება და განზრახვები.

საერთაშორისო ხელშეკრულებები იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად ობიექტის საქმიანობის სფეროს, სოციალურ-პოლიტიკური მონაწილეების ნიშნით. ობიექტის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულებები გაერთიანებულია რამდენიმე ჯგუფში: ყველა სახის და ცალკეული სახის დაცვის ან რაციონალურად გამოყენების საკითხების მარეგულირებელი ხელშეკრულებები. საქმიანობის სფეროს მიხედვით არჩევენ უნივერსალურ, სუბრეგიონალურ და რეგიონალურ ხელშეკრულებებს. სოციალურ-პოლიტიკური ნიშნით ხელშეკრულებები შეიძლება იყოს სხვადასხვა წყობის სახელმწიფოებს და ყველა სახელმწიფოს შორის. მონაწილეების ნიშნით არსებობს სამთავრობათშორისი ხელშეკრულებები, სახელმწიფოთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

ბუნების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის საკმაოდ გავრცელებული წყაროა საერთაშორისო ჩვეულება, მაგრამ ის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ საჯაროდ აღიარებული ან იურიდიულად სავალდებულო.

ბუნების დაცვაში საერთაშორისო ჩვეულებას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის, რადგან მრავალი ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაცია ჯერ კიდევ არ რეგულირდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით და ამიტომ სახელმწიფოები უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვეულებებით. საერთაშორისო ორგანიზაციის გადანყვეტილება შეიძლება გახდეს სამართლის წყარო მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოწონებულია სახელმწიფოს მიერ და მასში არის ნორმატიულობის ელემენტები. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობათშორისი ორგანიზაციის რეზოლუცია შეესაბამება ამ სანყისებს, მაშინ ის შეიძლება შეფასდეს, როგორც თავისებური საერთაშორისო ხელშეკრულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციები სავალდებულოა ყველა სახელმწი-

ფოსათვის და ისინი ცდილობენ შეასრულონ ეს რეზოლუციები. ასევე ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის, არაბული ქვეყნების ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციების რეზოლუციები სავალდებულოა ყველა წევრისათვის.

მ. ბითაძე (2008) აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, ორჭუსის კონვენციას ენიჭება საკმაოდ მაღალი იერარქიული ადგილი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს ნორმატიული აქტების მიმართ, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებების იერარქიულ ადგილს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, პრაქტიკაში სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება აღმოჩნდნენ სირთულეების წინაშე, რაც დაკავშირებულია სამართლებრივ კოლიზებთან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს შორის. ავტორის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ აღიარებული თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, მათ შორის, ორჭუსის კონვენციაც „თვითშესრულებადი“ ხასიათისაა, რის საფუძველზეც ეროვნულ სასამართლოებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ მათი პირდაპირი გამოყენება და ამიტომ სასურველია, რომ ეროვნული კანონმდებლობა მაქსიმალურად მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ორჭუსის კონვენციასთან, რაც მის ეროვნულ დონეზე უკეთ გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას შეუწყობს ხელს. მ. ბითაძის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სამართლებრივ სისტემაში საერთაშო-

რისო სამართლით გარანტირებული ეკოლოგიური უფლებების ამსახველი ნორმები გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში და მათი ერთობლივი აღქმა საკმაოდ გართულებულია, შესაძლებელია მოხდეს ეკოლოგიური უფლებების ნორმატიული შინაარსის გარკვეულწილად სისტემატიზება და სპეციალური კანონის მიღება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის და ორჰუსის კონვენციის დებულებების დაკონკრეტებასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. იმ შემთხვევაში კი, თუ არ მოხდება სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღება ორჰუსის კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში უკეთ ჰარმონიზირების მიზნით, საჭიროა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი არსებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები როგორც ერთმანეთთან, ისე ორჰუსის კონვენციასთან.

§ 2. ბუნების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი ობიექტები

ბუნების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივ ობიექტებს წარმოადგენს ჩვენი პლანეტის მთელი ბუნება და კოსმოსური სივრცის ის ნაწილი, რომელშიც ადამიანი რეალურ ზემოქმედებას ახდენს მატერიალურ სამყაროზე. საერთაშორისო სამართლის რეგლამენტირებას ექვემდებარება პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ბუნებრივი კომპლექსის და რაციონალურად გამოყენების პრობლემა. ყველაზე მეტად საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ნორმებით მოცულია მსოფლიო ოკეანე, კონტინენტები, კოსმოსი, ატმოსფერული ჰაერი, საერთაშორისო მდინარეები და ტბები. ზოგჯერ გამოიყოფა მცენარეული და ცხოველთა სამყაროს ელემენტები, ბუნებრივი ობიექტები – ბუნების ძეგლები.

მსოფლიო ოკეანე იკავებს ჩვენი პლანეტის 71%-ს და მოიცავს დედამიწაზე არსებულ ოთხივე ოკეანეს – ატლანტიკის, ინდოეთის, წყნარს, ჩრდილოეთ-ყინულოვანს და მათთან დაკავშირებულ ზღვებს. მსოფლიო ოკეანეს არ მიეკუთვნება კონტინენტებს შიგნით მოქცეული იზოლირებული ზღვები (სწორედ ამიტომ შავი ზღვა მიეკუთვნება მსოფლიო ოკეანეს, ხოლო კასპიის ზღვა კი – არა). ცნება „მსოფლიო ოკეანე“ აგრეთვე მოიცავს წყალში, ფსკერზე და წიაღისეულში არსებულ ნედლეულს. მსოფლიო ოკეანე უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალია, მრავალი საკვებით და ენერგეტიკული რესურსის წყაროა. მას წამყვანი როლი ეკუთვნის ბუნების მრავალი კომპონენტის ფორმირებაში და მათი საექსპლუატაციო დონის შენარჩუნებაში. საერთაშორისო სამართალი იცავს მსოფლიო ოკეანეს გაჭუჭყიანებისაგან და მკაცრად არეგულირებს მისი ცოცხალი და მინერალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

მსოფლიო ოკეანის გაჭუჭყიანების ქვეშ იგულისხმება ზღვის გარემოში ადამიანის მიერ ნივთიერებების და ენერჯის შეტანა, რომელსაც მოჰყვება ისეთი მავნე შედეგები, როგორცაა ცოცხალი რესურსებისათვის ზარალის მიყენება, საშიშროება ადამიანების ჯანმრთელობისათვის, საზღვაო საქმიანობისათვის (მათ შორის მეთევზეობისათვის) ხელის შეშლა, ზღვის წყლის ხარისხის გაუარესება და მისი სასარგებლო თვისებების შემცირება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადებული იყო ოკეანეების გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებელი 15-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება. ეს დოკუმენტები მოიცავენ ნორმებს და წესებს მსოფლიო ოკეანის გაჭუჭყიანების დაუშვებლობაზე სხვადასხვა გამაჭუჭყიანებლებით, მათ შორის ნავთობით, რადიაქტიური ნივთიერებებით, ნაგვით. გემებიდან გაჭუჭყიანების თავიდან აცილების 1973 წლის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ნავთობის ტანკერები და დიდი ტევადობის სხვა გემები პერიოდულად, დროის გარკვეულ მო-

ნაკვეთში (არაუმეტეს 5 ნლისა) უნდა გადიოდნენ გადამონმე-
ბას. ამ გემებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი საერთაშორისო
მონმოზა და ნავთობის ოპერაციების უურნალეზი. კონვენციამ
გამოაცხადა, რომ ნავთობის და ნავთობპროდუქტების ყო-
ველგვარი ჩაშვება აკრძალულია ხმელთაშუა ზღვის, ბალტი-
ის, შავ და ნითელ ზღვებში.

1969 წელს დაიდო საერთაშორისო კონვენცია, რომელიც
მიზნად ისახავს შეამციროს ან თავიდან აიცილოს ნავთობით
გაჭუჭყიანება ღია ზღვაში. ავარიების შედეგად ზღვის გარე-
მოს გაჭუჭყიანებაზე ქონებრივი პასუხისმგებლობა რეგულირ-
დება 1969 წლის საერთაშორისო კონვენციით ნავთობის გა-
ჭუჭყიანების ზარალის სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის.

1963 წლის ხელშეკრულება კრძალავს ზღვაში რადიოაქ-
ტიური ნივთიერებების ჩაშვებას, მათ შორის, მათი ნარჩენე-
ბის ან სხვა რადიოაქტიური ნივთიერებების ისეთი დოზით,
რომელსაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო
განსაზღვრავს ჯანდაცვის თვალსაზრისით, ბიოლოგიური და
სხვა მიზეზებით როგორც დაუშვებელს ზღვაში ჩასაშვებად.

ბირთვული მასალების საზღვაო გადაზიდვების სფეროში
სამოქალაქო პასუხისმგებლობის 1971 წლის კონვენციის თა-
ნახმად განსაზღვრულია სამართალური თიერთობები ბირთვუ-
ლი ინციდენტების დროს.

ზღვის თხიერი, შხამიანი ნივთიერებებით გაჭუჭყიანების
თავიდან აცილების სამართლებრივი ნორმები ასახულია ორ
უნივერსალურ ხელშეკრულებაში. 1972 წლის კონვენცია ნარჩე-
ნების ჩაშვების შესახებ კრძალავს მხოლოდ ისეთი თხიერი და
ნახევრადთხიერი შხამიანი ნივთიერებების ჩაშვებას, რომლებიც
დამზადებულია ქიმიური და ბიოლოგიური ომების წარმოები-
სათვის. საზღვაო გემებს უნდა ჰქონდეთ ჩამდინარე წყლებით
გაჭუჭყიანების თავიდან აცილების საერთაშორისო მონმოზა.

1973 წლის საერთაშორისო კონვენცია გემებიდან გა-
ჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ, კრძალავს ზღვაში
ისეთი შხამიანი თხიერი ნივთიერებების ჩაშვებას, რომლებიც

მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ ზღვის რესურსების ან ადამიანების ჯანმრთელობისათვის, აუარესებენ დასვენების პირობებს ან ხელს უშლიან ზღვის მართლზომიერად სხვა სახით გამოყენებას.

1973 წლის საერთაშორისო კონვენცია კრძალავს ზღვაში ყველა სახის პლასტიკის ჩაშვებას, მათ შორის სინთეტიკური ტროსების, სინთეტიკური სათევზაო ბადეების და ნაგვის ტომრების. ასეთი ნაგვის ჩაშვება ნებადართულია ნაპირებიდან 12-დან 25 მილის დაშორებით (დამოკიდებულია ნივთიერების კატეგორიაზე).

მეტად მნიშვნელოვანი იყო 1982 წელს მიღებული კონვენცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის შესახებ. ამ კონვენციაში დაწვრილებითაა აღწერილი საზღვაო საქმეში მიღებული ცნობები და გამოყენების სფეროები, მათ შორის ტერიტორიული ზღვა და მიმდებარე ზონა, საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოყენებული სტრუქტურები, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, კონტინენტური შელფი, ღია ზღვა, კუნძულების რეჟიმი, დახურული და ნახევრად დახურული ზღვა და სხვა. ამ კონვენციამ არა მარტო მოაწესრიგა არსებული ნახევრად დახურული და სხვა საზღვაო სამართლებრივი ნორმები, არამედ განსაზღვრა ბუნებათდაცვითი სამართლებრივი ურთიერთობები, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორცაა საზღვაო დერეფანი, ცოცხალი რესურსების შენარჩუნება, გვირაბების გაყვანა, ღია ზღვის თავისუფლება, ნაოსნობის უფლება, გემების ეროვნება და სტატუსი, სამხედრო გემების იმუნიტეტი ღია ზღვაში, მეკობრეობის განსაზღვრა, მონების გადაყვანის აკრძალვა, ცხელ კვალზე დევნის უფლება, გასინჯვის უფლება. ამ კონვენციამ განსაზღვრა საკმაოდ მნიშვნელოვანი საზღვაო საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის მიღება.

ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები მიმართულია მთლიანად ზღვის გარემოს დასაცავად. ამასთან ერთად არსებობს მრავალი სერთაშორისო ხელშეკრულება ცალკეული ზღვის რაიონების გარემოს დასაცავად.

1992 წელს მიღებული იყო შავი ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენცია. ამ კონვენციას ხელი მოაწერა შავი ზღვის ექვსმა სუვერენულმა სახელმწიფომ – რუმინეთმა, თურქეთმა, საქართველომ, რუსეთმა, უკრაინამ და ბულგარეთმა. დოკუმენტი მოიცავს 30 მუხლს, ოქმს და სამ დანართს. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის გარემოს აქვს სამკურნალო თვისებები და ბუნებრივი სიმდიდრეების და დასვენების პირობების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნების საერთო ძალისხმევით, იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის სანაპირო არის მსხვილი საერთაშორისო საკურორტო რაიონი, სადაც შავზღვისპირა ქვეყნებს ჯანდაცვასა და ტურიზმის განვითარებაში დიდი სახსრები აქვთ ჩადებული და ის, რომ შავ ზღვას განსაკუთრებული ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური პირობები ახასიათებს და მისი ფლორა და ფაუნა განსაკუთრებულად მგრძობიარეა ზღვის წყლის ტემპერატურის და შემადგენლობის შეცვლისადმი; აღინიშნა მეცნიერების ტექნიკის და ტექნოლოგიების დარგში თანამშრომლობის აუცილებლობა. კონვენციაში მუხლების მიხედვით თანმიმდევრულადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა ძირითადი ცნებების (ტერიტორიული ზღვა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, ზღვის არის გაჭუჭყიანება) განმარტება, გაჭუჭყიანება საშიში ნივთიერებებით და მასალებით, გაჭუჭყიანება ხმელეთზე არსებული წყაროებიდან, განსაკუთრებულ სიტუაციებში გაჭუჭყიანებასთან ბრძოლაში თანამშრომლობა, გაჭუჭყიანება გამონვეული ჩამარხვით, გაჭუჭყიანება გამონვეული საქმიანობით კონტინენტურ შელფზე, გაჭუჭყიანება საშიში ნარჩენებით მათი ტრანსსაზღვრული გადაადგილებისას, გაჭუჭყიანება ატმოსფეროდან და მისი მეშვეობით, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და მონიტორინგი. კონვენციაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის დაცვისათვის საჭიროა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია და სამდივნო სტამბულში შტაბ-ბინით. კონვენციის დანართებში მოცემულია საშიში ნივთიერებებისა და მასალების ნუსხა მათი

ტოქსიკურობის, მდგრადობის და ბიოაკუმულაციური მახასიათებლებით, შხამიანი ნივთიერებების და მასალების ნუსხა და შეზღუდვები ნივთიერებების და მასალების ჩაშვების მიმართ.

კოსმოსი – მატერიალური სივრცეა, რომელიც მდებარეობს დედამიწის და მისი ატმოსფეროს მიღმა. კოსმოსური სივრცე უსასრულოა, მაგრამ ადამიანის ზეგავლენის სფერო შეზღუდულია დედამიწასთან მიმდებარე რაიონებით. ამიტომ საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას საჭიროებს მხოლოდ კოსმოსის ნაწილი. კერძოდ დედამიწის გარშემო კოსმოსური სივრცე, დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი – მთვარე, მზის სისტემის ის პლანეტები, რომელთა ზედაპირს აღწევენ კოსმოსური ხომალდები. თავის XVIII სესიაზე 1963 წლის 13 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა სამართლებრივი პრინციპების დეკლარაცია, რომელიც არეგულირებს კოსმოსური სივრცის, კვლევის და გამოყენების სახელმწიფო საქმიანობას. ამ დოკუმენტის თანახმად კომისიაში სახელმწიფოების საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მათ შორის, გაეროს წესდების საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების და საერთაშორისო თანამშრომლობის და ურთიერთგაგების ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფოებს აქვთ საერთაშორისო პასუხისმგებლობა კოსმოსურ სივრცეში, მათ შორის, მთვარეზე და სხვა პლანეტებზე ეროვნული მოქმედებისათვის, მიუხედავად იმისა ახორციელებს მას სამთავრობო ორგანოები თუ არასამთავრობო იურიდიული პირები.

კოსმოსი შეიძლება გაჭუჭყიანებული იყოს ბირთვული დაშლის ნივთიერებებით. ამ მხრივ საერთაშორისო სამართალს მთელი რიგი აკრძალვითი ნორმები აქვს.

კოსმოსის საერთო რეჟიმს პირველ ხანებში მხოლოდ გენერალური ასამბლეის სათანადო რეზოლუციები (გენერალური ასამბლეის 1961 წლის 20 დეკემბრის რეზოლუცია, დეკლარაცია სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და კოსმოსური სივრცის გამოკვლევისა და გამოყენების დარ-

გში, რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1963 წლის 6 დეკემბერს) განსაზღვრავდნენ (ალექსიძე, 1964). ამ რეზოლუციების თანახმად კოსმოსური სივრცეების გამოყვლევა და გამოყენება ხორციელდება მთელი კაცობრიობის ინტერესების შესაბამისად და მის საკეთილდღეოდ; ყველა სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს კოსმოსურ ფრენას, პასუხისმგებელია იმ ზარალისათვის, რომელიც შეიძლება მათმა აპარატებმა სხვა სახელმწიფოს მიაყენონ (მის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) მინაზე, საჰაერო თუ კოსმოსურ სივრცეში. 1971 წლის კონვენციით გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მატერიალური გამოყენების აკრძალვის შესახებ კოსმოსურ სივრცეში აკრძალულია დედამიწის გარშემო კოსმიურ სივრცეზე სამხედრო მიზნებისათვის ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება, რაც გამოიწვევს მავნე შედეგებს გარემოს არსებობისათვის.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა არსებითად საერთაშორისო და არა მხოლოდ ეროვნული პრობლემაა. ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან შესაძლებელია სხვა სახელმწიფოს გარემოს გაჭუჭყიანება და, ამის გარდა, საერთაშორისო ტერიტორიის გაჭუჭყიანებამ შეიძლება გააუარესოს რომელიმე სახელმწიფოს ან რამდენიმე სახელმწიფოს საჰაერო სივრცის ხარისხი.

საერთაშორისო სამართალი იცავს საჰაერო სივრცეს რადიოქტური გაჭუჭყიანებისაგან. ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების (1963წ.) თანახმად სახელმწიფოები ვალდებული არიან ატმოსფეროსა და ნებისმიერ სხვა არეში აკრძალონ, თვიდან აიცილონ და არ აწარმოონ ატომური იარაღის ნებისმიერი საცდელი აფეთქება თუ ასეთი აფეთქება იწვევს რადიოქტური ნალექების მოსვლას იმ სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, რომლის იურისდიქციით ან კონტროლით წარმოებს ასეთი აფეთქება.

საერთაშორისო სამართალი კრძალავს ისეთი ტოქსიკური ნივთიერების გამოყენებას, რომელიც აჭუჭყიანებს ატმოსფე-

როს და სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის; იკრძა-
ლება აგრეთვე ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება.

საჰაერო სივრცის დაბინძურების მეტად საშიშ სახეობას
წარმოადგენს კლიმატის ხელოვნური შეცვლა, რასაც აღწევნ
ჰაერის მასების მიმართული გადასაცვლებით. ასეთი ქმედება
განისაზღვრება როგორც „მეტეოროლოგიური გენოციდი“. ვი-
ეტნამში, ომის დროს, აშშ თავდაცვის სამინისტრომ განახორ-
ციელა კლიმატის შეცვლის საიდუმლო შვიდწლიანი პროგრამა.
ამის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზოგიერთ რაიონ-
ებში ნალექების რაოდენობა 30% გაიზარდა. ცნობილია, რომ
თავის დროზე აშშ-ის ქარიშხლების კვლევის ცენტრის სპეცია-
ლისტებმა შეძლეს ქარიშხალი „ფი-ფი“-ს მიმართულების შეც-
ვლა და ფლორიდის შტატის მაგივრად ის მოხდა ჰონდურასში,
სადაც მაშინ ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

საერთაშორისო წყლის აუზები წარმოადგენს ბუნებრივ
რესურსებს და მდებარეობს ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერი-
ტორიაზე. მდინარეები და ტბები ბუნებრივი გარემოს მნიშვნე-
ლოვან ელემენტს წარმოადგენენ და მჭიდროდ არიან დაკავში-
რებული მის სხვა კომპონენტებთან. ისინი არიან სასმელი და
სამრეწველო წყლების წყარო, სანაოსნო გზები და თევზის
ძვირფასი სავარგულები. წინა საუკუნიდან დაწყებული დადე-
ბულია 300-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება, სადაც
ასახულია საერთაშორისო მდინარეების და ტბების რესურსე-
ბის გამოყენების ძირითადი პრინციპები. გაეროს წესდების და
საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად ყველა სა-
ხელმწიფოს უფლება აქვს აითვისოს თავისი საკუთარი რესურს-
ები, მაგრამ ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს სხვა სახელმწიფოს
გარემოს. ყოველი სახელმწიფო, რომელიც ემიჯნება საერთა-
შორისო წყლის აუზს, ვალდებულია აცნობოს სხვა სახელმწი-
ფოს თავისი გეგმების შესახებ, თუ მათი განხორციელება ზე-
მოქმედებას მოახდენს გარემოზე. ყველა სადავო საკითხი უნდა
იყოს წინასწარ გადაწყვეტილი კონსულტაციების გზით. საერ-
თაშორისო მდინარეებსა და ტბებში ნებისმიერმა ქმედებამ წი-

ნასწარ უნდა გაიაროს ეკოლოგიური ექსპერტიზა, რათა თავიდან იყოს აცილებული შესაძლებელი ნეგატიური გავლენა სხვა სახელმწიფოს ბუნებასა და ბუნებრივ რესურსებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის დროულ და სწორ მიწოდებას ყველა დაინტერესებული ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს საგანგებო სიტუაციასთან, ამ დროს ინფორმაციის დაყოვნებამ ან დამახინჯებამ შეიძლება ბუნებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

მეტად აქტუალური საკითხია საერთაშორისო მდინარეების და ტბების დაცვა გაჭუჭყიანებისაგან, ანუ წყალში უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით მყარი, თხიერი, გაზისებრი ნივთიერებების და სითბოს მოხვედრისაგან ისეთი რაოდენობით, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ცვლილებები. ამის შემდეგ, ამ წყლების ნორმალური გამოყენება კომუნალური, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, თევზსამეურნეო და სხვა მიზნებისათვის შეზღუდული ან გამორიცხულია. საერთაშორისო წყლის აუზის მიმართ მიღებულია წყლების თანაბარუფლებიანი გამოყენების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერმა სახელმწიფომ უნდა ააცილოს წყლების გაჭუჭყიანების რომელიმე ფორმა ან არსებული გაჭუჭყიანების ნებისმიერი გადიდება, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება აუზის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ირლვევა წყლების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების წესები, პასუხისმგებელმა სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს არასწორი ქმედება და გადაუხადოს სხვა სახელმწიფოს მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და საყოფაცხოვრებო პირობებში, ქიმიური ნივთიერებების ინტენსიურ გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიშვა საერთაშორისო წყლების კონკრეტული გამაჭუჭყიანებლებისაგან (პოლიუტანტებისაგან) დაცვის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით დადებულია მთელი რიგი კონვენციებისა, რომლებიც თავიდან აცილებენ მდინარეების დაჭუჭყიანებას კონკრეტული ნივთი-

ერებებით. ასე, მაგალითად, თავის დროზე (1971 წ.) დიდმა ბრიტანეთმა, ბელგიამ, დანიამ, ნიდერლანდებმა, საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ევროპულ კონვენციას სარეცხ ნივთიერებებში ზოგიერთი დეტერგენტების შეზღუდული გამოყენების შესახებ.

გაჭუჭყიანებისაგან საერთაშორისო წყლის აუზების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ფორმას წარმოადგენენ წყლის არეში ნივთიერებათა ჩაშვების მკაცრი განსაზღვრა. ასე, მაგალითად, მდინარე რეინის ქიმიური ნივთიერებებით გაჭუჭყიანებისაგან დაცვის კონვენცია (1976წ.) კრძალავს ამ მდინარეში სინდიცის და მისი ნაერთების, კადმიუმის და მისი ნაერთების, ნავთობის და ნავთობპროდუქტების ჩაშვებას.

საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც წყალმომარება საერთაშორისო მდინარეებში, რასაც შეუძლია შეცვალოს რეჟიმი, არ შეიძლება წყდებოდეს ერთი რომელიმე სახელმწიფოს მიერ, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ყველა სახელმწიფოს ინტერესებს.

საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს ცხოველთა სამყარო (გარეული ცხოველები), რომლის მიმართ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები მიმართულია პირველ რიგში მათ დასაცავად და რაციონალურად გამოსაყენებლად. გარეული ცხოველების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებანი იყოფა სამ ჯგუფად: რეგიონალური, სუბრეგიონალური და უნივერსალური (მსოფლიო). რეგიონალური ხელშეკრულების ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს დასავლეთ ნახევარსფეროს ბუნების დაცვის და ფლორის და ფაუნის შენარჩუნების კონვენცია (1940წ.), რომელსაც ხელი მოაწერა 9 სახელმწიფომ, მათ შორის აშშ-მა, მექსიკამ, ურუგვაიმ, ვენესუელამ. კონვენცია მიზნად ისახავს ამერიკის კონტინენტის ადგილობრივი ფლორის და ფაუნის ყველა სახეობის და გვარის დაცვას განადგურებისაგან. ამ მიზნით სახელმწიფოები ქმნიან ნაკრძალებს და აღკვეთი-

ლებს, აკონტროლებენ და არეგულირებენ ცხოველების იმპორტს, ექსპორტს, ტრანზიტულ გადაზიდვას და სხვა. სუბრეგიონალურ ხელშეკრულებას მიეკუთვნება ბუნებრივ მდგომარეობაში ფაუნის და ფლორის შენარჩუნების კონვენცია (1933წ.), რომელსაც ხელი მოაწერა 9 სახელმწიფომ: ბელგია, ინდოეთმა, იტალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, პორტუგალიამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, ესპანეთმა, სუდანმა, ტანზანიამ. კონვენციის მიზანია ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით აფრიკაში, იმ ბუნებრივი ფაუნის და ფლორის შენარჩუნება, რომელსაც ემუქრება განადგურება ან მუდმივი ზარალის მიყენება. სუბრეგიონალურს მიეკუთვნება ოთხი ქვეყნის (დანია, ნორვეგია, კანადა და აშშ) შეთანხმება პოლარული დათვების შესახებ, (1973წ.) უნივერსალური ხელშეკრულების მაგალითს წარმოადგენს კონვენცია გადაშენების გზაზე მდგომი გარეული ფაუნის და ფლორის სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (1973წ.). კონვენციის დანიშნულებაა გადაარჩინოს ცხოველების ზოგიერთი სახეობა მეტისმეტი ექსპლუატაციისაგან ნებართვის იმპორტ-ექსპორტის სისტემის მეშვეობით.

შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ ფრინველების დაცვას უშუალოდ (ნაკრძალების, აღკვეთილების შექმნით) დაჭერის იარაღების და ხერხების აკრძალვით და არსებობის გარემოს დაცვით (მისი დაცვა გაჭუჭყიანებისაგან). ამ სფეროში მოქმედი მრავალმხრივი ხელშეკრულებანი შეიძლება გაერთიანდნენ სამ ჯგუფში: უნივერსალური, სუბრეგიონალური და რეგიონალური.

ღია ზღვის¹ კონვენციის (1958 წ.) თანახმად ნებისმიერი სახელმწიფო თავისუფლად აწარმოებს ცოცხალი რესურსების რეწვას. მაგრამ ამ დროს სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს და ხელმძღვანელობდეს ბუნებათდაცვიითი ხელშეკ-

¹ ღია ზღვის ქვეშ იგულისხმება ზღვის ყველა ნაწილი, რომელიც არ შედის არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში და თავისუფალია ყველა ქვეყნის გემების ნაოსნობისათვის. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მოაქციოს ღია ზღვა თავის სუვერენიტეტის ქვეშ.

რულების ნორმებით, ე.ი. გონივრულად ანგარიშს უწევდეს სხვა სახელმწიფოს ინტერესებს. სპეციალური ხელშეკრულებები განსაზღვრავენ ცოცხალი რესურსების რენვას დახურულ ან ნახევრად დახურულ ზღვებში, რომლებიც უკავშირდება მსოფლიო ოკეანეებს სრუტეებით, არხებით ან სხვა ვინრობებით (მაგ. შავი ზღვა). ასეთი ხელშეკრულება თავის დროზე დაიდო ყოფილ საბჭოთა კავშირს, ბულგარეთსა და რუმინეთს შორის შავ ზღვაში თევზჭერის შესახებ (1969 წ.), რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო დასაჭერი თევზების მინიმალური ზომა, ზოგიერთ სახეობებზე თევზჭერის აკრძალვა და სხვა.

ზღვისპირა ქვეყნებს აქვთ რესურსების და ზღვების ათვისების და დაცვის უფლებები ეკონომიკურ ზონაში (ე.ი. რაიონი რომელიც იმყოფება ტერიტორიული ზღვის გარეთ, ემიჯნება მას და ექვემდებარება განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს: მისი სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 200 მილს). ეკონომიკურ ზონაში თევზჭერის კონკრეტული რეჟიმი განიხილება ეროვნული კანონმდებლობით. უცხოელი მეთევზეების მიერ რენვა დასაშვებია სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს ვეშაპი, ზღვის კატა, სელაპი, თეთრი დათვი. მათი დაცვის და რენვის საკითხებს არეგულირებენ სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგალითად, ვეშაპოსანადირო რენვის საერთაშორისო რეგულირების კონვენცია, (1946წ.). ვეშაპის რენვის ყოველწლიურ მოცულობას ადგენს ვეშაპოსანადირო საერთაშორისო კომისია, რომელსაც 1973 წლიდან აქვს საერთაშორისო დამკვირვებლების ინსტიტუტი. ეს დამკვირვებლები მუდმივად არიან ვეშაპების ბაზებზე და თვალს ადევნებენ ვეშაპების რენვის საერთაშორისო წესების შესრულებას.

მცენარეული საფარის დაცვა ხორციელდება მცენარეების დაავადებების და მავნებლებისაგან დაცვის გზით და რაციონალური, გონივრული გამოყენების სისტემით. მცენარეების და მცენარეული სამყაროს (მათ შორის ტყის) დაცვის სა-

მართლებრივი ნორმები ასახულია ზოგადი და სპეციალური ხასიათის ხელშეკრულებებში. ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიძლება იყვნენ უნივერსალური, სუბრეგიონალური და რეგიონალური. ასეთ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (1951წ.). კონვენცია გადაშენების გზაზე მდგომი გარეული ფაუნის და ფლორის სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (1973 წ.) შეთანხმება მცენარეების კარანტინის დროს და მათი მავნებლებისა და ავადმყოფებისაგან დაცვისას თანამშრომლობაზე (1956წ.), სამხრეთაღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის მცენარეული სამყაროს დაცვის შეთანხმება (1956წ.) და სხვა.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო იხრება იქითკენ, რომ ინტერნაციონალური ბუნებრივი ობიექტები გამოცხადდნენ მსოფლიოს ყველა ხალხის საერთო საკუთრებად და მოეწყოს მათი ერთობლივი დაცვა და რაციონალური გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, რაც დაემყარება ადამიანის თანაბარუფლებიანობას, სამართლიანობას და ურთიერთ ზრუნვის იდეებს.

§ 3. საერთაშორისო ორგანიზაციები ბუნების დაცვაში

XX საუკუნის დასაწყისში ითვლიდნენ 20 სამთავრობათშორისო და 192 არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას. დღეს მსოფლიოში 59 000 საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს. აქედან 6432 სამთავრობათშორისოა. მხოლოდ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

ბუნების დაცვის პირველი მუდმივმოქმედი ინტერნაციონალური ორგანიზაცია დაარსდა ჯერ კიდევ 1902 წელს – ფრინველების დაცვის საერთაშორისო საბჭო.

1910 წელს საერთაშორისო ზოოლოგიურ კონგრესზე გამოტანილი იყო დადგენილება ბუნების დაცვის საერთაშორისო დროებით კონგრესის შექმნის შესახებ. 1913 წელს ბერნში (შვეიცარია) შედგა 18 ქვეყნის წარმომადგენლის კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ბუნების დაცვის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ. პირველმა მსოფლიო ომმა შეწყვიტა ამ კომისიის მუშაობა.

1920 წელს პარიზში დაარსდა ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებობდა. 1946 და 1947 წლებში ჰოლანდიაში (ქ. ბრიუკენში) გამართულმა კონფერენციებმა დააარსეს ბუნების დაცვის საერთაშორისო ლიგა, რომელიც თავის პირველ გენერალურ ასამბლეაზე ფონტიფლოში (საფრანგეთი, 1948წ.) ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირად იქნა გადაკეთებული. შემდგომში ედინბურგში (შოტლანდია, 1956წ.), V გენერალურ ასამბლეაზე, ამ კავშირმა საბოლოოდ დააზუსტა თავისი სახელწოდება და დაერქვა ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირი. ამ კავშირის ხელმძღვანელობის ადგილმდებარეობაა ქ. მორუი (შვეიცარია). ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო იუნესკოს და კერძოდ მაშინდელი დირექტორის, ცნობილი ბიოლოგისა და ფილოსოფოსის ილიან ხაკოლის ინიციატივით. ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირი წარმოადგენს ქვეყნების და აგრეთვე სახელმწიფოებრივი, საზოგადო და საერთაშორისო ორგანიზაციების თავისებურ გაერთიანებას. ამჟამად ის აერთიანებს 100-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე ეროვნულ სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციას და აგრეთვე 8 საერთაშორისო ასოციაციას. 25 ქვეყანა მონაწილეობს ამ კავშირში მთავრობების დონეზე. ზოგიერთი ქვეყნიდან განსაკუთრებით ბევრი ორგანიზაცია მონაწილეობს, მაგალითად, აშშ-დან 36, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან – 9, ბელგიაიდან – 8 და ა.შ.

ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირები ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების

შენარჩუნებისათვის მიმართულ საერთაშორისო ღონისძიება-თა ცხოვრებაში გატარებას; ამ საკითხში უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გავრცელებას და ბუნების დაცვისათვის სამეცნიერო გამოკვლევების განვითარებას; მონაწილეობს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საერთაშორისო შეთანხმებების პროექტების მომზადებაში. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იკრიბება. ასამბლეებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირებზე იხილება გარემოს დაცვის მრავალი საკითხი.

ამ კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა – ცოცხალი ბუნების დაცვა. მისი ინიციატივით შეიქმნა „წითელი წიგნი“. თავიდან კავშირთან შექმნილი იყო კომისია, რომელიც შეუდგა გადაშენების გზაზე დამდგარი იშვიათი ცხოველების სახეობათა შესწავლას. წლების მანძილზე კომისია აგროვებდა ინფორმაციას, რომელიც ეხებოდა მცენარეებისა და ცხოველების იშვიათ სახეობებს და მხოლოდ შემდეგ შეუდგა „წითელი წიგნის“ შექმნას. იყო აგრეთვე შედგენილი 1600 წლიდან მთლიანად დაღუპულ სახეობათა ე.წ. „შავი სია“. ეს თარიღი შემთხვევით არ იყო არჩეული. საქმე ისაა, რომ მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისიდან არსებობს სამეცნიერო ნომენკლატურა და მიმდინარეობს ზუსტი დოკუმენტაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ესა თუ ის მცენარე ან ცხოველი მივაკუთვნოთ ამა თუ იმ გვარს ან სახეობას.

1960 წელს გამოვიდა „წითელი წიგნის“ პირველი ვარიანტი. მასში მოცემული იყო მოკლე ცნობები წარსულში და ამჟამად იშვიათ სახეობათა გავრცელების შესახებ, მათი გამრავლების ინტენსივობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომელსაც ატარებენ სხვადასხვა ქვეყნებში მათ დასაცავად.

შეგროვილი კოლოსალური მასალის შემონახვისა და კლასიფიკაციის შემდეგ დადგენილი იყო წიგნში შესატანი ოთხი კატეგორია:

1. სახეობა, რომელსაც განადგურების საშიშროება ემუქრება და რომლის გადარჩენა სპეციალური ზომების გარეშე შეუძლებელია;

2. იშვიათი სახეობა, რომელსაც ჯერ არ ემუქრება განადგურება, მაგრამ მცირე ტერიტორიაზე გვხვდება, რამაც შესაძლებელია უახლოეს დროში მისი განადგურება გამოიწვიოს;

3. კლებადი სახეობა, რომელიც გვხვდება ისეთი რაოდენობით, რომ იძლევა საშუალებას შევინარჩუნოთ მისი სახეობრივი შემადგენლობა;

4. გაურკვეველი სახეობა, ე.ი. ისეთი, რომელიც განადგურების საშიშროების წინაშე დგას, მაგრამ მასზე არსებული მონაცემები იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია შეფასდეს მისი პოპულაციური მდგომარეობა.

„წითელი წიგნი“ გახდა განადგურების გზაზე მისულ სახეობათა გადარჩენის სამუშაო პროგრამა.

ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირი მუდმივ ყურადღებას აქცევს ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დაარსებასა და დაცვას, ბუნების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფას, გრძელვადიანი დაგეგმარებისათვის ეკოლოგიური პრინციპების შემუშავებას და სხვა.

ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირთან მჭიდროდაა დაკავშირებული ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), რომელიც 1963 წელს არის დაარსებული. მისი მთავარი ამოცანაა – ცოცხალი სამყაროს და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვის კონკრეტული პროექტების ორგანიზაცია, მათი დაფინანსების წყაროების მოძებნა და განსახორციელებლად სპეციალისტების მოწვევა. ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დაარსებისა და საქმიანობის გაუმჯობესებაში დახმარების განევა და ა.შ.

ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებს 1500-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ბუნების დაცვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბუნების დაცვა აღ-

მოჩნდა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა. ზოგიერთი ბუნებადაცვითი ორგანიზაცია სპეციალურად იყო შექმნილი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. სხვები კი რომლებიც ჩამოყალიბდნენ საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა მიზნებისათვის, ჩაერთვნენ ბუნებათდაცვით საქმიანობაში და ითავეს ბუნებაზე ზრუნვის გარკვეული ნაწილი.

მოღვაწეობის სფეროს გათვალისწინებით მონაწილე ქვეყნების ბუნებათდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა სამ ჯგუფად: უნივერსალური, რეგიონალური და სუბრეგიონალური. უნივერსალური ორგანიზაციის (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) მოღვაწეობის სფერო მოიცავს მთელ მსოფლიოს; რეგიონალური ორგანიზაციის (მაგალითად, გაეროს ეკონომიკური პოლიტიკური კომისია) ერთ რომელიმე კონტინენტს და სუბრეგიონალური (მაგალითად, შავი ზღვის კომისია) – აერთიანებს ორ ან რამდენიმე ქვეყანას, რომელიც მდებარეობს გეოგრაფიულ ან ეკონომიკური სუბრეგიონის ფარგლებში და აქვთ თავისი სპეციფიკური ურთიერთინტერესები. საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ სამთავრობათშორისო და არასამთავრობო, რაც ძირითადად განისაზღვრება ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მონაწილეობის ხარისხით.

ბუნების დაცვის პრობლემათა გადანყვეტაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მის სპეციალიზებულ დანესებულებებს, რაც მათი უნივერსალურობით და წარმომადგენლობით აიხსნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945 წლის 24 ოქტომბერს) სუვერენული სახელმწიფოების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების გამტკიცების და ქვეყნებსა და ხალხებს შორის მრავალმხრივი მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების მიზნით. გაეროს ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოციალური პროგრესის და სიცოცხლის გაუმჯობესების ხელის შეწყობა. ის ახორ-

ციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას გარემოს დაცვის და გაუმჯობესების პრობლემათა გადასაწყვეტად. ერთა ლიგისაგან განსხვავებით, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ბუნების დაცვის საქმეებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დიდი წვლილი შეაქვს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადანწყვეტაში. გარემოს დაცვით საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევენ გაეროს ყველა მთავარი ორგანოები და სპეციალიზებული დანესებულებები: გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეგიონული ეკონომიკური კომისიები, ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურულ საკითხებში (იუნესკო), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების გაეროს პროგრამა, ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო, სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია და სხვ.).

1962 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის XVII სესიაზე მიიღო რეზოლუცია „ეკონომიკური განვითარება და ბუნების დაცვა“, რომელშიც იყო აღნიშნული, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი სიმდიდრეების შენარჩუნება, აღდგენა, გამდიდრება და რაციონალური გამოყენება ყველა სახელმწიფოს ვალია. მათ მხარი უნდა დაუჭირონ საერთაშორისო ბუნებათდაცვის ორგანიზაციებს, დაიცვან საერთაშორისო ხელშეკრულებები ბუნების დაცვის სფეროში, მიიღონ ბუნების დაცვის უფრო მკაცრი ზომები. გააფართოვონ ინფორმაციის გაცვლა, გააძლიერონ მოსახლეობაში ბუნებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების პროპაგანდა.

1972 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „გარემოს დაცვის სფეროში საერთა-

შორისო თანამშრომლობის ორგანიზაციული და ფინანსური ღონისძიებანი", რომლის მიხედვითაც დაარსებული იყო გარემოს დაცვის საკითხებში ახალი საერთაშორისო ორგანო „გარემოს დაცვის გაეროს პროგრამა“ (იუნეპი). ესაა ძირითადი დამხმარე ორგანო, რომელიც ყოველწლიურად ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით წარუდგენს ასამბლეას მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ. იუნეპის სტრუქტურაში ოთხი ძირითადი ქვედანაყოფია: 1. მმართველობის საბჭო; 2. სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი; 3. გარემოს ფონდი; 4. გარემოს საქმიანობის მაკოორდინირებელი საბჭო. იუნეპის მმართველობის საბჭო შედგება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც გაეროს გენერალური ასამბლეა ირჩევს სამი წლის ვადით. ეს საბჭო იკრიბება ყოველწლიურად პლენარული სხდომების – სესიების მოსაწყობად, რომელზეც იხილება და წყდება გარემოს დაცვის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა ძირითადი საკითხი. მმართველთა საბჭოს მოქმედება მიმართულია შემდეგი პრობლემების დასაშუშავებლად: დასახელებული პუნქტები და სასიცოცხლო არე, ადამიანის ჯანმრთელობა და გარემოს სისუფთავე, სახმელეთო ეკოსისტემები და მათი მართვა, გარემო და მისი განვითარება, ოკეანეები, გარემოს მართვა, საერთაშორისო ბუნებათდაცვითი განათლება. სამდივნო უზრუნველყოფს იუნეპის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს, მათ შორის, ხელმძღვანელობს ყველა მიმდინარე საქმეს, უზრუნველყოფს მმართველთა საბჭოს მორიგი სესიის მომზადებას. იუნეპის აღმასრულებელ დირექტორს გაეროს გენერალური ასამბლეა ირჩევს ოთხი წლის ვადით.

გარემოს ფონდი შექმნილია საერთაშორისო ბუნებათდაცვითი ღონისძიებების დამატებითი საფინანსო დახმარების მიზნით. ფონდი იქმნება ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე და იხარჯება იუნეპის მმართველთა საბჭოს რეკომენდაციით. გარემოს საქმიანობის მაკოორდი-

ნირებელი საბჭო კოორდინაციას უწევს გაეროს დანესებულ-ბათა მუშაობას, რათა გამორიცხული იქნას პარალელიზმი, დუბლირება და უზრუნველყოს საერთაშორისო დონეზე მთელი ბუნებათდაცვითი საქმიანობის მაღალი ეფექტურობა. იუნესკო რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა, მათ შორის გარემოს მდგომარეობაზე მეთვალყურეობის გლობალური სისტემის (მონიტორინგი) შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაო, ხელი შეუწყო 100-ზე მეტი საერთაშორისო ბუნებათდაცვითი პროექტის განხორციელებას და სხვა.

გარემოს დაცვის საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს გაეროს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა „ფაო“, „იუნესკო“ და რეგიონალური ეკონომიკური კომისიები.

გაერთიანებული ერების სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (ფაო) ძირითად ყურადღებას აქცევს ნაყოფიერი მიწების, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვას. მან ფართო გამოკვლევები შეასრულა ამ ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით და დაამუშავა მათი რაციონალურად გამოყენების და დაცვის რეკომენდაციები. ფაო ამუშავებს აგრეთვე გარემოს დაცვის სტანდარტებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხებში (იუნესკო) დაარსდა 1964 წელს. ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად უწყობდა ხელს გარემოს და მისი რესურსების კვლევის ორგანიზაციას. იუნესკოს ინიციატივით შესრულდა ღრმა გამოკვლევები დედამიწის არიდულ და ტროპიკულ რაიონებში ბუნების დაცვის პრობლემებისა, შეიქმნა სამთავრობათშორისო ოკეანოგრაფიული კომისია, ხორციელდება მსოფლიოში ბუნების ძეგლების დაცვის, მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის პრობლემების მხარდაჭერა.

1970 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის XVI სესიაზე მონონებელი იყო იუნესკოს ახალი საერთაშორისო,

სამთავრობათშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“ (მაბ). ამ პროგრამის გამოკვლევების დისციპლინათშორისი, პრობლემური ხასიათი წარმოადგენს გამოკვლევების, სპეცი-
ალისტების მომზადებისა და მოღვაწეობისადმი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესების ახალ, ინტეგრირებულ მიდგომას. ამ პროგრამის თანახმად ცხოვრებისაგან მოწყვეტილი გამოკვლევები არ იძლევიან ინფორმაციას, რომელიც საჭიროა იმათთვის, ვინც უნდა იღებდეს გადამწყვეტ ზომებს. მსოფლიოში, სადაც იზრდება სიძნელეები „მაბ“-ი ცდილობს დაარღვიოს მოძველებული ბარიერები მეცნიერებს შორის და სთავაზობს მიდგომას, რომელიც ეყრდნობა ქვეყნების ერთობლივ მოქმედებას. ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყანასთან ერთად ამუშავებს პრობლემების ანუ პროექტების სერიას, რომ მიიღონ შესაძარებელი შედეგები, რომლებიც საბოლოოდ შეიძლება განზოგადდეს. „მაბ“-ის პროექტებია: 1. ტროპიკულ და სუბტროპიკულ ეკოსისტემებზე ადამიანის საქმიანობის გაძლიერების ეკოლოგიური შედეგები; 2. ზომიერი ზონის და ხმელთაშუა ზღვის ლანდშაფტებზე სხვადასხვა სახის მიწათმოსხმარების და მეურნეობის პრაქტიკის ეკოლოგიური გავლენა; 3. ადამიანის საქმიანობის და მიწათმოსხმარების ხერხების გავლენა საძოვრებზე: სავანა და ბალახეული ლანდშაფტები (ზომიერიდან გვალვიან რაიონებამდე); 4. ადამიანის საქმიანობის გავლენა გვალვიანი და ნახევრადგვალვიანი ზონების ეკოსისტემების დინამიკაზე, ირიგაციის შედეგებზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილებით; 5. ტყეების, ჭაობების, მდინარეების, დელტების, ესტუარების და მდინარისპირა რაიონების რესურსებსა და მნიშვნელობაზე ადამიანის საქმიანობის ეკოლოგიური გავლენა; 6. ადამიანის მოღვაწეობის გავლენა მთის და ტუნდრის ეკოსისტემებზე; 7. კუნძულებიანი ეკოსისტემების ეკოლოგია და რაციონალური გამოყენება; 8. ბუნებრივი რაიონების და მათი გენეტიკური მასალის შენარჩუნება; 9. ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემებში სასუქების გა-

მოყენების და სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის ეკოლოგიური შეფასება; 10. ადამიანსა და გარემოზე საინჟინრო ტექნიკური სამუშაოების ძირითადი სახეების გავლენა; 11. საქალაქო სისტემების ეკოლოგიური ასპექტები ენერჯის გამოყენებაზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილებით; 12. გარემოს გარდაქმნის და შეგუების სტრუქტურის, დემოგრაფიასა და მოსახლეობის გენეტიკას შორის ურთიერთქმედება; 13. გარემოს მდგომარეობის გაგება; 14. გარემოს მდგომარეობის და მის ბიოსფეროზე მოქმედების გამოკვლევა.

ცალკეულ ქვეყნებში დაარსდა „მაბ“-ის ეროვნული კომიტეტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მეცნიერებათა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ერთიანი დადგენილებით 1978 წელს დაარსდა „მაბ“-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტი. საქართველოში ამჟამად მუშავდება 10 პროექტი, რომელშიც მონაწილეობს 40-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებელი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არის გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება. ის დაარსდა 1946 წელს, მისი წევრია 150-ზე მეტი სახელმწიფო. ორგანიზაცია სწავლობს გარემოს ჰიგიენური ფაქტორების გაუმჯობესების პრობლემებს, მათ შორის ქალაქისა და სოფლების დასახლებული პუნქტების გაჯანსაღებას, ქალაქების დაგეგმვას და საცხოვრებლების მშენებლობას, ბრძოლას ავადმყოფობების გადამტანებთან, რძის და საკვების ჰიგიენას, შრომის და ტრანსპორტის ჰიგიენას და ა.შ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემას. ეს ორგანიზაცია ახდენს სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული გაჭუჭყიანების გაზომვის მეთოდების უნიფიცირებას, ამუშავებს რეკომენდაციებს ჰაერის ხარისხის მაჩვენებლებზე, ანალიზს უკეთებს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიღებულ ჰაერის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის კანონმდებლობებს, აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას გაჭუჭყიანების დონესა და ჰაერის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო შეიქმნა 1957 წელს. ამ ორგანიზაციის ძირითადი ამოცანებია ბირთვული მასალების გამოყენების და შენახვის უსაფრთხოების წესების და ნორმების დამუშავება და კონტროლი, ბირთვული ენერჯის გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ადამიანის და გარემოს დაცვა ბირთვული რადიაციის, ბირთვული დანადგარებისაგან რადიაქტიური და არა რადიაქტიური გამონატყორცნების მავნე ზეგავლენისაგან. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობაში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი.

სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წელს. ძირითადად ის ამუშავებს ზღვების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ტექნიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ნორმებს.

გარემოს დაცვაზე მსოფლიო საზოგადოებრიობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენის შედეგად ამ ბოლო დროს შესამჩნევად იზრდება საერთაშორისო ბუნებათდაცვითი ორგანიზაციების რიცხვი. ისინი მოიცავენ პრობლემების სხვადასხვა ასპექტებს (პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ტექნიკურს, სამეცნიეროს, აღმზრდელობითს და სხვა) და შესამჩნევი წვლილი შეაქვთ მის გადანყვეტაში.

§ 4. საერთაშორისო თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში

სახელმწიფოების და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის გაზრდილმა მოთხოვნილებამ განსაზღვრა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმატიული მასალის დიდი რაოდენობა.

ბუნების დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, კონვენციები შეიძლება განვიხილოთ როგორც დოკუმენტები, რომლებიც:

1. ქმნიან გარემოს დაცვის საერთო პოლიტიკურ ნაწილს მსოფლიოში, გეოგრაფიულ რეგიონში ან შეზღუდულ რაიონში;

2. არეგულირებენ საზღვაო მეთევზეობის და მსოფლიო ოკეანის ცხოველთა რესურსების დაცვას;

3. უზრუნველყოფენ მსოფლიო ოკეანეების დაცვას გაჭუჭყიანებისაგან;

4. არეგულირებენ საერთაშორისო მდინარეების და სხვა კონტინენტური წყლის ობიექტების წყლების და ცოცხალი რესურსების დაცვას და გამოყენებას;

5. ადგენენ ხმელეთის ცხოველთა სამყაროს დაცვის ზომებს;

6. არეგულირებენ მცენარეული რესურსების, მიწების, წილისეულის დაცვას და გამოყენებას;

7. უზრუნველყოფენ ბუნების ძეგლების, უნიკალური ბუნებრივი ობიექტების და კომპლექსების დაცვას;

8. მიმართულია ატმოსფერული ჰაერის და კოსმოსური სივრცის დასაცავად;

9. უზრუნველყოფენ კაცობრიობის და ცოცხალი ბუნების რადიაციულ უსაფრთხოებას;

10. ხელს უწყობენ გარემოს დაცვის სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას.

გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივ ღონისძიებათა უმეტესობა მზადდება და ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ხშირად ამ ორგანიზაციების მიერ მომზადებული ნორმატიული დოკუმენტები განსაზღვრავენ გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივი დარეგულირების საფუძვლებს. ასეთი დოკუმენტების რიცხვს მიეკუთვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელშიც ასახულია სახელმწიფოს თანამშრომლობის, საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები.

გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი დარეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაეროს მთელ

რიგ დოკუმენტებს, მათ შორის სტოკჰოლმის კონფერენციის დეკლარაციას და გენერალური ასამბლეის მთელ რიგ რეზოლუციებს.

ბუნების დაცვის საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტის მიზნით 1968 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება გარემოს დაცვის საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის მოწყობის შესახებ. ასეთი კონფერენცია გაიმართა 1972 წლის 5-16 ივნისს სტოკჰოლმში (შვედეთი). აქ მიღებული იყო ორი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი – დეკლარაცია და ადამიანის გარემოს დაცვის ღონისძიებათა გეგმა. დეკლარაციაში ასახული იყო გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების საერთო მიდგომა და საერთო პრინციპები. მასში იყო ბუნების დაცვის საერთაშორისო –სამართლებრივი ნორმების განვითარების მიზნით სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მოწოდება. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ გარემოს შენარჩუნებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრობლემები უნდა წყდებოდეს ყველა ქვეყნის თანამშრომლობით, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობის ფუძემდებლურ ფორმად დასახელებული იყო მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებანი. ღონისძიებების გეგმა მოიცავდა ადამიანის გარემოს დასაცავად 109 რეკომენდაციას. გაეროს სტოკჰოლმის კონფერენციის წინადადებით 5 ივნისი აღინიშნება, როგორც საერთაშორისო ღირშესანიშნავი თარიღი – გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე.

საერთაშორისო კონფერენციის რიცხვი იზრდება ძალზე სწრაფად – თუ 1980-იან წლებში მათი რიცხვი 10 000 შეადგენდა, 2000 წლისათვის ეს რიცხვი წელიწადში 50 000 მიაღწევს. (ალექსიძე, 1994).

საერთოდ საერთაშორისო კონფერენციები შეიძლება იყოს სამთავრობო და არასამთავრობო (წარმოდგენილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით); უნივერსალური (იხილება გლობალური პრობლემები) და რეგიონალური (წყდება კონკრეტული რეგიონის გარემოს პრობლემები).

1977 წლის 14-26 ოქტომბერს თბილისში მოეწყო გარემოს-დაცვითი განათლების სამთავრობათშორისო კონფერენცია ეს უნივერსალური კონფერენცია მოწვეული იყო იუნესკოს და იუნეპის მიერ და მასში მონაწილეობა მიიღეს 68 სახელმწიფოს დელეგატმა და 21 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც ახლა ფართოდაა ცნობილი „თბილისის დეკლარაციის“ სახელწოდებით. ამ დეკლარაციის თანახმად გარემოსდაცვითი განათლების ძირითადი მიზანია თანამედროვე სამყაროს ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების ჩვენება, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის გადაწყვეტილებასა და მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო შედეგი. კონფერენციაზე შეთანხმებული იყო გარემოსდაცვითი განათლების მიზნები და ამოცანები. ასეთი განათლების მთავარი მიზანია, რომ ცალკეულმა პირებმა და საერთოდ საზოგადოებამ გაითავისოს ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი რთული ბუნება და მათი ურთიერთკავშირი. მხოლოდ ბუნების კანონების ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი გარემოს პრობლემათა გადაწყვეტაში შეგნებული და ეფექტური მონაწილეობა. თბილისის კონფერენციაზე თვალნათლივ იყო ნაჩვენები ფორმალური და არაფორმალური განათლების თავისებურებანი და მისი ცხოვრებაში განხორციელების რეალური გზები.

შეთანხმებები მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე ძველ ბუნებათდაცვით საერთაშორისო-სამართლებრივ საშუალებას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაიდო ფრინველების დაცვის პირველი შეთანხმება. 1902 წელს პარიზში მიღებული იქნა სოფლის მეურნეობაში სასარგებლო ფრინველების დაცვის კონვენცია. მართალია, მის შინაარსში იყო არსებითი ხარვეზები (არ იყო მოცემული დასაცავი ფრინველების სახეობათა მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები) და მისი შესრულება არ მოწმდებოდა, მაგრამ მას თავისთავად ჰქონდა დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა. 1950 წელს მიღებული იყო ევროპის რეგიონის

ფარგლებში ფრინველების დაცვის ახალი შინაარსით უფრო ფართო საერთაშორისო კონვენცია. ამ კონვენციის თანახმად დასაცავი იყო ყველა ფრინველი (და არა მარტო სოფლის მეურნეობაში სასარგებლო) და აგრეთვე მათი ბუდეები, კვერცხები და ბარტყები; ამის გარდა აკრძალული იყო გაზაფხულის ნადირობა გადამფრენ ფრინველებზე და ფრინველების მასობრივი მოსპობა და დაჭერა.

ამ ბოლო დროს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ცხოველებისა და მცენარეების ცალკეულ სახეობათა დაცვის საერთაშორისო ღონისძიებანი. მაგალითად, თეთრი დათვის, ევროპაში მგლის, აზიაში ვეფხვის და სხვა დაცვის კონვენციები.

ცხოველთა სამყაროსაგან განსხვავებით, მცენარეული რესურსების დაცვაში თავიდან უპირატესობა ეძლეოდა საერთაშორისო საკარანტინო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო მცენარეების დაავადებათა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ამის შესაბამისად იყო მიღებული და ამჟამადაც მოქმედებენ მრავალრიცხოვანი შეთანხმებანი, კონვენციები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოების მოქმედებას ამ სფეროში. ზოგიერთი მათგანი მრავალმხრივია და აქვთ უნივერსალური მნიშვნელობა.

ახლა საქართველო განევრიანდა რამსარის კონვენციაში. ცნობილია, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობების (განსაკუთრებით წყლის ფრინველების ადგილსამყოფელთა) კონვენცია ატარებს რამსარის სახელწოდებას მისი მიღების ადგილის გამო (ირანი, რამსარი, 1971 წელი). რამსარის კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ გლობალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას ჭაობიანი ადგილების შენარჩუნებისა და დაცვის სფეროში. ჭაობები ძალიან მნიშვნელოვანი წყლის ეკოსისტემებია, რომლებიც ითვლება საერთაშორისო ბინადრობის ადგილებად. ისინი დიდ როლს ასრულებენ მცენარეული და ცხოველური სამყაროს, მიგრაციული სახეობის შენარჩუნებაში, გავლენას ახდენენ ეკოლოგიურ პროცესებზე, ამჟა-

მად ჭაობების ეფექტური დაცვისათვის აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. კონვენციაში შედიან შეთანხმებული მხარეები მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებიდან (მაგ. აშშ, იაპონია, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, ასევე პოლონეთი, ბულგარეთი, ალჟირი, ვიეტნამი, იორდანია, შრი-ლანკა, ზამბია, და სხვა). 1992 წლისათვის სულ იყო 70 შეთანხმებული მხარე.

ბუნების ძეგლების და განსაკუთრებით ბუნებრივი ობიექტების სამართლებრივი დაცვა ძირითადად ხორციელდება ცალკეული ქვეყნის მიერ თავის ტერიტორიაზე. მაგრამ ამ ბოლო დროს იზრდება ამ მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელობა.

თავის დროზე, იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ მიიღო კონვენცია მსოფლიო მემკვიდრეობაზე, რომელიც ითვალისწინებს კულტურის და ბუნების ძეგლების დაცვას. კონვენციის მიხედვით ბუნების ძეგლებს მიეკუთვნება:

– ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, რომლებშიც შედიან ფიზიკური ან ბიოლოგიური წარმონაქმნები ან ესთეტიკური ან სამეცნიერო მნიშვნელობის განსაკუთრებული კომპლექსები;

– გეოლოგიური ან ფიზიკურ-გეოგრაფიული წარმონაქმნები და ზუსტად შემოფარგლული რაიონები, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულების და გადაშენების გზაზე მყოფი ცხოველების და მცენარეების ბინადრობის ადგილებს;

ბუნების ნაკვეთები ან ზუსტად მონიშნული ბუნებრივი ლანდშაფტები, რომლებიც გამოირჩევიან ბუნების განსაკუთრებული სილამაზით და სარგებლიანობით ადამიანისთვის (ჯანდაცვის, დასვენების, ტურიზმის აზრით).

საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებს: შავი ზღვის დაბინძურების დაცვის კონვენცია (1994 წლის 12 იანვარი), კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (1994 წლის 31 აგვისტო), გაეროს კლიმატის ცვლილე-

ბების კონვენცია (1994 წლის 17 ოქტომბერი), საერთაშორისო კონვენცია გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (1995 წლის 8 თებერვალი), 1987 წლის ოქმი საერთაშორისო კონვენციაზე გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ (1996 წლის 8 თებერვალი), ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენცია (1996 წლის 21 მარტი), კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ (1996 წლის 28 ივლისი), კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (1996 წლის 12 დეკემბერი), შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენცია (1999 წლის 12 მაისი), კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის და განვითარების შესახებ (1999 წლის 18 აგვისტო), კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადამწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორპუსის კონვენცია 2000 წელი), კონვენცია გარეული ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ (2000 წელი).

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ეფექტური რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების გათვითცნობიერებაზე ეკოლოგიური სამართლის საკითხებში და მის აქტიურ პოზიციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ლ. ალექსიძე – თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი. თბილისი 1998.

ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია – ეკოლოგიის საფუძვლები. თბილისის უნივერსიტეტია გამომცემლობა. თბილისი 1992.

ვახუშტი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1941.

ვ. ლორია – საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი. თბილისი 2005.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 2004 წლის 16 ივნისამდე. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, თბილისი 2004.

საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს), თბილისი 2009.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცვლილებებითა და დამატებებით 2007 წლის 10 აგვისტომდე. „ბონა კაუზა“, თბილისი 2007.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ. თბილისი 1994.

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ, თბილისი 1996.

საქართველოს კანონი წიაღის შესახებ, თბილისი 1996.

საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების საკუთრების შესახებ, თბილისი 1996.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. თბილისი 1996.

საქართველო კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, თბილისი 1996.

საქართველოს კანონი წყლის შესახებ. თბილისი 1997.

საქართველოს კანონი საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ. თბილისი 1998.

საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, თბილისი 1998.

საქართველოს კანონი პესტიციდებისა და აგროუსაფრთხოების შესახებ, თბილისი 1998.

საქართველოს კანონი ტყის კოდექსი, თბილისი 1999.

საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, თბილისი 1999.

საქართველოს პარლამენტის ნორმატიული აქტები გარემოს დაცვის სფეროში (2000 წლის 1 ივნისის მდგომარეობით), თბილისი 2000.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ, თბილისი 2005.

საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ, თბილისი 2005.

საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ, თბილისი 2007.

საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, თბილისი 2007.

თ. ურუშაძე, ვ. ლორია – ეკოლოგიური სამართალი (მესამე გამოცემა), „ენა და კულტურა“, თბილისი 2003.

მ. ბითაძე – ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, თსუ, მოსკოვი 2008.

Ерофеев Б.В. Экологическое право. М., 1992.

Правовая охрана природы. Изд МГУ, М., 1980.

International Criminal Law, 1986.

United Nations Lists of National Park and Protected Areas, Vienna, 1990.

h.

გამომცემლობის რედაქტორი

მაია ეჯიბია

გარეკანი

თინათინ ჩირინაშვილი

დაკაბადონება

ნათია დვალი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 25-14-32

www.press.tsu.ge



ISBN 978-9941-13-163-9



9 789941 131639